1522
2009

N1
1/2009

ლიტერატურა და ხელოვნება

ესეი
ჯანსუღ ჩარკვიანი

ძიებანი
გივი ბრეგაძე

პუბლიცისტიკა
ქართული ვოკალი

რეცენზიები
ილიას ადრესატები

ლექსი
მანოლის რიზას
წერილი ელადიდან

ეთნო
სულიკო ჟღენტი

ესეი
მერაბ უათირი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი ბრეგაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურა და ხელოვნება

N1(37)
1/2009
ყოველთვიური ჟურნალი
Author and publisher of project:
vaja otarashvili
Literature And Art
ISSN 1512-3189

დამფუძნებელი, პროექტის ავტორი და გამომცემელი:
ვაჟა ოთარაშვილი

მთ. რედაქტორი
ტარიელ ხარხელაური

პასუხისმგებელი მდივანი
დავით კახაბერი

რედაქტორი
ვერიკო ზამთარაძე

გარეკანის მხატვრობა
გივი ბრეგაძე

რედაქციის მისამართი:
ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი მხატვრის ქ. №4
ტელ.: (+995 32) 32 73 62;
(+995 32) 31 70 47;
(+995 99) 25 60 14.
E-mail: litandart@yahoo.com
vaja.otarashvili@yahoo.com
Web: www.litandart.com.ge

ვისთვისაც ძვირფასია ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება", გთხოვთ, შეგვეწეოთ!

სარჩევი

ლექსები, ლექსები

3. ჯანსულ ჩახუკვიანი - ლექსები
6. ნანა ნითელაშვილი - ცხემლები ჯვიპარისებზე (ხომანი.გაგრძელება).
13. ზაზა ქინქლაძე - ლექსები
17. მერაბ შათირი - ენგურის ხიდი
34. მარა მიქარა - ლექსები
36. მანანა მაჩაბელი - მინიატურები

ესსეები

39. ბერნჰარდ შლინკი - სხვა (დასასრული. თარგმნა ბელა სურგულაძემ)

წერილები

43. ზეინაბ ლომჯარია - ილია ჭავჭავაძის ადრესატები...
49. მარგო ჯუბლაშვილი - ბედნიერების ფილოსოფიური ანალიზი...

მწერლის სარკოვდან

53. ვალერიან გაფრინდაშვილი - ხითმა და ასონანსი

მუსიკა

55. გულბათ ტორაძე - ქართული ვოკალის ფენომენი

თეატრი

58. ლაშა ჩხარტიშვილი - ზღვის გალმა ელადიდან

კინო

69. ოლიკო ჟლენტი - ფესვების ძიება

მხატვრობა

76. იზა ვეფხვაძე - ხეში ნაჯვეთი სიმფონია (გივი ბრეგაძე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულიად საქართველოს ვულოცავთ შობა-ახალ წელს!

საკონსულტაციო საბჭო:
ჭაბუა ამირეჯიბი, ბაჩანა ბრეგვაძე,
მერაბ ბერძენიშვილი, მაყვალა გონაშვილი,
ნათელა ურუშაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ოლიკო ჟღენტი,
თამაზ ჩხენკელი, გოგი წერეთელი.

ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება" ულოცავს ახალგაზრდა ხელოვანთა სალონს დაფუძნებას (დამფუძნებელი და ხელმძღვანელი ვერიკო ზამთარაძე)

ახალგაზრდა ხელოვანთა სალონი აცხადებს კონკურსს: პოეზია, მუსიკა, მხატვრობა და სახიობა. გთხოვთ, ნამუშევრები წარმოადგინოთ დისკით ა/წ 15 თებერვლამდე, მხატვრის ქ. 4-ში, ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების" რედაქციაში. ახალგაზრდა ხელოვანთა სალონის საკოორდინაციო საბჭო.

ტელ: 32 73 62
893-58-95-44

artsaloni2008@yahoo.com

გამომცემლობა **„ეროვნული მწერლობა"** იღებს შეკვეთებს პოლიგრაფიული პროდუქციის ბეჭდვაზე (წიგნები მაგარი და რბილი ყდით — ფერადი და შავ-თეთრი; ჟურნალები; სარეკლამო ბუკლეტები და სხვა).
მისამართი: მხატვრის ქ. 4
ტელეფონები: 32-73-62; 31-70-47
E.male. litandart@yahoo.com
vaja.otarashvili@yahoo.com

ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება" არც ერთ პოლიტიკურ მიმდინარეობას მხარს არ უჭერს და მხოლოდ ქართული სულიერების, კულტურის, მწერლობისა და ხელოვნების აღორძინების საქმეს ემსახურება

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქანსოლ ჩარკვიანი

საიდან მოდიხარ

ჯაკოს

„დუ-იაქეს“ მაგივრად
მარად მსურდა — „დუ-შაში“,
მთელი სკოლის ბიჭები,
ვიზრდებოდით ქუჩაში.

ქუჩა მტრობა არ იყო,
არცა ნარკომანობა,
ქუჩა იყო ძმობა და
სიყვარულით გალობა.

ჩვენ ვიყავით უბნის და
სიყვარულის ბავშვები,
სახლში, „დედას ბიჭი“ და
სახლში იჯდა „ჩამშვები“.

უბანი არ გინახავს? —
შენს ბიჭობას — ოლოლა,
გაუმარჯოს, ვერას და
გაუმარჯოს, სოლოლაკს.

ჩვენს უბანში მღეროდა
ჯანო, ჩემი სეხნია,
ტრამვაიდან გადმომხტარს
თავიც გამიტეხია.

„ატანდაზეც“ ვყოფილვართ
ვერის ბაღში ბიჭები,
კაცი არ დამინახავს
დახეული ჭინჭებით.

მათხოვარი ქართველი? —
არც არასდროს მინახავს,
იმ ძველ ტრფობას, — ქალწულთა,
ახლაც გულში ვინახავ.

ბიჭი იყო ბიჭი და
ბიჭს არ ჰქონდა სინაზე,
ფრიადებზე ვსწავლობდით —
გოგოების ჯინაზე.

გაგანია ომის დროს
„შტაბი“ გვქონდა „კრიშაში,“
გალაკტიონს დავდევდით,
გოგლასა და გრიშაშვილს.

არცა იმ დროს არ ვცნობდი
კომუნისტურ „ეს-ეს-ერს“.
იმ დიდ გამსახურდიას
ვუკითხავდი ჩემს ლექსებს.

ა, იმ დროს სჭირდებოდა
ქართულ „მაყრულს“ შებერვა,
სცენის ეშხით აგვავსო
„მოზარდმაყურებელმა“.

გეფიცებით ჩემს წარსულს,
არც არაფერს ვიბრალებ,
თორმეტი წლის ვიყავი
ომში რომ გავიპარე.

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

არვის შიში არ მქონდა
არვის არ ვუგორებდი,
რიდი მქონდა მამისა,
დედას, არ ვუგონებდი.

ჰკითხეთ, ვისი სახელიც
დღემდე არ ჩაიძირა, —
დოდო აბაშიძეს და
ავალიშვილ ბიძინას.

კვლავ ვიხსენებ, მამაოს —
ლოცვით, ხელში სანთლიანს,
კეკელიძე თენგიზი
არის ჩემი ნათლია.

ძმაკაცებს ვერ ჩამოვთვლი
მართლა ბევრნი არიან,
ოცი კაცი კი არა,
არის მთელი არმია.

უბან-უბან, საძმოსთან
გვქონდა მარად გრიალი,
ყველაფერი, თბილისო,
შენი ამაგი არი.

ახლა რაც გამახსენდა
ალბათ ნაღდად გულს უნდა,
ჰკითხეთ, დოდოს, ზეინაბს,
ლიასა და რუსუდანს.

ახლა გეტყვით იმასაც,
რითიცა ვარ ამაყი,
ვინ გამარტყა არ მახსოვს,
არც ის, ვისაც გავარტყი.

ჩვენი ძველი წარსული
მამა-პაპის ცით მოგვდევს,
საიდანაც მოვდივართ,
იმ გზის ფასი ვიცოდეთ.

ებრძვიან თბილისს

თუ არ დაგითესია
მაშ რაღა გაქვს სამკელად,
დაითრიეს დავითი,
გაღმა, დიღმისაკენა.

ვერასდროს გაიმარჯვა
კაცის აზრმა საღმაო,
არა, არა, აქ — არა,
სულ გაღმა და გაღმაო.

სააკაძეს დაუდგეს
შენობანი მაღლივი,
ცხენის შეეშინდათ და
დაუტოვეს აღვირი.

ქართვლის დედა ჰგონიათ
დედა ქუჩის ქალების,
გალაკტიონს უმზერენ
ბრუციანი თვალებით.

თუკი ვისმე შეეკვრნენ
იმედი აქვთ ოყნისა,
აბა, ლექსი ვინ იცის
ვეფხვისა და მოყმისა.

უარყოფა წარსულის
არის ალბათ იოლი,
გადმოაგდეთ ცხენიდან
პეტრე ბაგრატიონი

რუსთაველის ძეგლისთვის
სურდათ ლაფი მიესხათ,
ნესტანი სხვა ჰგონიათ,
დარეჯანი კიდე — სხვა.

ბევრი, განათლებითა
მართლა კმაყოფილია,
ილიაა — აკაკი,
აკაკი კი — ილია.

არცა ვინმეს ვემხრობი
არც არავის დავიცავ,
ვერ იტანენ ვაკეში
გურამიშვილს — დავითსა.

დღეს თუ ვინმე ბუუტურობს,
მე რად არ ვთქვა მართალი?
ტატო ბარათაშვილი
ზედ მტკვრის პირზე რათ არი.

ნეტა სანამ გიმზიროთ
მტრისა სულში ჩამჯდარსა,
გორდავ, დაჟანგებულო
ვეღარა სცნობ ვაჟასა.

ჩაკვდა ყარაჩოხელთა
უძველესი მაგიდა,
ფიროსმანო, მითხარი
ძველ თბილისში რა გინდა?

„დიადემა ქართველთა“ —
ექვთიმეზე მე ვთქვი, მე,
გაგიგიათ ოდესმე
ჩვენი დიდი ექვთიმე?

ტვინში თინეიჯერთა
არის ცოდნის შიმშილი
ძეგლი ლეონიძისა
არის თაყაიშვილის.

იმზირება ბუშივით —
ვეღარ ვიტან პუშკინსა,
გთხოვთ, მოაძროთ პუშკინი,
ძეგლი დადგით ბუშისა.

მინდა რომ დავიღალო,
თუმც ჩამოთვლით ვინ დაგვღლის,
ნეტა ვინმეს თუ ახსოვს —
„პაემანი ყივჩაღის“.

ღმერთმა ასე გაცოცხლოთ —
წლები სამას — სამასი,
ლექსი გალაკტიონის,
თურმე არის ანასი.

გულს უმიზნებს მარადის
ძმანო, ძმისა ისარი,
ვითომ დაიზრდებიან
ალგეთს ლეკვნი მგლისანი?

უარვყავით წარსული
დღეს მოჰგავს ხვალისას,
ვახ თუ დათვლილი არის
დღენი გორგასალისა.

ნეტა ხომ არ იქნები
სულ ბარტყი და ბახალა,
ჩემს ძველ თბილისს აჯობა
შენმა ვითომ ახალმა.

ვეუბნები უმადურს
შურიანს და ახვარსა,
ძველი თუ არ იქნება,
ვინ დაბადებს ახალსა.

მზე გვქონდა და ნელ-ნელა
ისიც, ისიც გვიქრება,
არ არს ჩვენი საშველი —
არც არასდროს იქნება.

თუმცა, ნეტა რას ვბრაზობ?
ჩვენზე ავიც ახია,
რასაც დღეს მოვესწარი
მსგავსი არ მინახია.

თუმცა, ვუმზერ შორიდან —
რაღაც ბჟუტავს, მცირედი,
მაინც უყვარს ქართველსა
ძველი სიტყვა, —
იმედი.

2008 წლის, ნოემბერი.

ნანა ჩიტაშვილი

სხემლები ხვიპპოსებზე

რომანი

* * *

ოჩამჩირე სუსხით, მაისის სიცივეს შეპარული სითბოთი შეგვხვდა. ალიაქოთითა და ბრახა-ბრუხით ჩამოვიცალეთ ბაქანზე. დაიწყო ეშელონის გადმოტვირთვა. იქვე, ბაქანზე სურათს გვიღებს ჩვენი ედიკა. შინაგანი ჯარების პრეს-სამსახურის ფოტოგრაფი. ჯერ არ ვიცით, ვინ დარჩება და სამუდამოდ ვინ დაბრუნდება უკან. ქალაქს, ერთი შეხედვით არაფერი ეტყობა. თითქოს, ჩვეულებრივი ცხოვრებით სუნთქავს; შტაბთან ვჩერდებით. ქალის დანახვაზე კაცები ფეხზე დგებიან ქართული, რაინდული გენის ბიძგით. ხელზე მკოცნის ბატონი ჯაბა და ოფიცრებს შესძახებს: „ქალი მშვენიერია, ომშიც კი, ყველაფერი შვენის მშვენიერ ქალს“. არ ვიცი, რა მიხარია, ის, რომ მშვენიერი ვარ, თუ ის, რომ ქალი ომშიც მშვენიერია. დაგვაპურეს: — მატარებელში ციოდა. ჩამტვრეული ფანჯრებიდან ორპირი ქარი სხეულში ატანდა, ქალი მაინც ქალია, ვაჟკაცის ოდენა გაუჭირდება. გავცივდი, სიცხისაგან თვალები ცრემლიანი მაქვს. სახე შეჭარხლებული. დატრიალდნენ... ყველა აქ არის, გენერლიდან — მოხალისემდე. მანქანები ყოველ წამს გადიან და შემოდიან. 39 გრადუსია, — მეუბნება ექიმი და მიბრძანებენ — წამალი მივიღო და დავისვენო. რა დამასვენებს. ჰოდა, გარეთ გამოვდივარ. ბიჭებს დავეძებ. ოლეანდრების სკვერში გაფენილან. იქვე, ტელეფონის ჯიხურიდან ზოგი ცოლს ელაპარაკება, ზოგი დედას, ზოგი შვილს: ყურმილზე ხელმიდებული ვიღაც მორცხვად უხმობს შეყვარებულს: „ნუ გეშინიათ“, „მალე ჩამოვალთ“, „დედას ვუტირებთ“. ბატონი ნოდარ ნათაძე მოდის საველე ფორმით, საოცრად ჰგავს ლუი დე ფიუნესს. გახარებულები ვეგებებით ერთმანეთს, თითქოს ცხრა მთის გადაღმა ვიყოთ, თითქოს საუკუნე გვაშორებდეს ერთმანეთს. ჩემი ოპერატორი ყველას ერთად მიგვამწკრივებს სკვერში. ვიცი, გავა დრო და როცა ყველაფერი ეს წარსული იქნება, და ბევრი ჩვენთაგანი აღარ იქნება... ვიცი, მოგვძებნიან დედები, შვილები, ცრემლიანნი შეგვავედრებენ უფალს. იქნებ, ამ არქივში მისიანი იპოვონ. მწარეა ამის გაფიქრებაც კი, მაინც ვფიქრობ და ყველას ვუხმობ, ყველას სახე მინდა დარჩეს ფირზე, ამ ისტორიის ჩარჩოში მოქცეული, — რელიქვია, როგორც საგვარეულო, ფასდაუდებელი ძვირფასი ხატი. მანქანები ყოველ წუთს გადიან და შემოდიან. საბურავებგამოცლილი წითელი ჟიგულის კარს ვაღებ და ვჯდები. თავს ვადებ საზურგეს და სიცხიანი ძილბურანში ვიძირები. მესიზმრება...

სანაპიროზე, სიგრძივ ჩალაგებულ მაგიდებზე, დაგროვილია ხორაგი, ისეთი, როგორც საქელეხო სუფრამ იცის. არავინ ჩანს. დავდივარ და ვეძებ ადამიანებს, ხმები კი მესმის, უცნაური, დახშული, — ვიბრაციებით. ვხედავ ზღვიდან ამოდის ტანკი. ისეთი, ფილმებში რომ მინახავს ვიეტნამური, ავღანური ქრონიკებიდან. ლულა მიმართული ნაპირისაკენ მიდის. სანაპიროზე კი ბავშვების ხელით ნაგები ქვიშის სასახლეები, პატარა ბორცვები და გვირაბებია. ტანკის სარკმელში წითელ თვალე-

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 11,12

ბიანი კაცი ხორხოცებს. ცეცხლს აფრქვევს. მივრბივარ, მომდევს. გარშემო ქვაც კი დუღს. ისმის ბავშვის ტირილი, კვნესა, ვეძებ ადამიანებს. ისინი არ ჩანან, მხოლოდ გულისწამღები ხმებია. როგორც იქნა მოვძებნე პატარა ქვიშის ბორცვი და ამოვეფარე. ტანკმა მოსრა ირგვლივ ყველაფერი. ხრიალით შებრუნდა და ზღვაში ჩაიმალა. ყველაფერი ჩაწყნარდა. გამოვდივარ სამალავიდან. ვხედავ, ბიჭები მოდიან, კი არ მოდიან, მოცურავენ. მიწიდან რამდენიმე მილიმეტრით ფეხაცილებულნი, უსიტყვოდ, ღიმილიანნი ინთქმებიან სივრცეში. უკან არც ერთი არ იხედება. ვეძახი, მინდა ვუყელო, მაგრამ შებოჭილი, ქვიშაში ჩაფლული ფეხები ვერ დამიძრავს. ერთმა, მთლად ბავშვმა შემომხედა და გამიღიმა. შუბლზე შავი ბენდენა აქვს გაკრული, გულზე ავგაროზი ჰკიდია, მოდის და მიღიმის...

— ქალბატონო ნანა, — ჩამძახის ოფიცერი, — ქალბატონო ნანა, გავდივართ.

თვალს ვახელ, დამსხვრეული სხეულით გამოვდივარ მანქანიდან.

— ცუდად ხომ არა ხართ? — შეშფოთდებიან სხვებიც.

— შეშინებული სახე გაქვთ, დამფრთხალი, ხომ არ გეშინიათ? — იცინიან.

არ ვამბობ რომ სიზმარმა შემაშფოთა, ცუდის მომასწავებელმა, უღმერთომ, ბინდფეხამ.

სატვირთო მანქანის ძარაზე ვსხედვართ 15 კაცი.

— დანარჩენები სად არიან-მეთქი?

— იქ გველოდებიანო, მერკულაში.

უსიტყვოდ, სევდიანი გავყურებ სანაპიროს, ვეძებ ნაცნობს, მშობლიურს... მარჯვნივ ეზოიანი კოტეჯი გამოჩნდება, აყვავებული ხეებით და სახლის წინ სამაისო ვარდებით.

ეს ლეო ბოკერიას აგარაკია. 5 წლის წინათ ვსტუმრობდით. მოსკოვიდან ჩამოვიდა. მაშინ ფილმს ვიღებდით მასზე. რა სიხარული იყო. დილის ხუთ საათზე სადგურზე, კინოაპარატურით დატვირთულებს გურამ მელაძე დაგვხვდა, ლეოს მეგობარი. როგორ გვიმასპინძლა!! ზღვიდან ვერ ამოვყავდით. რა გჭირთ, უკანასკნელად ხომ არ ბანაობთო, — გვიწყრებოდა. — გაცივდა ყველაფერიო.

ეზოს ჩავუქროლეთ, მოვიხედე... სევდის ბაღი ყვაოდა. გული დამწყდა... შევიკრიბებით კი აქ ოდესმე? ხეზე მიბმულ პატარა ბეკეკოს ბღავილს თუ მოვისმენ კიდევ? აი, შესახვევიც, იქით, ზევით, ორი სახლის შემდეგ გურამის სახლია. ვეძებ. ის ჯერ კიდევ მოჩანს სიმწვანეში. 14 წლის შემდეგ, მოსკოვში, ლეო ბოკერიასთან, კლინიკაში შევხვდები გურამს, შემომხედავს თუ არა, მიცნობს. საშინელებაა — მისი ტირილი. მაშინ უკვე მეცოდინება, რომ გურამმა თავისი ხელით გადაწვა ყველაფერი, ნაცარი დატოვა ნასახლარზე და ცოლ-შვილიანად ლტოლვილებს შეუერთდა.

ჩავედით მერკულაში. ტრიალ მინდორზე ერთი დიდი ნაძვი დგას და იქვე მგონი მუხა. მარცხნივ ტყეა. კიდევ იქეთ ზღვა. მარჯვნივ, ამაღლებულზე, სოფელია. აქ ცხოვრობს ქობალიების ოჯახი, რომელიც ორი თვის მანძილზე გვიმასპინძლებს. შეშინებულები ჩვენში დაინახავენ ხსნას და პირჯვრის წერით გაგვაცილებენ სოხუმისაკენ. მერე მთელი ცხოვრება ვიფიქრებ მათზე, სად არიან, გადაურჩნენ იმ საშინელებას? — ეს მერე იქნება, ახლა კი ბიჭები ყიჟინით შემხვდნენ.

— აბა, ტექნიკა? — თვალებს ვაცეცებ. ბიჭები ერთმანეთს შეჰყურებენ, იცინიან და თვალებმოჭუტულები ათვალიერებენ გარემოს.

— ქალბატონო ნანა, მართლა ვერ ხედავთ? — მეკითხებიან.

— მართლა ვერ ვხედავ. — მივყვები მათ მზერას. ვამჩნევ, ტყეში, მწვანე ტოტებით დაფარულ მანქანებს, ტანკებს, საბრძოლო ტექნიკას. ომში ვარ და მაინც მიხარია... ოპერატორს ვთხოვ ყველაფერი გადაიღოს, დეტალიც არ დარჩეს კადრს მიღმა. ბიჭები ნაძვის ტოტებისაგან შეკრული ცოცხებით იქაურობას ასუფთავებენ. ძველი, უკვე გაპარტახებული მეურნეობის ტერიტორიაზე ვართ. სადგომებიდან გამხმარი თივა გამოაქვთ და მიწაზე აფენენ. ის კი არა, „კარგ“ ადგილებსაც ირჩევენ, თითქოს აქ სასახლეების ჩადგმას ვაპირებთ... ცრემლები მახრჩობს, ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, იმ ბავშვური აღტკინების, იმ რწმენის, იმ გულწრფელობის სანაცვლოდ მიღებული მწარე ალიყურისთვის, „გაშვერილ“ ხელისგულებზე ნაფურთხების, უმადურობის, გაოგნებული თვალების, ღიმილშეყინული, ოდნავ შეხსნილი სისხლიანი ბაგეების, მკერდში ჩაკრული, ავტომატებზე მიკრუნჩხული ხელების გამო...

მინდა შორს, ძალიან შორს გავეცალო ქვეყანას, რომელიც მხოლოდ სიყვარულისათვის შექმნა უფალმა და რომელსაც გულმუცელში ბალღამი ჩაანთხიეს, გამოშიგნეს, გამოფატრეს და ასე, სუდარამოსხმული გაუყენეს გზას — ხელგაშვერილი, წელში მოხრილი და ღირსებააყრილი. ეს მერე იქნება, როცა ყველაფერი დალაგდება და ყველაფერს თავისი განმარტება მოენახება... ახლა კი, აქ მერკულაში, ყველა ერთნი ვართ. ასე გვეუბნებიან, მთელი საქართველო შემოგყურებთ, თქვენს სახელებს არ დაივიწყებენო. მაშინ ყველაფერი, ამასთან შედარებით სიცოცხლეც კი, არაფრად ღირდა. მერე მოვა ფიქრი, განსჯა, სინანული და მარადიული კითხვა — რისთვის? კი, სამშობლოსათვის, მაგრამ სამშობლო ხომ ყველასი იყო. მაშ, რატომ გამოერჩივნენ ისი-

ნი, ვინც მერე დაერევიან და დაგლეჯენ ერთმანეთს სავარძლებისათვის, ქონებისათვის, დიდებისათვის. არავის და არაფერს დაინდობენ. გადასრესავენ გზაზე გადაღობილს, მიწასთან გაასწორებენ. ლაფში კი არა, კუპრში ამოავლებენ. ვის ბანდიტად შერაცხავენ, ვის გამყიდველად, ვის კიდევ მოტყუებულ, საზარბაზნე ხორცად. ყველაფერს იტყვიან, ყველაფერს. უმოწყალოდ, ულმერთოდ განსჯიან. იმისათვის, რომ ნადავლი ისე გადანაწილდეს, „უცხო“, „დაუგეგმავი“ „გმირი“ არ გაერიოს. ამ ბიჭებს კი არ მოიგონებენ. აქაც თავისი, დაგეგმილი სახელები ეყოლებათ. ესენი კი წავლენ მიწიდან მილიმეტრებით ფეხაცილებული, ჭუჭყი და ტალახი არ მიეცხებათ. ჩუმად, მდუმარედ, უკან მიუხედავად, უსაყვედურედ. მხოლოდ ერთი, მთლად ბავშვი, ვერ მოითმენს და... პირს გააღებს თუ არა, ტყვიას ჩაანთხევენ. სიჩუმეს აიძულებენ, რადგან სიმართლის მთქმელი შეაშინებთ, არ ენდომებათ. რადგან თავისუფლება ენდომება ყველას, მაგრამ სიკვდილი თავისუფლებისათვის მხოლოდ „უპატრონოთა“ ხვედრი იქნება ამ ქვეყანაში. დიდების ორდენებს მეძავ ქალად გახედნიან, ხან ერთს „მიუწვენენ“, ხან მეორეს. ჩამოარიგებენ უმოწყალოდ, განუკითხავად. ის კი, დიდება, დაჯდება და მდუღარით დაიტირებს რაინდებს, ახლა რომ ჩუმად წვანან მშობლიურ მიწაში... მათთან შეხვედრა, მათი მკერდის დამშვენება მას არ ეღირსება. იმ დღეებს, იმ ნათელს, იმ ბიჭებს, იმ სიყვარულს ვუძღვნი ამ ცრემლებს, დროდადრო რომ მაწყვეტინებენ და მაიძულებენ გაგრძელებას... ალალი იყოს თქვენზე ცრემლი ქალისა, რომელიც იმ საშინელ, მაგრამ ნათელ დღეებში დედას გაგონებდათ და სიკვდილს გიადვილებდათ, ბიჭებო.

— ქალბატონო ნანა, — თვალმოჭუტული, მზისაგან გარუჯული „ლოცულა“ ჩაიჩოქებს სკამთან. — „სგუშჩონკა“ გინდათ?

— „სგუშჩონკა“ მინდა, „ლოცულა”? — ლამისაა გავგიჟდე. — მაგ „სგუშჩონკისაგან“ მალე ტანსაცმელში არ ჩავეტევი. — „ლოცულას” „სგუშჩონკიანი“ ხელი უშეშდება, ცრემლები აწვება.

— მინდა, მინდა, ჯანდაბას ჩემი თავი, შენ როგორ გაწყენინებ? — „ლოცულა” „სგუშჩონკის“ ქილას ნახვრეტს უკეთებს. — „ბურდანიჩს“ დავაწერე. — იცინის. ნელ-ნელა, ნება-ნება ვწრუპავ თბილ, ტკბილ რძეს. „ბურდანიჩა“ შორიდან გვიყურებს, მერე დგება, საველე ჩანთაში იქექება, რაღაცას ეძებს. მერე „ლოცულას“ ეძახის ბრაზისაგან გაშავებული. „ლოცულა“ მიცოცდება, რაღაცას ეჩურჩულება. ჰოო, რა ატყდება...

— ერთი თვე დარჩათ, — მეუბნება დათო ჯალაღანია, ჩვენი ექიმი. — სავალდებულო სამსახურის ერთი თვე დარჩათ.

— ღმერთო!...

— მეორედ არის აფხაზეთში, ხუთი თვის წინ თითქმის ავაწყვე, ისე იყო დაცხრილული.

— ღმერთო!...

ბანაკში ჟიგული შემოგრიალდა, გადმოხტა ჩემი კოლეგა, ოპერატორით! — აბა, ბიჭებო, ერთი კარგი „პერესტრელკა“ გადამაღებინეთო.

გაგიჟების ზღვარზე ვარ. პირი მიშრება. საველე „ჰოსპიტალში“ შევრბივარ და ბარგის ჩალაგებას ვიწყებ.

— რას აკეთებთ? — ხელი მტაცა დათომ.

— მივდივარ.

— რატომ?

— ველარ გავუძლებ ამ სიცრუეს.

— ამ ბიჭებმა რა დაგიშავეს, ამათ რა დაამავეს, გული ეტკინებათ. თქვენ ერთადერთი იმედი ხართ ამათთვის. ამათთვის ახლა დაცა ხართ, დედაც და იმედიც.

— არ შემიძლია ამ სიცრუის ყურება.

ბიჭები შემოეტმასნებიან „ჰოსპიტალს“. უხმოდ მიყურებენ. რამდენი ვედრება, ვაუკაცის გულის მომკვლელი მუდარაა — „ღმერთო, შენ შემინდე, თუკი წავიფორხილე, თუკი ბოღმამ ხელი დამრია“... ქალბატონი ნანა მიდისოო, იცოცხლეთ კუდით ქვა ასროლინეს „რეჟისორს“. ის მაინც ჩაიწერს რამდენიმე ინტერვიუს და მოცოცხავს.

ვქოთქოთებ. ბიჭები მამშვიდებენ, — „ფეხს ვერავინ შემოდგამსო“. დათო ჯალაღანია ვარდისფერ აბებს მაწვდის. დაუფიქრებლად ვყლაპავ და ვტირი. ვშფოთავ, ბიჭები ჩუმად დგანან, თავდახრილები. ცოტა ხანში სხეული დუნდება, რული წამომეპარება.

— დათო, რა დამალევინე. — ვეკითხები მოთენთილი ხმით.

ჰო, რა ატყდება. ბიჭები ერთმანეთს ეხეთქებიან. თურმე, ბარგის ჩასალაგებლად რომ შევვარდი, — მერე მეტყვიან, — ექიმთან მივარდნილან, — „რამე ილონეთო“ — და დათომაც ბელორგამინის ორი აბი მაყლაპა. მთელი დღე მეძინა.

ვრჩები. არც ვნანობ... ცოტა ხანში კოცონი აბრიალდება, ატყდება გნიასი.

— გაგიჟდით? — შემოვარდება გუჯარ ყურაშვილი. — რას შვებით, კაცო, ცეცხლის დანთება აქ შეიძლებაა?

გუჯარი კასპელია, სამხედრო ოჯახის შვილი, პატარა ბიჭი წაუყვანიათ რუსეთში, და დარჩა გუჯარს აქაური კილო. ისე შევეჩვიეთ, მთელი ბრიგადა ამ კილოთი ლაპარაკობს: „სგუშჩონიი, ბიჭოო, სგუშჩონიი“, „ტანკი, ბიჭო, ტანკიი“, „დროშაი, ბიჭო, დროშაი.“

კოცონს გარს შემოეჯარებიან. ერთადერთ სკამს, მუხის გადაჭრილ მორს შუაში დამიდგამენ, დამაბრძანებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ქალბატონი ნანა მიდიოდა.

— როგორაა.

— როგორა და ფეხით.

— რათა, რათა?

— რათა და ვიღაც მოვიდა „პერესტრელკა გადამაღებინეთო“.

— როგორაა?

— რა ვიცი, „პერესტრელკა“ მინდაო.

— მერე, გავიდეს ხიდს იქითა და გადაიღოს.

— არა, აქვე გაითამაშეთო.

— რაიო? — საყელო შეიხსნა გუჯარმა.

— აი, ეგრე, შენ იქით დადექი, შენ აქეთაო. — დაბზრიალდა „ლოცულა“ და ვითომ „პერესტრელკააო“ მიწაზე გაერთხო.

— მაგის დედაცა, ვერ გააგდეთ? — უყვირის ბიჭებს.

— ჰო, ჰო, რას გარბოდა.

— მერე, მოგვიანებით, იმ გაქცეულს გორგასლის მე-3 ხარისხის, სხვას, „პერესტრელკებს“ ბევრი ავტორი ყავდა, ღირსების ორდენს მიართმევენ. ისიც შეიფერებს. რას იზამ, „Война всё спишет“. ომს თავისი კანონები აქვს, სიყვარულს თავისი. „Война всё спишет“, — სამწუხაროდ.

გვიანობამდე არავინ იძინებს. იქვე სველ მიწაზე გაშლილ თივაზე, საველე ქურთუკებზე წვანან. მე მანქანაში ვიკუნტები. ისეთი სუსხი და ნესტია ღამით, ხელები ეწებება რკინას. ჩაიფერფლება კოცონი. „ტრასირები“ ჯვარედინად გადაკვეთავენ ცას. გამოვდივარ, ბიჭებს სძინავთ. „ტრასირები“ წითლად ანათებენ სახეებს. ღმერთო, სათითაოდ დავცქერი, ზოგი იცინის ძილში, ზოგი ლაპარაკობს, გულაღმა გაშხლართული, თითქოს შუადღის ხვატს გარიდებული ნებივრობსო. გზაზე სინათლე გამოკრთება, მერე მანქანის ხმა მოაღწევს: გუჯარი ბრუნდება შტაბიდან... ცოტაც და ეზოში შემოგრიალდება.

— რატომ არ გძინავთ. — მეკითხება და ქუდს იხდის, შუბლს ჩამოიწმენდს.

— რა ხდება, ბატონო გუჯარ? — ვეკითხები.

— ხუთ საათზე ოპერაციას ვიწყებთ.

მთელი თვეა ველოდებით ამ დღეს. ყოველდღე ეხმიანება შტაბს ბატონი ედუარდი. აქ კი კამათია, — ვინ უხელმძღვანელებს ოპერაციას. „სამხეცე უნდა გაიწმინდოს“. საშიშროება დიდია. ერთი თვე დასჭირდება შეთანხმებას. ყველა თავისკენ იწევს, იქაჩება. გაოცებული ბრუნდება ყოველდღე გუჯარ ყურაშვილი: — არ შეიძლება, კაცოო, ვინც უნდა იმან უხელმძღვანელოს, ოღონდ ერთმა, დანარჩენებმა უნდა ბრძანება შევასრულოთ, არა და არ დაადგა საშველი, გული გაწვრილდა.

— გადაწყდა? — ვეკითხები და გულთან ბიძგს ვგრძნობ.

— როგორც იქნა, — გუჯარი სკამზე ჩამოჯდა. — ჯაბას მადლობა, მაგან ივაჟკაცა.

დაფიქრდა, თვალი მოავლო მიწაზე დაძინებულ ბიჭებს. გაოგნებული ვდგავარ. რასაც ველოდით, აქ არის. ახლა კი შიში ჩამიდგა მუხლებში. ომი სიკვდილია, ომი ცრემლია, სისხლია და სამუდამო ჭრილობა, რომელიც სულ ღია დამრჩება... ამიტომ, ჩაძინებულ ბიჭებს ჩემი დატანჯული სული დასტრიალებს. მე, ალბათ მე, მომიწევს მათი უკანასკნელი სუნთქვის მოსმენა, მათი ღიმილის გაუკვდავება.

— გადაიღეთ, — მეუბნება გუჯარი. სიბნელეში სახეს მარიდებს. ვიცი, ცრემლები აწვება თვალებზე.

ოპერატორს ვაღვიძებ. ცოტა ხანში ინათებს. დილის სილურჯეში ბიჭების სახეები გამოიკვეთა. ჩუმად, ისე რომ ძილი არ გავუკრთო, ეზოს დავივლი. გუჯარი დამყვება.

— გადაიღეთ, რომელიღაც, ხვალ ამ დროისთვის შეიძლება აღარც იყოს.

— დიდი იქნება მსხვერპლი? — ვეკითხები გაოგნებული.

— კარგი მეთაური ნაკლები მსხვერპლით უნდა გამოვიდეს, მაგრამ აქ რას გაიგებ, ყველას თავის ნებაზე უნდა იომოს. ომში ეგ არ შეიძლება, ეგეთი ომი არ მინახავს.

გადაღებას მოვრჩით. იქვე ჩამოვჯექი და თვალი მოვხუჭე... გამაღვიძა სროლის ხმამ და ჩოჩქოლმა. მუხასთან შეკრებილი, განახევრებული ჯგუფი რაციასთან ზის. მესმის სროლის, მსხვრევის ხმა. გუჯარის ბრძანება, ჯაბას გინება, აფეთქების ხმები. სამყარო დავიწროვდა, შეიკუმშა და აქ მუხის ქვეშ ჩაცუცქდა. აღარაფერი გახსენდება, არც სახლი, არც ოჯახი, იქ დარჩენილები. ყველაფერი აქ არის, ამ მუხის ქვეშ. ომში სიკვდილი არაფერია, სიკვდილს სახე არა აქვს, სახე არა აქვს... სახე მხოლოდ სიცოცხლეს აქვს — ამიტომაც ვერ გრძნობ სიკვდილის სუნთქვას, მისი დაბერილი ნესტოების ქშენას.

— გორის ბატალიონი მოემზადოს! — გადმოსცემს გუჯარი. პაატა ბენდიანიშვილი დგება, ბიჭებს გასძახებს. პაატა დაბალი ტანის, ჩაფსკვნილი, მრგვალი პირისახის ახალგაზრდა კაცია. ასაკს ვერც დაუდგენთ. ბიჭები ეხვევიან, აცმევენ. თვალს გვარიდებს. გავდივარ განზე და იქედან ვუთვალთვალებ. აი, ტყვიაგაუმტარი ჟილეტი ჩააცვეს, დაუმაგრეს. ვიღაც მაღალყელიან ფეხსაცმელს უკრავს.

ავტომატი, ყუმბარა, „ლიმონკა“, „მუხა“, ღმერთო... „ბმპ“ თუ „ბმვ“ თუხთუხებს. პაატასთან მივდივარ და საყელოს ვუსწორებ, არ მეგულება დედამიწის ზურგზე გენიოსი, რომელიც ამ სახეს, ამ როლს, ამ თვალებს ითამაშებს. პაატა მზად არის, ბიჭებს გადახედავს და

მანქანისკენ მირბის. მანქანა ღმუილით გადის ეზოდან, ისევ რაციაა, ისევ ბრძანებები, ისევ გინება, ისევ მსხვრევის, აფეთქების, სროლის ხმები. მეტის მოთმენა არ შემიძლია... გელა ლანჩავა მიყურებს. ტუჩს იკვნეტს.

— ოპერატორი. — მეუბნება გელა.

ტოტებშემოცლილი მანქანა მოაყენეს. რა ვქნა...

ოპერატორი ჩემი სტუდენტია, უცოლშვილო, 22 წლის. ოჯახის ერთადერთი შვილი... უკვე დაღუპულია ჩემი ძმა, მეუღლე. უკვე ვიცი — ეს უბედურება.

— მეც მოვდივარ.

— სად მოდიხარ? — ღრიალებს გელა ლანჩავა.

— გელა, მოვდივარ, ოპერატორს მარტო არ გაგატანთ.

— შენ გდიოთ, თუ საქმე ვაკეთოთ? — ქორივით დამკორტნა გელამ.

— გელა, სხვის შვილს მარტო არ გავუშვებ, — კამერას ვტაცე ხელი და — „ბმპ"-ეა თუ „ბმვ"-ს, ახლაც ვერ ვარჩევ, ასასვლელი კიბეები ავირბინე.

— კარგი, — გელა აქეთ-იქედან ბიჭებს დამისვამს, თვითონ ნინ ჯდება, — ოღონდ, იცოდე, სადამდეც გეტყვით, იქამდე წამოხვალ.

— კარგი. — ვეუბნები.

— იცოდე, არ დამიწყო, სადაც გეტყვით, ჩამოხვალ და დაგველოდები.

მერე გონება აღარ მემორჩილება. მანქანა მიჰქრის მერკულადან ტამიშისკენ, გაშლილი ველის მარჯვნივ, ზღვის მიმართულებით გზა ჩადის. იქითაა სამხეცე. ჰორიზონტს თეთრი, შავი ბოლი ასდის. ისევ სროლა, ისევ ქუხილი... იქით აღარ შეიძლება. ამიტომ ბრძანებას ვემორჩილები და თვალსაწიერზე რასაც ვწვდები, ვიღებთ. მზე ჩახჩახებს, ღამის სინოტივით გაუღენთილ ტანსაცმელში ატანს და სულს მიხუთავს, კეპის ქვეშ ოფლის წვეთებით ინამება შუბლი, სახეს მიწვავს სხივი, თვალებში ცისფერი და მუქი ნაცრისფერი ფიფქები მიცურავს, გარშემო ისეთი სილამაზეა... ოლეანდრების ვარდისფრად მოგვირგვინებული ბუჩქები, კვიპაროსებზე ნამი ბრწყინავს და სხივებს ისვრის. ნიავს შორიდან მოაქვს ბალახის, აფუებული მიწის, ნეშოს სუნი. მაინც სხვაა, მაინც უცნაურად შეცვლილია ყველაფერი. გზებზე ყრია ვაზნები, გაძარცული, „თვალებდათხრილი" მანქანები, დამტვრეული, წაქცეული საბარგო მანქანების ძარები, ღერძები, დამწვარი საბურავები. არ ვიცი, რამდენ ხანს გასტანს ლოდინი, ომში თითქოს დრო ჩერდება, ლოდინში წამებიც. არაფერი არ ვიცით, სული ილევა. პირველი მანქანა გამოჩნდება, მეორე, მესამე. შორიდან ვხედავ გატანჯულ, მკერდზე ავტომატებმიკრულ ბიჭებს. ვიღებთ. ჩაგვიქროლებს ერთი, ხელს გვიქნევს მეორე, — „გარბიან ძაღლები"-ო მესამე, — „გაიქცნენ, მაგათი დედაო" სირბილით მოვდივართ ბანაკისაკენ. გზაზე მერკულას მოსახლეობაა გამოფენილი, გვეკითხებიან, ტირიან, პირჯვარს იწერენ. ერთმანეთშია არეული, აზელილი ცნობიერება.

გავდივართ: — ყველანი ადგილებზე! — გელა ლანჩავა მანქანიდან ჩამოდის, ბიჭებს ათვალიერებს. — ჩქარა, ჩქარა, მანქანებში! — „ჟიგული" შემოვარდა, ირაკლი ბათიაშვილი, კოტე გაბაშვილი, ვითვლით... ბიჭებს ეხვევიან, მანქანები თუხთუხებენ, ბიჭები მანქანებში სხდებიან. შევცქერი, ვითვლი წიწილებივით, ნაქორალ ეზოს, მეშინია კითხვის.

— ხომ არავინ დაიღუპა? — დავწანწალებ აქეთ-იქით, ვეკითხები ყველას.

— ჩვენგან არავინ, მგონი, არავინ. — დათო ჯალაღანიას სათვალეები შიგნიდან აქვს დაორთქლილი, წელსზევით გახდილია და დიდი ქილიდან წყალს იმხობს ხახაში.

— ბატონო გუჯარ! — იყვირა ვიღაცამ.

სახეგაფითრებული, ტალახიან ფეხსაცმლიანი გუჯარი... თეთრი საყელო მთლად სველი აქვს და მტვრის ზოლი ჩაშავებია თვალების უპეებში.

— ბატონო გუჯარ! — მინდა მოვეხვიო, მაგრამ, ვიცი, აქ სენტიმენტალური აღტკინების დრო არ არის. აქ ომია.

— მანქანებში! — მშვიდად ბრძანებს გუჯარი. — 15 წუთში გავდივართ. მუხის ქვეშ ჯდება, დროს ვიხელთებ და გვერდით ვეტუზები დასჯილი შეგირდივით.

— მსხვერპლი დიდია, ბატონო გუჯარ.

ამომხედავს, ქუდს იხდის, სულს იბრუნებს, ბიჭებს გახედავს.

— ორი.

— ჩვენები? — ვეკითხები.

გაოცებული მიყურებს: — ჩვენებს ვის ეძახიი?

ხელები სად წავიღო არ ვიცი.

— მაგრა იომეს? — კიდევ კარგი, ჩამერთო საუბარში ბატონი ნიორაძე.

— მაგრა. ყოჩაღ, მხედრიონმა მაგრა ივაჟკაცა, ქობალიასაც მაგარი ბიჭები ჰყავს, ძალიან იმარჯვეს, ის ორიც შეიძლებოდა არ დაღუპულიყო, ლულა გაიჭედა. ისეთ დროს გაჭედა, როცა უკვე ეზოში ვიყავით. არ შეიძლება ტანკების ეგრე რახრახი, ვინ გისმენს.

გავდივართ. მე, გუჯარ ყურაშვილი, გელა ლანჩავა, ჩემი ოპერატორი უკან სახურავახდილ „უაზში" ვსხდებით, ორი ავტომატიანი ჯარისკაცით. მოსახლეობა... ტირის, გვლოცავს, ხილით სავსე კალათებს გვაწვდის. ვის აქვს ჭამის თავი?!

გზიდან გადახვევა არ შეიძლება, სწორ ხაზს მივუყვებით. გზა ორივე მხრიდან ალაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალაგ დანაღმულია, არ ვიცით, სად იფეთქებს. ორივე მხარეს დახლეჩილი ხეებია, მანქანის დამწვარი ძარები, სახურავები, ალაგ-ალაგ სისხლის შეუმშრალი ნაგუბარი. აცეტონის უცნაური სუნი იჭრება მანქანაში.

— რა არის? აცეტონის სუნია? — ვკითხულობ.

— Трудный запах. — ჩუმად, თავისთვის ამბობს გუჯარი. მე მის პროფილს ვხედავ, დაღლილი სახე აქვს. ვჩერდებით. ავაზას ბატალიონი გვხვდება, გამხდარი, გასავათებული სახეები. ჩამოვდივართ. მოსახლეობა არ ჩანს, რამდენიმე სახლი დამწვარია, ფანჯრებგამობუგული. ვიღებთ. — წამოდით. — მეუბნება ავაზელი. — გადაიღეთ ეს ძაღლები.

ეზოს შესასვლელთან ქვის კიბეა, კიბეზე დაცხრილული კაცის გვამი გდია, ცოტა მოშორებით ქალი, შუბლგახვრეტილი, თვალები ღია აქვს. დამხუჭველი არავინ იყო, გახსნილი პირიდან ოქროს კბილი ბზინავს.

— ვინ არიან? — ვკითხულობ.

— ეს არის რაია, არ გაგიგიათ.

— ეს არის? — ზიზღი და სიშმაგე მიპყრობს. — ძაღლები.

— გუშინ ჩავაძაღლეთ. — რამდენი ჩვენი ბიჭების სისხლი აწევთ. ორი კვირის წინ ამ სახლში იდგნენ. პოზიციიდან დაღლილები დაბრუნდნენ, უვახშმოდ მიეყარნენ... მძინარეს დააყენა მტერი. 15 ბიჭი ადგილზე მოკლეს, ვერც გაიგეს, ისე ღრმად ეძინათ. აი, იქ. — ხელით მაჩვენა. — ერთად ჩავყარეთ. დროც არ იყო — დესანტი შემოდიოდა. ახლა მიწას ვთხრით.

100 მეტრის დაშორებით, ექსკავატორი მიწას თხრიდა. მივედით. ბიჭების გაშავებული გვამები ამოჰქონდათ და მანქანის ძარაზე აწყობდნენ, ამოცნობა შეუძლებელი იყო, რაღაც ნიშნებით ცნობდნენ. გულის ჯიბეებიდან, შერჩენილ დოკუმენტებს უღებდნენ და ბიჭების მისამართების ამოცნობას თუ მოახერხებდნენ, თორემ სხვაგვარად მათი ამოცნობა თითქმის შეუძლებელი იყო. იქვე გაძარცული სახლის წინ, სკამზე ჩამოვსხედით, საიდანღაც ძაღლი მოლასლასდა, ფეხები დაგვიყნოსა, აწკავწკავდა და ჩვენს წინ გაერთხო.

ფერდებშეცვენილ, მომჭკნარძუძუებიან ძუკნას თვალებზე ლიბრი გადაჰკროდა, გადახვეწილი პატრონის დარდი და გაწყვეტილი ლეკვების გამო მწუხარება თუ არეოდა ერთმანეთში. მოვიფხიკეთ ჩანთები. რაც გვქონდა, დავუყარეთ. ძაღლმა პირი აარიდა საჭმელს. შეჰყმუვლა, ფეხები აგვილოკა, წამოდგა, გახედა სახლს, კარ-მიდამოს, კუდის ქიცინით გადავიდა გზის მეორე მხარეს და ახლად ამოთხრილ მიწაყრილთან ჩაცუცქდა. ჩახედა ორმოს, თათებით მოფორთხა მიწის ფხვიერი ნაყარი, თავი ასწია ცისაკენ და საზარელი ხმით შეჰყმუვლა ზეცას. მეტი რა ექნა ძაღლს. სულისშემძვრელია პატრონმკვდარი, ნასახლარ ეზო-კარს შერჩენილი პირუტყვის გლოვა.

— საიდან გაჩნდა? — ერთმანეთს ეკითხებიან ბიჭები. — რაც ეს ბიჭები დავმარხეთ, მისთვის თვალი არ მოგვიკრავს.

— ვისია, ამ ეზოს ძაღლია? — ვეკითხები ბიჭებს.

— ჰო, ისე შეგვეჩვია, სულ ჩვენ დაგვდევდა, პირველი ის გარბოდა პოზიციებზე, მერე სადღაც დაიკარგა. დღეს პირველად გამოჩნდა. საცოდავი, სული ძლივს უდგას. ჭამის თავიც არა აქვს.

— ბიჭო, გივი! — გასძახა ბიჭმა ამხანაგს. — ცოტა „სგუშჩონკა“ არ დაგვრჩა? იქნებ დახვრიპოს, ცოდოა, მოკვდება.

— სოსოს უნდა ჰქონდეს, — სოსო...

— ჰა.

— „სგუშჩონკა“ არა გაქვს.

— მაქვს, მგონი ერთი ცალი დამრჩა. — მოიძია ზურგჩანთაში სოსომ.

— მოიტა, გახსენი.

— ვის უნდა, ეს ერთიღა დამრჩა, სულ ჩემს ხარჯზე გინდათ ყოფნა? — ქილას ხსნის სოსო.

— მოიტა, მოიტა, შენ არაფერი მოგივა, ნახე. — ხელი გაიშვირა ძაღლისკენ, — მოკვდება უბედური.

— ცუგა, ცუგა. — სოსომ დაჭეჭყილ თუნუქზე რძე დაასხა და ჩრდილში დადგა. — ჭამე, შე საცოდავო. ვის სცალია შენთვის, ჭამე.

ძაღლმა ატლიკა რძე, დაიწკმუტუნა, მერე ბიჭის ჩექმებს გაუქიცინა და ხვრეპა დაიწყო.

— წავედით, წავედით. — ბიჭებმა ერთმანეთს შეუძახეს და მხრებზე ავტომატები მოირგეს.

— ამას რა ვუყოთ? — იკითხა სოსომ.

— რა ვიცი, თან ხომ არ წავიყვანთ, სადმე შეიხიზნება.

ძაღლმა ხვრეპა შეწყვიტა, შეჰყეფა და ბიჭებს დაედევნა.

— წამო, წამო, შე საცოდავო, ჩვენს მეტი პატრონი მაინც არა გყავს.

— სად მოგყავს, მაგის თავი ვის აქვს.

— მაინც არ მოგვეშვება, ჩვენთან იყოს, სული არ ამოსძვრეს მარტოკას.

გზას ვაგრძელებთ. ისევ გადახლეჩილი ხეები, ფანჯრებჩამსხვრეული სახლები, გზაზე ნახევრად შემშრალი, გაურკვეველი, შავი სითხის გუბეები და აცეტონის გულისამრევი სუნი. შორიდანვე ვხედავთ ტამიშის ჩანგრეულ ხიდს. მდინარეზე რკინის რელსებია გადებული, ზევიდან ხის ტოტებით და მორებით დაფარული. მანქანებმა გასვლა რომ შეძლონსვლას ვანელებთ და „ხიდზე“ შევ-

დივართ. ქვევით მდინარეს ჩავცქერით, გამჭვირვალე, ანკარა წყალი ხმაურით მოედინება, ისეთი ლურჯია, ფსკერზე კენჭები მოსჩანს. რამდენჯერ გამივლია ამ ხიდზე, შუბლი შემიშვერია ფიჭვისა და ნაძვების საოცარი სურნელებისათვის. მდინარეშიც ჩაგვიხედავს, მაგრამ ასეთი მშვენიერება და სიკამკამე თითქოს არასოდეს შემინიშნავს. წინა მანქანები გაჩერდნენ.

— გააჩერეთ, — მოვარდა მანქანასთან წინა მანქანის მძღოლი — ქალბატონო ნანა, ჩამოდით.

— რა მოხდა? — მანქანიდან გუჯარი და გელა ერთხმად ეკითხებიან.

— ბატონო გუჯარ, ქვევით ბიჭები არიან. — სულს ძლივს ითქვამს მძღოლი.

— ბიჭები? — მანქანიდან გადმოვდივართ და სირბილით მივდივართ ბიჭებამდე. ქვევით მდინარის ნაპირებზე ორხევის ბატალიონი წევს. მზე დასცქერის და ნატყვიარ სხეულებზე სუდარასავით ეფოფინება. მზე ერთადერთი ჭირისუფალია და მოტირალი. ღია თვალები, გულში ჩაკრული ავტომატები, შეხსნილი ბაგეები და გულზე მუქი სისხლის შემხმარი ლაქები. სატვირთო მანქანა მოაყენეს, სათითაოდ უსინჯავენ გულისპირზე ჯიბეებს, ხმამაღლა კითხულობენ გვარებს. ძნელია ამის ფირზე აღბეჭდვა, მაგრამ, ვიცი, ეს უსიცოცხლო სხეულები, თვალღია სახეები ოდესმე სანატრელი ექნებათ მათ ჭირისუფლებს. ამიტომ ვიღებთ. ბიჭებს შორის დავაბიჯებთ და, მიუხედავად ამ საშინელებისა, ყველასთან ვჩერდებით, მსხვილი პლანებით ვაფიქსირებთ გვარებს და ყველაფერს, რისი გადაღებაც შეიძლება. მდინარის პირას ჩამხობილი ბიჭის სხეულია, — სახით სანახევროდ წყალშია. მზის სხივები ციმციმებს წყალში, ბიჭის სახეს ირეკლავს სარკესავით მეტყველი დინება... ბიჭები ამოჰყავთ, მინდორზე აწვენენ. გულის ჯიბეებს ხსნიან და საბუთები ამოაქვთ.

— ჩხარტიშვილი. — ამოიძახებს ცრემლგამშრალი, ერთიანად ოფლში გახვითქული ჯარისკაცი. — რაღაც ფოტოებია. — მეუბნება ოპერატორი და მაწვდის.

რა იქნება, რა ფოტო ექნება ომში წასულ 17-18 წლის ბიჭს. პირადობის მოწმობა... ღმერთო, სულ სხვაა ფოტოზე — დავხედე მის უსიცოცხლო, მზით დაბანილ სახეს, მერე ფოტოს — აი, როგორია სიცოცხლე, აი, რა არის სულისა და სხეულის ერთიანობა. მეორე ფოტოზე გოგონაა... გოგონას ჯოკონდას შეფარებული ღიმილი აქვს სახეზე. ვაბრუნებ სურათს, „სახსოვრად მეგის, მარინასაგან". ვიცი, ფოტო მოპარულია. მეგი, ალბათ, მათი საერთო მეგობარია, თანაკლასელი. ბიჭმა ისე მოიპარა, ალბათ, მეგიმ ვერც შენიშნა. მარინა... მან, იქნებ, არც იცის, რომ ტამიშზე შეშლილ ღამეებს მისი ღიმილი ათენებდა. გაიგებს კი ამას მარინა, ვინ იცის, ომიდან დაბრუნებული მაშინღა თუ მოახერხებდა სათქმელს, იმ დღეებისათვის თუ ინახავდა ბიჭი საიდუმლოს, ალბათ. რამდენი ოცნება ჩაიცხრილა, რამდენი კოცნა დასისხლიანდა ამ გულის ჯიბეში.არაფერი აღარ მინდა, გაიყინა აზრი, ერთადერთი, რაც მტანჯავს, ცრემლები ვერ გამოვიხმე და მრცხვენია. ცრემლები გამიშრა. არადა, ერთადერთი, რაც ახლა გულს მოაოხებს, ცრემლია. მრცხვენია, ნუთუ გაქვავდა გული, ან იქნებ სხვისია ეს ჭირი და ურვა. არა, ეს ტკივილი უკვე ჩემია... დაღუპულია ჩემი ძმა, მეუღლე. აფხაზეთი... არ ვიცი სხვათათვის რაა, ჩემთვის სამშობლოცაა და სისხლდანთხეული მიწაც. ცრემლი კი ვერ დავადინე ამ ტკივილს, ნუგეში ვერ მოვუნახე. ჩემი ცრემლები რა მოსატანია, ამ ტკივილს ჩემი ცრემლები ეცოტავება, აქ საქართველომ შეიშრო ცრემლები. ამდენი ნამიც არ არის კვიპაროსებზე აბრჭყვიალებული. შემდეგ, როცა ამ უბედურების არსს ჩავწვდებით, როცა ეს ყველაფერი ტელეეკრანზე გაიელვებს, ჩხარტიშვილის დედა მომძებნის — იმ გოგოს სახე მაჩვენეთო. ეს მერე იქნება, ახლა კი, მზის გულზე მიფიცხებულ ბიჭებს დავყურებ, ვათვალიერებ ადგილს, ჩანგრეული ხიდის თავთან საველე ქოხია, მწვანე, გადაბურული. ფეხმომტვრეულ ქვებზე შეპორჭყებული სისხლიანი ტილო აკრავს ქოხს საქარე კედლად. მთელ სიგრძე-სიგანეზე ვეფხვთან შერკინებული ტარიელი სიმბოლურია. ამასაც მერე მოგვიანებით გავითვითცნობიერებ, რომ ამ ომში არაფერი შემთხვევითი არ იყო და ყველაფერში იყო უფლის ნება. ცოდვათა მისატევებლად, პირველქმნილი ცოდვის გამოსასყიდად.

გაგრძელება იქნება



ზაზა ქინქლაძე

შეკითხვები ღმერთს

დილით ცეცხლის ავაზის ცარგვალზე ამოხტომა,
შუადღეზე ღრუბლების ამბოხი და ომი,
დაისობას დაჭრილ მზის ჯვარცმა და
შემოკვდომა,
მთვარიანის სუდარა — სევდა სულში მწვდომი;

აყვავებულ ვულკანების ცეცხლოვანი
ყვავილცვენა,
მიწისძვრებით ჩვილი მთების ამოჟივილხივილება,
ცუნამების გადმოლეკვა, მთებზე დელგმად
გადმოდენა,
მეტეორთა წეროების ცაზე გადაყივილება;
ახვადებულ მდინარეთა ზღვის წიაღში შედინება,
მზის კერასთან მშობიარე დედამიწის შეტირება —
რაა? წილად რამ მხვდომია?
მშვიდობაა თუ ომია?

გაზაფხულზე ტოფობა ბალახების, ხეების,
ქვირითობა ყვავილების — გაკვირტული მზეების,
მდელოები, დაკემსილი ობობების ძაფით,
აზვირთებულ ბალახებზე გვირილების ქაფი,
მზის თონეში მოჭიქული შემოდგომის მკერდი,
ზამთრის თეთრი სუდარიდან მზის აღდგომა
მკვდრეთით,
ხანაც თოვლის კალიების შემოსევა,
ხანაც ყინვის ბროლ-თითების შემომსხვრევა, —
რა არის ეს ყოველი?
და რისია ნდომელი?

გულში ჩაკვრის ჟრუანტელი, ცეცხლისპირა
ტკბილი დვრინი,
სასიკვდილო გარდასახვის იდუმალი შიში,
სიხარულში განსაცდელის შფოთიანი მოლოდინი,
უძინარი შურისგების ზვიგენები სისხლში;

პატიების გვიანი და დათრგუნული სიხარული,
როცა ბედი სულს დანიხლავს და ვერ გშველის
სინანული, —
რა არის ეს ამება? —
სიამე თუ წამება?

გადასამკაულებულ და გადაჭედილ ტაძარში
ღვთის დაბინდვა, როცა თვალით თვალ-
მარგალიტს ემონები,
ობოლ სანთლის სიდიადე ველურ ნიშთან,
მთა-ბარში,
თვალდავსილი ღვთაებები, ფრთებთრეული
დემონები;

სასწაული ბუნებისა: ჟინი ნგრევის — შენების,
დიადი განურჩევლობა სიმახინჯის — მშვენების,
—
ვისია და რად არის? —
ადამის თუ ანთარის?

ჩემს ოთახში უცხო ზღვა და მოდრეიფე,
უცხო გემი,
უცხო მიწის და ქალაქის ცადკიდული გალავანი,
ვარსკვლავების კარუსელზე მოტრიალე
უცნობები,
მოფრიალე დინუმები, ფანტომების ქარავანი;

მოქადილე საიდუმლო უკარო — უსამანოთა:
ერთმანეთში მოდრეიფე პარალელურ სამყაროთა,
დამეწყრილი მზიერეთი, გამოხრული ციერეთი,
მგლის ლაშივით დაღრენილი ქვესკნელეთი და
ბნელეთი;

მოტორტმანე გალაქტიკა, ცეცხლოვანი
ზვიგენები,
ვეშაპივით დაღებული ხახა შავი ხვრელებისა,
მორიალე ცთომილების დაწყვეტილი ბიგელები
და ცახცახი პლანეტების აფეთქება —
ხველებისას;

ფანტასტიკურ შიგნეულით ალთა
გამომნასკვავები,
გულდამუცელ დაფატრული კამიკაძე —
ვარსკვლავები,
გაფრქვეულნი ტანკგავლილი თავის ქალის
ტვინივით, —
რა არის ეს ყოველივე —
სიცილი თუ ტირილი?!

ნუთუ სიკვდილ-სიბერე სნეულება არ არის,
რომ არ ვიცით კურნება — მიშუქება ფარანის?
ნუთუ ნამყო — მყოფადი ერთი ქვევრის არ არის?

ფეხქვეშ არ გვიმარხია უკვდავების მარანი?

ნუთუ ეს ყოველივე მხოლოდ არაფერია?
ნუთუ მხოლოდ ლანდეთი ასე მრავალფერია?

სულო, ელვა-ჭექივით ცა-მიწაზე მძვინვარო,
სულო დაუსვენარო, სულო დაუძინარო,
რამდენჯერ გიწერია ცეცხლში გამოშუშება?
ცოდვის ნესტი შენს წიაღს როდის გამოუშრება?

სულო ჩემო — მედუზაში შეფარულო ლიფსიტავ,
ხან გრიგალო, ხან ვულკანში მოგიზგიზე მაგმავ,
ნუთუ შენ იმ ცხოველის ხარ, ქონება რომ
იზიდავს?
მაშ, რისხვა და მძვინვარება რად არ აილაგმა?

ნუთუ, სხივი რომ გვგონია, მზის სიხლი გვბანს
ტანს, ძმებო?
ნუთუ თქვენაც მატყუებდით, წიგნებო და
ტაძრებო?:
„ო, რაც ახლოს — ღმერთთან,
ახლოს — ერთმანეთთან!
მზესთან! ვარსკვლავებთან! ერთად! ერთად!
ერთად!“...

ნუთუ სულეთს ერთი ფარავს კოსმიური ვუალი?
ნუთუ იქაც ერთი არის სამშობლო და უფალი?

მაშ, წესრიგი სამყაროის ვის რად მოუგონია?
მაშ, საიდან ქაოსების წამლეკი სიმფონია? —

ერთი სიმი სხვას აჟღერებს, გული — გულს და
სული — სულს!!!
სასწაული! სასწაული! ისევ სასწაული მსურს!

ო, ზმანების რეალობავ, რეალობის ზმანებავ!
ო, მტანჯველო ნეტარებავ და ნეტარო წამებავ!

ო, დიადი — ვინაც სულებს გააცოცხლებს,
შეინდობს,
მაგმას — მიწა, მიწას — მზე და მზეს ზეცა რომ
შეიდნობს!

ო, ფარული ოკეანის ნათლიერო წყვდიადო —
აირცეცხლაწყალსამყაროს ჰარმონიავ დიადო!
ო, გვირგვინო — სხივბორბალო ზენაეთის
პარადის,
იტრიალე! იბრიალე! იღვთიარე მარადის!

ჩემს თაობას

ჩვენ დაკარგული თაობის ორმაგი ტვირთი
ვზიდეთ:
ერთხელ მამებმა დაგვკარგეს, შემდეგ —
შვილებმა კიდევ.

მამული თავისუფალი მაინც ჩვენს ხელში გახდა!!!
ესეც გვეყოფა ქადილად... მაგრამ ვალში ვართ
ხალხთან:

თავისუფლების გარყვნის დრო როცა
დადგება ავი,
რით შევუშალოთ მათ ხელი? როგორ გადავდოთ
თავი?

არასდროს გამოგსიცოცხლდეს, არ ჩაქრეს
რწმენის დენთი!
იბრძოლე! ისევ იბრძოლე! სიმამაცეა ღმერთი!

* * *

ახლოს, ახლოს ბუნებასთან! გზნებით!
ცოტა, ცოტა ფერი, სიტყვა, ხმები!
მეტი, მეტი ძიებები, წვები, —
რომ იპოვო აზრის, არსის გზები!

ჩიტკანკალა კაცი

/ყველა უბრალო ადამიანს/

ჩიტკანკალა კაცი იყო, ჩიკრიკივით ბზრიალა,
ძლივს უყიდა ჩით-მანდილი საპატარძლოს
ცქრიალას,
შეშის ფული რომ არ ჰქონდა, ჩინჩხვარი აბრიალა,
იჩალიჩა, იჩირთფირთა, იჯაფა, იწრიალა,
აქეთ მოდგა, იქით მიდგა, ქარივით იქრიალა,
ნელ-ნელა იჩირაღდნა, ოქრომც გაიწკრიალა,
მოუმრავლდნენ ჩიხარხლები, ჩოფრა,
ლოყებკრიალა,
ზოგი იყო ბუჩუნა და ზოგიც იყო ღრიალა,
ყველა საღი გამოზარდა, გზები გაუმზიანა,
გამოჩორკნა თავის ბედი, თავის წილი ფიალა
სრულად გააპიპინა და შესვა, შეიზიარა.

მისი ყოფნის დრო-საათმა წიკ-წიკ, ჩორთით იარა,
ჩამობერდა ბოლოს ისიც, ჩაჭკნა როგორც ხვიარა,
წუთისოფელს ჩილიკანტურ შერჩა ბებერ იარად,
აიმრიზნენ ახლობლები: „წასვლა დააგვიანა!“...
მოაკითხა მადლიანმა სიკვდილმა და იალა! —
ჩაახუტა დედამიწას, ჩააქვესკნელტიალა,
ჩაიმზევა, ჩაისვენა, ჩაქრა, ჩაიციალა...
ერთი-ორჯერ ჭიქა ღვინით შვილი ემადლიარა,
მისი წასვლით წუთისოფელს არა დასტყობია რა,
მაგრამ განა ის არ არის გვირგვინი და ტიარა
ჩვენი ყოფის, გენის, რწმენის, ისტორიის
მთლიანად?! —
დე, ეს ლექსი ალალ იყოს მისი სულის ზიარად!

ტირიფები

ტივტივებენ, ლივლივებენ ტბაზე ტალღის
ლიფლიფები
და დალალებს ისველებენ ქალწულები —
ტირიფები.

ამისთანა ფერიები თუ გინახავთ განა? —
ერიდებათ წყალში ჩასვლა, სულ ნაპირზე დგანან.

ნუ გრცხვენიათ, ლამაზებო, გაიხადეთ
ტანსაცმელი,
იბანავეთ, მე დაგიცავთ, არ მოგელით
განსაცდელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზა ჰპოვე მზისა — პოეზიისა

ღმერთ-ლექსს ვლოცულობ მარადისამდი,
ჩემს სულს უმათოდ არ ეშველება,
და დამითმია განგებისათვის
ყველაფრის ცოდნის საშინელება,
უპოეზიოდ — მკვდარი ცისარტყლით
ბორგავს სამყაროს ცაში ბნელება.

ლექსი გენივით უთარგმნელია
და ამით უფრო გამთანგველია.

ჩემს გულს რომ ისე სურდეს დიდება,
როგორაც ლექსი, ღვინო ან ქალი,
ზღვაზე გავდებდი გვამებს ხიდებად,
დაემჩნეოდა პლანეტას კვალი:

რა ადვილია იყო ტირანი,
იმპერატორი, დიდების ღირსი,
როცა არ გიყვარს ადამიანი
და სიბრალული არა გაქვს მისი.

ადამიანს ჰკლავს, ატყუებს ვინაც,
არ მწამს იმისი მიეთ-მოეთი,
სისხლით კი არა, დალეწილ ძვლითაც
მართლის მწერელი არის პოეტი.

ღვთისა და ხალხის შვილია, მაგრამ
ბრბოსთვის გერია ადამიანი,
უსამართლობით რამდენი გაქრა,
ყველა ედემის ენდემი არი.

მე ხერხემალში ლექსი მისხია,
მტეხენ სახსრები და ეს ჯილდოა,
ჩემში ქურუმთა მოდგმის მესხია,
გული მუზების საჯირითოა.

სანამ სიცოცხლეს არ ვიშლი, ვგონებ
სულ ვიტრფიალო, ვიცინ-ვიტირო,
როცა დამიშლი, შენც გაგალოთებ
ალავერდებით, ძმაო სიკვდილო.

ვიწვით, ვანათებთ, ვეგურგურებით
ერთურთს, გიზგიზა წუთისოფელო,
მცივა? — აგერ მზე, აგერ გულები,
მოგეფიცხები, მიწავ მშობელო.

უძილო მზე რომ ცას დაჰკრავს დეზებს,
სულს ჩემსას ცეცხლი წაეკიდება
და დათარეშობს სამყაროს გზებზე,
რომ ღმერთს წაჰგვაროს ჭეშმარიტება.

დივცააზნობის, ზემხილვარების
ნიჭი, ზედაშე მაფრთოვანებდა
და პოეზიის აელვარებით
სული არასდროს, არვის დანებდა.

ჩინჩხლებს ყრის გული, როგორაც კვესი
და ბუნჯღალ-ბუნჯღალ მოსცვივა ლექსი.

მე იმ ჯიშის ვარ — ქურუმ თამადის,
ვინც მზეს მიურტყამს ბარძიმ-ბადიებს,
წუთისოფლიდან მარადსოფლამდე
ვინც ლექსის ლამპრით გადინადიმებს.

ძველისძველი ქვასანაყი

კვლავ ბაგუნებს, ქაქანებს და კვლავ ქანქარებს
ქვასანაყი,
საუკუნის უძველესი და ავთვალის არსანახი.

ცალი გვერდით გაბზარული და ლურსმნებით
გაკერილი,
ბებოს ძველი თავშალივით გახუნებულ-
გაფერილი.

დიდბაბუის ნახელავი, ამოქუთნულ-ამოთლილი,
უზაპუნებს ხუთ თაობის რძალ-სიდედრი-
დედამთილი.

ცოლმა მთხოვა: „ველარ ვასწრებ, ქინძ-ნიორი
დანაყეო“,
დაიჩივლა ქვიჯამ: „ღმერთო, ამის მუშტიც
მანახეო?“

დავუყვავე: „არას გავნებ, არ ვარ ხეპრე და
სულელი,
შენ ხომ აგდის ჩემი ყრმობის და ბავშვობის
ხმა-სურნელი“.

მომეხუტა ფილთა ქვისგან დასაბეგვი-გასალახი
და ტიკტიკებს და ქაქანებს და კაკანებს ქვასანაყი.

რიონის საიდუმლო

იმ გაზაფხულს, დიდი წყალი რომ მოვარდა,
ზესტაფონი ფოთთან ბადით დაიჭირეს,
თვითონ ფოთი საცობივით ამოვარდა
და ტურებმა შუქურასთან დაიჭყივლეს.

სენაკი და აბაშა სულ ჩამორეცხა,
რუმბებივით ტივტივებდნენ საყოლები,
კოხშინშხალმაც სულ ლოდები ჩამოცეცხლა,
კამერებზე იწვა ხალხი საწოლებით.

ითარეშა, იხუვლა და ჩადგა წყალი,
დაეძენძა ზეცას ღრუბლის ქიტონები,
ტივტივებდნენ მთელ ქალაქში ძირდამბალი
შენობები, როგორც ნოეს კიდობნები.

ამოიქვენაქარა და ჩადგა ქარი,
ამოიმზეანკარა და გათბა გული,
მიწა შლამით გაგვისუქდა, როგორც ხარი,
რაც გადარჩა, ზღვად მოვიდა ჭირნახული.

წარსულშიაც გველეშაპი რიონისა
სუფსა-ხობთან იხვეოდა და ლაღობდა,
სულ ვიყავით მადევარნი იმ ფონისა,
სადაც ზღვაში თავს შეყოფდა — ქალაქობდა.

დაკარგულან, დაფარულან ტყეთა ტევრით
იდუმალი კოლხური ოაზისები,

როგორც ნარიონალები არის ბევრი,
მიწის გულში მრავალია ფაზისები.

მხოლოდ ღვთის და ჩიტის თვალსაწიერიდან
ჩანს რიონის ოდინდელი მეანდრები,
ალბათ, ერთხელ იმ ბილიკებს გავყვები და
აიეტის საუფლოსაც მივადგები.

ქარო

ქარო, ქარო, ბობოქარო, საით მიფრენ?
საით ჩქარობ?
თუ ზღვის გაღმა ეშურები, რაღაც მინდა
დაგაბარო,
შუქურასთან მომლოდინე იგი თუკი ნახო, ქარო,
ჩემს მაგივრად ჩასჩურჩულე: „მიყვარხარო,
მიყვარხარო“...

ნადიროობა ალიონზე

ზამთრის ფიჩორს მივუყვებით ალიონზე,
მზე ბრიალებს განთიადის გალიონზე.

ტალღების და ნავის ქიმის დაჯახებით
იხევიან ყინულების არტახები.

ნაპირ-ნაპირ კიაფობენ ძახველები,
ეკალ-ბარდებს გაუწვდიათ წინ ხელები,

გაუბურდავთ, გაუბაწრავთ წიფელები,
ჰოი, მზეო, როგორ წითლად იფერები!

მათუსალას თანატოლი მუხებია,
თუმცა ზოგან ნაჯახს შეუწუხებია,
ზაფხულობით მწვანედ ამოქუხდებიან,
ზედ ჯადვრების მოგიზგიზე ბუხრებია.

გავნაპირდით. ტყის ჩურჩული გვეყურება,
ხიდან ხეზე გაისტვინეს ბეღურებმა.

უცებ ისმის: „სიუ-სიუ“, „ფრიეს — ფრიეს“
და თოფებმა მდუმარება აამღვრიეს.

ჩაინივლეს ნატყვიარმა იხვინჭებმა,
კმაყოფილი მონადირე იღრიჭება,
ძაღლი ჯაგში დაჭრილ ფრინველს აფრთქიალებს,
აღარ ვხარობ... სული თითქოს იჭინჭრება...

მზეს ულმობლად დავუნგრიეთ ამბიონი,
რა ლამაზი იყო წეღან ალიონი.

ბროწეულები

შემობრიალდნენ, შემოწკრიალდნენ სთველ-
ახალწელზე მოწვეულები,
დასაკოცნელი ლალ-ქალწულები —
ძუძუმწიფარი ბროწეულები,
დაინაწილეს მზის წაწლები და გამხდარან უცებ
მერძეულები,
დაუღეღიათ საკინძეები, კერტებს მოწვეთავს
ძოწეულები,
დაირწევიან, დატკარცალებენ, დაკისკისებენ
ბროწეულები.

მაისის წვიმა

მაისური წვიმის მიყვარს ეშხი,
მირონივით ფოთლებს დასდის ლეშხი.

მიყვარს მეხის მხიარული გრუხუნი,
მახსენდება: სოფლის გზაზე დროგი;
აბეზარებს შოლტს გვიქნევდა ჯუჯღუნით
ქრისტეფორე, ზედ რომ იჯდა ქოლგით;
ცაში ელვის რია-რია, გუგუნი
და ღრუბლების მოზმუილე ჯოგი;

ნაწვიმარზე ალუჩები კიაფობს,
კრამიტები კვასკვასებენ წითლად,
წყარო მიწის სიახლეებს გვიამბობს,
მზე ქცეულა წითელ იაკინთად.

მიყვარს ვერცხლის წვეთთა აციალება,
მზის დაპნევა ძოწებად და ლალებად.

ილაგებენ ბუმბულს ჩიტბატონები,
ხმას იწყობენ ნისკარტ-კამერტონებით.

წყლის კმევის და მზის პკურების სუნია,
განათლულა თითქოს მთელი დუნია.

მაისობას გულს გაუდის რეჩხი,
მაისური წვიმის მიყვარს ეშხი.

გოდერძი ჩოხელი — ცასწავალა

პატარა გლეხის ბიჭი, მუზების უფლისწული,
გამწამებელი ნიჭი, გამხარებელი სული.
ეკრანს ბევრი ჰყავს გრანდი, მეფე და მაწანწალა,
სტუდქალაქშივე ჩანდი გალობით, ცასწავალა.
ოთხი მზე იყო მფენი ნათლისა შენი ბედის:
რწმენის, მამულის, ენის და უპირველეს — დედის.
არაგვის ჯიშიანი, რაც ზენამ დაგავალა,
ცრემლიან-სისხლიანი გალობდი, ცასწავალა.
ღიაა ზეცის კარი, უფალთან ზიარება,
როგორც ეს ლექსი არი გვიანი აღსარება.
შენ შენი გამოსცალე ნექტარი და სამსალა,
მშვიდობით, ცასწავალა! ნახვამდის, ცასწავალა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერაბ ჯალიტი

ენგუჩის ხიდი

„თვით მდინარეა მომსწრე ამ სინამდვილის"

ენგურის ხიდზე ბინდი წვებოდა.

სუსხიანი ნიავი ქროდა და წყლის იდუმალი ჩქამი მოჰქონდა.

ხიდზე მაღალი, თალხით მოსილი დედაკაცი იდგა და გაღმა ნაპირს ნაღვლიანი მოლოდინით გასცქეროდა.

წარმოშობით იმ შორეული მწვერვალებიდან იყო, საიდანაც მდინარე სათავეს იღებდა – გზადაგზა ღელეებს ინაკადებდა, უხვდებოდა და ბობოქრდებოდა, თავდაღმართს ზათქითა და ქუხილით მიაპობდა.

მას თოვლიან მწვერვალებთან ყმაწვილქალობის მოგონებაღა აკავშირებდა. პაპამისი, ედიშერ ფალიანი, თითქოს მდინარის დინებას დაუყვა და აბარგებულ ჯალაბთან ერთად აფხაზეთის მიწაზე, ბიჭვინთაში დამკვიდრდა.

შავოსანს ლამარა ერქვა — ერთი ძმა და ორი და ჰყავდა. იგი მეწყერს გამონარიდები და პაპამისის დარად ზღვისპირეთში ჩამოსახლებული ფარჯიანების რძალი გახდა; მისი უმცროსი და, ნაზი, დღემდე გაუთხოვარი დარჩა, ხოლო შუათანა, მშვენიერი ოლიკო, სოფელ ილორში, თემურ ჩაჩბაზე გათხოვდა.

სანაქებო ქორწილი გაიდაიხადეს – აფხაზებმა და სვანებმა დიდად მოილხინეს, ქეიფში ერთმანეთს ტოლი არ დაუდეს, ბებერი ჯიხვის ყანწით ძმობისა და სიყვარულის სადღეგრძელო შესვეს.

წვეულების ამბავი შორს გახმაურდა: ზურაბ ფარჯიანმა, დიდი პაპის დანატოვარი სამემკვიდრეო ყანწი, ღვინით გაავსო და საქვისლოსთან ალავერდს გადავიდა, თუ ამას დალევ, სასმისი შენი ფეშქაში იყოსო.

აფხაზი ჭაბუკი ცოტა კი შეცბა, თავი არ შევირცხვინოო, მაგრამ ყანწის დასაკუთრების სურვილმა შინაგანი ყოყმანი დააძლევინა და სასმისი ბოლომდე დაცალა.

იმ დღეს ცამდე აიწია „ვარადა-რადა" და, ზედ ცეცხლოვანი როკვაც დაერთო.

კარგი დრო იყო მაშინ.

მერე ყველაფერი აირ-დაირია, აფხაზები და ქართველები ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდნენ, თითქოს ნაბახუსევზე გონება დაებინდათ, ღმერთიც დაივიწყეს, ძმობაც – ქეიფიც და ალავერდის მადლიც.

ლამარამ ამ უაზრო ომში ქმარი და უფროსი ვაჟი, ჯაბა დაკარგა. მამა-შვილმა შეუპოვარი მებრძოლის სახელი დაიგდო, იმათი ვაჟკაცობის ამბავი მთელ აფხაზეთში ცნობილი იყო; 23-ე ბატალიონში ირიცხებოდნენ, ალყაში მოქცეული სოხუმი ცოცხალი თავით არ დატოვეს და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლეს.

აფხაზების მხარდამხარ, ფალიანების სიძე, თემურ ჩაჩბაც იბრძოდა; მან ისტორიის მასწავლებლობა გვერდზე გადადო, იარაღი აისხა და მოყვრებს დაუპირისპირდა; ღმერთს სულ იმას ევედრებოდა, ზურაბ და ჯაბა ფარჯიანებს არ გადამყაროო — სვანი ქვისლის ნასახსოვარ ჯიხვის ყანწს დამნაშავესავით გახედავდა ხოლმე და თავს სინანულით აქნევდა, აფსუს, სამემკვიდრეო სასმისმა თავისი დანიშნულება დაკარგაო.

აფხაზის ცოლი, ოლიკო ფალიანი, ტრაგიკულად დუმდა, ქმრისაც კარგად ესმოდა და თავისიანებისაც – შვილების გულისთვის ყველაფერს ითმენდა და ოჯახის სიმყუდროვეს ინარჩუნებდა.

ლამარა შავებს მარტო ქმრისა და ვაჟის დაღუპვის გამო არ ატარებდა, ვინც ამ ძმათამკვლელ ომს შეეწირა, უკლებლივ ყველას ვგლოვობო – ქართველსაც და აფხაზსაც.

მისი უმცროსი ვაჟი, დიდი პაპის მოსახელე

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ედიშერი, ამ ომში შეგნებულად არ მონაწილეობდა; მას ერთი აფხაზი გოგო უყვარდა და, ასეც რომ არ იყოსო, ერთმანეთს სამუდამოდ ხომ არ გადავეკიდებით, ვიღაც ჩვენ შორის მომრიგებელი ხომ უნდა დარჩესო.

ედიშერი ბავშვობიდან სპორტს მისდევდა — ჭიდაობდა და ბევრი აფხაზი მეგობარი ჰყავდა; იმათგან ზოგმა იარაღს მოკიდა ხელი და ქართველებს დაუპირისპირდა, ზოგიც ომს გაერიდა და სპორტული მოღვაწეობა რუსეთში განაგრძო.

ვაჟს, სოფელ ილორში, ჩაჩბაზე გათხოვილ დეიდასთან უყვარდა სტუმრობა, ლალა მარღანია სწორედ იქ გაიცნო და მას შემდეგ მოსვენება დაკარგა.

ჭაბუკი აფხაზ გოგონას ილორის წმინდა გიორგის ტაძრის შემოგარენში ხვდებოდა და სიყვარულს ეფიცებოდა.

ქართველებსა და აფხაზებს შორის ომი რომ დაიწყო, შეყვარებულებს ილორის ტაძარი კვლავ იფარავდა; ქალ-ვაჟი ჩუმად მიიპარებოდა ხოლმე წმინდა სალოცავთან და იმ დროს, როცა მათი მოდგმისანი სისხლის ღვრითა და მტრობის ჟინით იყვნენ დაგეშილნი, ერთმანეთს კვლავაც სიყვარულს ეფიცებოდა; ბედნიერ მომავალზე ოცნებობდნენ და მთელი არსებით სწამდათ, ბოროტება სიკეთეს ვერ დაჯაბნიდა — სიძულვილი დამარცხდებოდა და საბოლოოდ სიყვარული გაიმარჯვებდა.

ადამიანი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო, ძველთაგან ნათქვამი შეყვარებულებს თვალნათლივ აუხდათ: ომმა ისინი ერთმანეთს დააშორა, ერთი ენგურის გაღმა დატოვა, მეორე – გამოღმა.

ორივე მხარეს ბევრი მებრძოლი დაიღუპა, ბევრი ქართველის კარ-მიდამო გადაიბუგა, ნამოსახლარები გაჩნდა – სიყვარულმა კი არა, მტრობამ და შუღლმა იზეიმა: მოძმე ხალხს შორის აუწერელი ტრაგედია დატრიალდა...

ენგურის ხიდი დევნილთათვის ქანცგამწყვეტი მარათონის არეალი გახდა.

ედიშერმა სამშვიდობოზე უვნებლად კი გამოაღწია, მაგრამ ლალასთან დათქმულ შეხვედრაზე რომ ვერ მივიდა, სწორედ ამას ვერ ინელებდა — რას იფიქრებსო, ჯაბანი ვეგონებიო, დარდობდა — ყველაფერი უსიამო სიზმარი ეგონა, ქართველები და აფხაზები მალე გონს მოეგებიანო, წყენა გაუვლით და კვლავ გვერდიგვერდ იცხოვრებენო...

...ზამთარი უკანასკნელ დღეებს ითვლიდა, ზოგჯერ გულდაგულ თოვდა, ზოგჯერაც თოვლ-ჭყაპს ურევდა.

ენგურის ხიდთან რუსი სამშვიდობოების ბლოკპოსტი იდგა. ჭუბურხინჯის შესასვლელში კი აფხაზებს საკონტროლო პუნქტი გაემართათ; დაბალ ზონაშიც, სოფელ ნაბაკევის გავლით, რკინის ხიდსაც რუსები და აფხაზები გუშაგობდნენ.

ედიშერმა რამდენჯერმე სცადა ენგურის ხიდზე გადასვლა, მაგრამ ვერ გაბედა, კარგად იცოდა, თუ აფხაზებს ხელში ჩაუვარდებოდა, მამისა და ძმის გამო სასტიკად აზღვევინებდნენ, ჯავრს მასზე იყრიდნენ; ნაბაკევთანაც დაზვერა გადასასვლელი, მაგრამ თავი შეიკავა და ისევ ჭუბურხინჯის მისადგომებთან გადმოინაცვლა.

მსუბუქად თოვდა. მდინარე ზოგ ადგილებში ფქვილნარევივით შედედებულიყო.

თეთრად შეპენტილ სანაპიროს ადამიანის ნაკვალევი არსად აჩნდა.

ჭაბუკს ღამით ფონი უნდა მოესინჯა და გაღმა გასულიყო.

ირგვლივ სამარისებური სიჩუმე იდგა, მყუდროებას მხოლოდ წყლის ჩხრიალი და უმიზეზოდ აყეფებული ძაღლები არღვევდა.

ბუჩქნარში ჩაყუჟულ ვაჟს წამიერად ჩასთვლიმა, უცებ შორეული სივრცე ავტომატის მანათობელმა ტყვიებმა დასერა, რასაც საპასუხო სროლა მოჰყვა და ცეცხლის ენით პაექრობა დიდხანს გაგრძელდა.

აზარტში შესული ძაღლები მიყუჩდნენ, ედიშერი კი გამოფხიზლდა, „პარტიზანები უტევენ!" – თავისთვის დაასკვნა და სიბნელეს გამოერიდა, ჯერ ნელ-ნელა წადგა ნაბიჯი, თითქოს მდინარეს სიღრმე მოუსინჯა, მერე აჩქარდა, წვივამდე წყალი დგაფუნით გააპო; მთამსვლელის „ბათინკები" ეცვა, მაგრამ წინდებში გაჟღენთილი სისველე და ცივი ჟრუანტელი მალე შეიგრძნო.

მდინარე ამ ადგილებში რამდენიმე ნაწილად იტოტებოდა და სავარაუდოდ ღრმა კალაპოტსაც ინარჩუნებდა. ამას ედიშერიც გრძნობდა და მოსალოდნელ განსაცდელს წინდაწინ ეგუებოდა.

კარგა ხანს იარა, წელამდე გაილუმპა, გაღმა ნაპირამდე ცოტაღა რჩებოდა, თუმცა დაბრკოლება სწორედ წინ ელოდა, მდინარე მდოვრდებოდა და კალაპოტი ვიწროვდებოდა, ზვირთების ყრუ გმინვა, ტალღების ტყლაშუნი და ზათქი ისმოდა.

წამით შეყოვნდა, სული მოითქვა, გალიგვული ხელები დაიორთქლა და წყალს შეუტია, ნაკადი ჯერ წელში დაეტაკა და მერე გველივით შემოეხვია – მძაფრ დინებას ვერ გაუძლებდა, პირდაპირ ვერ გატოპავდა, ირიბად უნდა გაეცურა და ფონს გასულიყო — წყალმა მკერდამდე უწვდინა, ახლაღა იაზრა, კურტაკი მჭიდროდ უნდა შეეკრა, მაგრამ უკვე გვიანი იყო და ვიდრე სიცივე მთლად გათანგავდა, ზვირთებს შეუტია, დინებას ნაფოტივით აუმჩატდა და მხარულით გაცურა – დიდხანს იწვალა, ერთგან ვებერთელა ღოდს შეაწყდა და გონება კინაღამ დაკარგა — იძალა, ხელები თავდაუზოგავად

მოიქნია და ნაპირზე გააღწია.

შეისვენა.

მიდამო მოათვალიერა და ზღვის მხრისკენ დაუყვა.

აღარ თოვდა; ცივი ნიავი ქროდა.

შორიდან ისევ მოისმა ავტომატის კაკანი.

გზადაგზა საკუთარ ფეხებს ვეღარ გრძნობდა, თითქოს ყინულის ჩექმები ეცვა, სველი ტანსაცმელი რკინის ფირფიტასავით შემოტმასნოდა, გადაადგილება ხეიბარივით უჭირდა, დაყოვნება კი საფრთხეს უქადდა, გათენებამდე როგორმე თავშესაფრისთვის უნდა მიეგნო.

კარგახანს იარა, ფეხები სულ წაერთვა.

საცხოვრებელი სახლები ბუნდოვნად დალანდა.

ვიღაცის გაუკაცრიელებულ ეზოში შევიდა, გადაბუგული ოდა-სახლის საფრთხობელასავით წამომართულ ბუხარს და ფარღალალა კედელს ამოეფარა, ჩაცუცქდა, „ბათინკების" გახდა და ფეხების დაზელვა დააპირა, თასმები ვერაფრით შეიხსნა და ხელი ჩაიქნია – ირგვლივ დაკვირვებით მიმოიხედა და მოშორებით სინათლის ჭიატი შენიშნა.

ხის ჭიშკარი უხმაუროდ შეაღო. ფიცრულიდან გამომკრთალი შუქი გრძელ ეზოში ვიწრო ბილიკებივით დაქსასულიყო.

ფარდულს ქურდივით მიეპარა.

ხანშესული, შავებიანი დედაკაცი მიწასწორზე დაჩოქილიყო და ყრუდ ქვითინებდა, თითქოს ყმუოდა, სულის წუხილს გულის შემძვრელი სინანულით გამოხატავდა – დროდადრო ახალგაზრდა კაცის არშიაშემოვლებულ სურათს ეხებოდა და აფხაზურად გოდებდა.

ედიშერმა უკან გაბრუნება დააპირა, მაგრამ ფეხი ხმელ ფიჩხს დაადგა და ადგილზე გაშეშდა. მოულოდნელ ჩქამზე დედაკაცმა გამოიხედა და დაბნეულ ჭაბუკს გაკვირვებით მიაჩერდა – კაბის კალთით ცრემლი მოიწმინდა და უჩვეულო თანაგრძნობით იკითხა:

— ქართველი ხარ?!

— დიახ!.. – თანაგრძნობითვე მიუგო ვაჟმა.

— ჩემი ბიჭი ქართველებმა მოკლეს! – დაიჩივლა ქალმა და სტუმარს გამჭოლი მზერა მიაპყრო, სამტროდ ხომ არ მოსულხარო.

— ილორში შეყვარებულთან მივდივარ... მე არ მიბრძოლია! – თითქოს თავი იმართლა ვაჟმა და რაღაცნაირი გამოწვევით დასძინა: — მამა და ძმა მეც დამეღუპა!..

დედაკაცს სახეზე გულწრფელი წუხილი გამოეხატა.

ერთხანს სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, თითქოს ამ უჩვეულო დუმილით სტუმარმა და მასპინძელმა ერთმანეთს მიუსამძიმრეს.

— აფხაზი გოგონა გიყვარს?! – გაოცება ვერ დაფარა ქალმა.

— მიყვარს! – მიუგო ვაჟმა და მასპინძელს ალმაცერად გახედა, ამაში გასაოცარი არაფერიაო.

— ჩემ ბიჭს კი ქართველი გოგო უყვარდა! – თითქოს ნიშნი მოუგო ქალმა და აქვითინდა, ოდის აივანს შიშით გახედა.

შორიდან კვლავ გაისმა ავტომატის კაკანი.

ძაღლები გაუბედავად აყეფდნენ.

დედაკაცი თითქოს გონს მოეგო, მობრძანდიო, გულწრფელად შეიპატიჟა ვაჟი, თუმცა სახეზე დაბნეულობაც დაეტყო, ოდასახლს ისევ მიაყურადა.

ამ დროს კარის ჭრიალი გაისმა და აივანზე თეთრწვერიანი ბერიკაცი გამოჩნდა — ხალათის საღილეს წვალებით იკრავდა და უცნობს მწველად მისჩერებოდა.

— ვინ არის?! – ისე იკითხა, ვაჟისთვის თვალი არ მოუშორებია.

— ქართველია, მაგრამ არ უომია!.. – ქალი წინდაწინ გამოექომაგა სტუმარს და ქმარს მორჩილად გაუღიმა.

ბერიკაცს სახე მოექუფრა, თვალებში რისხვა ჩაუდგა, მარდად შეტრიალდა, მის ასაკთან შეუფერებელი სიმკვირცხლით თოფი მოიმარჯვა და ქართველს დაუმიზნა.

დედაკაცმა ყრუდ ამოიგმინა, საყვედური დასცდა და უცნობს წინ აეფარა, „რას სჩადიხარ!.. სტუმარი ღვთისაა!.." — ოჯახის თავკაცს შეახსენა და, ბოლოს ისე დაუყვავა, როგორც გაავებულ ქოფაკს.

— ანგარიში უნდა გავასწორო!.. — ბოროტად გამოცრა მოხუცმა და სამიზნეს თვალი წაუჭუტა.

ედიშერის არსებაში უცებ ფარჯიანების სისხლმა იყივლა, დედაკაცის ზურგს უკან დამალვა იუკადრისა, ბერიკაცს მივვარდები, თოფს ავაცლი და სამუდამოდ ჩავაჩუმებო, მწყრალად გაიფიქრა და ქალი გვერდზე გასწია, კურტაკი გაიღეღა და თოფიანს შეუძახა:

— მესროლე!..

ბერიკაცი ავის მომასწავებლად დუმდა, სტუმარს სამიზნე ჭრილს არ აცილებდა, არც ყოყმანს იმჩნევდა და არც სასხლეტს აწვებოდა; ბოლოს იარაღი მოწყვეტით დაუშვა, თითქოს ვაჟის გულოვნებამ ფარ-ხმალი დააყრევინა და ავ განზრახვაზე ხელი ააღებინა — იქვე, ხის კიბეზე ჩამოჯდა, თოფი გვერდზე მიაყუდა და თავი ხელებში ჩარგო.

სადღაც მამალმა უდროოდ იყივლა, ახორიდან საქონლის ბღავილი მოისმა.

დედაკაცი სტუმარს გულთბილად გაუმასპინძლდა, ბუხართან სველი ტანსაცმელი გააშრობინა და ოდაში მოსვენება ურჩია.

— ვიდრე იტიალებდეს, ოჩამჩირემდე უნდა ჩავაღწიო! – საქმიანად მიუგო ვაჟმა.

ბერიკაცი მოგვიანებით გამოჩნდა, მაგიდაზე ღვინით სავსე ხელადა დადგა, სტუმარს ოჯახი დაალოცინა და ბოლოს მეგზურობა შესთავაზა, ცოტაზე გაგაცილებო.

შუაღამე გადადიოდა.

აფხაზმა მასპინძელმა ქართველი სტუმარი

სოფლიდან საცალფეხო გზით გაიყვანა, ოჩამჩირემდე უკაცრიელი სავალი ასწავლა და გულწრფელად დალოცა, ღმერთმა მშვიდობით გატაროსო.

ვიდრე ირიჟრაჟებდა, ედიშერმა აფხაზი მოჭიდავის, ბორია თარბას ეზოს ჭიშკარი შეაღო.

ბორია და ედიშერი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ვარჯიშობდნენ და ტატამზე მუდამ ერთნაირ წონაში ხვდებოდნენ — აფხაზი ფალავანი ქართველს ყოველ შერკინებაზე ჯაბნიდა და უმნიშვნელო ქულით უგებდა. იმ წელიწადს ახალგაზრდებს შორის საქართველოს ჩემპიონატი ჩატარდა; ედიშერი და ბორია ფინალში გავიდნენ და პირველობისთვის ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, პრინციპულ პაექრობაში სვანმა იმარჯვა და აფხაზი ქულებით დაამარცხა.

ედიშერმა ამ გამარჯვებით უზომოდ გაიხარა; ბორია კი სიმწრისგან ატირდა, წაგებას არ მოელოდა და თავი ვერ შეიკავა.

მერე ბორიამ იარაღი აისხა და ქართველების წინააღმდეგ იბრძოლა.

„ნეტავ ღვარძლი ხომ არ დარჩენია გულში?!" ფიქრობდა ედიშერი და აფხაზი ფალავნის სახლის პარმაღს მინდობილად უახლოვდებოდა.

თენდებოდა, ბინდი იფანტებოდა და მიდამოს ნათელი ეფინებოდა.

ბორიამ ალალად გაიხარა, ცოტათი კი შეფიქრიანდა, ჩემს სახლში გაუთვალისწინებელი რამ არ მოხდეს და სასურველი სტუმრის წინაშე თავი არ შევირცხვინოო, მაგრამ არაფერი შეიმჩნია, კარგა ხნის უნახავი მეგობარი გულში ჩაიკრა – ახალმოყვანილი ცოლი გააღვიძა, სუფრა გააშლევინა და სვანის მობრძანება დალოცა – აფხაზეთში მისი ჩასვლის მიზანი რომ შეიტყო, ბევრი იცინა, ყოველთვის გიჟი იყავი და არასდროს მორჯულდებიო; ქართველთა და აფხაზთა ძმობის სადღეგრძელო კი შეგნებულად არ წარმოთქვა, ვიდრე ერთმანეთს შორის ტყვიით ვარკვევთ საქმეს, ამაზე ლაპარაკი თავის გაბრიყვება იქნებაო.

მასპინძელი არაფერში ტყუოდა, მაგრამ სტუმარი მაინც გულნატკენი დარჩა, ჩვენს ძმობას მტრობა ვერას დააკლებსო, საყვედური დასცდა და მთელი დღე მწარე ფიქრებში გაატარა.

კოლხეთის ზეცა ბნელმა რომ მოიცვა, მეგობარს მაშინღა დაემშვიდობა.

გვიან ღამით სოფელ ილორში ჩააღწია, ჩაბნელებული ქუჩით თემურ ჩაჩბას კარ-მიდამოს მიადგა – ფანჯარაზე დააკაკუნა, დეიდამისს ყრუ გმინვა აღმოხდა, აქ მოსვლა რამ გაგაბედინაო, შეშფოთებულმა ვიშვიში ატეხა.

ოჯახის თავკაციც საგონებელში ჩავარდა, ცუდი ჟამია, ეს ბიჭი ჭკუიდან შეიშალაო, სიყვარულის გამო სიკვდილს ეთამაშება და ჩვენც საფრთხეში გვაგდებსო.

ედიშერი ჩაჩბების ოჯახს მეორე დღესვე გაერიდა და თავი ილორის ტაძარს შეაფარა – სამი დღე-ღამე ლალას ელოდა, გული უგრძნობდა გამოჩნდებაო — მასთან შეხვედრას რომ წარმოიდგენდა, მოსალოდნელი ბედნიერებისგან ბავშვივით ცქმუტავდა.

მტანჯველი მოლოდინის შემდეგ, როგორც იქნა, ტაძრისკენ მომავალი ლალა დალანდა — საფარი დატოვა და შეყვარებულს გამოეგება, ცოტაც და გულში ჩაიკრავდა, მაგრამ არ დასცალდა, აფხაზი მებრძოლები გადაეღობნენ და ხელების აწევა აიძულეს.

— რა გვარი ხარ?! – უხეშად ჰკითხა ერთერთმა და წვერით დაფარული ნაიარევი საბრძოლო დანით მოიქექა.

— ფარჯიანი! – უშიშრად უპასუხა სვანმა.

— ზურაბ და ჯაბა ფარჯიანების ვინ ხარ?! – ხმა გაუმკაცრდა მეორე მებრძოლს და ავტომატი ავის მომასწავებლად შემართა.

ედიშერმა თავი დახარა, თითქოს შინაგანმა ყოყმანმა დასძალა, შეყვარებულის ნახვა მაქვს განზრახულიო, აფხაზებს ცოცხალი თავით არ ეტყოდა, ტაძრის გალავანთან შეყოვნებულ ლალასკენ ჩუმად გააპარა თვალი, მხრებში გასწორდა, შემკითხველს ჯიქურ მიაჩერდა და მტკიცედ მიუგო:

— ერთი მამა იყო ჩემი, მეორე კი ძმა!.. – და უმალ ცხვირ-პირში კონდახის მტკივნეული შეფეთება, ხოლო ენის გასწვრივ ჩამსხვრეული კბილების ჩხრიალი იგრძნო.

გონება მაშინ დაკარგა, როცა სახეში ავტომატის კონდახი მეორედ მოხვდა.

იგი იმ დღესვე დრანდის ციხეში გადაიყვანეს...

ქალი ხიდის თავში იდგა და მწარედ ოხრავდა, „ნეტა რა დღეშია ჩემი ედიშერი?!" და გაღმა მხარეს ისეთი დაჟინებით იცქირებოდა, თითქოს წუთი წუთზე ედიშერი გამოჩნდებოდა – სინამდვილეში, ოლიკოს ქმარს, თემურ ჩაჩბას ელოდა — მეორედ ხვდებოდა, იქნებ ახლა მაინც მამცნოს დამაიმედებელი ამბავიო.

გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი აფხაზი სიძე ქართველ ცოლისდას საიმედოს ვერაფერს ატყობინებდა, პატიმრის შესახებ მხოლოდ ის იცოდა, აფხაზურმა სპეცჯგუფმა რომ დაატყვევა და დრანდის ციხეში გამოამწყვდია; თემური ომის შემდეგ სკოლაში დაბრუნდა და მასწავლებლობა განაგრძო, მისი გავლენა ახლა სკოლის იქით არ ვრცელდებოდა და, ასეც რომ ყოფილიყო, ქართველი პატიმრის გამოსარჩლებას არავინ მოუწონებდა.

ოლიკო ღამეებს თეთრად ათენებდა, ჩემი საბრალო ლამარა დარდით მოკვდებაო და, დისშვილს ცოცხლად გლოვობდა; ქმრის დასანახად წარბს არ ხსნიდა, თითქოს წარსულისთვის საყვედურობდა, ქართველებთან დაპირისპირებას სწორედ ახლა არ პატიობდა, იმ ერთგულებისთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის ყვედრიდა, რაც ქმარ-შვილს გაუწია და, იმ ტკივილისთვის — რაც ახლობელი ადამიანების დაკარგვით იწვნია, საზღაურს ითხოვდა, ედიშერს რომ რამე მოსვლოდა, აფხაზებს სამუდამოდ შეაჩვენებდა და ქმარსაც მოიძულებდა; მისი დისშვილი სიყვარულისთვის იტანჯებოდა და სწორედ ამ უსამართლობას ვერ იტანდა, ქმრის უძლურება მოთმინებას აკარგვინებდა, მაშინ ხომ მაგარი ბიჭი იყავი, ხელში ავტომატი რომ გეჭირა და ჩემი ჯილაგის სისხლს ღვრიდიო.

კაცი შინ დარცხვენილი ბრუნდებოდა, ცოლშვილს თვალებში ვერ უყურებდა – ორ ცეცხლშუა იწვოდა: ვერც საკუთარ ხალხთან აგვარებდა საქმეს და ვერც – ცოლთან, არც ერთი უთმობდა და არც – მეორე; მან თავის დროზე აფხაზი ხალხის წინაშე პირნათლად მოიხადა ვალი, მაშინ მისი ცოლი მოთმინებით დუმდა, ოჯახს არ ღალატობდა და ახლობლებთან დაშორებას ითმენდა, ახლა კი არავის ინდობდა, ქმრისგან საპასუხო საქციელს ითხოვდა, ედიშერს თმის ღერი რომ ჩამოვარდნოდა, ყველაფრისთვის აზღვევინებდა.

საფიქრალში ჩავარდნილი სვანების სიძე დრანდის ციხესთან აღამებდა, ახალ ნაცნობებს იძენდა, ვიღაცეებს გასამრჯელოს უხდიდა და ქართველი პატიმრის ამბავს მწირედ იგებდა. ამასობაში ერთ ზედამხედველს, ვადიმ ავიცბას დაუახლოვდა, აწ განსვენებული დედაჩემის მოგვარე ყოფილხარო, გაუხარდა და კაცს მხსნელივით მიაჩერდა – ოჯახში დაპატიჟა, თითო ჭიქა დავლიოთო.

ზედამხედველს ციხეში მუშაობის დიდ გამოცდილება ჰქონდა და ვის როგორ დალაპარაკებოდა, კარგად იცოდა – ყველასთან ზომიერებას იცავდა, პატიმრის ახლობლისგან გასამრჯელოს იმდენს სჯერდებოდა, რასაც ალალად უწყალობებდნენ – შეუძლებელს არ იჩემებდა და არც ვითარებას ძაბავდა, ვინმეს ზედმეტი დავცინცლოო, თავის შესაძლებლობებს არასოდეს აჭარბებდა, ერთი უბრალო ზედამხედველი ვარო, იცოდა თქმა და ტუსაღს ან ბარათს გადასცემდა, ან მისგან დანაბარებს მოიტანდა; ციხის საიდუმლოს ცოცხალი თავით არ გათქვამდა, მის რეპუტაციას ოჯახივით უფრთხილდებოდა, თუმცა კეთილ რჩევას კი იძლეოდა, გამოკეტილში ყოფნა რა სასურველიაო, დროზე მიხედეთ თქვენს მსჯავრდადებულსო და, სწორ გზას ასწავლიდა, თუ ასე მოიქცევი, გეშველებაო.

ჭაღარათმიან ავიცბას ბევრი თავპატიჟი არ გამოუდვია, სხვაფრივ ვერაფერს შეძლებდა, ედიშერ ფარჯიანი განსაკუთრებულ პატიმრად ითვლებოდა და მეტი სიფრთხილე მართებდა – არც მწვადი უნდა დაეწვა და არც შამფური – შორეულ „ნათესავს" მხოლოდ კეთილგანწყობით თუ მოექცეოდა და დამაიმედებლად ანუგეშებდა.

სტუმრად მისულმა ზედამხედველმა დაფაციცებული დიასახლისის თვალებში უზომო წუხილი ამოიკითხა, თავი უხერხულად იგრძნო — მასპინძლები რითი დაემშვიდებინა და ოჯახში არსებული დაძაბულობა რა გზით განემუხტა, აღარ იცოდა – თითქოს მათ გულში იჯდა და ყველაფერს კარგად ხვდებოდა, ცოლის საამებლად ქმარს დახმარებას აღუთქვამდა და მძიმე მდგომარეობას უმსუბუქებდა, ქართველ პატიმარს ყურადღებას არ მოვაკლებო, არავის დავაჩაგვრინებო.

ოლიკო ციხის ზედამხედველს იმედის თვალით შესციცინებდა, იქნებ ჩემ დისშვილს მართლაც ეშველოსო და სუფრას ყურადღებას არ აკლებდა – ოღონდაც საპატიო სტუმრისთვის ესიამოვნებინა — ციბრუტივით ტრიალებდა.

ოჯახის თავკაცი ვადიმ ავიცბას გულისხმიერების გამოჩენისთვის ალალად ემადლიერებოდა და ღვინოს ზომიერებით სთავაზობდა, რამდენიც გენებოს, იმდენი მიირთვიო.

ამ დროს სტუმარმა კარადის თავზე ჯიხვის რქა შენიშნა.

— ნადირისაა?! – ცნობისმოყვარეობით იკითხა.

— ბებერი ჯიხვისაა... დიდმა ედიშერ ფალიანმა ამ სასმისისთვის სვანეთის ციცაბოებში მოუხელთებელ ნადირს სამი კვირა სდია, ბოლოს სამიზნეზე მაინც დასვა და კარაბინით გულმკერდი შეუნგრია... სამემკვიდრეო ყანწი ჩემ ქვისლს, ზურაბ ფარჯიანს ხვდა წილად, მან კი მე გადმომილოცა! – სინა-ნულნარევი სიამაყით დასძინა მასპინძელმა და ცოლს მაამებლად გახედა.

ზედამხედველს ყვრიმალები უსიამოდ შეუფაკლდა, განთქმული სვანის ხსენებაზე მწარედ ჩაეღიმა და, თითქოს მასპინძლის ჯიბრზე, ჯიხვის რქას თვალი ხარბად დაადგა.

— ასეთი ძღვენი ჩემ ოჯახსაც დაამშვენებდა! – ისე წარმოთქვა, თითქოს ღვინით სავსე ყანწი ხელში ეჭირა, მალე დაცლიდა და წესისამებრ დაისაკუთრებდა. — რამდენი ჩადის?! – დაინტერესდა და სასმისიდან დიასახლისზე გადაიტანა მზერა.

— თორმეტი ჭიქა!.. – დამდუღრულივით უპასუხა ჩაჩბამ და თვალებში აუწერელი სევდა ჩაუდგა, საკუთარი ქორწილი და ფარჯიანთან გაჯიბრება გაახსენდა, ჭიქა შეავსო და ომში დაღუპულთა მოსაგონარი შესვა, ოლიკოს მწველი გამოხედვა იგრძნო: „იცოდე, ციხის თანამშრომელი არ გააწბილო, იქნებ ედიშერს რამე ეშველოს!" — დაცლილი ჭიქა მაგიდაზე დადგა და შეფარული უკმაყოფილებით დასძინა: – ეს ყანწი არაფერში გამოგადგება!..

— მაგის დანიშნულება სუფრა და მოლხენაა, ეს კი ჩემ ოჯახს ნამდვილად არ აკლია! – თითქოს განაწყენდა ზედამხედველი.

ცოლმა ქმარს გონს მომსვლელი მუდარით გამოხედა.

— ამ ყანწით მხოლოდ ძმობის სადღეგრძელო ისმევა! – ჯიუტად გამოცრა ყანწის პატრონმა და ცოლის მზერა ცივად აირიდა.

— იცოცხლე, ძმობის სადღეგრძელოს ყოველდღე ვსვამ! – გამოცოცხლდა სტუმარი და ჯიხვის რქას ისე მიაჩერდა, აქაოდა მისი დაპატრონება ღირსეულად დაიმსახურა.

— მაგით მხოლოდ ქართველთა და აფხაზთა ძმობის სადღეგრძელო ისმევა! – მოურიდებლად მოუჭრა მასპინძელმა და თითები ისე მომუჭა, თითქოს თანამეინახეს სასმისი ხელიდან გამოსტაცა.

ზედამხედველს ხმა არ გაუღია, მეტად არც ყანწი უხსენებია და არც ნაწყენობა გამოუხატავს.

დიასახლისი ოთახიდან გავიდა და სტუმრის წასვლამდე არ გამოჩენილა.

— მთავარია, ჩვენ ვიყოთ ძმები და, მოდი, თუ კაცი ხარ, მაგ ყანწს დანიშნულება შეუცვალე! – ვეღარ მოითმინა ზედამხედველმა და წასვლის წინ მასპინძელს მეგობრულად ურჩია.

— ჩვენ ისედაც ძმები ვართ... ფასი იმას აქვს, როცა სხვას იძმობ! – შემრიგებლურად მიუგო მასპინძელმა და შორეულ სივრცეს ისეთი სინანულით გახედა, თითქოს ბედნიერი წარსული ერთხელაც გამოიტირა.

ვადიმმა მანქანა დაქოქა და გეზი სოხუმისკენ აიღო.

ფიქრებში წასული მასპინძელი ჭიშკართან კარგა ხანს იდგა, ბოლომდე ვერ გაერკვია, სტუმარი მისი გამასპინძლებით ნაწყენი დარჩა თუ – კმაყოფილი.

ქალმა, როგორც იქნა, ხიდზე მომავალი სიძე შენიშნა და რუსების ბლოკპოსტისკენ აჩქარებით გაუყვა, წინდაწინ გრძნობდა, აფხაზი სასიკეთოს ვერაფერს ამცნობდა, სხვა გზა არ ჰქონდა, წყალწაღებულივით ხავს ეჭიდებოდა, შვილის გამო სიძეს გამოუვალ მდგომარეობაში აგდებდა, მისი უმწეობა გულს უთანაღრებდა, ოლიკოს ბუნება კარგად იცოდა, ქმარს არ მოასვენებდა, შავ დღეში ჩააგდებდა, გამოსავალი ისევ და ისევ მას უნდა ენახა, თუმცა აფხაზი ნათესავის გარეშე ვერაფერს გააწყობდა, მცირე ინფორმაციასაც ვერ მიიღებდა.

კაცი რუსების ბლოკპოსტთან გაჩერდა, საგუშაგოს უფროსს გამოელაპარაკა, მხარზე შინაურულად მოუთათუნა ხელი და ჯიბეში ხუთასმანეთიანი ჩაუჩურთა.

— რაღაც-რაღაცები შევიტყვე, საქმეზე სალაპარაკოდ კი ვერავის გავეკარე! – დარცხვენით თქვა და ცოლისდის მომლოდინე თვალებს მზერა აარიდა.

— ფარჯიანების ნაშიერია და იმიტომ... ჯავრს ცოცხალზე იყრიან! – განსაცდელში მყოფმა დედამ აფხაზ სიძეს თითქოს პასუხისმგებლობა შეუმსუბუქა და ვაჟის წამება გონებით წარმოიდგინა. — ოლიკო როგორ არის? – დის ამბავი იკითხა, თითქოს უსიამო წარმოსახვას გაექცა.

— გიჟს ჰგავს... ოჯახში პანაშვიდი მაქვს! – ჩაჩბას გულწრფელი ჩივილი დასცდა.

ლამარას ტუჩებზე იდუმალმა ღიმმა გადაჰკრა.

— ღმერთი არ გაგვწირავს! – იმედიანად წარმოთქვა და სიძეს დამამშვიდებლად მიაჩერდა.

კაცმა ცოლისდას გაკვირვებით შეხედა, მარტო ღმერთის იმედად რას გააწყობსო, თუმცა ხმა არ გაიღო, დაე, თავი დაიმშვიდოს და შვილის ბედი ზეციურ ძალებს მიანდოსო.

— რას ედავებიან ჩემ ედიშერს?! – თითქოს თავის თავს ჰკითხა ქალმა და დრანდის ციხისკენ ვარაუდით გაიხედა.

— საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთას, შპიონაჟს, გენოციდის მოწყობას და, რა ვიცი, ათას სისულელეს!.. – ხელი ჩაიქნია აფხაზმა.

— პოლიტიკური დამნაშავეა?! – გაოცება ვერ დაფარა ქალმა.

— უშიშროების იზოლატორში უნდა ჰყოლოდათ, მაგრამ იქ რემონტი მიმდინარეობსო!.. – ვიღაცის ნათქვამი გაიმეორა კაცმა.

ქალი ჩაფიქრდა.

— საქართველოში დაპატიმრებული ვინმე აფხაზი ბიჭის პატრონი უნდა მოიძებნოს, რომელიც ედიშერის გაცვლაზე დათანხმდება, ყველაფერს იღონებს, მაქაურ მთავრობას მოელაპარაკება და შვილს საღ-სალამათს დამიბრუ-ნებს! – თქვა და რუს სამშვიდობოებს უკმაყოფილოდ გახედა.

კაცი ახლაც გაკვირვებული მიაჩერდა ცოლისდას და აშკარად დარწმუნდა, უკან არაფერზე დაიხევდა, ოღონდაც ედიშერი განსაცდელისგან ეხსნა.

— ყველაფერს ვეცდები! – დამაიმედებლად ჩაილაპარაკა.

სიძე-ცოლისდამ მომდევნო შეხვედრა სამი დღის შემდეგ დათქვა.

კაცმა ენგურის ხიდი ახალი თავსატეხით დატოვა, რა გზით უნდა ეცადა და საქართველოში დაპატიმრებული ვინმე აფხაზისა და მისი პატრონის ვინაობა დაედგინა, რომელიც ქართველის გაცვლაზე დათანხმდებოდა, წარმოდგენა არ ჰქონდა.

დილაადრიან დრანდის ციხეს მიაშურა, იქნებ შემთხვევით რაიმე შევიტყოო. პატიმართა რამდენიმე მნახველს გამოელაპარაკა, ისეთი ვინმე ხომ არ გეგულებათ, საქართველოში ახლობელი ტუსაღი ჰყავდესო.

მნახველები თემურ ჩაჩბას, ცოტა არ იყოს, გაოცებული მისჩერებოდნენ, ამ კაცს საქმე ხომ არ დალევიაო.

— მშვიდობის მტრედს გაუმარჯოს! – უცებ ნაცნობი ხმა მოესმა და ტანში უსიამოდ გაცრა, მხარზე ვადიმ ავიცბას ხელის შეხება იგრძნო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპასუხოდ ცივად მიესალმა, ზედამხედველის ირონია არ მოეწონა. – ოჯახში როგორ ხართ?! – მოულოდნელი გულწრფელობით იკითხა ავიცბამ.

– არა გვიშავს! – გონს მოსულივით მიუგო ჩაჩბამ.

– რაზე შეწუხებულხარ? – სერიოზულად დაინტერესდა ზედამხედველი.

— არაფერზე... იქნებ ედიშერს ხმა მივაწვდინო! – თვალარიდებით უპასუხა კაცმა და დედის მოგვარეს მხარი უქცია.

— თუ გსურს, შენი ყანწით ძმობის სადღეგრძელო შეისვას, სიმართლე მითხარი! – მეგობრულად შესცინა ვადიმმა, მისკენ მოატრიალა და თვალებში ჩახედა, არაფერი დამიმალოო.

„ამას ყანწის დარდი აქვს!" – მწარედ გაიფიქრა ჩაჩბამ და მაშინვე უკან დაიხია: „ჯანდაბას მაგის თავი, იქნებ მართლაც დამეხმაროს!" – და ციხესთან მისვლის ნამდვილი მიზეზი აუწყა, თითქოს ყანწს სამუდამოდ გამოეთხოვა.

ზედამხედველი სერიოზულად დაფიქრდა, — მგონი არის ასეთი ვიღაც! –საქმიანად ჩაილაპარაკა და საქმიანადვე დასძინა: — შუადღემდე თუ დამელოდები, ცვლას გადავაბარებ და ეს ამბავი ერთად გავარკვიოთ!..

— შენს იქით საშველი არ მაქვს! – ვახტის შესასვლელში გაუჩინარებულ ზედამხედველს იმედიანად დაადევნა კაცმა.

დრანდის ციხე ნიჟარასავით შხუოდა, გისოსებიდან პატიმართა კანტიკუნტი გადაძახილები ისმოდა.

ვადიმ ავიცბა ვახტასთან დათქმულ დროს გამოჩნდა.

— იმ ქალს ასანათი ჰქვია, ქმარი სამხედრო პირი ჰყავდა, ომში დაეღუპა; ასანათი დღესაც მთავარი შტაბის მზარეულად მუშაობს, მებრძოლები აფხაზთა დედას ეძახიან, ჯადოსნური ხელი აქვსო, მაგის ნახელავს ერთხელ რომ გასინჯავ, ტყვიაც ვერას დაგაკლებსო; ცოტა მკაცრი და უკარებაა, მაგრამ არ გაემტყუნება, მარტოხელა ქალია, მშვიდობიანობის დროს ერთადერთი ვაჟი ქუთაისში დაუპატიმრეს, რესტორანში, ქართველი ძმაკაცის გამო დანით ვიღაცა დაჭრა და რვა წელი მიუსაჯეს; ქმარმა ასანათს შვილის გამოსარჩლება სასტიკად აუკრძალა, საძრახისი საქმის ჩამდენია და ყურადღებას არ იმსახურებსო; აფხაზებსა და ქართველებს შორის ურთიერთობა რომ დაიძაბა, პატიმრის მშობლები მაშინ კი გამოფხიზლდნენ, მაგრამ უკვე გვიანღა იყო; მერე ის კაცი დაიღუპა და ასანათი დრანდის ციხის უფროსთან რამდენჯერმე მოვიდა, იქნებ ჩემი ვაჟი აქაურ საპატიმროში გადმომაყვანინოთო, არაფერი გამოუვიდა — ძალზე შიშობდა, ქართველებმა არ მომიკლანო; ქალს სწორედ იმ დროიდან ვიცნობ, მენდობა და ჩემი დაჯერება აქვს; ამას წინათ სოხუმში შემხვდა და შეწუხებულმა შემომჩივლა, ჩემ რუსლანს ქართველები არ დაინდობდნენო, იმედი არ მაქვსო, ოდესმე თუ ცოცხალს ვიხილავო; ვანუგეშე, დედისერთას ღმერთი არ გასწირავს-მეთქი!.. – სინანულით ყვებოდა ზედამხედველი, სოხუმის გარეუბანს უახლოვდებოდა და ალაგ-ალაგ გავერანებულ გზაზე მანქანას ფრთხილად მართავდა.

მგზავრი ხმას არ იღებდა, ზედამხედველს ბოლომდე ენდობოდა და ყველაფერში ეთანხმებოდა, ოღონდაც ედიშერს რაღაც შველებოდა, ცოლშვილისთვის თვალებში შეეხედა და, მუშაითივით გაჭიმულ თოკზეც გაივლიდა.

— ასანათი ყველაფერს გააკეთებს, რუსლანის დაბრუნების იმედი თუ გაუჩნდება!.. – დასძინა ვადიმმა და მანქანა მთავარი შტაბის წინ გააჩერა.

— ჩემი ცოლისდა მთას გადადგამს და რუსლანს დაიხსნის, რა თქმა უნდა... – თუ ცოცხალიაო, იგულისხმა. — „ღმერთმა ნუ ქნას!" — გაიფიქრა და ომით დაღდასმულ ფუნიკულიორს სევდიანად გახედა.

ზედამხედველი შტაბის შენობაში შევიდა, ცოტა ხნის შემდეგ ქალთან ერთად დაბრუნდა და ჩაჩბას ანიშნა, მანქანიდან გადმოდიო.

— ეს ასანათია! – წარუდგინა და ოდნავ განაპირდა, საქმეზე თქვენ თვითონ ილაპარაკეთო.

საშუალო სიმაღლის ქალს შეუპოვარი გამოხედვა ჰქონდა, თვალებს ისე მოგაპყრობდა, თითქოს რაღაცაში გადანაშაულებდა.

კაცი თავაზიანად მიესალმა და ქართველებისგან შემოთავაზებული პირობა აუწყა.

ასანათის თვალებში მიჩუმათებული ბედნიერების სხივი გაკრთა, თმაზე უადგილოდ გადაისვა ხელი და დედური სისუსტე სახეზე გაელვებული სიწითლით გამოავლინა.

— ყველა პირობაზე თანახმა ვარ... ჩემ ოჯახს აფხაზი ხალხის წინაშე იმდენი დამსახურება კი მიუძღვის, რუსლანის გამო ერთი ქართველის სიცოცხლეზე უარი არ მითხრან!.. – ამაყად წარმოთქვა. – თუმცა ვეჭვობ, ჩემი ვაჟი ცოცხალი იყოს... იმაზეც ყაბულს ვიქნები, ქართველ პატიმარში მისი ცხედარი გამიცვალონ! – უტეხი დედაკაცის სიკერპით დასძინა და გვერდზე გაიხედა, მამაკაცებმა გულაჩუყება არ შემატყონო.

თემურ ჩაჩბა მწარედ ჩაფიქრდა.

— როგორ, ისინი ცოცხალ ქართველს ითხოვენ, თქვენ გარდაცვლილზე გაცვლით?! – დაუჯერებლობასთან ერთად სახეზე წუხილი გამოეხატა.

— მე ჩემი მითქვამს, სულერთია, რუსლანი მკვდარი ჩამომივა თუ ცოცხალი, შემოთავაზებულ პირობას ყველა შემთხვევაში შევასრულებ... შვილს საკუთარი მამის გვერდით მაინც დავკრძალავ!.. – ნაღვლიანად დასძინა ქალ-მა და ზედამხედველს ორჭოფულად გახედა, ამ აფხაზს ჩემში ეჭვი რატომ ეპარებაო.

ვადიმი დროულად ჩაება საუბარში.

— ეს კაცი თავისიანებს დაუკავშირდება, რამდენიმე დღეში პასუხს მოგიტანს და მოქმედების გეგმას შეგატყობინებს... შუამავალიც ეს იქნება, საეჭვო და არასაიმედო აქ არაფერია, ჩემი ჩარევა ზედმეტია, საქმეს თვითონაც მიხედავთ! – კაცსა და ქალს მომრიგებლურად გადახედა და, ღმერთი იყოს თქვენი მფარველიო, ალალად დალოცა.

ზედამხედველმა თემურ ჩაჩბა გზაში ერთხელაც დაიაიმედა: „ასანათი სიტყვის ქალია, ახლა ყველაფერი შენს ქართველ მოყვრებზეა დამოკიდებული!..“

ჩაჩბას სვანი ნათესავის იმედი ნამდვილად ჰქონდა, რუსლანი ცოცხალი იქნებოდა თუ მკვდარი, მის კვალს ნამდვილად მიაგნებდა, მაგრამ, ამ ზედამხედველმა ჯიხვის ყანწი რომ დატყუა, ამას რაღა ეშველებოდა!.. მწარედ ფიქრობდა და საგონებელში ჩავარდნილივით დუმდა.

მანქანამ ილორის წმინდა გიორგის ტაძარს გვერდი აუქცია და აფხაზი მოსახლის ჭიშკართან გაჩერდა.

— გადმოდი, პური ვჭამოთ! – გულწრფელად შესთავაზა მასპინძელმა.

— არა, სხვა დროს იყოს! – გადაჭრით იუარა ზედამხედველმა.

ზედმეტ პატიჟს აზრი არ ჰქონდა.

— მაშინ დამელოდე, ახლავე მოვალ! – ხმა გაებზარა თემურს.

— კი, ბატონო! – ცოტა არ იყოს, გაუკვირდა ვადიმს.

მასპინძელმა ჭიშკარი გამოაღო და მოულოდნელად გვერდზე გადგა – ეზოდან ლალა მარღანია გადმოდიოდა — გზა დაუთმო, „ოლიკოსთან იყო, ედიშერის ბედი აინტერესებს!“ გაიფიქრა და მეზობელს დამაიმედებლად შეხედა. გოგონამ თბილად გაუღიმა, თითქოს შეყვარებულზე ზრუნვისთვის ფარულად მოემადლიერა — შეკითხვა კი ვერ გაუბედა, თავი დახარა და ტაძრის მხარეს გაუყვა, ტანს მსუბუქად მიარხევდა და ნაწნავის ბოლოებს წელზე იცემდა.

„ასეთი ქალიშვილის სიყვარულისთვის სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდება ნამდვილად ღირს!“ საკუთარ თავს გულწრფელად გამოუტყდა ჩაჩბა და ედიშერის საქციელი პირველად გაამართლა.

მალე მობრუნდა, მანქანის კარი გამოაღო და წინა სავარძელზე ჯიხვის ყანწი დადო, — ღმერთით, ის დრო მალე დადგებოდეს, ამ სასმისს თავისი დანიშნულება დაბრუნებოდეს! – თამადასავით წარმოთქვა და მღე-ლვარებისგან ხმა აუკანკალდა.

ზედამხედველი მანქანიდან სიცილით გადმოვიდა, მასპინძელს ისე უსაყვედურა, როგორც ახირებულ ბავშვს.

— როგორ გეკადრება, საჩუქრისთვის კი არ დავმშვრალვარ... მე ამ სასმისს ვერაფერში გამოვიყენებ, იგი ტრადიციული ძღვენია, შენთან უნდა ინახებოდეს და თაობიდან თაობას გადაეცემოდეს... თუკი ოდესმე თავისი დანიშნულება დაუბრუნდება, გესტუმრები და ძმობის სადღეგრძელოს სიამოვნებით შევსვამ! – მადლიერებით დაასრულა და მანქანის სავარძლიდან ყანწი სწრაფად აიღო, გაკვირვებულ მასპინძელს ხელში მიაჩეჩა.

მანქანა ადგილიდან დაიძრა და გზაშარას გაუყვა.

აფხაზი მასპინძელი ჭიშკართან კარგა ხანს იდგა, თითქოს შორეულ სტუმარს ელოდა, მასთან ერთად ჯიხვის ყანწით ძმობის სადღეგრძელო უნდა შეესვა.

სიძე-ცოლისდა ენგურის ხიდზე დათქმულ დროს მივიდა.

— რუსლან ლაკობა უნდა მოძებნო, რომელიღაც კოლონიაში სასჯელს იხდის! – მიაგება სიძემ და სულმოუთქმელად დასძინა: — ექვსი წელი უკვე მოიხადა, ორიღა დარჩა!

— მოვძებნი, მაგრამ აფხაზური მხარე პირს ხომ არ შემიშლის?! – დაეჭვებით იკითხა ქალმა.

— რუსლანს მხოლოდ დედა ჰყავს, სიტყვის ქალია, ჩემი ვაჟი ცოცხალიც რომ არ დამიბრუნონ, მისი ცხედრის გამოც დავიხსნი ქართველსო!

— რატომ უნდა მოეკლათ?.. ცხედარი სადღა ვიპოვო?! – ქალი გაკვირვებამ და სასოწარკვეთამ ერთდროულად მოიცვა.

— არა მგონია, მოეკლათ!.. – დაამშვიდა კაცმა.

— საქმე თუ მოგვარდა, ამათ რა ვუყოთ?! – ლამარამ რუს სამშვიდობოებს მწყრალად გახედა.

— რუსებს მე მოველაპარაკები, გასამრჯელოსაც გადავუხდი და არაყსაც მოვუტან! – ჩაჩბამ ცოლისდის მზერას თვალი გააყოლა. – ოლიკოსთან ედიშერის შეყვარებული ყოველდღე დადის და ამბავს კითხულობს! – ისე თქვა, ქალისკენ თავი არ მოუბრუნებია.

ლამარამ მძიმედ ამოიოხრა, — ჩემი ედიშერი მაგის სიყვარულმა დაღუპა! – უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა, — კვირის ბოლომდე ყველაფერს გავარკვევ! – საქმიანად დასძინა და იქაურობა დატოვა.

თბილისში დაბრუნდა, თავის ძმას ყველაფერი მოუყვა – სასჯელაღსრულების დეპარტამენტში რუსლან ლაკობას ამბავი უნდა შევიტყოთო.

ზორბეგი დეპარტამენტში დილაუთენია წავიდა და ერთ-ერთ მოხელესთან შეხვედრა მოახერხა.

— პატიმარი ლაკობა ჩემი დისშვილია და სასჯელს სად იხდის? – ნამდვილ ბიძასავით დაინტერესდა.

— ლაკობას არსებობა ახლა გაგახსენდათ?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

– დეპარტამენტის თანამშრომელმა გამქირდავი ღიმილით შეუბრუნა კითხვა.

— რუსეთში ვცხოვრობდი, ქართულ-აფხაზური კონფლიქტი რომ დაიწყო, სამშობლოში დავბრუნდი და ბრძოლაში ჩავები, მერე ოჯახთან და ცოცხლად დარჩენილ ახლობლებთან ერთად ლტოლვილად ვიქეცი! – ამჯერად სიმართლე თქვა ზორბეგმა და დაეჭვებულ თანამშრომელს ბრაზით მიაჩერდა.

— კარგი, კარგი!.. – ხელი ჩაიქნია კაცმა, პატიმრის ვინაობა გულდასმით ჩაინიშნა და ზორბეგი შუადღისთვის დაიბარა.

რუსლან ლაკობა რუსთავის მე-2-ე კოლონიაში იხდიდა სასჯელს.

— ადმინისტრაციული დარღვევები ჰქონია, თორემ ერთი-მესამედი შეეხებოდა და დროზე ადრე გათავისუფლდებოდა! – ამბავი მოიტანა ძმამ და დას ვალმოხდილივით მიაჩერდა.

ცოცხალია?! — ისე წამოიყვირა ქალმა, თითქოს ეს-ეს იყო ედიშერი დაიბრუნა და სხვა სადარდებელი აღარაფერი დარჩა.

იმ ღამეს თვალი არ მოუხუჭავს, აფხაზ პატიმართან მოსალოდნელ შეხვედრაზე ფიქრობდა, ვაჟს ნათესავივით უნდა მიეღო, თორემ მისი გეგმა გამჟღავნდებოდა და დასახულ მიზანს ვერ მიაღწევდა — გაცვლის საქმე ჩაიშლებოდა.

დილით უკვე კოლონიის შესასვლელთან იდგა — ნერვიულობდა, სპეციალური ქაღალდი ძლივს შეავსო და ვახტიორს ფული ჩაუჯიბა, პატიმართან დროზე შემიყვანეო.

საპაემნო ოთახში მხოლოდ პატიმრები და მათი მნახველები ირეოდნენ — ხმაურობდნენ, თუმცა ერთმანეთს ხელს არ უშლიდნენ და სამოწყალოდ ნაბოძებ მწირ დროს მაქსიმალურად იყენებდნენ.

იქაურობა სიგარეტის ბუღს დაეფარა.

უჩვეულო სამყაროში მოხვედრილი ქალი აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს, „დისშვილს" ეძებდა, კოლონიის თანამშრომელი კი დაჟინებით უთვალთვალებდა.

ბოლოს ერთ შავგვრემან პატიმარს, ჯინსიან გოგონას მონატრებით რომ ესაუბრებოდა, გვერდით ამოუდგა და მყუდროება დაურღვია: — აფხაზი პატიმარი, რუსლან ლაკობა რომ გამოჩნდება, თვალით მანიშნე! – წასჩურჩულა და უცოდველივით დადუმდა.

ბიჭმა უცნაურ მთხოვნელს თავი დაუკრა, მერე სასურველ მსმენელს მიუბრუნდა და საუბარი განაახლა.

ქალი მოუსვენრად ცქმუტავდა – შიშობდა, პატიმარს მისი თხოვნა არ დავიწყებოდა და დროდადრო თავს ახსენებდა, აფხაზი ხომ არ შემოსულაო.

ბოლოს, როგორც იქნა, შავგვრემანმა წარბები აზიდა და დამარქაფებულ ქალს თვალით ანიშნა: „ის არის!" და, შვებით ამოისუნთქა, ჯინსიანი გოგონა კედლთან მიიმწყვდია და დაკარგული წამების ანაზღაურებას გაცხო-ველებით შეუდგა.

ზღურბლზე შეყოვნებული აფხაზი სიგარეტის ბოლში გახვეულ მნახველებს გულგრილად ათვალიერებდა, ნეტავ რომელ დეიდას გავახსენდიო; მტაცებლური და ოდნავ დამცინავი გამოხედვა ჰქონდა, თითქოს საკუთარ უპირატესობას ფარულად გამცნობდა, ღმერთი არ გაგიწყრეს და ჩემთან ქიშპობა არ გაბედოო – ჩასკვნილს და კუნთმაგარს გარეგნობაზე ეტყობოდა, ამქვეყნად არაფეზე დარდობდა და არც არაფრის ეშინოდა.

ქალმა პატიმარს შორიდან გაუღიმა, დეიდა გენაცვალოსო, დავაჟკაცებულხარო, მზრუნველად შეაგება, მიუახლოვდა და მკლავები მოხვია, თვალებში ცრემლი ჩაიგუბა: — ისე მოიქეცი, თითქოს შენი დეიდა ვარ!.. – ყურში უჩურჩულა.

— დეიდა არ მყავს! – გატეხილი ქართულით მიუგო აფხაზმა და გამომწვევად გაუღიმა.

— ასანათის დავალებით მოვედი, აქედან დღედღეზე გაგიყვან! – თუ ჭკუით მოიქცევიო, გამაფრთხილებლად შეხედა ქალმა და „დისშვილთან" ერთად იქვე ჩამოჯდა.

პატიმარი თითქოს გონს მოეგო, პატრონი გამომიჩნდა და მეტი რაღა მინდაო: „დეიდამ" ფულიც აჩუქა და ამანათიც შემოუგზავნა, გათავისუფლებასაც დაპირდა და დედასთან შეხვედრასაც.

— აქ თავს კარგად ვგრძნობ, ორი წელი დამრჩა, დედაჩემმა რა, ფული გაიღო?! – ვეღარ მოითმინა და „დეიდად" მოვლენილ მნახველს თვალმოწკურვით მიაჩერდა.

— მაგაზე მერე ვილაპარაკოთ... დედაშენის ნება რომ არა, ხომ არ დამესიზმრებოდი!.. – არ დაიბნა ქალი და დამრიგებლურად დასძინა: — არაფერი დააშავო, კარცერში თავი არ გიკრან, თორემ საქმეს გაართულებ!..

— რამდენ ხანში გამიყვან და დედაჩემს რა გზით დამაკავშირებ?! – ჯიქურ იკითხა ვაჟმა.

— მალე გაგიყვან, დედაშენს კი ენგურის ხიდთან შეხვდები! – მიუგო ქალმა და გონებით რუსლანისა და ედიშერის გაცვლის პროცესი წარმოიდგინა, წამოდგა, პატიმარს იმედიანად დაემშვიდობა და თბილისში დაბრუნდა.

კვირის ბოლოს ენგურის ხიდთან ძმა გაგზავნა და სიძესთან დააბარა: „აფხაზ დედას გადაეცი, მისი ვაჟი ცოცხალია, საღ-სალამათს ჩავაბარებ და ეცადოს, მსგავსი პირობა თვითონაც შეასრულოს!"

იგი ქვეყნის პირველ პირთან შეხვედრას გეგმავდა, ამ საქმეს სხვაგვარად არაფერი ეშველებაო.

პრეზიდენტთან მიღებაზე ჩაეწერა და კანცელარიაში რამდენჯერმე მივიდა, მაგრამ იერარქიული ლაბირინთი ვერაფრით გაარღვია, ბევრი ცნობილი პიროვნება შეაწუხა, გავლენიანი სვანებიც გამონახა და „დისშვილის" გამო-

ხსნაში ხელშეწყობა სთხოვა; მისი გასაჭირი ალალად გაიზიარეს, თუმცა პირველ პირთან შეხვედრა ვერავინ მოუხერხა, სახელმწიფო საქმეებითაა დატვირთულიო.

ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში სახელისუფლო პარტიის პოლიტიკური თავყრილობა იმართებოდა, ქვეყნის ხელმძღვანელიც უნდა მობრძანებულიყო; დასწრება შეუზღუდავი იყო და ამიტომაც ადგილები სწრაფად ივსებოდა; სცენაზე გრძელი მაგიდა იდგა, რომლის გარშემო ცნობილი პოლიტიკური სახეები ტრიალებდნენ და პრეზიდენტის გამოჩენას მოუთმენლად ელოდნენ.

უეცრად დარბაზში სამარისებური სიჩუმე გამეფდა, მთავარ შემოსასვლელში ჯერ დაცვის რამდენიმე წევრი, მერე კი სახელმწიფოს მეთაური გამოჩნდა, თეთრ თმაზე ხელი გადაისვა და ფეხზე წამომდგარ საზოგადოებას თავი დაუკრა, საპატიო ადგილას დაჯდა.

მალე ავანსცენიდან თავყრილობის ერთ-ერთი ინიციატორი ტრიბუნასთან დაწინაურდა, მიკროფონი მოიმარჯვა და კარგა ხანს ილაპარაკა, ქვეყანაში შექმნილი ვითარება გლობალურ ასპექტში განიხილა და სათქმელი ომახიანი ოპტიმიზმით დაასრულა: „ღმერთმა ისეთი პრეზიდენტი მოგვივლინა, ეშმაკიც ვერას დაგვაკლებს!"

დარბაზს ტაშის გრიგალმა გადაურა.

ტრიბუნას ახლა სხვა გამომსვლელი მიუახლოვდა, მიკროფონს მანძილი მოუსინჯა და მჭევრმეტყველების კორიანტელი დააყენა.

დარბაზი ისევ შეზანზარდა.

ყოველი სამი გამომსვლელის შემდეგ სცენაზე ჩოხიან მამაკაცთა გუნდი მწკრივდებოდა და ტრადიციულ სიმღერას აქუხებდა.

გამომსვლელს გამომსვლელი ენაცვლებოდა, სიმღერას – სიმღერა და, ტაშის გრიალს – ტაშის გრიალი.

სცენაზე მოულოდნელად შავოსანი ქალი გამოჩნდა, პირდაპირ ტრიბუნისკენ აიღო გეზი და მომდევნო გამომსვლელს, ფილოსოფიურ პოზას დიდი მონდომებით რომ ირგებდა, გვერდზე გაწევა აიძულა, დარბაზს ქორივით გადახედა და მიზანში თეთრთმიანი კაცი ამოიღო.

— ბატონო პრეზიდენტო, მე სვანი ქალი ვარ, აფხაზეთის ომში ვაჟკაცურად დაღუპული ზურაბ ფარჯიანის ცოლი და ჯაბა ფარჯიანის დედა... გთხოვთ, მათ სულებს პატივი სცეთ და მიმიღოთ, მომისმინოთ, ჩემი ოჯახის ბედი ახლა თქვენზეა დამოკიდებული!.. – ცრემლნარევი ხმით დაასრულა და ქანდაკებასავით დადუმდა.

პრეზიდენტმა ყურადღებით მოუსმინა, გვერდზე მიიხედ-მოიხედა და დაცვის უფროსს უხმო, რაღაცა უთხრა, მერე შავოსანს გახედა და თავი დაუქნია.

ვიდრე ქალი კულისებს დატოვებდა, ათლეტური აღნაგობის ჭაბუკი წამოეწია, მოუბოდიშა, მისი ვინაობა დააზუსტა და პრეზიდენტის დანაბარები გადასცა:

— ხვალ, ოთხ საათზე კანცელარიაში მობრძანდით, საშვი დაშვებული იქნება!..

...სვანების სიძე ენგურის ხიდთან აფხაზმა მოჭიდავემ, ბორია თარბამ საკუთარი მანქანით მიიყვანა, ედიშერ ფარჯიანს სხვა ვერაფრით ვეხმარებიო, და რუსების ბლოკპოსტთან დაელოდა.

სიძე-ცოლისძმა ომის შემდეგ პირველად შეხვდნენ – ერთმანეთს გაუღიმეს, თითქოს ჩადენილი დანაშაული გულწრფელად შეუნდეს.

— რუსლან ლაკობა ცოცხალია და თავს კარგად გრძნობს, ჩვენ მას დავიხსნით და აფხაზ დედას უვნებელს ჩავაბარებთ... მისგანაც საპასუხო პირობას ვითხოვთ!.. – ულტიმატუმივით წაუყენა ზორბეგმა და სიძეს თვალებში დააკვირდა, ედიშერის შესახებ ცუდ ამბავს ხომ არ მიმალავსო.

— ედიშერი დრანდის ციხეშია, ნამდვილად ცოცხალია, იქ ერთი სანდო ზედამხედველი მყავს და იმისგან ვიცი!.. – გულთმისანივით მიუგო აფხაზმა და, რატომღაც რუს სამშვიდობოებს მწყრალად გახედა.

სიძე-ცოლისძმამ კარგა ხანს ისაუბრა.

მერე თემურ ჩაჩბა აფხაზი მოჭიდავის მანქანით სოხუმისკენ გაეშურა; ათონის გზატკეცილამდე მგზავრებს ხმა არ გაუღიათ.

— ეშველება რამე ედიშერს?! – დუმილი თარბამ დაარღვია და სიჩქარეს უმატა.

კაცმა მხრები აიჩეჩა, „ვნახოთ!" — ფიქრიანად ჩაილაპარაკა და სოხუმის მთას სევდიანად გახედა.

მანქანა მთავარი შტაბის წინ გაჩერდა.

— რუსლანი ცოცხალია, ჯანზეა და მალე იხილავ! – მოულოდნელობისგან შემცბარ ასანათს მისალმების უმალ ახარა კაცმა და უნებლიეთ ხელი შეაშველა, სიხარულისგან გული არ შეუღონდესო.

ქალის არსებაში წამიერად გაელვებული აღფრთოვანება თანდათან მიინავლა — თვალებს უნდობლობა მოეძალა.

— ნუთუ ცოცხალია?! – გაოცებით აღმოხდა და ამბის მომტანს გამჭოლი მზერა სტყორცნა.

— ცოცხალია, ცოცხალია... ქართველი დედის მფარველობის ქვეშაა და დღე-დღეზე შეხვდები! – დამამშვიდებლად მიუგო კაცმა.

— ქართველი დედა რა პირობას აყენებს?! – ხმა გაებზარა ქალს.

— ქართველმა დედამ შემოგითვალა, შენს რუსლანს შვილივით გავუფრთხილდები და საღ-სალამათს ჩაგაბარებო!.. – კაცმა სიგარეტს მოუკიდა და პასუხს დაელოდა.

აფხაზ დედას ყვრიმალები შემცივნულივით შეუთრთოლდა.

— ქართველ დედას რა აშფოთებს?! – ყრუდ იკითხა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შვილი არ მიწამონო! – შემონათვალი ახლაღა დაასრულა კაცმა და სიგარეტის ბოლს ვალმოხდილი სუნთქვა ამოაყოლა.

— წამება რა მოსატანია, ან რა ვაჟკაცის საქმეა?! – ქალმა შეურაცხყოფილად იგრძნო თავი, ქართველ დედას აფხაზებზე ცუდი წარმოდგენა ჰქონიაო. — თუმცა პატიმრის პატრონია და არაფერი გაემტყუნება, არც მე ვენდობი ქართველებს და, სიმართლე გითხრა, რაც მოვისმინე, ბოლომდე ვერ დამიჯერებია, ვიდრე საკუთარი თვალით არ დავრწმუნდები!.. – თანაგრძნობას უნდობლობა მოაყოლა მან და კაცს მომდევნო შეხვედრა სამი დღის შემდეგ დაუთქვა.

აფხაზ დედას იმ ღამით თვალი არ მოუხუჭავს, ურთიერთგამომრიცხავი ფიქრები არ ასვენებდა, რუსლანი ცოცხლად გამოტირებული ჰყავდა და მოსალოდნელი შეხვედრით გამოწვეულ ბედნიერებას დაუჯერებლობის ეჭვიც თან ახლდა – ერთ რამეს კი უტყუარად გრძნობდა, ქართველი დედა საკუთარ სიცოცხლეს არ დაიშურებდა და პირობას შეასრულებდა.

ქალი ფანჯარასთან იდგა, გარიჟრაჟს ელოდებოდა, უზენაესი საბჭოს ჩონჩხადქცეულ შენობას, ქართველებისა და აფხაზების ავგლახობის დასტურს, ნაღვლიანად გასცქეროდა.

დილით შტაბის უფროსთან შევიდა და თავისი გასაჭირი აუწყა:

— ვლადისლავ პლატონოვიჩ, ჩემ რუსლანს დავიბრუნებ, ქართველ პატიმარს თუ დამითმობენ!..

— რა გვარია და რა დააშავა?! – იკითხა ვლადისლავმა და კეხიან ცხვირზე ხელი დაისვა.

— ფარჯიანია... მგონი, ილორში შეყვარებულს ჩამოაკითხა! – ქალმა ვითარება შემწყნარებლური ღიმილით შეამსუბუქა.

— მამა-შვილი ფარჯიანების ვინ არის?! – შტაბის უფროსის დაინტერესება ღიმილს ნამდვილად არ ითვალისწინებდა.

— ვინც უნდა იყოს... სახელმწიფო დამნაშავე ხომ არ არის?! – განაწყენდა ასანათი.

— ჰო, ამ შემთხვევაში შენი ბიჭის ბედი წყდება! – გონს მოსულივით წარმოთქვა ვლადისლავმა და მაამებლურად დასძინა: — შენი ქმარი ჩემი მეგობარი იყო, ავღანეთში ერთად ვიბრძოდით... შენ კი, ყველა აფხაზი მებრძოლი დედას გეძახის... ყველაფერს გავაკეთებ!.. – და სარელეო ტელეფონს დასწვდა, შინაგან საქმეთა მინისტრს დაურეკა, ძმაკაცურად მოიკითხა და ქართველი პატიმრის შესახებ ესაუბრა, საქმე ჩვენი დაღუპული თანამებრძოლის ვაჟს ეხებაო.

ბოლოს შტაბის მზარეული დამშვიდებული გამოისტუმრა, ეს საკითხი პირველი პირის დონეზე უნდა გადაწყდესო და, ორი დღის შემდეგ დაიბარა, არ ინერვიულო, ყველაფერი კარგად იქნებაო, ჩემი იმედი გქონდესო.

ასანათს ორი დღე ხანგრძლივ დროდ ეჩვენა, ზღურბლთან შედგა და პლატონოვიჩს მუდარით შეხედა.

— დრანდის ციხის უფროსთან მიშუამდგომლე, პატიმარს ვნახავ და ამანათსაც შევუგზავნი!..

შტაბის უფროსს შემწყნარებლურად ჩაეღიმა, აფხაზი დედის მზრუნველობამ გული მოულბო, ტელეფონს მიუბრუნდა და ციხეში დარეკა.

ქალი მაშინვე დრანდაში წავიდა, ვახტასთან ვადიმ ავიცბას გადაეყარა.

— შენ, არავინ გაგაწბილებს, ყველაფერი იღონე და ქართველი პატიმარი ციხიდან დროზე გაიყვანე! – ურჩია ზედამხედველმა და ირგვლივ მიმოიხედა, ვინმე ყურს არ მიგდებდესო.

ასანათი შეფიქრიანდა, ციხის თანამშრომელი აშკარად რაღაცას უმალავდა, სიმართლეს არ ეუბნებოდა.

— ქართველ პატიმარს ცუდად ხომ არ ექცევიან, ან საფრთხე ხომ არ ემუქრება?! – შეკითხვას მაინც არ დაერიდა.

— არა, უბრალოდ, ჩაკეტილში ყოფნა რა სასურველია!.. – თვალარიდებით მიუგო ზედამხედველმა და ისე გაეცალა, ბავშვიც კი დაეჭვდებოდა.

დრანდის ციხესთან ქარი წიოდა; თებერვლის სუსხს ზღვის მლაშე სინოტივე მოჰქონდა, შორიდან თითქოს თოლიების წრიაპი აღწევდა.

ასანათს ციხის უფროსი მასპინძელივით შეეგება.

— თქვენი ნახელავი კერძი ბევრჯერ გამისინჯავს და თქვენ ქმარსაც ახლოს ვიცნობდი! – შინაურულად უთხრა, მაგიდასთან დასვა, ყველაფრი მაცნობეს და მზად ვარ გემსახუროო.

— ქართველი პატიმრის ნახვა მსურს! – ქალმა აღარ დააყოვნა და პირდაპირ საქმეზე გადავიდა.

— ამანათი შემოგიგზავნეს?! – მრავლისმეტყველად იკითხა ციხის უფროსმა.

— დიახ!..

— ამ ეტაპზე სხვა არაფერი შემიძლია, კანონს ვერ დავარღვევ! – გადაჭრით თქვა კაცმა.

— გამოდის, პატიმარს გათავისუფლების შემთხვევაშიც ვერ წავიყვან?! – ასანათს სახეზე ალმურმა გადაჰკრა.

— ნუ ცხარობთ, რაკი ვლადისლავ პლატონოვიჩი გწყალობთ, ქართველი პატიმარი ყველა შემთხვევაში გათავისუფლდება, თუმცა, ეს იმას სულაც არ ნიშნავს, ციხიდან გავა და ჩვენი მეთვალყურეობის გარეშე დარჩება! – ღიმილით აუხსნა უფროსმა და მაგიდაზე თითები აათამაშა.

— ეს როგორ?! – ქალმა ვერაფერი გაიგო.

ციხის უფროსმა მრავალმნიშვნელოვნად გააქნია თავი.

— ედიშერ ფარჯიანი უბრალო პატიმარი არ

არის, იგი ტყვეა და მის უსაფრთხოებას კერძო პირი ვერ უზრუნველყოფს, ასეც რომ იყოს, აფხაზეთის ტერიტორიაზე მას ვერ ვენდობით, საშიში და დაუნდობელია! – კაცმა მეტი დამაჯერებლობისთვის წარბები მომშვილდა და ქალს თვალებში მიაჩერდა. – ყველაფერზე ჩვენ ვიზრუნებთ! – და მაგიდაზე თითები უფრო შთამბეჭდავად აათამაშა.

— ტყვე რატომ, ომის დროს ხომ არ ჩაუგდიათ ხელში?! – გაიოცა ქალმა.

— ჩვენ, ქართველებთან, ახლაც ომის მდგომარეობაში ვართ! – ციხის უფროსმა ამჯერად თითები შეატყუპა და მაგიდას მსუბუქად დაჰკრა.

ასანათს თითქოს მობეზრდა ექსტრემისტული პატრიოტიზმით შენიღბული ფრაზების მოსმენა.

— ვლადისლავ პლატონოვიჩთან დამაკავშირე! – ისე მკაცრად მოითხოვა, აშკარა იყო, გადაწყვეტილების დათმობას არ აპირებდა.

— აზრი არა აქვს, ამით არაფერი შეიცვლება! – იმედი გაუცრუა კაცმა.

— პატიმარს დედისგან მოკითხვას გადავცემ! – გაჯიუტდა ქალი.

უფროსმა თავშეკავებით გაიცინა.

— მოკითხვას თვითონ გადავცემ! – სავარძლის საზურგეს გადააწვა და შემრიგებლურად დასძინა: — დაფასებელი ქალი ხართ, საწყენია, რომ არ გვენდობით!.. – ზედმეტი მოგდითო, ვერ აკადრა. — აფხაზი ხალხის ინტერესებზე მაღლა ვერ დავდგები, ეს პოლიტიკის საკითხია, აფხაზ მოქალაქეს ქართველი პატიმრის ნახვის კი არა, თანაგრძნობის უფლებაც არ აქვს. დარწმუნებული ვარ, ედიშერ ფარჯიანის საქმე მალე თქვენი ვაჟის საკეთილდღეოდ გადაწყდება, როგორც კი ქართული მხარე ენგურის ხიდთან დაგიბარებთ, შეგვატყობინეთ და პატიმარს ჩვენი ძალებით მოგიყვანთ! – კაცმა ხელები გაშალა, მეტი რაღა გავაკეთოო.

ასანათს ერთხანს ხმა არ გაუღია, თითქოს სინდისი ქენჯნიდა, საკუთარი შვილის გამო მართლაც ზედმეტი მომდის და კეთილმზრახველ ადამიანს უნდობლად ვექცევიო.

— პატიმარი თავს როგარ გრძნობს?! – გულწრფელად დაინტერესდა.

კაცმა თავი გააქნია, ღილაკს თითი დააჭირა და კაბინეტში შემოსულ მდივან ქალს რეჟიმის უფროსის მოხმობა უბრძანა, „პატივს გცემთ ასანათ, თქვენ კი არ გვენდობით!" ისევ ჩაილაპარაკა და ციხის თანამშრომელს მსაჯულივით დაელოდა.

კაბინეტში სამხრედრო ფორმიანი მამაკაცი შემოვიდა, სტუმარს თავაზიანად მიესალმა და უფროსს მორჩილად მიაჩერდა.

— ეს ქალბატონი ჩვენი ვლადისლავ პლატონოვიჩის ახლობელია, ქართველი პატიმრის, ედიშერ ფარჯიანის ბედი აინტერესებს! – უფროსმა ხელქვეითს ისე აუხსნა, „ქალბატონისთვის" თვალი არ მოუცილებია, ახლავე ყველაფერში დარწმუნდებითო.

ციხის თანამშრომელმა უცოდველივით გაიღიმა.

— ფარჯიანს რა უჭირს, დამსვენებელივითაა!.. – და უაზროდ გაიცინა.

ასანათმა ციხის უფროსს შეწუხებისთვის მოუბოდიშა და კმაყოფილი დაემშვიდობა, კეთილი საქმისთვის ღმერთი გაგახარებსო.

ციხის ალაყაფი ავტომატურად გაიღო, ეზოდან „ბობიკი" ნელი სვლით გამოვიდა, შეიარაღებულ ბადრაგებს მიღმა თვალჩაღამებული ტუსაღი გამოჩნდა.

მანქანა გაურკვეველი მიმართულებით წავიდა.

ქალმა „ბობიკს" ნაღვლიანი მზერა გააყოლა და თვალწინ პატარა რუსლანი დაუდგა: ერთხელ ქართველმა ბიჭმა თავი გაუტეხა, დედა ბევრს ეჩიჩინა, მაგრამ დამნაშავის სახელი ვერაფრით დააცდევინა – სიმართლე მანამ ვერ გაარკვია, ვიდრე ის ბიჭუნა საკუთარმა დედამ ქეჩოთი არ მოაჩანჩალა და პატიება ათხოვნინა.

ციხიდან დაბრუნებულმა ქმრის საფლავს მიაკითხა, შენი რუსლანი ცოცხალიაო, გარდაცვლილის სულს უჩვეულო მღელვარებით აუწყა, აკლდამის ქვაზე ჩამოჯდა და განელებული წუხილით დადუმდა – წარსული გაიხსენა და დასამარებული სიყვარული გამოიტირა.

იმ ღამით შედარებით მშვიდად ეძინა — ქართველი დედის იმედი ჰქონდა — ჩემ რუსლანს არაფერს გაუჭირვებსო.

შავოსანი დედაკაცის თვალწინ რამდენიმე კარი გაიღო და ბოლოს მდიდრულად გაწყობილ კაბინეტში აღმოჩნდა. ხის ორნამენტებით მოჩუქურთმებული მაგიდის თავში თეთრთმიანი პრეზიდენტი იჯდა და შემოსულს თითქოს გამომცდელად მისჩერებოდა: ერთი ვნახოთ, მოთმინებას თუ შეინარჩუნებთ და აუდიენციის წესებს დაიცავთო – რაკი დარწმუნდა, ქალი ხმასაც არ გაიღებდა, თავაზიანად მიესალმა და სკამისკენ მიუთითა, მახსოვხართ და გულისყურით გისმენთო.

— თავს არ შეგაწყენთ, ამქვეყნად ერთდადერთი შვილი დამრჩა... მან უნდა მიჭირისუფლოს და მიწა დამაყაროს... აფხაზებმა დამიტყვევეს, უცოდველია, შეყვარებულის გამო ენგურს იქით გადავიდა... – ქალმა თავი დახარა. — ალბათ, წარმოგიდგენიათ, რა დღეშიც ეყოლებათ! – სინანულით დასძინა.

სახელმწიფოს მეთაურმა თავი გააქნია, სასოწარკვეთილ დედას თანაგრძნობით მიაჩერდა.

— ასეთ საკითხზე სპეციალური კომისია მუშაობს!.. – თავარიდებით წარმოთქვა, სხვა არაფერი შემიძლიაო.

— რუსთავის კოლონიაში ერთი აფხაზი პა-

ტიმარი სასჯელს იხდის, რვიდან ორი აქვს დარჩენილი, მის დედას ედიშერის გაცვლაზე შევუთანხმდი!.. – ქალი მისახვედრად დადუმდა, დანარჩენი თქვენზეა დამოკიდებულიო.

პრეზიდენტისთვის ყველაფერი ნათელი გახდა, ეს საკითხი დროულად უნდა გადაეწყვიტა და უფრო მნიშვნელოვანი საქმისთვის მიეხედა – უჩინარ ღილაკს თითი დააჭირა და აშშინებულ რეპროდუქტორიდან უშიშროების მდივანი გამოიძახა.

კაბინეტში საშუალო სიმაღლის, მელოტი მამაკაცი შემოვიდა, ქალს თავი დაუკრა და ხელისუფალს ფეხაკრეფით მიუახლოვდა.

— ამ ქალბატონს მოუსმინე და ყველაფერი გაუკეთე... უნდა დავეხმაროთ! – ბრძანა პრეზიდენტმა და რაღაც დოკუმენტს კირკიტი დაუწყო, მერე თავი ასწია და უშიშროების მდივანს გაკვირვებით შეხედა, გაუგებარი ხომ არაფერი მითქვამსო და, ქალს ზრდილობიანად გაუღიმა, კარგად ბრძანდებოდეთო.

უშიშროების მდივანმა შავებიანი ქალი დამშვიდებული გამოისტუმრა, კვირის ბოლომდე ყველაფერი გარკვეული იქნება, რუსთავის კოლონიაში მიხვალთ და აფხაზ პატიმარს წამოიყვანთო.

ვიდრე ქალი კანცელარიის შენობიდან გამოვიდოდა, მაღალი, გამომწვევი გარეგნობის ჯეელი მიუახლოვდა, მორიდებით შეაყოვნა, — დეიდა, დახმარება ხომ არ გნებავთ?! – დაჟინებით ჰკითხა და თვალებში ჩახედა, გამოიყენე ჩემი ძალაუფლებაო. „არა!" – ცივად მიუგო ქალმა და იქვე განაპირდა, თითქოს ვიღაცას დაელოდა.

ახალგაზრდა კაცმა ირონიულად ჩაიღიმა, მოშორებით დადგა და ვიღაცას ხელით ანიშნა, მომიახლოვდიო. მასთან სახენაიარევი ჭაბუკი მივიდა და ყურადღებით მოუსმინა, შავებიან ქალს ფარულად გახედა და დააკვირდა – უცქერდა და რაღაცაში მეგობარსაც ეთანხმებოდა.

ქალმა კანცელარიის შენობა სწრაფად დატოვა, უკან მოიხედა და სახენაიარევის შემაშფოთებლად გამჭოლი მზერა შენიშნა – ტანში უსიამოდ გააჟრჟოლა, მთელი დღე ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს სახენაიარევი ფეხდაფეხ დასდევდა და მიჩენილივით უთვალთვალებდა; ბოლოს ხელი ჩაიქნია, უსაფუძვლოდ ვეჭვობ და რაღაცას მივედ-მოვედებიო, ბიჭებს, როგორც ჩანს, ვიღაცაში შევეშალეო.

პარასკევ დილით, ვიდრე ირიჟრაჟებდა, დაძმასთან ერთად რუსთავის კოლონიაში გაეშურა.

ზორბეგის „ჟიგული" პირდაპირ ვახტის წინ გაჩერდა.

გათენდა.

აფხაზი პატიმრის „დეიდა" კოლონიის უფროსმა კარგა ხანს დააყოვნა, სათანადო საბუთები უნდა გაფორმდესო და, ვიდრე ერთერთი თანამშრომლისგან, ასეთ საქმეში გაწაფული რომ ჰყავდა, „სათანადო" თანხა არ მიიღო, თითი არ გაანძრია.

ბოლოს ლაკობა ვახტასთან მოიყვანეს და „დეიდას" ჩააბარეს — თითქმის ნახევარმა კოლონიამ გამოაცილა, „აფხაზო, არ დაგვივიწყო... თუ მოგენატრებით, შემოგვიარე!.." პატიმრები ხუმრობით ეთხოვებოდნენ.

„ჟიგული" ადგილიდან დაიძრა და ვიდრე გზატკეცილამდე გამოაღწევდა, ქალმა უკან ადევნებული შავი „ჯიპი" შენიშნა, დააკვირდა – მოეჩვენა, თითქოს საჭეს სახენაიარევი ჭაბუკი მართავდა და ტანში ციებიანივით გააჟრჟოლა. — თბილისისკენ არ წახვიდე! – ძმას უჩურჩულა და საპირისპირო მხრისკენ მიუთითა.

ზორბეგი დის რჩევას უნებურად დაემორჩილა და მარცხნივ გაუხვია, გეზი გარდაბნისკენ აიღო.

„ჯიპი" კვალდაკვალ აედევნა, თითქოს „ჟიგულს" უხილავი თოკით გამოება.

— იჩქარე!.. – გამოცრა ქალმა და ძმას გამაფრთხილებლად მიაჩერდა.

— დაწყნარდი! – გადაულაპარაკა ზორბეგმა და მანქანა დაბალ სიჩქარეზე გადაიყვანა, ალაგ-ალაგ შელახულ გზას ფრთხილად გაუყვა, თითქოს არსად ეჩქარებოდა.

ქალები დაიძაბნენ, აფხაზმაც დაეჭვებით მიმოიხედა.

— რა ხდება?! – გამომწვევად იკითხა და შესამჩნევად აფორიაქებულ „დეიდას" მოლოდინით მიაჩერდა.

— არაფერი! – იმედიანად მიუგო ქალმა და დადევნებულ მანქანას თვალმოწკურვით გახედა.

ამ დროს „ჯიპმა" ყურადღება მოადუნა და მანძილი დაკარგა.

„ჟიგული" კოლონიის სანახებს გასცდა და შედარებით ნორმალურ გზაზე გავიდა, მაშინვე სიჩქარეს უმატა და მდევარს შორს გაეცალა.

„ჯიპი" თითქოს გონს მოეგო და მსწრაფლ აიწყვიტა – გზაზე თანდათან გამოიკვეთა და თვალშისაცემი გახდა, ვეშაპივით ქშენდა და ავის მომასწავებლად ღმუოდა — ცხვირზე დამჯდარ „ჟიგულს" წუთი წუთზე გადათელავდა.

ზორბეგმა ქალაქის შესასვლელთან მარჯვნივ ჩაუხვია, საცხოვრებელ კორპუსებს შორის გზა გაიკვლია და სვანების დასახლებაში გულდაგულ შეიჭრა.

„ჯიპი" განაპირა კორპუსთან გაჩერდა, დადევნება ვეღარ გაბედა.

— გამომყევი, შენი!.. – მწყრალად გამოცრა ძმამ და უფროს დას კითხვის თვალით მიაჩერდა: „ამიხსენი, რა ხდება?!"

ბეთქილ უდესიანის ოჯახში მშვიდი სახეებით შევიდნენ, თითქოს არაფერი მომხდარა. მასპინძლებმა გულწრფელად გაიხარეს, რომელმა ქარმა გადმოგაგდოთო, სვანურად

გაიხუმრეს და მიკითხვ-მოკითხვის შემდეგ ვახშმის თადარიგს შეუდგნენ.

— რა უნდათ?! – გვერდზე გახმობილ დას წარბმოჭმუხვნით დაეკითხა ძმა.

— ჯანდაბა და დოზანა!.. – გაგულისებით თქვა ქალმა და ფიქრიანად დასძინა: — კანცელარიიდან ამეკიდნენ!

— რატომ?! – გაიკვირვა ზორბეგმა.

— ჰმ... რატომ და, აფხაზ ბიჭს ნაგვართმევენ, მერე გამოსასყიდს მოითხოვენ... ფულს ან ჩვენგან მიიღებენ, ან მისი პატრონისგან!.. – საგონებელში ჩავარდნილი ქალის თვალებში გულისწყრომამ გაიელვა.

— ფულს კი არა, ტყვიას მიიღებენ! – მოთმინება დაკარგა სვანმა და ჭიშკრისკენ გაიწია, თითქოს „ჯიპის" მოსაძებნად მიდიოდა, „დაცხრი!" მკლავზე დის ხელის შეხებამ შეაყოვნა.

— ბაცაცებთან ნამდვილად არ გვაქვს საქმე, ესენი რომელიღაც საძმოს, ან შეიარაღებული დაჯგუფების წევრები არიან, ყველგან მიუწვდებათ ხელი, მთავრობაშიც კი!.. – დარწმუნებით თქვა ქალმა. — ინფორმაციამ, მგონი, სწორედ ზემოდან გაჟონა!.. — ფიქრიანად დასძინა.

— კანცელარიიდან?! – აღშფოთდა ზორბეგი.

დამ თავი დაუქნია.

— რაღაც უნდა ვიღონოთ! – საქმიანად ჩაილაპარაკა.

კაცი ჩაფიქრდა, „ჰო!" ამოთქვა და სიგარეტს მოუკიდა.

— რუსლანმა ამის შესახებ არ უნდა შეიტყოს, უხერხულია! – შეწუხდა ქალი.

— ბეთქილს ყველაფერს ავუხსნი, აქაურ ბიჭებს დაგვახმარს! – გონს მოსულივით წარმოთქვა ზორბეგმა და, რახან საიმედო გამოსავალს მიაგნო, მშვიდად გააბოლა.

სტუმარ-მასპინძელმა ზომიერად ივახშმა და აქეთ-იქეთურზე ილაპარაკა.

ბეთქილი და ზორბეგი ეზოში განაპირდნენ.

სტუმარმა სიმართლე მიკიბ-მოკიბვის გარეშე აუწყა, დახმარება სთხოვა.

— სოფელ რუხამდე გვინდა ჩავაღწიოთ, სვანი ცოლი რომ ჰყავს, მოგელი თოდუა, მაგასთან გავჩერდებით! – დასძინა ბოლოს.

— უხ, მაგათი სინსილა გაწყდა... ვირთხებს იარაღი რად უნდათ, შინაური რომ გაამწარონ?! – გაცხარდა მასპინძელი, მჯიღი მაღლა შემართა და კბილები გააღრჭიალა. – სვანებს გაგაყოლებ, ვაუკაცები არიან, აფხაზეთში ნამრებს ყვავები ვერას დააკლებს! – დასძინა და „ყვავებს" გაჭრილად შეუკურთხა.

— დრო არ ითმენს, გვიან ღამით უნდა გავიდეთ! – შეახსენა სტუმარმა.

— ახლავე წავალ და ყველაფერს მოვაგვარებ! – არ დააყოვნა მასპინძელმა და სიბნელეში გაუჩინარდა, ხმაურზე აყეფებულ მეზობლის ძაღლს ხმამაღლა გაუწყრა და ჩააჩუმა.

თეთრ „ნივაში" ოთხი კბილებამდე შეიარაღებული სვანი იჯდა, „ჟიგულს" ხან წინ-წინ მიაცილებდა და ხანაც უკან მისდევდა; ისეთი შესახედავები იყვნენ, საბრძოლო აღჭურვილობა რომ არა, მთამსვლელები გეგონებოდათ.

ლამარა აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს, შავი „ჯიპი" ხომ არ მოგვდევსო, თითქოს თბილისის გასასვლელთან საეჭვოდ მდგარი მანქანა შენიშნა, დაიძაბა, მაგრამ სვანი გამცილებლები გაახსენდა და შვებით ამოისუნთქა.

სოფელ რუხამდე ისე ჩააღწიეს, წინააღმდეგობას არსად წაწყდომიან, შეიარაღებული სვანები საგუშაგოებზე საქმეს მშვიდობიანად აგვარებდნენ, „წესრიგის დამცველთ" მეგობრულად ესალმებოდნენ და გზას განაგრძობდნენ.

მოგელი თოდუას ოჯახში გამთენიისას მივიდნენ.

ნამძინარევი მასპინძელი სვანი ნათესავების უცაბედ სტუმრობას ნამდვილად არ მოელოდა, თუმცა არ დაბნეულა, მაშინვე შუაცეცხლი გააჩაღა და დიასახლისს ელარჯის ჩაზელვა შეუკვეთა.

სამი დღის განმავლობაში ენგურის ხიდთან სვანები სამჯერ მივიდნენ და სასურველი ვერაფერი შეიტყვეს.

აფხაზური მხარე ზუსტ დღესა და დროს ვერ ასახელებდა.

თემურ ჩაჩბა ცოლისდას თვალებში ვერ უყურებდა, აფხაზ დედას ვერ დააღალატებენო, ამოჩემებულივით იმეორებდა.

სვანებს საშინელი მოლოდინის ჟამი დაუდგათ.

რუსლან ლაკობაც თანდათან სიმშვიდეს კარგავდა, სახეზე უჩვეულო გამოცოცხლება ეტყობოდა.

ბოლოს, როგორც იქნა, ენგურის ხიდზე შეხვედრა დაინიშნა.

მდინარის ნაპირებს გაზაფხულის გრილი სიო უქიქინებდა.

„ჟიგულში" სამი სვანი და ერთი აფხაზი იჯდა — გაღმითა მხრიდან შემოხმიანებას მოუთმენლად ელოდნენ.

ხიდის მეორე ბოლოში აფხაზი ქალი იდგა, შუბლზე ჩამოშლილ თმას წარამარა ისწორებდა და „ჟიგულისკენ" დაჟინებით იცქირებოდა. მას მალე თემურ ჩაჩბა მიუახლოვდა და პირი აფხაზების ბლოკ-პოსტისკენ მიაბრუნა, „რატომ არ მოჰყავთ?!" – უკმაყოფილოდ იკითხა და სიგარეტს ხელაფარებით მოუკიდა.

რუსლან ლაკობა დედის სილუეტს ბუნდოვნად ხედავდა, თითქოს მის მზერასაც გრძნობდა და გულში უჩვეულო სითბო ეღვრებოდა – მოუსვენრად ცქმუტავდა.

ქართველ დედას მწარე მოლოდინთან ერთად სინდისი ქენჯნიდა, თითქოს აფხაზ დედაშვილს შორის ჩამდგარიყო და, ვიდრე მათგან საზღაურს არ მიიღებდა, ერთმანეთის ხილვას

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ აღირსებდა — შვილის გამოჩენას აწყლიანებული თვალებით ელოდა და უნებურად აფხაზ დედაზე ბრაზობდა, აქამდე როგორ ვერ დაიხსნა ჩემი ედიშერიო – ბოლოს მანქანიდან გადავიდა და ხიდის თავში გაჩერდა; დიდხანს გასცქეროდა გაღმითა მხარეს — ორი დედის მზერა ერთმანეთს აწყდებოდა – თითქოს მათ შორის მალე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაიმართებოდა და ერთ ერთისთვის სავალალო შედეგით დასრულდებოდა.

აფხაზი დედა ადგილიდან ფეხს არ ინაცვლებდა, შვილის ახლოს ყოფნას გრძნობდა და ვერაფრით ეკარებოდა, ვიდრე ქართველ დედას საკუთარ პირმშოს არ დაუბრუნებდა, რუსლანთან შეხვედრას ვერ მოესწრებოდა.

ენგურის ხეობაში ღამისეული ბინდი წვებოდა.

სიძე და ცოლისდა ერთმანეთს შუა ხიდზე შეხვდნენ.

— რა ხდება?! – ყრუდ გამოცრა ქალმა და აფხაზი დედისკენ მწველი მზერა სტყორცნა.

— ასანათიც გაოცებულია, რატომ არ მოიყვანესო, ნერვიულობს!.. – თავი იმართლა სიძემ. — სოხუმში დღესვე წავა, ყველაფერს გაარკვევს და ხვალ უეჭველად მოხდება გაცვლა! – დამამშვიდებლად დასძინა.

— აქამდე არ გაურკვევია?! – გულისწყრომა ვერ დაფარა ქალმა.

— რაღაცაშია საქმე... ეს ხვალ გამოჩნდება! – თავი დაიზღვია კაცმა.

— ვერ გავიგე?! – ცოლისდას სიძის სიტყვები არ ეჭაშნიკა.

— ყველაფერზე შეთანხმებული არიან... ეს დანამდვილებით ვიცი! – კაცმა მეტი დამაჯერებლობისთვის აფხაზ ქალს გახედა.

— ჩვენ წავალთ, ტყუილუბრალოდ ლოდინს აზრი არა აქვს!.. – გონს მოსულივით ჩაილაპარაკა ქალმა და ირგვლივ მიმოიხედა, უცებ სახენაიარევი ჭაბუკი გაახსენდა და აღარ დახანდა, პირდაპირ „ჟიგულისკენ" გასწია.

ქართველი დედის სილუეტს დანანებით მიაცილებდა აფხაზი დედის თვალები, რომელშიც ამქვეყნიური ულმობლობის შედეგი — უცოდველი ცრემლები დაგუბებულიყო.

ზორბეგმა მანქანა მოგელი თოდუას ეზოში შეიყვანა და თავისუფლად ამოისუნთქა.

შორს, ტყის მხარეს ავტომატმა დაიკაკანა და სივრცეში ზაფრიანი დუმილი დატოვა.

ზორბეგს შემთხვევით გაეღვიძა, გვერდით საწოლს გახედა და ზეზე წამოიჭრა, „აფხაზი გაიქცა!" მთელი ხმით იყვირა და გარეთ გავარდა – ბნელ გზაზე ვერაფერი გაარჩია და გეზი ენგურის ხიდისკენ აიღო, მალე ვიღაცის სილუეტი დალანდა და ხმამაღლა შესძახა: — რუსლან გაჩერდი!

აფხაზი ნელ-ნელა გარბოდა და უკან-უკან იხედებოდა, მდევრის ხმაზე კი მოუჩქარა, გზიდან გადაუხვია და უკაცრიელ მინდორს ნაპირ-ნაპირ გაუყვა.

დაფეთებული ძაღლები გაბმულად აყეფდნენ.

— დამელოდე, ნუ გარბიხარ!.. – ფეხის ხმასთან ერთად უკმაყოფილო სვანის ძახილი ისმოდა.

კაცი მთელი ძალით გარბოდა, იმედოვნებდა, აფხაზმა გზა არ იცის და მალე დავეწევიო. ბოლოს ვიღაცის ღობეს გადაევლო, ეზო გადაჭრა და გზის მოსახვევში ამოყო თავი – მანძილი მოიგო, ღია ადგილზე გამოსული რუსლანი კინაღამ ხელებში ჩაუვარდა.

— არ გრცხვენია, ბიჭო?.. სამაგიეროს ასე გვიხდი?! – ნამუსზე შეაგდო და მისკენ წაიწია.

— რისი უნდა მრცხვენოდეს?.. თქვენი ვალი მაქვს, თუ რა?! – ცინიკურად მიუგო რუსლანმა და უკან დაიხია.

ამ დროს სიბნელეში აქოშინებული ქალების ხმა გაისმა.

რუსლანი ადგილზე ფარხმალდაყრილივით შედგა, თითქოს გაქცევა იუკადრისა.

— მგონი შავ ჯიპს მოვკარი თვალი!.. – ძლივს ამოთქვა ლამარამ.

ადრეული გაზაფხულის მთვარე კოლხეთის ცაზე მშვიდად დანანაობდა.

— ჩემი გზით გამიშვით! – მომრიგებლურად ჩაილაპარაკა აფხაზმა.

— გაგიშვებთ, მაგრამ... – ჩემ ედიშერს ვინ დამიბრუნებსო, უნდოდა ეთქვა აფორიაქებულ დედას.

— რა გინდათ ჩემგან?! – მკაცრად იკითხა რუსლანმა.

— ჩემს ვაჟზე უნდა გაგცვალოთ!.. – აღარ დაუმალა ქალმა.

— გამცვალოთ რა, საქონელი ვარ?! – აფხაზის ხმაში შეურაცხყოფამ გაიჟღერა.

ქართველი დედა მუხლებზე დაეცა, მიხვდა, ნათქვამი უხეშად გამოუვიდა და, უნებლიეთ სიმართლე ამოაფრქვია:

— შენ ახლა ჩემი შვილი ხარ... ედიშერი კი დედაშენს ეკუთვნის, ერთმანეთს პირობა მივეცით, სიტყვას ვერ გავტეხთ, ედიშერი მე დამიბრუნდება, შენ კი – მას!..

აფხაზი მოლბა, დაჩოქილ ქალს მიუახლოვდა და წამოაყენა — მის მხარზე თავდაყრდნობილსა და მწარედ აქვითინებულს გულის მოოხების საშუალება მისცა.

— ყველაფერს ვხვდებოდი, არ უნდა დაგემალათ! – გაბზარული ხმით ჩაილაპარაკა.

— მერიდებოდა, შვილო, არ ეწყინოს-მეთქი! – ამოიფლუკუნა ლამარამ და ცრემლები მოიწმინდა.

ყველანი მოგელი თოდუას ჭიშკრისკენ გაუყვნენ.

აქა-იქ ძაღლები ისევ აყეფდნენ.

თოდუების კარ-მიდამომდე ცოტაღა რჩებო-

და, სიბნელიდან ორი შეიარაღებული თავდამსხმელი გამოიჭრა, „ხელები მაღლა!" მუქარის ხმა გაისმა.

მთვარის შუქზე სახენაიარევი ჭაბუკის ბოროტმა თვალებმა გაიელვა.

ქალები არ დაიბნენ, შეიარაღებულებს წინ გადაუდგნენ, მამაკაცებს გარიდებისა და სიბნელეში გაუჩინარების საშუალება მისცეს.

— ჩამომეხსენი, ესენი უნდა შევამოწმო!.. – მოძალადური უფლებამოსილებით გამოცრა სახენაიარევმა.

— არ გაეკარო, ნაკაწრიც რომ დააჩნდეს, თვალებს ამოგკორტნი! – ავის მომასწავებლად წარმოთქვა ქალმა და აფთარივით ეცა, ორივე ხელი იარაღზე წაუვლო.

მეორე თავდამსხმელს ნაზი ეკვეთა და თხრილისკენ წაუბიძგა.

ქუჩაში ძიძგილაობამ რამდენიმე მოსახლე გააღვიძა, ეზოებში ღამის სანათებმა გაიელვა.

აფხაზი ჭაბუკი ქართველი ქალების შეუპოვრობამ მთელი არსებით შეძრა – თითქოს სიბნელეს ხელიდან დაუსხლტდა, ნაზის ჩრდილს ამოეფარა, მარდად ისკუპა და სახენაიარევს თავი კბილებში ატაკა, მერე თხრილისკენ შებრუნდა და წონასწორობააღდგენილ მეორე თავდამსხმელს ფეხი მოუქნია... ხელიდან გავარდნილმა პისტოლეტმა ასფალტზე ყრუ ჭახანი გაიღო.

ამ დროს მოგელი თოდუას ომახიანი შეძახილი გაისმა: — რა ამბავია მანდ?! – მას სანადირო თოფებით შეიარაღებული ორი ვაჟიც თან ახლდა.

ქუჩაში სოფლის მაცხოვრებლებიც გამოიკრიფნენ.

მოშორებით ფარებჩამქრალი „ჯიპი" გამოჩნდა.

— კანონს არ ემორჩილებით... სულერთია, დედებს გიტირებთ! – დაიქადნა სახენაიარევმა, პირიდან სისხლი გადმოაფურთხა, მეწყვილეს მაჯაში წაეტანა და „ჯიპისკენ" გინებითა და მუქარით წაიყვანა.

— რუსლანი სად არის?! – მზრუნველი ხმით იკითხა ქალმა.

— სახლშია! – მშვიდად უპასუხა მოგელის უმცროსმა ვაჟმა.

იმ ღამეს არც სტუმარს სძინებია და არც – მასპინძელს.

ირიჟრაჟა.

ენგურის ხიდთან ნაზი წავიდა, რუსი სამშვიდობოების ბლოკპოსტის წინ სიძე შენიშნა. კაცი მისკენ გამალებით იყურებოდა; ბოლოს ხელი დაუქნია, სწრაფად მომიახლოვდიო.

— ოლიკოც აქ არის და აფხაზი დედაც, ედიშერს წუთი წუთზე მოიყვანენ! – ხიდზევე შეაგება და მოშორებით მდგარ ქალებისკენ მიახედა, თვითონ კი მის ზურგს უკან მიაპყრო მზერა, დანარჩენები სად არიანო.

— რუსლანს ახლავე მოვიყვანთ!.. – მოუჭრა ქალმა, მისკენ დაძრულ დას აღარ დაელოდა და სოფლისკენ შებრუნდა.

თავდაუზოგავად გარბოდა, ერთი-ორჯერ წაიქცა კიდეც, მუხლის თავები გადაიყვლიფა, თოდუების ეზოს მიუახლოვდა და ბოლო ხმით იყვირა: — ჩქარა, ჩქარა, ედიშერი მოიყვანეს!..

„ჟიგული" არავის გახსენებია, ყველანი გარეთ გამოცვივდნენ და ენგურის ხიდისკენ მოუსვეს – წინ აფხაზი ბიჭი გარბოდა, სამი დედმამიშვილი კი უკან მისდევდა და გზას უფარავდა, მოსალოდნელი მდევრისგან იცავდა.

უცებ შავი „ჯიპი" გამოჩნდა და დარჩენილი მანძილი სწრაფად დაფარა.

– მოუჩქარე, მოგვდევენ!.. – შეუძახეს აფხაზს და თვითონაც მოუჩქარეს.

მანქანა გაქცეულებს თანდათან უახლოვდებოდა.

ენგურის ხიდამდე ცოტაღა რჩებოდა.

ქალებს თანდათან სიქა ეცლებოდათ, მაგრამ ითმენდნენ და ძმასთან ერთად აფხაზ ბიჭს ფეხდაფეხ მისდევდნენ.

ამ დროს ოლიკო ფალიანი მათკენ გამოქანდა, რუსების ბლოკპოსტს გვერდი აუარა და დედმამიშვილებს მოაშურა, ხიდზე შემოვარდნილ აფხაზს გზა დაუთმო და ახლობლებს შეუერთდა – ახლა ოთხივე ერთად ხელიხელჩაკიდებული მორბოდა და მანქანას ეღობებოდა.

„ჯიპი" გზის გათავისუფლებას საშიში მანევრებით ცდილობდა, გაბმული სიგნალითა და ძრავის ღმუილით გასრესვას იმუქრებოდა – წინმავალთ ფეხებში აწყდებოდა.

სვანები გზას ცოცხალი თავით არ თმობდნენ.

მანქანა ენგურის ხიდთან გაჩერდა.

რუსლანი თემურ ჩაჩბას მიუახლოვდა – სულს ძლივს ითქვამდა.

აფხაზი დედა ვაჟისკენ დაიძრა.

დედა-შვილი ერთმანეთს თვალებში უყურებდა.

ამ დროს აფხაზების ბლოკპოსტს თეთრი „24" გამოსცდა და ხიდთან გაჩერდა. მანქანიდან ავტომატებით შეიარაღებული აფხაზი სამხედროები გადმოვიდნენ და უკანა კარი გამოაღეს, საიდანაც ახალგაზრდა კაცი ძლივს გადმოიყვანეს.

თემურ ჩაჩბა „24" – სკენ გაეშურა.

რუსი ოფიცერი ბლოკპოსტის წინ იდგა და ტყვეთა გაცვლის პროცესს გულგრილად აკვირდებოდა.

აქოშინებული ქართველი დედა ჭუბურხინჯის მხარეს იყურებოდა.

თემური მხარში შეუდგა ედიშერს და ნეიტრალური ზონისკენ წამოიყვანა – ნირწამხდარს თავი ჩაექინდრა, თითქოს ისეთი ცოდვა ჩაედინა, ცოცხალი თავით არავინ აპატიებდა.

ასანათი შვილს ორ ნაბიჯზე მიუახლოვდა, გაცისკროვნებულ თვალებში აუწერელი სიხარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ული ედგა, ცოტაც და, დავაჟკაცებულს, ჯანმრთელსა და უვნებელს გულში ჩაიკრავდა.

ქართველი დედა კი თანდათან ფერს კარგავდა, მუხლები ეკვეთებოდა; ბოლოს მოაჯირს დაეყრდნო და გულის შემაღონებლად აღმოხდა:

— დედა მოგიკვდეს, შვილო, ეს რა უქნიათ?! – და თვალები ცისკენ აღაპყრო.

აფხაზი დედა თითქოს გონს მოეგო, საკუთარი შვილიდან ქართველ ჭაბუკზე გადაიტანა მზერა და — გაოგნდა.

ედიშერი ცოცხალმკვდარს ჰგავდა, წამებისგან დასუსტებული და გასავათებული ჩაღამებულ თვალებს ძლივსღა ახელდა, ნახევრად ჩამოთლილ ყურზე ჭუჭყიანი ნაწიბურევი აჩნდა, გაღეღილი გულმკერდიდან ბლაგვი საგნით მიყენებული, მოუშუშებელი ჭრილობები უჩანდა – ცემისგან კბილებჩანთხლეულს, დაძონძილსა და მოუვლელს ისეთი შეშინებული გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს ყოველ წამს ვიღაცის თავდასხმას ელოდა.

ქართველი დედა ნაბიჯს არ დგამდა, მკაცრად დუმდა და შვილს არ ეკარებოდა, თითქოს აფხაზი დედისგან სამართლიან პასუხს ითხოვდა.

ასანათმა ახლა ქართველი ბიჭიდან საკუთარ შვილზე გადაიტანა მზერა და სახეზე სირცხვილის ალმურმა გადაურბინა — ღრმად ამოისუნთქა, აქეთ-იქით მიმოიხედა, თითქოს გასაქცევი მოძებნა და ადგილიდან მტკიცე ნაბიჯით დაიძრა, რუსების ბლოკპოსტს მიუახლოვდა, შეშის გროვასთან დაიხარა და მოკლეტარიანი ნაჯახი აიღო, ისევ ძველ ადგილს დაუბრუნდა, შვილისკენ ზურგით დადგა და შეიარაღებულ აფხაზებს მკაცრად გახედა.

მას გაოგნებული მისჩერებოდნენ.

— არაკაცებო, უღვთოებო და უდედოებო, ეს რა დღეში ჩაგიგდიათ ბიჭი, შეხედეთ ჩემ შვილს, როგორი დავაჟკაცებული, უვნებელი და საღსალამათი დამიბრუნდა... რა ვუთხრა ქართველ დედას?!. თვალები როგორ გავუსწორო?!. მისი შვილისთვის ნახევარი სიცოცხლე წაგირთმევიათ!.. ასეთი რა დააშავა?! მე ვარ აფხაზების დედა?! არა ვარ მე თქვენი დედა!.. და არამია, რაც თქვენთვის ამ ხელებს უკეთებია!.. წყეულიმც იყავთ... არა ვარ მე აფხაზების დედა!.. – აგონიაში მყოფი და იმედგაცრუებული ქალი თითქოს იმ აფხაზებს საყვედურობდა, ვისიც დღემდე მთელი არსებით სწამდა და მათზე ძვირს არავის ათქმევინებდა.

ბოლოს ყრუდ ამოიგმინა, თავისუფალი ხელი მოაჯირზე მოძულებით დადო, ნაჯახი აღმართა და მაჯის პირდაპირ გამეტებით დაუშვა.

ქართველი დედა წამისუსწრაფესად მოეგო გონს, გაექანა და, ვიდრე ორლესული რკინა აფხაზ ქალს მაჯას ძირში მოჰკვეთდა, მარჯვენა ხელი ნაჯახის ტარს შეაგება და მიმართულება შეუცვალა, „აარაა!.." ამოიგმინა და ხიდზე დაცემულ წყვილ თითს სასონარკვეთით დახედა – ქალი გულში ჩაიკრა და მისი გასისხლიანებული ხელი კაბის კალთაში მოიმყუდროვა.

აფხაზი დედა გაკერპებული იდგა, სადღაც შორს იცქირებოდა, თვალებიდან შენელებულ რისხვას აფრქვევდა და გულის შემაღონებელ ტკივილს ქართველი დედის თანაგრძნობით ითმენდა.

შავი „ჯიპი" იქაურობას მსწრაფლ გაეცალა.

აფხაზი ავტომატიანები ერთხანს თავდახრილები იდგნენ, მერე მანქანაში ჩასხდნენ და სოხუმისკენ გაუყვნენ.

რუსი ოფიცერი ორ დედას მიუახლოვდა, ერთს ნაჯახი ააცალა, მოსხეპილ თითებს თვალი შეავლო და ვიდრე შეტრიალდებოდა, რაღაც უკმაყოფილოდ ჩაიბურდღუნა, მერე ბლოკპოსტის წინ ჩამოჯდა და სიგარეტს მოუკიდა, თითქოს მასში სიბრალულმა გაიღვიძა, ისეთი ამბის მომსწრე გახდა, რისთვისაც დარდიანად გაბოლება ნამდვილად ღირდა.

უცებ ედიშერი ძალამოჭარბებულივით წელში გასწორდა, თვალები გაუცისკროვნდა, რუსლანს მრავლისმეტყველად გაუღიმა და თემურ ჩაჩბას ამაყად უთხრა:

— მალე დადგება ის დრო, როცა ბებერი ჯიხვის ყანწით აფხაზთა და ქართველთა ძმობის საღღეგრძელოს შევსვამთ!.. – და ილორის წმინდა გიორგის ტაძრისკენ იმედიანად გაიხედა.

კავკასიონის მწვერვალებიდან გაზაფხულის მზე დაურიდებლად ამოიწვერა.

ენგურის ხიდზე აფხაზი დედის სისხლისგან დაწრეტილი წყვილი თითი ისე ელაგა, როგორც ბრძოლის ველზე გმირულად დაცემული — ტყუპი ძმა.

მარა მიქარა

„მრავალჟამიერი"

სულში მზე, მზისებრ განათება,
ხმა მწყობრი, არა ქაოტური,
ბგერა — ხმა, ბგერა — გამართლება,
ბგერა სრულიად აორტული.
სულის თქმა, სულის განათლება,
სული, აქამდე არნახული,
ქართული გენის განახლება,
ქართული ენის გაზაფხული.
ბგერის ამოდ თქმა, ამოდ ფრქვევა,
ბგერა — ლექსივით გამოთქმული,
ფესვიდან მუხის ამოფრქვევა,
ხმა მწყობრი, არა ამორფული.
ცამდე ამაღლება წამიერად,
ბგერა გულიდან ამოთქმული,
ქართული „მრავალჟამიერი"
მადლიანი და ამოდ თქმული.

* * *

ვინატრე, ახლა იქ ვიყო,
სად სული მღერის ხვარამზის,
არც სხვა რამ სურვილს ვისურვებ,
არც სითბო მინდა სხვა რამ მზის.
უმანდოდ ისე ურვით ვარ,
გულში ჩამენთქას ქვა ლამის,
ჩემს სიყვარულში გიტყდები,
განა თქმა მინდა სხვა რამის!?
ვიცი,რა გულით მიმიღე,
მეც შეგაგებე სალამი,
ივრის ტალღებში ჩათქვიფე
ჩემი დარდი და ვარამი.
შენი სითბოთი მიპყარი,
შენი სიტკბოთი დამშხამე,
მანატრე კადაჩლის ნისლი
და ქუშხეურას ქვა-შლამი.
ფილტვები ამომიგლისე
მტვერით ვაჟაის ქალამნის,
შენს სიყვარულში გავცვითო
უნდა უცვეთი კალამნი.

* * *

მატარებელში ჩავსვი და
გავუშვი
პატარა ბავშვი.
მზე იყო თაკარა,
თვალები ანკარა —
მზე ცისფერ აუზში.
ჩამოვა,
ჩავკოცნი
გარუჯულ ლოყებზე,
არაფერს დავუშლი.
ვეტყვი — ჩემი ეზოს
მომეც მზე,
მომეც მზე!
და ქერა თმებს გავუშლი.
მატარებელში ჩავსვი და გავუშვი
დედულეთს ბავშვი.

მონოლოგი

დაუშვით ფარდა,
თამაში რა დროს,
დრო უქმად მიდის!
მე ვითამაშებ ყველაფერს...
ღალატის გარდა.
მე ვითამაშებ გალეწილ კალოს
და უმეფოდ დამსხვრეულ გვირგვინს,
სიცხისაგან დაღრეჯილ ზამთარს.
მე ვითამაშებ მონატრებას,
ნათმენს და ნაგრძნობს
და ტუჩებზე მიყინულ ღიმილს,
ვანსახიერებ სიხარულს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლითაც ხვდებიან ნაცნობს
და მოყირჭებას ათასჯერ ნანახი ფილმის.
მე ვანსახიერებ ყველაფერს,
ღალატის გარდა.
ვთამაშობ ბოღმას, სავსეს ყელამდე. . .
დაუშვით ფარდა!
არ სჭირდებათ დაფარვა როლებს,
არც სცენა მინდა,
მე ვითამაშებ მილეულ ღონეს,
სიყვარულს წმინდას.
სიჩუმეს ვიტყვი
და მივიღებ სიკვდილის სახეს,
ვითამაშებ შიშს ციცქნა ჩიტის,
მკერდით რომ ეკვრის
საზიზღარ მახეს.
მე ვითამაშებ სითამამეს და თავხედობას,
მე ვითამაშებ ისეთ რამეს,
მარტო სცენა რომ არ ეყოფა. . .
მე ვითამაშებ დახეთქილ ტუჩებს,
ცრემლიან თვალებს,
ხმაურისაგან გადაღლილ ქუჩას,
დაფერფლილ ღამეს.
მე ვითამაშებ როლს იმ საფერფლის,
რომელზეც ყრია სიყვარულის გაუცხოება.
არ მინატრია როლი არცერთი,
რაც არ ჩვევია თვითონ ცხოვრებას.
მე ვითამაშებ ჭკნობას,
სიცოცხლეს რომ ჩაუქრობს ყვავილს,
მე ვიქნები უღვინოდ თრობა
და საყვარელი ტუჩების კვალი.
და ვრჩები სახტად. . .
თამაში რა დროს!
მეძახის ცხოვრების სცენა. . .
დაუშვით ფარდა!
რა ვითამაშო?
ჯერ, ალბათ, რწმენა!

ჰელფოგი

ზღაპარი მერგო და იქცა სიზმრად,
სიზმარი მერგო და კოშმარს ჰგავდა.
კოშმარი დღეებს დასდინდა სისხლად,
სისხლი ღამეში წითლად ალდა.
ფლეთავდა ფოთლებს იმ ღამით ქარი,
კვნესოდა ქარი დაფლეთილ ხეში. . .
ზღაპარი მერგო, მერგო სიზმარი
და ჰგავდა იგი კოშმარებს შეშლილს.
მესმოდა ლოცვა და მოთქმად იქცა
და მოთქმა ქარის მუსიკას ჰგავდა.
შეშლილი იყო იმ ღამეს ის ცა,
რაღაც დაიწყო, რაღაც დამთავრდა. . .
მოვედი, რათა მეძებნა ქვეყნად,
ვეძებდი, რათა მეპოვნა ჩემში.
მთელი ცხოვრება ვაქციე ძებნად,
და ჰგავდა იგი კოშმარებს შეშლილს.

წვეთი

წვიმის პატარა წვეთი ვარ,
მიწა რომ ხარბად ისრუტავს,
ღრუბლიდან ჩამოგორება,
ფესვებთან ჩასვლა ვის უნდა,
ხელები გამომიწოდე,
ისევ სიმაღლე მისურვე.
თბილ პეშვში ჩავსრიალდები,
და როცა შენად მიგულვებ,
ცამდე ასწიე ხელები,
ისევ სიმაღლე მისურვე.

მხოლოდ ერთი

ბედო, ბავშვობაში დამაბრუნე,
ნამზე ფეხშიშველი მარბენინე,
ახალი ფეხსაცმლით მაბაკუნე,
დაკარგული მძივი მაპოვნინე.
ნუთუ აღარაა სხვა საშველი,
მხოლოდ ერთი გზაა გასავლელი,
ერთი ვარსკვლავია მხოლოდ ჩემი,
მხოლოდ ერთი გული — გასაცემი!

ლოცვები

ნატვრებს და სურვილებს ლოცვებში
ჩაგიწნავ,
ცოდვები მიმიძღვის ოდენი იოტის,
იყავი მფარველი, მტრებისგან დამიცავ,
მარად საფიცარო, წმინდაო გიორგი!
ჩემი სიყვარული ღრუბლებს აბარია,
მალე შეიძლება წვიმად დაიღვაროს,
მეტი მზე, მეტი მზე, წმინდაო მარიამ,
მომეცი უფლება ისევ შევიყვარო!
ძალა მიწყალობე მეტი ამაღლების,
ლოდინი ცოდვილის არ იყოს ამაო,
გზა გამიჩირაღდნე, სანამ გავთავდები,
კეთილად მაცხონე, უფალო მამაო!
ლოცვებთან — ამინი, ცოდვებთან —
ფიასკო,
ზეციდან ძახილი რეკვაა ზარების,
სანთლები დაგინთე, ჯვარცმულო იესო,
მწამს, ერთგულ რაინდად ამომეფარები!

მანანა მასალელი

ფლუგერი

უცნაურია. ქალაქში, სახურავებზე არასოდეს შემინიშნავს ფლუგერი. ჩვენს სახლებს არასოდეს ამკობდა ქარის მიმართულებით მობზრიალე შენობის კაზმულა.

უცნაურია. ქალაქში, ქუჩებში, მოედნებზე რამდენი ფლუგერი მოგვძალებია. განსაკუთრებით წალეკა ცისფერი ეკრანი.

უცნაურია. ეკრანზე ფლუგერები განსხვავებულნი არიან. ზოგი, სულ ადვილად ტრიალ-ბზრიალებს და უბერავს და უბერავს წარმატებისაკენ, ადგილისაკენ, სკამისაკენ მქროლავ წარმატების ქარს. ზოგიც, სანამ დაბზრიალდებოდეს და მქროლავი ქარის მიმართულებას გაარკვევდეს, მერყეობს, კოჭლობს და ბლუყუნებს. დანგრეულ-დანჯღრეულ ქანდაკს ჩამოგავს. ისეთი ბეჩავი სანახავია, გინდა შენც შეუბერო, მიეშველო და გასძახო: მიდი, იტრიალე! იბრძოლე თბილი ადგილისათვის! აჰყევი წარმატებისაკენ მიმართულ ქარის ქროლვას და ქარი აგიყვანს, ერთი საფეხურით მაინც, მაღლა. აბა, ჰე! გული ნუ დაგვილიე! არ გვაფიქრებინო, რომ ღმერთს შენც ახსენებ ხოლმე, სხვის ბედზე დაფიქრებული, სხვისთვის მლოცავი.

უცნაურია, არა? თქვენ რასა ფიქრობ?

ჩემთვის კი, ფლუგერი უდრის: სულის სიცარიელეს, ღმერთის გმობას, მოყვასის განწირვას, მატერიალურის კერპად აყვანას, ზოგ-ზოგ ადგილებში შეძრომას და იქგანცხრომით, თბილად ყოფნას.

მუხედოს მაჩსვალი

არ მკითხეს – ისე დამთესეს.

არ მკითხეს – ისე დამამწიფეს, დამკრიფეს, გადამარჩიეს, გამფცქვნეს.

არც ამჯერად მკითხეს და ქილაში, სიბნელეში სხვებთან ერთად მომათავსეს და მიბრძანეს: „წყნარად იჯექი! ბედნიერად იგრძენი თავი! ხომ ხედავ, შენთან ერთად კიდევ რამდენია! გარემოც შესაბამისი შეგიქმენით – მიკროელემენტები, სინოტივე... ერთი სიტყვით ფრიად მოსაწონი და შესატყვისი გარემო, შეიფერეთ და იბედნიერეთ“.

ერთხანს სიბნელეში ვიჯექი და ვცდილობდი ბრძანებისამებრ ჩემი მდგომარეობა შემეფერებინა. ვაყურადებდი ჩემს გრძნობებს და რა ვქნა, დამნაშავე ვარ, ალბათ. ალბათ სხვანაირი ვარ, არა მსგავსი სხვათა და ამიტომაც მიყურადებამ ჩემში ბედნიერების მსგავსი გრძნობის ელფერი ვერ აღმოაჩინა.

რა უბედურებაა, განძრევა ჭირს. მინდა თავი მაინც მოვაბრუნო და ჩემნაირებს შევხედო. იქნებ მათში აღმოვაჩინო ბრძანებით ნაბოძვარი ბედნიერება. შენც არ მომიკვდე! ჩაჭედილები ვართ. ერთიანად ძნელი ხდება იმის გარჩევა, თუ სად ვთავდები მე და სად იწყება – სხვა. სიბნელესა და გაუსაძლის სიმჭიდროვეში სუნთქვის ჩამი-ჩუმი არ ისმის.

რა ხდება? შიშმა დაისადგურა? რისი გვეშინია? ბრძანების შეუსრულებლობით დასჯის მოლოდინის? თუ ერთმანეთის უხილავი, დაფარული ავი ზრახვების?

მივხვდი! ვიცი სადაცა ვარ! ეს საპყრობილეა. სულის საპყრობილე, ბნელი, საშიში, აგრესიული. ვგრძნობ ამას, ვგრძნობ მთელი სხეულით. იმასაც ვგრძნობ, როგორ იზრდება აგრესიულობის მუხტი. ცოტაც და, სუნთქვას ვეღარ შევძლებ. მერე რაღა ვქნა? იქნებ სხვებიც ამას გრძნობენ? შეუძლია დაგროვილ აგრესიულობას აფეთქების გამოწვევა? დიდხანს ვეღარ გაუძლებს საპყრობილე ამ

ძალის მომძლავრებას... და რა შეიძლება მოხდეს? არ ვიფიქრო. არ ვიფიქრო. . .

რომელი უკეთესია — შიშით გაჟღენთილი მონობა თუ აგრესიის აფეთქება? აგრესიული მუხტის გამოთავისუფლება?

ტუჩები

მზის ნათება. ჭრიჭინობელები. ათინათინი. ფინჯანი ყავა... და... წუუუ...ბახ! წუუუ... ბახ! ბახ! ბახ! ვაიიი! წითელი... საიდან გაჩნდა ეს მეწამული ფერი?..

ფეხი... თავი... თვალი... ნგრევა-ნგრევა-ნგრევა!!!... ვაიიი!!! რა ხდება?! რატომ?! ვის რა შევცოდეთ?

იწვის! ტყე იწვის! სახლი იწვის! კაცი დგას... ახლა აღარ დგას! კაცი, ნაწილებად ქცეული!

ვაიიი! რკინის გოძილა რახრახებს. ჩექმა. მტრის ჩექმა ეკლესიას წიხლავს! რწმენას, იმედს თელავს! რა უნდა? რას მიჭყლიტავს გულს?! უუუ! საშინელი ხმა და ბუუხ! და შენობა იფერფლება. თავზე გემხობა.

ღობის ძირში კივილი. ვინ კივის? ისევ წითელი მძლავრობს. მწვანე, ხასხასა წითელ ფერად იქცა?! ტურა! ბევრი ტურა!

წუუუ! იიი! წუუუ! იიი! — ხმათა ღრეობა და უცებ... მუუუ! მუუუ! განწირული მუუუ! ტურებს წრე შეუკრავთ და ძროხას უტევენ! ძროხა იბრძვის! ბოლომდე იბრძვის! ტურები მძლავრობენ! ეს ამაზრზენი ცხოველები მძლავრობენ!

მიშველეეეთ!

გვიშველეეეთ! მუუუუუ!

ტურებმა გაიმარჯვეს. ძროხას ჯიქანი აღარ აქვს! ტურებმა ძროხას ძუძუები მოაჭამეს!

ბანნიჩელთა ჰიანეტა

იასამნისფერ, ალისფერ, ყვითელ, რუხ ფერთა ჩანაცვლება... ლაქოვანი, თხიერი, წებოვანი ფერები იღრეკა, სხეულის ფორებში ნელა, ზანტად, ზარმაცად, წვეთ-წვეთად იღვენთება და გბოჭავს, არტახებს გაკრავს და გლურსმავს საწოლზე. საწოლზე თუ სამარეში? ვლამობ ყვირილს, ასხლეტას... პირს ვაღებ და ფერთა თხიერი ნაკადი ახლა პირისკენ იკაფავს გზას, გწვავს ტუჩებს, ენას, სასას, ხორხს და მძიმედ, ტალღისებურად შიგნეულისკენ მიისწრაფვის. გაბრძოლებას ვლამობ!.. არაფერი გამომდის... სიცივე... სიცივე... საიდან მოდის ეს სიცივე? ვცდილობ გავერკვე.

ირგვლივ, გარსაწიერში, ქვეყნიერების რომელ მხარესაც კი სწვდება მზერა ყინულოვანი, უსიერი ასო მერტყმის. თითოეული ხე ყინულის ერთი მთლიანი ნატეხია, რომელსაც, როგორც ვეება ტორები ყინულისვე წიწვები გაუშვერია ყოველ მხარეს და საცეცებივით ათამაშებს. ჟამისფერი, სადღაც ქვესკნელიდან ამოტყორცნილი ნათება ყინულის საცეცებზე გარდატყდება და ფერთა აფეთქებას იწვევს. საცეცების წვეროები უცნაურ სახეცვლილებას განიცდის: იჭიმება, იგრიხება, იბურცება, იბერება და სადღაც ყინულის სიღრმიდან ამოწელილ ადამიანთა სახეებად ფორმდება. სახეები გამოკვეთილად არ ჩანს. ვიძაბები. ცოტაც და ტვინი ათას ნაწილაკებად გაიფანტება!

შორიდან თითქოს მესმის:

— რა გინდათ ჩვენგან, ბატონებო?! რა გინდათ ჩვენგან?

— გავგიჟებულვარ! ყინულოვანი ტყე ლაპარაკობს?!. გავგიჟებულვარ!!!

ძალას ვიკრებ და წებოვანი აკვნიდან ძლივძლივობით თავს ვიხსნი, მაგრამ ახლა უკვე ჟანგისფერი, მყრალი, ჟელესავით მოთახთახე სითხე ფეხებს ებღაუჭება. ჩემს ირგვლივ მრავალი სახე იწვერება. უფორმო, ცვალებადი... რამდენია? რამდენი სახეა? ვითვლი. მინდა რომ დავითვალო. ერთი, ორი, ათი... ორმოცი, ასი... ათასი... მეტი?.. კიდევ ბევრი?! ვაკვირდები გაშეშებული საშინელებით.

უამრავი წყვილი ყინულის ნატეხი მიცქერს. ჩამუქებული, ანარეკლის გარეშე დარჩენილი, საკუთარი ფერის, სიღრმის გარეშე, რადგან სიღრმე დიდი ხანია დალურსმნეს, რკინის დარაბებით დაგმანეს, ეკლიანი ხლართებით ლიბრი გადააკრეს.

ტაბუდადებულნი!

აი, თურმე სადა ვარ! აი ვის პირისპირ ვდგავარ!

სახეები ჩრდილში ექცევა და მხოლოდ ყვირილისათვის გამზადებული პირის ღრუები რჩება და უეცრად ზესკნელისაკენ აიტყორცნა შემზარავი კითხვა კივილად ქცეული:

— რა გინდათ ჩვენგან, ბატონებო?! სად თქვენ და სად ჩვენ?! მოდიხართ, მოდიხართ, გვიძვრებით სადღაც შიგნეულში და დაუფიქრებლად, უსულოდ, გულქვად გვკაწრავთ, გვფლეთთ, გვზელთ და გგონიათ, რომ როგორც თიხისაგან ღამის ქოთნებს ისევე ადვილად გამოგვჩორკნით, ყალიბში მოგვაქცევთ, გაგვასუფთავებთ?! რისთვის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ისევ სიბინძურით და სნეული სხეულიდან გამონაჟონი უწმინდურობით აგვავსოთ? მერე კი, გულამღვრეულებმა, ღებინებამდე მისულებმა თქვენივე, დიაღ, თქვენივე განავალით პირამდე აღვსილებს ჩვენ, თქვენ, კანონის ნიღბებით გამოწყობილმა კვლავ ტანჯვის გზა მოგვისაჯოთ? ხელები დაიბანოთ, ინდაურებივით გაიფხოროთ საკუთარი, საზოგადოებისათვის ვითომდა ღირებული, ძვირფასი ინტერესების დაცვით გამოწვეული ყალბი აღტაცების შეგნებით, საკუთარი ფილისტერული უღირსი ღირსებების მატარებლად იგრძნოთ თავი და რომელიმე ახლადგახსნილ კლუბში, სიბინძურის ძვირადღირებულ ახალი დროის ტაძარში, სადაც წმინდა ნინოს თმებით შეკრული ჯვრის მაგივრად მკერდთან ახლოს, ადამიანის სხეულის იმ ასოსთან ახლოს, რომელსაც ოდესღაც შეცდომით ყოველი წმინდა ადამიანური განცდების სამყოფელი შეარქვეს, ეშმაკის მიერ ჯოჯოხეთის შუაგულში უხვად დაბეჭდილი ფულის ნიშნების აჟღარუნებით გამარჯვებულებმა ზეაღაპყროთ თვალნი, რომელნიც არაფერს ხედავენ ამ ნიშნების გარდა, რადგან მხოლოდ ეს ნიშნებია სიძლიერისა და კაცობრიობის საზომი და ფიცი დასდოთ, რომ ბრძოლა საზოგადოების სიწმინდისათვის გაგრძელდება უკუნეთი უკუნისამდე! ეს კი გავიწყდებათ, ბატონებო, რომ წმინდა საქმე ჭუჭყიანი ხელებით ვერ გაკეთდება! ბატონებო, ვერ გაკეთდება! გზარავთ ჩვენი შეხედვა? ჰა, ჰა, ჰა, როგორ დაგეპრანჭათ სახეები! აბა, ერთი სარკეში ჩაიხედეთ. რას ხედავთ? თქვენა გგონიათ, რომ ეს თქვენი საკუთარი ანარეკლია? არა, არა და არა! ეს ჩვენა ვართ! თქვენი დაობებული, უნაყოფო საშოდან უბედურებისათვის შობილნი! შობის დღიდან დაწყევლილნი, დაწიხლულნი, გარიყულნი, უსიყვარულონი. არ მოგწონვართ? თქვენი გენი ასე გაუკუღმართდა? ვისი ბრალია მერე? თქვენ არ უარყავით ღმერთი? თქვენ არ დაანგრიეთ ტაძრები? თქვენ არ აღმართეთ უამრავი ყალბი კერპი და თაყვანი ეცით? ჰოდა დაგვანებეთ თავი! ჩვენ ჩვენი მივიღეთ! ახლა ჩვენ ჩვენი პლანეტა გვაქვს და ამ პლანეტაზე საკუთარი კანონები მოქმედებს. აქ სხვა ენა ბატონობს. თქვენი ლაპარაკი ჩვენთვის გაუგებარი და უაზრო ყიყინია. ჩვენი სმენა, მხედველობა, ყნოსვა, წონასწორობა გათიშულია თქვენთვის. იზოლაციაში ჩვენ თქვენ გაგგზავნეთ, ბატონებო! ეს ჩვენ გამოგიტანეთ სასჯელი, ჩვენ მოგკვეთეთ! იბრძოლეთ, დაიგლიჯეთ საკუთარი სხეულები ბატონობისათვის, ფულისათვის, სკამებისათვის და ეფემერული დიდებისათვის. ჩვენ კი აქედან შემოგყურებთ როგორ ცვივა და ცვივა, როგორ ეზღერთება, იმსხვრევა და მიწას ეგლისება სოციალური კიბიდან მტკივნეულად ძირს დანარცხებული ნაწიხლარი თქვენი სხეულები, რომლებსაც სულისა და ხორცის განშორება არ უწერიათ. სულებმა დიდი ხანია შეძრწუნებულებმა დატოვეს თქვენი ნაფერები ხორცის ტომრები, რომლებთაც თქვენ სარკიდან არეკლილებს სულელურად სხეულებს უწოდებთ.

არ მოგვეკაროთ! არ მოგვეკაროთ!

თორემ, ვაი თქვენ!!!

ყინულის ნამსხვრევები გაიზარდა, შეერთდა და დახეთქილ, დაბზარულ შავ-ყავისფერ ჩამონაღვენთ, ლაქადაფენილ უზარმაზარ ყინულის კედლად იქცა და შიშისმგვრელ, ჯოჯოხეთის კარიბჭიდან ზეატყორცნილ გუგუნად იქცა. ყურის დოლი ვეღარ უძლებდა ამ ეშმაკისეულ ვაებად და გმინვად ქცეულ კივილს თუ გოდებას.

გამომეღვიძა. კარგა ხანს თვალდაჭყეტილი გაუნძრევლად ვიწექი და შეძრწუნებული, ამღვრეული გონებით ვცდილობდი გარკვევას. როდის-როდის ჩემი ცნობიერება დაიწმინდა და უკუნეთში ნათლად გამოისახა, რომ სიზმარშიც ჩვენს მიერ დასჯილ და ჩვენივე უმეცრებით ვითომდა გამოსწორების გზაზე დაყენებული დამნაშავე და ამავე დროს თავისთავად უდანაშაულო ბიჭების ბედი არ მასვენებდა, რომლებიც ჩვენ თავად, ჩვენი გულქვაობით, ჩვენი უღმერთობით, ჩვენი გაუმაძღრობით, აღვირახსნილობით, ჩვენი დაუსჯელობით, ჩვენთვის და არა იმათთვის დაწერილი, ჩვეულებრივთათვის, კანონების საამო სიგრილეში მცოხნელი პირუტყვული ფეხზედაკიდებით, დამნაშავეთა გოლგოთის გზას გავუყენეთ და ჩვენთვის, ისევე როგორც ნებისმიერი სოციალური მოვლენა, ტკივილი, ცრემლი კაცისა გასართობ, უტვინო, უსულო, უაზრო დროის მოკვლის თუ დროსტარებისათვის, ცნობიერების დაწრეტისათვის ლუციფერის კარნახით შოუდ ვაქციეთ.

ბერნარდ შოუ

სხვა

13

უმრავლესობისგან უარი მოვიდა. თანხმობა მხოლოდ კინოსა და თეატრის რამდენიმე წარმომადგენელმა, ტაძრის წინამძღვარმა, მეორე დაფამ და მისმა ვაჟიშვილმა განაცხადეს. მათ ნაცვლად, ვინც უარყოფითი პასუხი გამოგზავნა, ახალი სტუმრების მოწვევა გახდა საჭირო, რომელთაც ან თითქმის არ იცნობდა, ან მაინცდამაინც გამოსაჩენად არ თვლიდა.

სირთულეების ზრდასთან ერთად, წარმატებულ მოვლენად ექცია ვახშამი, სითავხედე აკლდებოდა სხვას. „უნდა იცოდეთ, რომ ბოლო დროს საზოგადოებისგან შორს მეჭირა თავი. ცხადია, ნაცნობია ეს თქვენთვის. ზოგჯერ უფრო მეტად ტრიალებ გარეთ, ზოგჯერ კი საკუთარ თავში იკეტები. იმედი მქონდა, ეს მიღება საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამაბრუნებდა. კარგია, რომ მიიღეთ ჩემი მოწვევა. შემიძლია არა, იმედი მქონდეს?“ ერთ დღეს, როცა ტუალეტიდან გამოსულმა კაფეს ტერასაზე, სადაც საუზმობდნენ, ტელეფონს ჩაუარა, ყური მოჰკრა, როგორ ესაუბრებოდა სხვა ვიღაცას თავის ძველ მეგობარზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილ სახელმწიფო მდივანზე. „ვინ არის ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი, რომელთანაც მეგობრობთ?“

„თქვენ, განა თქვენ არ მითხარით, სამინისტროში ვმუშაობდიო და თქვენი რანგის კაცი ვინ იქნებოდა, უიმისოდაც ვიცი, გამიმხელდით თუ არა ამას.“

ვის წინაშე უნდა შეერცხვინა სხვა? იმ სტუმრების წინაშე, რომლებიც მასზე არანაკლებ უვარგისნი იყვნენ. ხანდახან წარმოიდგენდა, როგორ ეტყვის მას, ცნობილი მევიოლინე ქალბატონი, სამწუხაროდ, ვერ გეწვევათ. მოსალოდნელი შეხვედრით გახარებულმა, როგორც ყოფილმა მეზობელმა, წერილი მივწერე, მანაც მიპასუხა და მთხოვა, ჩემი გზავნილი საზეიმო ვახშამზე წაიკითხეო. ერთი შეხედვით ეს იქნება სიყვარულით სავსე და არა უხეში, უკმეხი წერილი, მაგრამ გაამასხარავებს და აბუჩად აიგდებს მასპინძელს. „მიხარია, ბოლოს და ბოლოს ფრთები რომ შეისხა შენმა იმედებმა. რა სიამოვნებით გავიზიარებდი ამ წარმატებას და თქვენს ზეიმს. ხვდები, ალბათ, რატომ ვამაყობ არა მარტო შენით, არამედ ჩემითაც. მაშინ გენდე, როცა არავის სჯეროდა შენი და ფულით დაგეხმარე. ახლა, როგორც იქნა, წარმოჩნდი საზოგადოების წინაშე!“

თითქმის დარწმუნებული იყო, რომ დახმარებაში, რომელიც სხვამ ლიზასგან მიიღო, ფული იგულისხმებოდა. ადვილად შეიძლებოდა იმის გარკვევა, გაკოტრდა თუ არა თეატრთან ერთად სხვა თერთმეტი წლის წინ. მას მხოლოდ თეატრის ახლანდელ მფლობელთან უნდა ესაუბრა. ლიზას ბანკისთვის არაფერი უკითხავს, ისედაც იცოდა, რომ მემკვიდრეობიდან, რომელიც ლიზამ გათხოვების შემდეგ მიიღო, არაფერი დარჩენილიყო. გაოცდა, როცა ცოლის საბანკო ანგარიშში ჩაიხედა. მას რომ ფული დაეხარჯა ან შვილებისთვის მიეცა, აუცილებლად ეცოდინებოდა. როგორ გაიადვილებდნენ ამ ფულით ცხოვრებას ქორწინების პირველ წლებში, მაგრამ გადაწყვიტეს, მხოლოდ მაშინ ეხლოთ მისთვის ხელი, თუ სხვა საშველს ვერ გამოძებნიდნენ. სხვა საშველი ყოველთვის ჩნდებოდა. მალე კი იმაზე მეტს შოულობდნენ, ვიდრე სჭირდებოდათ. ამიტომ იყო გასაკვირი, როდის და სად გაქრა ორმოცდაათი ათასი, მაგრამ ცოლის სიკვდილის შემდეგ ამის გარკვევის თავი არ ჰქონდა.

წერილი, რომელსაც სხვა' უნდა ემხილა, არ დაუწერია. მხოლოდ გონებაში ადგენდა გარკვეულ აბზაცებს, მაგრამ როგორც კი გადაწყვეტდა, ქაღალდზე გადაეტანა მონახაზი, ენერგია აღარ ჰყოფნიდა. თავდაპირველად ფიქრობდა, ჯერ კიდევ ბევრი დროა მანამდეო, შემდეგ კი სავარაუ-

დასასრული. დასაწყისი იხ. № 11,12

დო სტუმრები ხდიდა საეჭვოს წერილის საჭიროებას.

მაგრამ იმის გამო არა, ენერგია რომ აკლდა. მისმა ეჭვიანობამ და გაბრაზებამ დაკარგა ძალა. დიახ, მოტყუებული და გაქურდული იყო, მაგრამ განა ლიზამ საკმარისად არ ზღო? განა ბოლო წლებში ისეთი სიახლოვე არ ჰქონდათ, რასაც სხვა ვერ წარმოიდგენდა? რაზე ჰქონდა საერთოდ წარმოდგენა ამ უვარგისს და მკვეხარას. და ისე ცუდად რომ არ ყოფილიყო მაშინ ლიზა, სხვას მასთან დაახლოვების არავითარი შანსი არ ექნებოდა. არ ღირდა ამ უბადრუკზე ეჭვიანობა და გაბრაზება.

ქალაქის დატოვება გადაწყვიტა. თავდაპირველად სურდა სოროში წვეოდა და დამშვიდობებოდა, მაგრამ შემდეგ მეორე დღისთვის გადადო ეს ამბავი.

„დღეს მივემგზავრები", - განუცხადა საუზმობისას.

„როდისღა დაბრუნდებით? მხოლოდ სამი დღე დარჩა."

„აღარ დავბრუნდები. ვალის გადახდასაც არ გთხოვთ. იზეიმეთ მათთან ერთად, ვინც გეწვევათ. ლიზა არ მოვა."

„ლიზა?"

„ლიზა, დიახ, თქვენი ბორენა, ჩემი ცოლი. ამ შემოდგომას გარდაიცვალა. ასე რომ, მასთან კი არ გქონდათ მიმოწერა, არამედ ჩემთან."

სხვამ თავი ჩაქინდრა, ხელები მაგიდიდან აიღო, კალთაში ჩაიწყო და იჯდა თავდახრილი და მხრებჩამოყრილი. მოვიდა გაზეთის გამყიდველი, დადო უსიტყვოდ გაზეთი მაგიდაზე და უსიტყვოდვე წაიღო უკან. კიდევ ხომ არ ინებებთ რამესო? – იკითხა ოფიციანტმა, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო. ქუჩის ნაპირზე კაბრიოლეტმა ჩაიქროლა და აკრძალულ ადგილას გაჩერდა. მანქანიდან ორი ქალი გადმოვიდა, სიცილით გამოიარა ტროტუარი და გვერდით მაგიდას მიუჯდა. ტერიერი მაგიდებს შორის დაძუნძულებდა და ყველაფერს ყნოსავდა, სხვის ფეხებსაც მიუახლოვდა. „რითი გარდაიცვალა?"

„კიბო ჰქონდა."

„ძალიან იწვალა?"

„სულ დაილია. ისე მჩატე გახდა, ცალი ხელით შემეძლო მისი ტარება. ტკივილებს მაინცდამაინც არ დაუტანჯავს. დღეს ამას შველიან."

სხვამ თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად.

„ჩემი წერილი წაიკითხეთ?"

„დიახ."

„ჰოდა გინდოდათ გამოგერკვიათ, რას ვნიშნავდი ლიზასთვის? ვინ ვარ? შურისძიებას აპირებდით?"

„დაახლოებით."

„ახლა იცით ეს?" როცა პასუხი ვერ მიიღო, გააგრძელა. „შურისძიება აღსრულებულია, რადგან ისედაც უვარგისი ვარ, ბაქია და ტრაბახა, რომელიც გარდასულ დღეებით ყოყლოჩინობს, თითქოს ია-ვარდით ყოფილიყოს მისი გზა მოფენილი და არა ნარ-ეკლით, თითქოს არ ეწვნია გაკოტრება და ციხე. რა, არ იცოდით? ახლა ხომ იცით."

„რატომ?"

„თქვენმა ცოლმა ჩემი ვალები გაისტუმრა და მეორე პროცესისას ადვოკატის ფული გადამიხადა, მაგრამ ვერ გავუმართლე. ვცდილობდი, ჩემი თეატრი გადამერჩინა."

„მაგისთვის..."

„არ აპატიმრებენ ხომ? აპატიმრებენ, თუ ისე იქცევი, თითქოს ყველაფერი უკეთაა, ვიდრე სინამდვილეშია, თითქოს ფული არსებობს, როცა არ არსებობს, თითქოს კონტრაქტებს დებ, როცა მთელ თვალსაწიერზე არც ერთი დაინტერესებული პირი არ ჩანს, მსახიობებისგან თანხმობას იღებ, მსახიობებისგან, რომლებიც არასდროს გინახავს და რომლებთანაც არასდროს გისაუბრია. მაგრამ თქვენთვის ეს გასაკვირი არ უნდა იყოს. აკი მომწერეთ, საგნებს აყალბებ, ალამაზებო. დიახ, მე მათ ვალამაზებ, უფრო მშვენიერს ვხდი, ვიდრე არიან. შემიძლია ეს, რადგან თქვენგან განსხვავებით სილამაზეს ვხედავ მათში". წელში გასწორდა. „სიტყვებით ვერ გადმოვცემ, როგორ მეცოდება ლიზა". გამომწვევად იცქირებოდა. „თქვენ არ მეცოდებით. კიდევ მინდა რაღაც გითხრათ. ლიზა თქვენთან დარჩა, რადგან უყვარდით. ცუდ დღეებშიც უფრო უყვარდით, ვიდრე მე კარგ დღეებში. არ მკითხოთ, რატომ. მაგრამ ის ჩემთან ბედნიერი იყო. ამას კი გეტყვით, რატომ. იმიტომ, რომ ბაქია ვარ, ტრაბახა, უვარგისი და არა გავლენიანი, წესიერი, პირქუში მონსტრი, როგორც თქვენ. რადგან სამყაროს ვალამაზებ. თქვენ მხოლოდ მას ხედავთ, რაც წინ გიდევთ და არა იმას, რაც მის მიღმა იმალება. „მე ეს უნდა მეგრძნო. წერილები ისე პირქუშად ჟღერდნენ, როგორი პირქუშიც თავად ბრძანდებით. მე გალამაზებულად ვკითხულობდი მათ". გაიცინა. „აბა თქვენ იცით!"

14

სახლში დაბრუნდა. სახლის კარის უკან წერილები და ფოსტაში მოსული ამანათების შეტყობინებები დახვდა, რომელიც ფოსტალიონს შეეყარა კარის ჭრილში. დამლაგებელი მას შემდეგ არ გაჰკარებია აქაურობას, რაც ფოსტის გამოგზავნა სთხოვა. ნაგავიც არ გადაუყრია, გამგზავრების წინ სამზარეულოდან რომ გამოიტანა, მაგრამ ჰოლში დარჩა. ჰოდა, ყარდა ჰოლი და კიბის უჯრედი. ლიზას ყვავილები, ასე რომ უვლიდა მის სამახსოვროდ, დამჭკნარიყო და ერთმანეთს გადახლართვოდა დახეთქილ ნიადაგზე.

მაშინვე შეუდგა საქმეს. ნაგავი და ყვავილები გადაყარა, სამზადი დაალაგა, საყინულე გამოადნო და გაწმინდა, საერთო და საძინებელი ოთახები მტვერსასრუტით გამოასუფთავა, ლოგინი დააგო და სარეცხი გარეცხა. ფოსტიდან ამანათები გამოიტანა, რომლებიც ჯერ უკან არ გადაეგზავნათ. საყიდლებიც მოათავა და ბაღში შეიხედა, რათა ენახა, კიდევ რა ჰქონდა მოსაგვარებელი უახლოეს დღეებსა და კვირეებში.

საღამოსკენ დაიღალა. შუაღამე იყო, როცა უკანასკნელი სარეცხი გამოიღო მანქანიდან და გაკიდა. კმაყოფილი ჩანდა. ცხოვრების უსიხარუ-

ლო თავი დაასრულა; სახლი წესრიგში მოიყვანა და ხვალიდან თავისი ცხოვრებით ცხოვრებას დაიწყებდა.

მაგრამ მეორე დილით ისე გაიღვიძა, როგორც გამგზავრებამდე იღვიძებდა. მზე ანათებდა, ჩიტები ჭიკჭიკებდნენ, ფანჯრიდან მსუბუქი ნიავი უბერავდა და ახალგამოცვლილ თეთრეულს სასიამოვნო სურნელი ასდიოდა. ბედნიერი იყო, სანამ ყველაფერი გაახსენდებოდა: წერილები, ღალატი, ეჭვიანობა, წყენა და გაღიზიანება. არა, არაფერი დასრულებულა, არსად ჩამოსულა, არც ქვემოთ, საიდანაც თავიდან დაწყებას შეძლებდა, არც თავის ძველ ცხოვრებაში და არც ახალში. მისი ძველი ცხოვრება იყო ცხოვრება ლიზასთან ერთად, მისი სიკვდილის შემდეგაც, თვით მას შემდეგაც კი, რაც ღალატი გაცხადდა და ეჭვიანობამ შეიპყრო. სხვის წინააღმდეგ გამართულმა კამპანიამ მას ლიზა დააკარგვინა, ისევე გააუცხოვა მისგან, როგორც სხვა იყო უცხო. მობეზრდა, ყელში ამოუვიდა განვლილი ცხოვრების, ეჭვიანობის, ყველაფრისათვის ნათელის მოფენის და შურისძიების გათვლა-გამოთვლა. აქ იწვა ლიზა. მისი სიკვდილის შემდეგაც ისეთი ცოცხალი იყო მოგონება, ეჩვენებოდა, საკმარისია, ხელი გავშალო და მას შევეხებიო. ახლა ცარიელი საწოლი იდგა მისი საწოლის გვერდით. ბაღში შეუდგა საქმიანობას: მოთიბა, გათოხნა, გასხლა, სარეველა ამოთხარა, ახალი მცენარეები შეიძინა და დარგო. ნახა, რომ არყის ხის ქვეშ მერხის საჯდომი გამოსაცვლელი, ღობე კი ქუჩის მხარეს შესაღები იყო. ორი დღე იმუშავა. საქმე სამი, ოთხი და ხუთი დღისაც რჩებოდა, მაგრამ მეორე დღეს უკვე აღარ სჯეროდა, რომ ჩითილები, ვარდები და ბუჩქი ცხოვრებას მოუგვარებდა, (დაულაგებდა), თუ თოხს, ფოცხს ან მაკრატელს მოკიდებდა ხელს.

უკვე ვარდნისაც აღარ სჯეროდა. არც იმისი, ქვემოთ ჩაღწევას ახლის დასაწყისი მოჰყვებაო. ვარდნა და გამოკეთება ტკივილის და სირთულის გარეშე წარმოედგინა და უყვარდა ეს სურათი, მაგრამ ხომ შეიძლება სხვაგვარად ყოფილიყო ჩამოვარდნილი ხმაურით დანარცხებოდა ძირს და დამსხვრეული კიდურებით და გამსკდარი თავის ქალით გდებულიყო იქ.

მესამე დღეს შეწყვიტა მუშაობა. შუადღე იწურებოდა. საღებავი და ფუნჯი შეინახა და ნახევრად შეღებილ ღობეზე აბრა ჩამოკიდა: „ახალი შეღებილია". მატარებლის განრიგს ჩახედა. უნდა ეჩქარა. მიღება შვიდი საათისთვის დავნიშნეო-ბევრჯერ უთქვამს სხვას მისთვის. და ლიზასთვის გაგზავნილ უკანასკნელ წერილშიც ასე ეწერა.

მატარებელში ჩამჯდარი თავის თავს ეკითხებოდა, შემდეგ სადგურზე ხომ არ გადმოვიდე და შინ დავბრუნდეო; ადგილზე ჩასული კი – სასტუმროში ხომ არ წავიდე, ერთი-ორი დღე ქალაქში დავრჩე და ბოლოს და ბოლოს უბრალოდ, მისი სილამაზით დავტკბეო. მაგრამ ტაქსში ჩამჯდარმა მძღოლს Trattoria Vitorio Emanuele – ს მისამართი უთხრა. ტაქსიდან გადმოსული ეზოში გამავალ დარბაზისკენ გაემართა. დარბაზის კარი ღია იყო. ეზოში სტუმრები იდგნენ ორ-ორ ან სამ-სამად შეჯგუფულნი, სასმისებით და პატარა თეფშებით ხელში. სხვა ერთი ჯგუფიდან მეორესთან მიდიოდა. მუქი აბრეშუმის კოსტუმი, მუქი პერანგი, ჰალსტუხი და ცხვირსახოცი გულის ჯიბეში – ყველაფერი ერთმანეთს მისადაგებული, ბუდაპეშტური მოდელის ნაცნობი შავი ფეხსაცმელი, ხშირი შავი თმა, ცოცხალი სახე, ტანადი, მსუბუქი და თავდაჯერებული მოძრაობები – ვარსკვლავი იყო. კოსტუმი ითხოვა? თმები შეიღება? კორსეტი აცვია, თუ ასე შეისუნთქა მუცელი? – ეკითხებოდა თავის თავს და თვითონაც შეეცადა, მუცელი შეესუნთქა. ამ დროს დაინახა სხვამ და მისკენ გამოეშურა: „რა კარგია, რომ მობრძანდით!" იქაურობა მოატარა და სტუმრებს წარუდგინა, როგორც პენსიაში გასული სახელმწიფო მდივანი. თუ მე პენსიაში გასული სახელმწიფო მდივანი ვარ, ვინ უნდა იმალებოდეს ტაძრის წინამძღვრის, მსახიობების, ცნობილი კუტურიეს ქალების და მორცხვად მომღიმარე კოლეგების ქვეშ უძრავი ქონების სფეროდან? მეორე დაფა კი ნამდვილი იყო, პენსიონერი, სატვირთო მანქანის ყოფილი მძღოლი, რომელიც თავის საჭადრაკო დაფის მიღწევების აღწერისას ისე ამოძრავებდა ხელებს, როგორც სატვირთო მანქანის მართვისას მიხვეულ-მოხვეულებში. ნამდვილი იყო ვაჟიშვილიც, დაახლოებით ოცდაათი წლის ტელემექანიკოსი, ინტერესით და სიმშვიდით რომ აკვირდებოდა მამას და სტუმრებს.

სხვა უზადო მასპინძელი იყო. სასმისის ან თეფშის დაცარიელება, სტუმრის ეულად დგომა, საუბრის შეფერხება – არაფერი რჩებოდა უყურადღებოდ. ოფიციანტიც მუდმივ მზადყოფნაში ჰყავდა. მარტო მდგომს საუბარში ჩართავდა, ხელახლა აჯგუფებდა სტუმრებს, ვიდრე ყველას გაერთიანება არ მოახერხა. ნახევარი საათის შემდეგ ეზოს მხიარული ხმები ავსებდა.

როცა ჩამობნელდა, დარბაზში მიიწვია სტუმრები. პატარა მაგიდები ერთ დიდ სუფრად შეერთდა. სხვას თავად მიჰყავდა თითოეული მისთვის განკუთვნილ ადგილზე. პენსიაში გასული სახელმწიფო მდივანი სუფრის თავში, მარჯვნივ დაისვა, ტაძრის წინამძღვარი – მარცხნივ, მათ გვერდით კუტურიეს ორი ქალბატონი მოთავსა. უკვე ყველანი ისხდნენ, თვითონ კი ისევ ფეხზე იდგა. სტუმრებმა ეს დაინახეს და გაჩუმდნენ.

„მოგიწვიეთ, რათა თქვენთან ერთად ჩემი ძველი მეგობარი ქალბატონის სტუმრობა მეზეიმა, მაგრამ ის ვერ მოვა, გარდაიცვალა. საზეიმო შეხვედრა გამოსათხოვარ საღამოდ იქცა. ეს როდი ნიშნავს იმას, რომ მხიარულების უფლება არ გვაქვს. პირადად მე მხიარული ვარ. მხიარული, რადგან თქვენ მობრძანდით, ჩემი მეგობრები, ჩემი ვაჟიშვილი და ლიზას მეუღლე". პენსიაში გასულ სახელმწიფო მდივანს დაადო მხარზე ხელი. „ასე რომ, მარტო არ მიწევს მასთან გამოთხოვება. სევდიანი არ უნდა იყოს ლიზას საღამო, ლიზასი, რომელიც მხიარული ქალი იყო."

ჩემი ცოლი მხიარული ქალი იყო? ეჭვიანობის ტალღამ გადაურბინა. არ სურდა, იგი სხვასთან ყოფილიყო მხიარული და მასთან არა. ლიზა, რომელსაც სახე უბრწყინავდა, რომელიც იცინოდა, ბედნიერი იყო, მას შესციცინებდა, უცინოდა,

შვილებით, მუსიკით ან ბაღჩა-ბაღით გამოწვეულ ბედნიერებას და სიხარულს გადასდებდა, ძნელად ახსენდებოდა.

სხვა საუბრობდა ლიზას ოსტატობაზე, მისი რეპერტუარის მრავალფეროვნებასა და ინტერპრეტაციებზე და პირველი პულტის მეორე ვიოლინოს სოლისტად წარმოაჩენდა. თუმცა შემდეგ ყვებოდა, როგორ მოისმინა მილანში მისი შესრულებით იოსებ ჰაიდნის სიმებიანი კვარტეტის ადაჟიოს პირველი ვარიაცია ოპუსი 76 № 3: თითქოს ახლაც ესმის, როგორ იწყებს მისი ვიოლინო წყნარად აღმასვლასა და დაბლა დაშვებას, როგორ ცეკვავს მხიარული, მაგრამ ამავე დროს მოზომილი ნაბიჯებით; როგორ მიაცილებს დაღმავალ მელოდიას ქვითინ-ქვითინით და ვიდრე გაამხნევებდეს, მოლოდინით სავსე როგორ წამოიმართება კიდევ ერთხელ პატარა მოძრაობით. შემდეგ მელოდია ძალას იკრებს, კვლავ იწყებს აღმასვლას და დაბლა დაშვებას, გამომწვევად ადის ზემოთ, ამაყად შეჩერდება აკორდზე, როგორც ტერასაზე და ფართო კიბეზე მდგარი მშვენიერი ბაღის გავლით ქვემოთ დაეშვება ნათელი ღირსებით სავსე, სანამ მადლიერი და მადლობელი თავის დაკვრით არ დაგვემშვიდობება. ლიზას ვიოლინო კი აგრძელებს როკვას აღმა და დაღმა, რამდენჯერმე გამოიჭრება ღრმად და მტკიცედ, რათა გამოწვევას ენერგია შემატოს, სანამ სიამაყეს, რომლითაც მელოდია ტერასაზე შეყოვნდება და ღირსებას, რომლითაც კიბეებზე ჩამობრძანდება, მიუხედავად ვარიაციის ყველა მოძრაობისა, საკადრის პატივს მიაგებდეს. მაგრამ გამეორებისას, ვიდრე მელოდია იქამდე მიაღწევს, ტერასას აკორდზე აიჭრება ვითარცა ამბოხი. სხვამ შეისვენა.

მათ პირველ შეხვედრას ამ პიესის მოსმენა უძღოდა წინ? ხანგრძლივ ტურნეებში ორკესტრს ყოველთვის ჰქონდა პროგრამაში კვარტეტის გამოსვლა. კვარტეტი კონცერტმაისტერმა შექმნა ლიზასთან, ორკესტრის ალტისტთან და ვიოლონჩელისტთან ერთად. ამ დროს იხილა ლიზა და მაშინვე შეუყვარდა? შეუყვარდა, რადგან ასეთი ნაზი ქალი ასეთი სიძლიერით, გამჭრიახობით და გზნებით უკრავდა? შეუყვარდა და მისი ნახვის, მისგან რაღაცის მიღების სურვილი გაუჩნდა? ლიზა მაშინაც ასე უკრავდა, მან რომ გაიცნო. მაშინ ამას ხედავდა. მაგრამ შემდეგ ამისთვის ყურადღება აღარ მიუქცევია. შემდეგ ლიზა მისი ცოლი იყო, პირველი პულტის მეორე ვიოლინო, რომელიც საღამოობით ხშირად გვერდით არ ჰყავდა, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება დასჭირვებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ორკესტრიდან არასდროს ჰქონია რიგიანი ანაზღაურება.

სხვა არ ალამაზებდა სინამდვილეს, როცა სოლისტად წარმოაჩენდა ლიზას. მან დაინახა იგი, როგორც არაჩვეულებრივი მევიოლინე. სოლისტი იყო, პირველი თუ მეორე ვიოლინო, მეტად თუ ნაკლებად წარმატებული, მეტად თუ ნაკლებად ცნობილი – მისთვის დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა. იგი კი არ ალამაზებდა სინამდვილეს, ლამაზად მიაჩნდა. სილამაზეს პოულობდა იქ, სადაც სხვები ვერ პოულობდნენ, სათანადოდ ვერ აფასებდნენ და ატრიბუტებს, რომლებითაც ისინი აღფრთოვანებას გამოხატავდნენ, საკუთარი აღფრთოვანების გამოსახატავად იყენებდა. როცა სხვებს არაჩვეულებრივი მევიოლინე მხოლოდ ცნობილი მევიოლინეს ქვეშ შეეძლოთ წარმოედგინათ, იგი არაჩვეულებრივზე ლაპარაკობდა როგორც ცნობილზე. ამის მსგავსად ხედავდა ის, ალბათ, საკუთარ თავში Traubleshooter –ის, ბეისბოლის მოთამაშის ნიჭს და, თუგინდ, ჯილდოების მფლობელ დობერმანის პატრონს. იქნებ ჰქონდა კიდეც ამისი ნიჭი. რადგან სილამაზე, რომელსაც განადიდებდა, შეიცავდა არა მარტო უფრო მაღალ, არამედ კონკრეტულ ჭეშმარიტებასაც. ბოლოს და ბოლოს, იგი ხომ არ ლაპარაკობდა ლიზას, როგორც სოლისტის გამოსვლაზე, მაშინაც კი, თუ მისი ქება-დიდება ასე ჟღერდა სტუმრებისთვის, არამედ პიესაზე, რომელშიც, როგორც გამონაკლისი, მეორე ვიოლინო გადამწყვეტ, გულშიჩამწვდომ, მანათობელ პარტიას ასრულებდა.

ლიზას მხიარულებაც ჭეშმარიტი იყო. ლიზა მხიარული არც სხვასთან ყოფილა და არც მასთან. სხვასთან არ ყოფილა უფრო მხიარული, ვიდრე მასთან. იგი სხვადასხვა ხერხით გასცემდა მხიარულებას, იღებდა მხიარულებას და სხვებს ამხიარულებდა. სიხარული, რომელსაც ლიზა ანიჭებდა მას, უფრო მცირე კი არ იყო, არამედ ზუსტად იმდენი, რამდენსაც მისი მოუხეშავი და პირქუში გული დაიტევდა. ლიზას არაფერი დაუკლია მისთვის, ყველაფერი მისცა, რისი მიღების უნარიც გააჩნდა.

სხვამ დაასრულა სიტყვა და სასმისი ასწია. ვაჟიშვილი წამოდგა, ყველანი წამოდგნენ და ფეხზე დამდგარი შესვეს ლიზას შესანდობარი. შემდეგ ვაჟიშვილმა წარმოსთქვა პატარა სიტყვა მამაზე. ტაძრის წინამძღვარმაც ილაპარაკა წმინდა ელისაბედ უნგრელსა და ელისაბედ პორტუგალიელზე, რომელმაც ქმარი და ვაჟიშვილი შეარიგა. ეკლესიის მსახურს უცბად ბევრი შეესვა, სასმელი მოჰკიდებოდა და არეულად ლაპარაკობდა. ერთი მსახიობი ქალი ქალებზე და ხელოვნებაზე საუბრობდა, შემდეგ მუსიკაზე თეატრში, ბოლოს კი საკუთარ თავზე. მეორე დაფა წამოდგა, ჩანგალი მიუკაკუნა სასმისს და ენის ბორძიკით ითხოვა ყურადღება. ორატორი არ არის, მაგრამ როცა დამენბაუერი, რომელზედაც მრავალი წელია მუშაობს, მზად იქნება და გაიხსნება, იგი მას ლიზას გახსნას უწოდებს.

ზეიმი გვიან ღამემდე გაგრძელდა. ყველას დაემშვიდობა და ცარიელ ქუჩებით სადგურისკენ გაიქცა. ბაქანზე იცდიდა, სანამ სახლში მიმავალ პირველ მატარებელში ჩაჯდებოდა. ირიჟრაჟა, როცა მატარებელმა ქალაქი უკან მოიტოვა. მომდევნო დილაზე ფიქრობდა, იქ, შინ. გაიღვიძებს, მზეს დაინახავს, ჩიტების ჭიკჭიკს გაიგონებს, ქარს იგრძნობს, ისევ გაახსენდება ყველაფერი და ყველაფერი წესრიგში იქნება.

გერმანულიდან თარგმნა

ბელა სურგულაძემ





ილია ჭავჭავაძის ადრესატები

და მათი კულტურულ-საზოგადოებრივი გარემო

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 150 წლისთავისათვის გამოსცა **მისი** თხზულებების ოცტომეულის პირველი ტომი (1987წ.). აქ წარმოდგენილია პოეზია (ლექსები, პოემები, ექსპრომტები). რამდენიმე ნაწარმოებს აქვს ავტორის მიძღვნა: „მტკვრის პირას“ ლ. მაღალაშვილს, „აჩრდილი“ ვუძღვნი ივ. პალტარაცკის და ილია წინამძღვრიშვილს, „ქართვლის დედა“ ვუძღვნი პეტრე ნაკაშიძეს“ და ა.შ. ზოგიერთის ადრესატი **ავტორის** მიერ წარმოდგენილია სათაურში: „ს... ჩ... სას“, „გ. აბხ.“, „კოლა ერისთავს“, „ეკატერინე სარაჯოვისას“ და ა.შ. ზოგიერთისა კი — მითითებულია ტომის სამეცნიერო განყოფილებაში „ვარიანტები, შენიშვნები, კომენტარები“: „მაშინ დავსტკბები“ (ალექსანდრა/საშა ჩაიკოვსკაია), „ქართველ სტუდენტების სიმღერა“ (სოსიკო ვაჩნაძე), „გახსოვს, ტურფავ...“ (ელისაბედ/ლიზა სოლომონის ასული ჭავჭავაძე) და ა.შ. სადღეისოდ, დადგენილია ამ **ადრესატთა** ვინაობა. (1). გამონაკლისია:

ა) „კ. ბ. მ-სას“

ბ) „ალბომში კნეინის ნატალია ანდრონიკოვისას“

გ) „კნეიჟნა თიკოს ჭავჭ. ალბომში“

ა) „კ. ბ. მ-სას“ — ამთავითვე უნდა ვთქვა: **ადრესატი** არის მამაკაცი, წინააღმდეგ შემთხვევაში **ილია** აუცილებლად მიუთითებდა: კნ.[ეინა]. ლექსიდან ჩანს, რომ **ავტორი** თავის გულისტკივილს, რომელიც მეტად სათუთ, ფაქიზ ადამიანურ ურთიერთობებს შეეხება, უზიარებს **ადრესატს**, რომლის პასუხები გაცხადებულია **ავტორის** მიერ:

„ნუ, ნუ მაყვედრი, რომ ყოველს ჩვენგანს
ხელსა ვაწვდიდი მეგობრობისას,
რომ უარვყოფდი ჩემთ მოძმეთ შორის
სულის სიმდაბლეს, შხამსა მტრობისას...“

ავტორის თვისებას—

„მე კაცთ სიკეთის მხურვალე რწმენა
ჭირში თუ ლხინში წინ მიმიძღოდა“, —

ადრესატი უგუნურებად და შეცდომად თვლის, რასაც **ილია** ასე უპასუხებს:

„ნუ მეუბნები, რომ იგი იყო
უგუნურება და ცდომილება“...

ასეთი საუბარი ერთურთის კარგად მცნობ, ახლობელ ადამიანთა შორის შეიძლებოდა გამართულიყო.

ლექსი „კ. ბ. მ-სას“ 1877 წელს გამოქვეყნდა (2). იმდროინდელ საზოგადოებას, ცხადია, **ადრესატის** ამოცნობა არ გაუჭირდებოდა.

ილია ჭავჭავაძის კულტურულ-საზოგადოებრივ გარემოზე დაკვირვებამ მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ კრიპტონიმი კ. ბ. მ-სას ასე უნდა გაიხსნას:

კ. [ონსტანტინე] ბ. [აგრატიონ] მ. [უხრანსკი] — სას, რაც ნიშნავს: კონსტანტინე ბაგრატიონ-მუხრანელ**თან.**

თავადი კონსტანტინე ივანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელი (1838-1903) იყო პოლკოვნიკი, რუსეთ-ოსმალეთის ომში (1854-1855წწ.) მონაწილეობისათვის დააჯილდოვეს წმიდა გიორგის მეოთხე ხარისხის ორდენით, 1895-1901 წწ-ში — თბილისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლია. კონსტანტინე იყო **ილია ჭავჭავაძის** მეუღლის, ოლღა გურამიშვილის მამიდის, ხორეშან ზაალის ასულის (1786-1831) შვილიშვილი. ბაგრატიონ-მუხრანელების ამ ოჯახთან ილიას ურთიერთობა ჰქონდა დაქორწინებამდე. ამის დასტურია საცოლის — ოლღასადმი მისი კერძო

წერილები, სადაც ნახსენებია „მუხრანიანთ ლიზა“, „ირაკლი“, „გიორგი“ (3). ელისაბედ (ლიზა) ნიკოლოზის ასული ფალავანდიშვილი-ბაგრატიონ-მუხრანელისა (1840-1916) კონსტანტინეს მეუღლეა, ირაკლი (1813-1892) და გიორგი (1820-1877) — ბიძები. ეს უკანასკნელი სწორედ ის გიორგი ბაგრატიონ-მუხრანელია, რომელმაც ქართველებს „ძვირფასი საჩუქარი“ დაგვიტოვა: მცირერიცხოვან ერს გადაშენება, დიდ ერთან გათქვეფა გვიწინასწარმეტყველა (4). ამ საკითხზე აქ საუბარს არ გავაგრძელებ, მაგრამ მკითხველს შევახსენებ, **ილია** სწერდა: ა)1872 წელს პეტრე უმიკაშვილს: „მუხრანსკის ბროშურა წავიკითხე. აი ჩემი პასუხი: Лишь право сильного раб свято почитает“ (3), ბ) 1873 წელს—ოლღა გურამიშვილს: „გულხარიჩმა“ [დავით ერისთავმა ზ.ლ.] რუსულად ძალიან სხარტე ფელეტონი დაწერა ქალაქის არისტოკრატიაზედ <...>. გიორგი მუხრანსკის დაარქვა Князь Ассимиладзе-Синекурский...“ (3).

ბაგრატიონ-მუხრანელების ეს ოჯახი ილიას სასურველ სასიძოდ არ მიიჩნევდა: „არც ერთს შენს ნათესავს არ უნდა, რომ მისიძონ“, — წერდა ოლღას (3). ამის მიუხედავად, ილიას ურთიერთობა მათთან გაგრძელდა დაქორწინების შემდგომაც.

კონსტანტინეს მამა-ივანე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელი (1812-1895)-ერეკლე მეორის შთამომავალი, გახლდათ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე (1882-1885 წწ.), ხოლო ილია — მისი მოადგილე. კონსტანტინეს დედაა — ნინო ლევანის ასული დადიანი — ბაგრატიონ — მუხრანელისა (1816-1886), რომლის გარდაცვალების გამო, 1886 წელს ილიამ გამოაქვეყნა წერილი (2), სადაც ამ ქალბატონის ღვაწლზეა საუბარი.

არტურ ლაისტი იხსენებს: „ჩვენს [ლაისტი, ილია ზ.ლ.] საუბრებს ხშირად მხიარული ელფერი ეძლეოდა, როცა კონსტანტინე მუხრანბატონი და ვანო მაჩაბელი ღებულობდნენ ხოლმე მონაწილეობას მასლაათში“ (5). მისივე ინფორმაციით: დიღომში, კონსტანტინე მუხრანბატონისას, 1887 წელს, ილია ოქრომჭედლიშვილის პატივსაცემად, ივანე მუხრანბატონს გაუმართავს სადილი, რომელსაც ესწრებოდნენ: ილია, არტურ ლაისტი, გიგო გაბაშვილი (5).

ჩვენი აზრით, ლექსში „კ. ბ. მ-სას“ აღწერილი საუბარი კონსტანტინე მუხრანბატონის სახლში უნდა შემდგარიყო 1877 წელს მასპინძლისა და ილიას შორის.

ბ) „ალბომში კნეინის ნატალია ანდრონიკოვისას“

ნელი ტანის რხევა, ნაზი ქცევა მე შენი ვნახე,
არს შენნი თვალნი, განათალნი, ჭაბუკთათვის მახე,
ტუჩთა ღიმილი, შენი სიცილი გულსა ვისახე,
ორთა, ვით დათთა, ცელქობამ კავთა გიშვეს შენ სახე,

—

როს თამაშობა ქორწინობას მე შენი ვნახე.
გიძღვნი ამ ლექსსა საალბომოთ, სხვათა მივბაძე,
რომ მომიგონო, ძმათ მიგონო მე-ჭავჭავაძე.

კომენტარებში ვკითხულობთ: „ლექსის თარიღის მეტ-ნაკლები სიზუსტით დასადგენად აუცილებელია ვიცოდეთ, თუ კონკრეტულად როდის მოხდა ის „ქორწინება“, რომელიც ამ ლექსში მოიხსენიება, მაგრამ ამის თაობაზე არავითარი ვარაუდის გამოთქმა არ შეგვიძლია. <...> ნატალია ანდრონიკოვისა: ნატალია ანდრონიკაშვილი? მოხსენიებულია ილია ჭავჭავაძის სტუდენტობის დროინდელ ერთ კერძო წერილში (1858., 13 VII), რომელიც მან თავის ნათესავს ნენე დიმიტრის ასულ ჭავჭავაძე-ანდრონიკაშვილს გამოუგზავნა რუსეთიდან. წერილის კონტექსტის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნატალია იყო ნენეს მეუღლის — დიმიტრი ანდრონიკაშვილის და“ (1).

ჩვენი კომენტარი: „13-სა მარიამობისთვეს 1858-სა წელსა ს. ტიარლევო“-დან ილია ჭავჭავაძე წერილს უგზავნის ყვარელში ნენე (ნათლობის სახელი: ელენე) დიმიტრის ასულ ჭავჭავაძე-ანდრონიკაშვილს, რომლის მეუღლე იყო თავადი დიმიტრი თომას ძე ანდრონიკაშვილი (6). რომ მას ჰყავდა დაჲ-ნატალია, საარქივო მასალებით არ დასტურდება. დადასტურების შემთხვევაში კი დიმიტრი ანდრონიკაშვილის დაჲ **ადრესატი** ვერ იქნება, რადგან ლექსის სათაურშივე ჩანს, რომ **ნატალია** არის გათხოვილი-**კნეინა**. ე.ი. ანდრონიკაშვილი არის მისი ქმარი. ზემოთ დასახელებულ წერილში ნახსენებია „ძალუა ნატალია“. „ძალუა“ ნიშნავს — ბიცოლას (**ილია ჭავჭავაძისათვის** ზ.ლ.), ამ შემთხვევაში — ჭავჭავაძეების ოჯახის რძალს. ეს კი გახლდათ: ნენეს (ელენეს) ძმის, თავად დავით დიმიტრის ძე ჭავჭავაძის პირველი ცოლი: ნატალია დიმიტრის ასული თულაშვილი, გათხოვების შემდეგ — ჭავჭავაძისა (6) და, ცხადია, ისიც ვერ იქნება ლექსის ადრესატი.

XIX საუკუნის 50-იან წლებში ჩანს **ორი ნატალია ანდრონიკაშვილისა**. ერთი-მეუღლეა თავად ალექსანდრე გიორგის ძე ანდრონიკაშვილის (7), 1844 წელს მას უკვე ჰყავს ვაჟი დიმიტრი (8) და ვერც ის იქნება ლექსის ადრესატი. მეორე **ნატალია**, ქალიშვილობაში — მაღალაშვილი, დაიბადა 1839 წელს, დაქორწინდა 1853 წელს. მისი მეუღლეა თავადი ილია ანდრონიკაშვილი (8).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავიცნოთ **ნატალიას** ოჯახი: მამა — თავადი გრიგოლ იოსების ძე მაღალაშვილი (ს. ჩოჩეთი), დედა — სოფიო იოელის ასული ალექსი — მესხიშვილი (8) — ანჩისხატის დეკანოზის, სოლომონ ალექსი — მესხიშვილის (9) შვილიშვილი. **ნატალიას** ძმაა გეგე (გრიგოლ) მაღალაშვილი (1842-1922) (10) — ცნობილი ექიმი, საზოგადო მოღვაწე, სათავადაზნაურო ბანკის ზედამხედველი კომიტეტის წევრი, მკურნალობდა ივანე მაჩაბელს. მისი მეუღლე — ნინო (გარდაიცვალა 8.X.1904) (2) გახლდათ ქალიშვილი ექიმისა და მთარგმნელის, სარდიონ დიმიტრის ძე ალექსი-მესხიშვილის (1814-1863), რომელმაც ე.წ. „მამათა და შვილთა ბრძოლაში" ილიას პოზიციის საწინააღმდეგოდ გამოაქვეყნა წერილი „უსტარი ანტიკრიტიკული" (11). **ილიას** პასუხის — „სარდიონ მესხიევის კრიტიკის გამო" (12) — დაბეჭდვის ნებართვა საცენზურო კომიტეტმა არ გასცა და ავტორის სიცოცხლეში ის არც გამოქვეყნებულა. ილიასთან ახლობლობდნენ გეგე მაღალაშვილი, მისი მეუღლე — ნინო სარდიონის ასული, მათი შვილები: ბარბარე (1874-1927) და ივანე (1876-1930), სარდიონ ალექსი — მესხიშვილის შვილები: ლეონიდე — ექიმი, აპოლონი—გენერალ-მაიორი (გარდაიცვალა -01.XI.1909) (13), ლადო—მსახიობი (14), სარდიონი/ვალერიანი (1863-1939) — ექიმი და შვილიშვილი: შალვა ვლადიმერის ძე — იურისტი, ადვოკატი (14). სარდიონ/ვალერიანი ყვარლელ ჭავჭავაძეთა სიძე იყო, ცოლად ჰყავდა ალექსანდრა (საშა) გიორგის ასული ჭავჭავაძე (1864-1940) (6), რომელსაც ჯვრისწერისას (6.02. 1898) **ილიამ** უსახსოვრა მაცხოვრის ხატი (ინახება შთამომავლების ოჯახში. დალი ბაქრაძის ცნობა) და შავი როიალი „შრედერის" ფირმისა (ლალი ალექსი-მესხიშვილის ცნობა).

ნატალიას მეუღლე, თავადი ილია პაატას ძე ანდრონიკაშვილი დაიბადა 1832 წელს. მისი დედაა სალომე მელქისედეკის ასული ჭავჭავაძე-ანდრონიკაშვილისა (1798-1860). ეს ის ქალბატონია, რომელსაც ილიას დედის, მაგდანა (მარიამ) ბებურიშვილი-ჭავჭავაძის ნამზითვ კრებულზე 1847 წლის 18 მარტს მიუწერია: „უსაყვარლესო ძალუა, კნეინა მაგდან ჭავჭავაძისა, წავიკითხე ესე თქვენი წიგნი <....> გთხოვთ, მომიგონოთ, ძმაო და ძალუავ <...> დაი თქვენი სალომე მელქისედეკოვნა ანდრონიკოვისა" (15). „ეხლახან მამიდა სალომეს წიგნი მივიღე, ძალიან მიამა და ძალიან მადლობელიცა ვარ, ღმერთმა აცოცხლოს დიდხანს. მარამ ჩემ მაგიერ მოტევება სთხოვე, რომ ეხლა წიგნს ვერა ვსწერ შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა", — სწერდა 1859 წლის 18 თებერვალს პეტერბურგიდან ილია დას, ნინო ჭავჭავაძე — აფხაზს (3). აქვე დავძენ, სალომე და ილია ძმების, პაპუასა და ბესპაზის შთამომავლები არიან (იხ. ქვემოთ სქემა).

მაშასადამე, ნატალიას ქმარი ილიას ნათესავია. საარქივო საბუთის მიხედვით, ნატალია მაღალაშვილის და ილია ანდრონიკაშვილის ქორწინება 1853 წელს შედგა. უეჭველია, სწორედ მათ ქორწილს ესწრება ილია, რომელიც მოხიბლულა ნატალიას ცეკვით: „როს თამაშობა ქორწინობას მე შენი ვნახე".

ამ ლექსის თარიღად მიჩნეულ უნდა იქნას **1853** წელი, როცა მოხდა ქორწინება.

ნეფე-პატარძლის ოჯახის შემდგომი ისტორია კი ასეთია: შეეძინათ ერთი ვაჟი — დავითი (1863-1907 წლის შემდეგ) — კოლეგიის მდივანი, პრისტავი; მეტსახელად „შავი დათა" შეარქვეს, რომ გაერჩიათ დავით ზურაბის ძე ანდრონიკაშვილისაგან (1863-1918), რომელსაც „თეთრ დათას" უწოდებდნენ. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია სარდიონ ალექსი-მესხიშვილის არქივი, რომლის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ სარდიონს ფრანგული ენიდან უთარგმნია ბაირონის ნაწარმოებები, მათ შორის — „ოსკარ დ ' ალვა". არქივის მფლობელი ყოფილა დავით ილიას ძე ანდრონიკაშვილი (16). სარდიონის პირველი ცოლი იყო ანდრონიკაშვილის ქალი — ნინო სარდიონის ასულის დედა (ლალი ალექსი — მესხიშვილის ცნობა), ხოლო — ილიას ლექსის ადრესატის, ნატალია მაღალაშვილი — ანდრონიკაშვილის დედა-სოფიო იოელის ასული და სარდიონ დიმიტრის ძე ალექსი-მესხიშვილები — იყვნენ ბიძაშვილები; ამდენად ანდრონიკაშვილების ოჯახში სარდიონის ნაწერების მოხვედრა, სავსებით ლოგიკურია.

დავით ილიას ძე ანდრონიკაშვილმა ცოლად შეირთო ილია ჭავჭავაძის ახლო მეგობრის, გიგლო ყარალაშვილის (1844-1924) ქალიშვილი (პირველი ქორწინებიდან) — მარიამი (მაშო). შვილი არ ჰყოლიათ. ქვრივი მარიამი ცხოვრობდა სოფელში — შილდა, უვლიდა ნათლულებს და იქვე გარდაიცვალა. მის ოჯახში ინახებოდა წინაპართა დაგეროტიპები და ფოტოები (გიგლო ყარალაშვილის შვილიშვილის, ელისაბედ (ზიზი) რომანის ასულ პაჭკორიას ცნობა).

გ) „კნეიჟნა თიკოს ჭავჭ. ალბომში"

ჩემებრსა სუსტსა შენი ქება ვით შეეძლება?
შენ ხარ ქებაზედ აღმატებულ, ესე მეთქმება,
შენ თვითონ იცი, რაღა ფიცი მე მომინდება,
რომ შვენება შენი ქვეყნიერსა არ ედარება.
გთხოვ, ამ სუსტსა ლექსა ალბომში მისცე მცირედი ნილია,
რომ წარკითხვითა მიგონო მე შენი ძმაᲲ ილია.

ამ ლექსის შესახებ კომენტარებში ვკითხულობთ: „თავისი უფროსი დის — ნინოსადმი პეტერბურგიდან გამოგზავნილ წერილში (1859 წ. 8 II), უახლოეს ნათესავებთან ერთად, ილია თიკოსაც (ჭავჭავაძე?) უთვლის მოკითხვას. აშკარაა, თიკო ჭავჭავაძე ილიას ოჯახის ახლობელი იყო, მაგრამ ლექსის ადრესატის შესახებ რაიმე ცნობების მოძიება ვერ მოხერხდა" (1).

ჩვენი კომენტარი: ლექსის სათაურიდან ვიგებთ, რომ ადრესატი არის გასათხოვარი (ან გაუთხოვარი) — კნეიჟნა. გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურულ მუზეუმში დაცულია ხელნაწერი (ხ-19534); აქ ვკითხულობთ: „სია მზითვისა



მის ბრწყინვალების თავადის ზურაბ ჭავჭავაძის ასულის თიკოსი — ჩყნვ წელსა ნოემბრის სამსა დღესა სოფელი ყვარელი...“ (6).

თიკო-თინათინ ზურაბის ასული ჭავჭავაძე

თინათინ ჭავჭავაძის მზითვის სია (ფრაგმენტი. გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურული მუზეუმი)

(1835-1875) არის დაჲ ნიკოლოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძის (1829-1897), რომელიც ცნობილი იყო სახელით „დიდი ნიკო“ (6) (14). მისი გარდაცვალების გამო ილიამ გაზეთში „ივერია“ 1897 წლის 13 მარტს გამოაქვეყნა ხელმოუწერელი წერილი (ელენე როსტომაშვილი-ჭავჭავაძის ცნობა) (17) . თიკო-თინათინის და „დიდი ნიკოს“ მამიდაა ზემოთდასახელებული სალომე მელქისედეკის ასული ჭავჭავაძე — ანდრონიკაშვილისა. მაშასადამე, **ილიას** ლექსის ადრესატის, ნატალია მაღალაშვილი — ანდრონიკაშვილის ქმარი — ილია პაატას ძე ანდრონიკაშვილი და თიკო-თინათინი ბიძაშვილ-მამიდაშვილები არიან.

თიკო-თინათინ ზურაბის ასული ჭავჭავაძე 1856 წლის 4 ნოემბერს დაქორწინდა (6). მზითვის სია ქორწინებამდე ერთი დღით ადრე შეუდგენიათ. მისი მეუღლე იყო ჩუმლაყელი თავადი, გიორგი (ასლან) დიმიტრის ძე ავალიშვილი (1821-1885). იოსებ გიორგის ძე ანდრონიკაშვილის (1860-1940) მოგონებების მიხედვით ირკვევა, რომ თიკო და გიორგი (ასლანი) ილია ჭავჭავაძის მოთხრობის — „კაცია — ადამიანი?!“-ს პერსონაჟების — დარეჯანისა და ლუარსაბის — პროტოტიპები არიან (17).

1859 წლის 18 თებერვალით დათარიღებულ წერილში საკუთარი დისადმი, ილია წერს: „თიკო თუ მანდ იყოს, მოკითხვას მოვახსენებ“(3). „თუ მანდ იყოს“ — მიგვანიშნებს, რომ თიკო შესაძლოა იყოს ყვარელში. ამ დროისათვის ის გათხოვილია და, ბუნებრივია, ჩუმლაყში, თავისი ქმრის ოჯახში უნდა იმყოფებოდეს.

ტომის კომენტარებში სწორადაა შენიშნული, რომ **ილიას** კერძო წერილში მოხსენიებული **თიკო** და ლექსის **ადრესატი**, ერთი და იგივე პირია. ამ ლექსს უზის სავარაუდო თარიღი: 1852-1856 წ.წ., რის შესახებაც იხ. ქვემოთ.

ამავე ლექსის შესახებ შენიშვნებში ვკითხულობთ: „ლექსში გასწორდა ერთი კალმისმიერი ლაფსუსი: ლექსა —> ლექსსა. გასწორდა აგრეთვე კნეიჟნა — > კნიაჟნა“ (1).

ამ „გასწორებამ“ ბევრი კითხვა გამიჩინა: რატომ არ გასწორდა ზემოთდასახელებულ ლექსში „ალბომში კნეინის ნატალია ანდრონიკოვისას“ სიტყვა „კნეინის“? რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, აკადემიური გამოცემა გულისხმობს ავტორის ხელიდან გამოსულ ტექსტს, რომელიც მნიშვნელოვანი და საინტერესოა როგორც მეცნიერისათვის, ასევე მკითხველისათვის. თუ ავტორისეული ტექსტი მკვლევართა მიერ ხელყოფილია აკადემიურ გამოცემაში, აზრი აქვს კი მის გამოცემას? აკადემიური გამოცემა პოპულარულისაგან ხომ უნდა განსხვავდებოდეს? აქვთ უფლება მეცნიერებს თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმები „ასწავლონ“ მწერლებს, მეტადრე კლასიკოსებს? და ა.შ.

ახლა, რაც შეეხება სიტყვას — „კნეიჟნა“.

Княжна — თავადის გასათხოვარი ან გაუთხოვარი ასული,

Княгиня— თავადის ცოლი.

ეს სიტყვები ჩვენმა ენამ ამ ფორმით ვერ იგუა და გააქართულა. მივიღეთ: „კნეინა“ და მისი გავლენით: „კნეიჟნა“, შემდეგ — „კნიაჟნა“ (რუსულ ენაში უფრო რომ გავიწაფეთ ქართველები!). წერდნენ „კნეიჟნა“და ასევე მიმართავდნენ გასათხოვარ, ახალგაზრდა ქალს არა მხოლოდ XIX, არამედ XX საუკუნის 60-იან წლებშიც კი თავად-აზნაურთა ძველი თაობის უკანასკნელი წარმომადგენელნი, მაგრამ სჯობს ისევ **ილია** დავიმოწმოთ: 1858 წლის 13 მარიამობისთვეს (აგვისტო) იგი სწერს ზემოთდასახელებულ ნენე (ელენე) ჭავჭავაძე-ანდრონიკაშვილს: „ჩემი კატუნა მგონი კატუნა აღარ იქნება, ეხლა კ ნ ე ი ჟ ნ ა (დაყოფა ჩემია. ზ.ლ.) ეკატერინე დიმიტროვნა არის“ (3).

როცა **ავტორი** სიტყვის ერთსა და იმავე ფორმას ორჯერ იყენებს, მეცნიერს აქვს უფლება მას „გაუსწოროს“?

ახლა ისევ ილიას **ადრესატებს** მივუბრუნდეთ: გიგო (გიგლო, გრიგოლ) ნიკოლოზის ძე აფხაზი, **ილიას** დისწული, პოეტის ლექსის — „გ. აბხ.“ — ადრესატიცაა და კერძო წერილებისაც (3). ილიას ლექსში ნინო ჭავჭავაძე — აფხაზისადმი „ჩემი გონებიდგან განუშორებელო დაო ნინავ!“ ნახსენებია გიგო:

„შენსა შვილსა, ჩემს დისწულსა გიგოსა,
მაგ ვარდის კონას, დრამის წონას, გვრიტოსა...“ და ა.შ.

ლექსს უზის სავარაუდო თარიღი — 1852 წ(1). გიგოს დაბადების თარიღად — საარქივო საბუთებზე დაყრდნობით — 1854 წელს მიიჩნევს გენეალოგი იური ჩიქოვანი (6). ეს თარიღია ნაჩვენები ს. დუმინისა და პ. გრებელსკის წიგნშიც (8). ამის გამო ეს ლექსი 1854

წელზე ადრე ვერ დაიწერებოდა. და კიდევ, ერთი ნიუანსია გასათვალისწინებელი: სტრიქონში — „მაგ ვარდის კონას, დრამის წონას, გვრიტოსა“ — სიტყვა „დრამი“ (დრამა — დაახლოებით 3 გრამი) მიგვანიშნებს, რომ ბავშვი ჩვილია.

ტომის შენიშვნებში ვკითხულობთ: ყრმობისდროინდელი ლექსები „ ავტოგრაფში ილიას მიერ ასეთი თანამიმდევრობითაა ჩაწერილი <...> 6. ალბომში კნეინის ნატალია ანდრონიკოვისას 7. კნეიჟნა თიკოს ჭავჭ. ალბომში 8. ჩემი გონებიდგან განუშორებელო დაო ნინავ“ (1) .

ილიასეულ ამ ლექსთა თანამიმდევრობას ადასტურებს ჩვენი კვლევის შედეგიც და



ყვარელელი ჭავჭავაძეები

და კიდევ ერთი, ამჯერად უსახელო ადრესატის შესახებ: **ილიას** ავტოგრაფიულ კრებულში 1861 წლის 6 აგვისტო-ოქტომბრის თვეებს შუა მოთავსებულია ლექსის —

„დიამბეგის შვილს ნანა, პატარა დიამბიკოს...“— სამსტრიქონიანი ფრაგმენტი (1).

1858 წლის 13 აგვისტოს ზემოთნახსენებ ნენე-ელენე ჭავჭავაძე-ანდრონიკაშვილს ილია სწერდა: „მიამა სიძე დიმიტრის დიამბეგობა...“(3). მაშასადამე, სიძე — ნენე-ელენეს მეუღლე — დიმიტრი თომას ძე ანდრონიკაშვილი 1858 წელს დიამბეგად დაუნიშნავთ. ამავე წერილში **ილია** მათ შვილებსაც ასახელებს:

1) „ჩემი კატუნა მგონი კატუნა აღარ იქნება, ეხლა კნეიჟნა ეკატერინე დიმიტროვნა არის“. — ჩანს 1911 წლის 24 იანვარს, თბილისში ოლივერ უორდროპის პატივსაცემად გამართულ საღამოზე (18). 2)„პოხრო ვანო ისევ ცელქია...“ — ვანო-ივანე დიმიტრის ძე (1852-1910 წლის შემდეგ) — თელავის ქალაქისთავი, ცოლად ჰყავდა გენერალ-ლეიტენანტის, კონსტანტინე ქრისტიფორეს ძე მამაცაშვილის (19) ქალიშვილი — ეკატერინე. 3) „ლელო, ცემი ლელუსკა, პაწაწა ლელუსკა...“ — ლელო-ლევან დიმიტრის ძე. (1854-1898 წლის შემდეგ) — „კოლეჟსკი სოვეტნიკი“, ი ლ ი ე ლ ი (ილია ზურაბიშვილის გამოთქმაა. ზ. ლ.), ე.წ. ბანკობიადაზე ილიას პოზიციის დასაცავად მუშტი-კრივსაც არ ერიდებოდა; ცოლად ჰყავდა ანა ზაქარიას ასული ანდრონიკაშვილი (8). 4)„ქვეყნის მშვენიერების გვირგვინი, ედემის ვარდი, განხორციელებული ანგელოზი, თქვენი პატარა ქალი...“ — N დიმიტრის ასული, სავარაუდოდ 1857-1858 წლებში დაბადებული. ნათესავის, ანიკო ვაჩნაძისადმი წერილში ამ ბავშვებს **ილია** უწოდებს „ნენეს ბუჭულებს“(3).

„დიამბეგის შვილს ნანა“ მიგვანიშნებს, რომ 1861 წელს, ნოემბრის თვემდე ანდრონიკაშვილების ამ ოჯახს მეხუთე შვილი შეჰმატებია, **ილიას** სიტყვით: „პატარა დიამბიკო“ — N დიმიტრის ძე.

წერილის ადრესატი ნენე-ელენე და **ილია** ძმების — ივანე (გლახა) და პაატა ჭავჭავაძეების შვილიშვილები არიან. (იხ.სქემა.) ნენე-ელენეს მეუღლე, თავადი დიმიტრი თომას ძე ანდრონიკაშვილი, 1858 წელს დიამბეგად დანიშნული, „პატარა დიამბიკოს“ მამა — მეფეების: ერეკლე მეორისა და სოლომონ პირველის შთამომავალია. ამ ოჯახის გენეალოგიური ხაზი ასეთ სურათს გვიჩვენებს: ანდრონიკაშვილი სიმონ ქაიხოსროს ძე (? — 27.02. 1819 ასტრახანი) (9), მისი მეუღლე, ბარბარე (1769-1801) გიორგი მეთორმეტის ასული, ერეკლე მეორის შვილიშვილი ⟶ თომა (1786-1847), მისი მეუღლე, ანასტასია (1788-1838) ელიზბარ ქსნის ერისთავის ასული, სოლომონ პირველის შვილიშვილი (8) ⟶ დიმიტრი, მეუღლე ნენე-ელენე ჭავჭავაძისა.

ანდრონიკაშვილების გენეალოგიურ ტაბულაში № 51 (8) ნენე-ელენესა და დიმიტრის ვაჟის, ლელო-ლევანის შთამომავლობა არ ჩანს, ხოლო ილიას მიერ ნახსენებ „პოხრო ვანოს“ ჰყოლია შვიდი შვილი: კონსტანტინე, ელენე, ვლადიმერი, თამარი, მარიამი, ალექსანდრე, ნინო. კონსტანტინეს (1889-1962) შვილთაგან ჩანან: ელენე (1923 წელს დაბადებული, ბავშვობაში გარდაცვლილი), ელენე (დაიბადა 1929 წელს), ირინე (დაიბადა 1938 წელს).

1917-1921 წლებში რუსეთის იმპერიასა და საქართველოში მომხდარი უმძიმესი პოლიტიკური კატაკლიზმები ამ ოჯახსაც შეეხო: ვლადიმერი (დაიბადა 1892 წელს) 1917 წელს დაილუპა, ელენე (1890-1984) და თამარი (1897-1928 წლის შემდეგ) საკუთარი ოჯახებით იძულებით ემიგრაციაში წავიდნენ, მარიამი(1899-1980) ცხოვრობდა მოსკოვში მეუღლესთან ერთად. საქართველოში დარჩნენ კონსტანტინე, ალექსანდრე და ნინო.

ალექსანდრე ივანეს ძე ანდრონიკაშვილმა (1900-1939) ცოლად შეირთო თამარ ღოღობერიძე (1901-1940), რომლის მამა, დავით ბესარიონის ძე ღოღობერიძე (20) ძმებთან ერთად სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში, სადაც გაიცნო ილია ჭავჭავაძე. ღოღობერიძეთა (ანეტა, გიორგი, ნიკოლოზი, დავითი, სიმონი) ღვაწლის შესახებ აქ საუბარს არ გავაგრძელებ, მხოლოდ აღვნიშნავ, რომ 1864 წელს (მაისი-ნოემბერი), საგლეხო რეფორმების პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით ქუთაისში მივლინებულ ილიას ეს ოჯახი უწევდა მასპინძლობას (3).

თამარ ღოღობერიძის დედა, მარიამი (1861-1939), გახლდათ ქალიშვილი სადახლოელი თავადის, მიხეილ ივანეს ძე მელიქიშვილისა (1819-1894) (2), რომელმაც დაარსების პირველსავე წლებში ქართველთა შორის წერა-კითხვის

გამავრცელებელ საზოგადოებას შესწირა პაპის, საგარეჯოს მოურავის, მეფე ერეკლე მეორის სუფრაჯის, გიორგი ჩოლოყაშვილის კუთვნილი წიგნი „პარაკლისი" (მოსკოვი. ათანასე ამილახვრის სტამბა. 1767), რომელზედაც ამ ოჯახის წევრთა დაბადების თარიღებია მიწერილი (21). ეს წიგნი მზითვად ერგო მიხეილ მელიქიშვილის დედას, მაკა გიორგის ასულ ჩოლოყაშვილს (9).

მარიამ მიხეილის ასული მელიქიშვილი და დავით ბესარიონის ძე ღოღობერიძე იყვნენ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრები. მარიამის მოგონებები ილია ჭავჭავაძეზე, ამ დრომდე გამოუქვეყნებელი, დაცულია გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურულ მუზეუმში.

დავითსა და მარიამს, თამარის გარდა, ჰყავდათ ვაჟები: მიხეილი და ნიკოლოზი. მიხეილი (მიშა) — ბაქოს გიმნაზიის მეხუთე კლასის მოწაფე — 1902 წლის 2 ივნისს გარდაიცვალა (22), ნიკოლოზი (ნიკუშა) 1937 წელს დახვრიტეს კომუნისტებმა (გულნაზი ბაქრაძის ცნობა).

თამარი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, დაქორწინდა ალექსანდრე ანდრონიკაშვილზე. შეეძინათ სამი შვილი: ტურანდოტი (1932-1958), ინესა (1937-1998), მიხეილი (გარდაიცვალა ყმაწვილობაში). მშობლების გარდაცვალების შემდგომ ბავშვებს მზრუნველობას უწევდნენ: მამიდა, მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის მსახიობი, ნინო ივანეს ასული ანდრონიკაშვილი (1901-1953), მისი მეუღლე, გრიბოედოვის სახელობის თეატრის მსახიობი, ანატოლი დიმიტრის ძე სმირანინი (6.01. 1893-15.02.1971 მოსკოვი. მაყურებელი მას იცნობს ფილმიდან „ადამიანი-ამფიბია",სადაც ასრულებდა გუტიერას მამის როლს), ბებიის, მარიამის ძმისწული, მაკა ნიკოლოზის (კიკოს) ასული მელიქიშვილი (1911-1995)და ოლგა დიმიტრის ასული სერბეევა - აბაშიძისა, სოფიო აბაშიძე - ქართველიშვილის (1928-1984) დედა (გულნაზი ბაქრაძის, მარინა გიგინეიშვილის, თენგიზ რუსეიშვილის ცნობები.)

შალვა დადიანი იხსენებს: „ერთხელ "შალვას ყურე" დავარქვი პაწია აგარაკს, თბილისის მახლობლად, სოფ. ბაგებში" (23). ზაფხულობით აქ ისვენებდნენ დები ანდრონიკაშვილები,რომელთა ახლო ნათესავი იყო დრამატურგის მეუღლე, მსახიობი ელო ანდრონიკაშვილი (24) (გულნაზი ბაქრაძის ცნობა).

ინესა ალექსანდრეს ასულ ანდრონიკაშვილის ქალიშვილი, ელენე (ლიკა) ზურაბის ასული წერეთელი და მისი შვილები არიან ნენე-ელენე ჭავჭავაძისა და დიმიტრი ანდრონიკაშვილის შთამომავლები, ჩვენი თანამედროვენი.

ლიტერატურა:

1. ჭავჭავაძე ილია, თხზ. სრ.კრ. ოც ტომად, ტომი I, 1987, გვ. 89, 365; 179, 479, 199, 496;101,379; 121, 413; 303, 530; 304, 530, 71, 345-348; 105, 389-390; 112, 402; 151, 426; 293, 525; 294, 525-526; 283-284;518-520;309,534;408-409;533;410.
2. „ივერია", 1877, №4; 1886, №238; 1904, №256;1894,№119.
3. ჭავჭავაძე ილია, თხზ. სრ.კრ. (პ. ინგოროყვას რედაქციით), ტ. X, 1961, გვ. 182, 197, 198, 204, 206, 224, 228, 234; 38; 269; 223; 12-15; 8-9;17 81-84;241.
4. იხ. მისი ბროშურა: „О существе национальной индивидуальности и об образовательном значении крупных народных единиц", 1872 (გაზეთ Кавказ –ის დამატება).
5. ილია, მოგონებები გარდასულ დღეთა, „მერანი", 1987, გვ. 343.
6. ჩიქოვანი იური, თავადი ჭავჭავაძეები, თბ; „არტანუჯი", 2002, გვ.25; 15; 59; 14-15;11; 32-ე და 33-ე გვერდებს შორის ჩანართი.
7. ქართლ-კახეთის თავადთა და აზნაურთა ოჯახები, ფოტოტიპიური გამოცემა ზურაბ ჭუმბურიძის რედაქციით, თბ, „არტანუჯი",2005, გვ. 89 №286.
8. Думин С. Гребельский П. Дворянские роды Российской империи, Т. 4, Князья Царства Грузинского, М., 1998, стр.128, 120, 162, 100,121,278,119.
9. ბერძნიშვილი მ. მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, წიგნი I, 1980, გვ. 117-118, 121-122;წ.2,1983,გვ110,101-102.
10. გაზეთი „ტრიბუნა", 1922, №203.
11. „ცისკარი", 1861, № 6.
12 ჭავჭავაძე ილია, თხზ. სრ. კრ. ოც ტომად, ტ.4 1991, გვ. 114-118, 635-637;
13. „დროება", 1909,№ 243
14. ქსე, ტ. I, 1975, გვ. 302; ტ. XI, 1987, გვ. 379
15. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქ.შ.წ.კ.გ. საზ-ის (S)კოლექცია, ტ. I, 1959, გვ. 70, საბუთი № 62.
16. კუჭუხიძე მ. ბაირონი და XIX საუკუნის ქართული მწერლობა, 1992, გვ. 32-39.
17. ილია ჭავჭავაძე თანამედროვეთა მოგონებებში, გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურული მუზეუმი, ლიტერატურის მატიანე, 1987, გვ. 25-27-182.
18. შარაძე გ. საქართველოს მზე და სიყვარული ალბიონის კუნძულზე (მასალები ინგლისური დღიურიდან), „საბჭ. საქ.", თბ.; 1986, 160-161-ე გვერდებს შუა მოთავსებული მე-18 ჩანართი.
19. ქსე, ტ. 6, 1983, გვ. 395.
20. იმერეთის თავადთა და აზნაურთა ოჯახები, ფოტოტიპიური გამოცემა პროფესორ ზურაბ ჭუმბურიძის რედაქციით, თბ.; გამ. „ჯალი", 1999, გვ. 334, №520.
21. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდებში დაცული პირველი ნაბეჭდი ქართული წიგნები (კატალოგი), თბ.; 2000, გვ. 19.
22. გაზეთი „ცნობის ფურცელი", 1902, №1829.
23. დადიანი შ. რჩეული თხზულებანი, ტ. 5, 1962, გვ. 21.
24. ქსე, I, 1975, გვ.450



მარგო კუტალაძე

ბედნიერების ფილოსოფიური ანალიზი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ქადაგებათა მიხედვით

ჭეშმარიტი ბედნიერების ძიებაში არაერთხელ დამისვამს საკუთარი თავისათვის კითხვა: მაინც რა არის ბედნიერება ჩემთვის? შემდეგ სხვებისთვისაც მიმიმართავს, თუ რაში ხედავენ ისინი ჭეშმარიტი ბედნიერების კრიტერიუმს და ამით ვცდილობდი ჩავწვდომოდი ამ ცნების სიღრმეს, შემეღწია მის ყველაზე დაფარულ შრეებშიც კი და გამეგო საყოველთაოდ აღიარებული, ყველასათვის მისაღები განმარტება — თუ რა არის ჭეშმარიტი ბედნიერება, რატომ და როდის უჩნდება ეს კითხვა ადამიანს, ის უიმედობის მომენტში წამიერად იბადება თუ განუწყვეტელი ფიქრისა და განცდის ნაყოფია.

ძიების პროცესში იმთავითვე წამოიჭრა პირველი საკითხი — ბედნიერების დროსთან მიმართების პრობლემა. ყოველ ეპოქას რომ თავისი სათქმელი და ტკივილი, თავისი დარდი და იმედი მოაქვს, ეს აშკარაა და ამაზე არც არავინ დაობს, მაგრამ ჩნდება კითხვა: ნუთუ ბედნიერების ფენომენიც დროის ცვალებადობას ემორჩილება და სხვადასხვა ეპოქა ბედნიერების კრიტერიუმებს თავისებურად საზღვრავს, ან იქნებ მეტიც, ერთსა და იმავე დროსა და სივრცეში მცხოვრები ადამიანები სხვადასხვაგვარად აღიქვამენ და განმარტავენ ამ ცნებას.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ ადამიანის „მე"-ს განსაზღვრავს თვითარჩევის, თვითშექმნის წესი (თავისუფალი ნება). ესაა მისი თვითმყოფადობის საფუძველი, მისი ღირებულების განმსაზღვრელი. მაგრამ ხომ არსებობს ის ძირითადი ღირებულებაც, რომელიც ღირებულებათა იერარქიის მწვერვალზე იმყოფება და საიდანაც შემდეგ ყველა ადამიანი თავის ღირებულებით საზრისს იღებს?! ხომ არსებობს თვითნებობის საზღვარი, რასაც უნდა ემყარებოდეს არჩევანი?!

მართალია, ადამიანს შეუძლია, იდეალად გაიხადოს „რაღაც" ან „ვიღაც" და ამიერიდან როგორც თავის თავს, ისე ყველა სხვას უყუროს იმ კერპის პრიზმაში, რომელიც მან თავისთვის აიგო და რომელშიც ჰპოვა ბედნიერება, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ მისი შეხედულება, მის მიერ ბედნიერების საზრისის განსაზღვრა არის თავად ჭეშმარიტი ბედნიერება. რა თქმა უნდა, არა!!!

თუმცა იყო დრო, როცა ადამიანს ჰქონდა ბედნიერების წვდომის უნარი და შესაბამისად, არ სჭირდებოდა თავად შეექმნა ბედნიერების რაიმე საზომი. მაგრამ მას შემდეგ, რაც ადამიანმა დაკარგა კავშირი ღმერთთან, დაკარგა სამოთხე — მასთან ერთად დაკარგა ეს უნარიც და აქედან მოყოლებული ბედნიერების პოვნა კაცობრიობის სწრაფვის, ლტოლვისა და ნატვრის საგანი გახდა. ამიტომ რა გასაკვირია, რომ ყოველი ჩვენგანიც ამ დაკარგული ღვთიური მარცვლის ძიებაშია და იქნებ, სწორედ ბედნიერებისაკენ დაუსრულებელი სწრაფვაა თავად ბედნიერება, რამეთუ არ არსებობს ამქვეყნად ერთი კონკრეტული მიზანი, რომლის მიღწევა ადამიანს საბოლოო ბედნიერების შეგრძნებას მოუტანს.

დღეს, როდესაც კაცობრიობამ და ზოგადად ადამიანმა დაკარგა კავშირი ღმერთთან, როდესაც სულიერი მოუსვენრობა მოგვეძალა, დავკარგეთ სიმშვიდე, „განცდაი თვისთა ცოდვათა" და ძალა „არა განკითხვად სხვათა", როდესაც მიწიერი და წარმავალი საზრუნავებით გაერთო კაცის გონება, ძალაუნებურად განიდევნა ღმერთი სამყაროდან, ამოიძირკვა ყოფიერებიდან, როგორც არასდროს ისეთი სიმწვავით დადგა ჩვენს წინაშე საკითხი სიკეთისა და ბოროტების, ბედნიერებისა და უბედურების გარჩევისა.

ამასთან დაკავშირებით, უწმინდესსა და უნეტარესს მაგალითად მოჰყავს ერთი იაპონელი პოეტის სონეტი: „მოვიდა გაზაფხული და აყვავ-

და ალუბალი, მაგრამ მოვიდა თოვლი და ვეღარ ვარჩევ, სად არის თოვლი და სად — ყვავილი". ეს ალეგორიაა, შედარებაა, სადაც ნათქვამია, რომ ადამიანი ძალიან ხშირად ვერ არჩევს, სად არის თოვლი და სად — ყვავილი, ანუ სად არის უბედურება და სად ბედნიერება. ვერ არჩევს იმდენად, რამდენადაც მხოლოდ მადლი ღვთისა ანიჭებს ადამიანს სიკეთისა და ბოროტების გარჩევის უნარს. მაშასადამე, ბედნიერია ადამიანი, ვისაც აქვს მადლი ღვთისა, „უძლურთა მკურნალი და ნაკლულევანთა აღმავსებელი". მართლაც, როცა ღმერთით ცხოვრობ, მუდამ ბედნიერების განცდა გდევს თან და ვერავინ წაგართმევს ამ სულიერ სიმშვიდეს, საკუთარი ნების გარდა, რადგან ღვთის ხატების და მასთან ერთად ბედნიერების შენარჩუნება მხოლოდ შენს თავისუფალ ნებაზეა დამოკიდებული, შენ ირჩევ იარო თუ არა ქრისტეს გზით და ემსგავსო თუ არა შემოქმედს.

ასე რომ, ბედნიერება და უბედურება დამოკიდებულია იმაზე, თუ თვითონ ადამიანი როგორ მოიქცევა, როგორ წარმართავს თავის ცხოვრებას.

მაგრამ ხშირად ადამიანები კითხულობენ რა წმინდა წერილში უფლის სიტყვებს წინასწარმეტყველის მიმართ: „შენ ჯერ დედის მუცელში არ იყავი ჩასახული, როდესაც მე შენ გიცნობდიო", ასე მსჯელობენ: თუკი ადამიანის ბედი ღვთის მიერ წინასწარ განსაზღვრულია, მაშინ რაღა აზრი აქვს ჩვენ მოღვაწეობას, ჩვენი თავისუფალი ნების არსებობას. მეტიც, ორი საყოველთაოდ ცნობილი აქსიომიდან: „ბედისწერას ვერსად წაუხვალ" და „შენი ბედი შენს ხელთაა" ზოგიერთი იმას ირჩევს, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში ხელს აძლევს, თუკი საქმეები ცუდად წაუვა, ბედს აბრალებს და ამით პასუხისმგებლობას იცილებს, თუ კარგად აეწყობა, მაშინ საკუთარ მიღწევად მიიჩნევს. ეს კი არასწორია. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ არსებობს როგორც ღვთაებრივი, ისე ადამიანური ენერგია და როცა ეს ორი ენერგია არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს, როცა ისინი ერთი მიმართულებით მიდიან, ადამიანი ადგას კეთილ გზას. ასე რომ, თუ გვინდა ვიყოთ ბედნიერნი — მხოლოდ ღმერთთან მისასვლელ გზას უნდა დავადგეთ, რადგან ვერანაირი მატერიალური სიმდიდრე ვერ შეავსებს იმ სიცარიელეს, რაც არსებობს ადამიანში, როცა მასში არ არის ღმერთი.

ადამიანს აქვს მრავალი მისწრაფება. იგი ცდილობს მიიღოს განათლება, ცოდნა... მაგრამ ეს არ კმარა... ამით იგი ბოლომდე ბედნიერი მაინც ვერ იქნება. თვითონაც იგრძნობს ამას... იგრძნობს, რომ რაღაც სხვა სჭირდება და დაუწყებს ძიებას ამ სხვას... შეეცდება უზრუნველყოფილი იყოს მატერიალურად, ჰყავდეს ოჯახი, შვილები, ნათესავები, მეგობრები... ჰქონდეს კარგი, კეთილმოწყობილი სახლი... მაგრამ, როდესაც მიაღწევს ყოველივე ამას, დაინახავს, რომ არც ეს ყოფილა მთავარი... არც ამაში ყოფილა ბედნიერება, რადგან თუნდაც მთელი სამყარო გემორჩილებოდეს, ჭეშმარიტად არაფერია მოუწყობელ სულზე მძიმე და მართლაც, რა სარგებელი ექნება სიმდიდრეს, თუკი სათნოებით ყველა სხვა ადამიანზე უღარიბესი იქნები? რა სარგებელი ექნება სხვებზე მბრძანებლობას, თუკი არ შეგეძლება საკუთარი თავისა და საკუთარი ვნებების ძლევა? ამით იმის თქმა მსურს, რომ ბედნიერება საერთოდ არ არის ყოფით კეთილდღეობასთან დაკავშირებული. ჩვენი პატრიარქის სიტყვებით რომ ვთქვათ „ბედნიერება ბუნებრივი მდგომარეობაა სულიწმინდით გაცისკროვნებული გულისა". ამიტომაც წერს წმინდა იოანე ოქროპირი: „არც ძალაუფლების სიდიდე, არც ფულის სიმრავლე, არც ძლიერება, არც ჯანმრთელობა, არც უხვი სუფრა, არც შესანიშნავი ჩაცმულობა და არც სხვა რამ ადამიანური უპირატესობანი გვანიჭებენ ნამდვილ სიხარულს, იგი შედეგია სულიერი კეთილშობილებისა და სუფთა სინდისისა".

მშვენიერი რამაა, კაცს კარგად ყოფნა უსურვო, მაგრამ ბედნიერებას თუ უსურვებ, ეს ნიშნავს, უსურვო ნეტარების მთელი სისრულე. „გიყვარდეთ ერთმანეთი, როგორც მე შეგიყვარეთ",— ამბობს უფალი და კიდევ: „მშვიდობას გაძლევთ, მშვიდობას გიტოვებთ". ხედავთ, რას უტოვებს იგი თავის ხალხს? არც ბედაურებს, არც მცველებს, არც იმპერიას, არც ავლა-დიდებას — მსგავსს არაფერს. მაშ, რაღას? იგი იძლევა მშვიდობას, ტოვებს ბედნიერებას, სიყვარულს მეგობრისას და მტრისას. საინტერესოა ის ნიშანიც, რომელსაც ქრისტე იყენებს თავისიანების გამოსარჩევად. ეს სხვა არაფერია, თუ არა ურთიერთსიყვარული. „ამ ნიშნით,— ამბობს იგი,— გიცნობთ ხალხი, რომ ჩემი მოწაფენი ხართ" და არა იმით, თუ რამე განსხვავებული გეცმევათ, ან განსხვავებულს შეექცევით.

მრავალტანჯული იობიც გავიხსენოთ და დავრწმუნდებით, რომ ადამიანის ცხოვრება ბედნიერებისა და უბედურების ჭიდილია უთუოდ და მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული მიწიერი და წარმავალი საზრუნავებით ვიქნებით გართული, თუ სულის სიწმინდისათვის ვიღვაწებთ.

ყველაფერი ეს ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ თითქოს კათოლიკოს-პატრიარქი უარყოფს ყოველივე მატერიალურს, უბრალოდ ის თავის ადგილს მიუჩენს მათ, რადგან სანამ ადამიანი სხეულით ცოცხლობს, მისთვის ორივე საზრდო საჭირო და აუცილებელია — სულიერიც და ხორციელიც, უპირველესი კი მაინც სულიერია.

სამწუხაროდ, ევროპაში წარმოიშვა ახალი ფილოსოფიური მიმდინარეობა, ადამიანის დანიშნულების ახლებური ხედვა. ამ ხედვის ავტორი არის ცნობილი ფილოსოფოსი ერიხ ფრომი. იგი აყენებს ძალიან საინტერესო კითხ-



ვას: „ვიქონიოთ თუ ვიყოთ?“ რას ნიშნავს ეს? როგორც ვხედავთ, ადამიანი მომხმარებელი გახდა. მას მუდამ რაღაც აკლია და ყველაფერი ჭირდება: უნდა მანქანა, სახლი, ფული, სამოსი, თუ ერთი მილიონი აქვს — ათი უნდა და ასე დაუსრულებელია მისი მოთხოვნილება. საბოლოოდ კი ეს ფილოსოფოსი მიდის იმ დასკვნამდე, რომ „ვიქონიოთ“ არის უპირველესი და უფრო მნიშვნელოვანი. მისი აზრით, ყველაფერი უნდა გვქონდეს იმისთვის, რომ დავაკმაყოფილოთ ჩვენი ვნებები, ჩვენი სურვილები.

მართლაც, ზოგადად რომ ვიმსჯელოთ ამ საკითხზე, ვიქონიოთ თუ ვიყოთ,- რა თქმა უნდა, ორივე საჭიროა, მაგრამ უპირველეს ყოვლისა მთავარი მაინც ადამიანის შინაგანი მდგომარეობაა.

პავლე მოციქული ამბობს: გიხაროდენ მარადის უფლისა მიერ. შესაძლებელია მდიდრულმა სახლ-კარმა თუ ძვირფასმა ნივთმა ერთ დღეს, ორ დღეს, ერთ თვეს გაგახაროთ, მაგრამ შემდეგ სიხარული ნელ-ნელა განელდება და ბოლოს სულ გაქრება: ასეთივეა ის სიხარულიც, რომელსაც რომელიმე ამქვეყნიური დიდი ხნის ოცნების აღსრულება გვანიჭებს. როგორ მოვიპოვოთ მარადიული სიხარული, რომელზედაც პავლე მოციქული ლაპარაკობს. მისი მოპოვების გზას თავად მოციქული გვასწავლის, როცა ამავე ეპისტოლეში მოგვიწოდებს: „ამიერითგან, ძმანო, რაოდენი არს ჭეშმარიტ, რაოდენი პატიოსან, რაოდენი მართალ, რაოდენი წმიდა, რაოდენი საყვარელ, რაოდენი საქებელ, რაოდენი სათნო და რაოდენი ქებულ,“ აი, თუ ამ თვისებებით – პატიოსნებით, სიმართლით, სიწმინდითა და სათნოებით შევიმოსებით, უფალი ჩვენთან იქნება, მაშასადამე სიხარულიც ჩვენთან იქნება. აი, სწორედ ესაა ჭეშმარიტი ბედნიერება, რადგან ღვთის სიახლოვით გამოწვეული სიხარული იმდენად ძლიერი და ყოვლისმომცველია, რომ ვინც მას განიცდის, მისთვის ყოველგვარი ამქვეყნიური საზრუნავი უფასურდება. ყველაზე დიდი ბედნიერება მადლმოსილებაა, ხოლო მადლმოსილი ისაა, ვისთანაც უფალია. უფალთან ყოფნის, მისი სიახლოვის განცდის სიხარულს ვერავითარი სხვა სიხარული ვერ შეედრება.

რა თქმა უნდა, მიწიერი სიხარულიც არსებობს, მაგრამ გავა დრო და იგი თითქოს დასრულდება. მედიცინაში ასეთი ტერმინიც კი არსებობს „კუნთების სიხარული“ და იგი გულისხმობს სიხარულს, რომელიც ადამიანს მოძრაობისას ეუფლება, მაგრამ ეს და სხვა ამგვარი მიწიერი სიხარული, როგორიცაა მაგალითად, სიხარული სიმდიდრითა და კეთილდღეობით გამოწვეული, მეტისმეტად ხანმოკლეა და წარმავალი, რადგან წარმავალია მისი საფუძველიც.

„მთელი ცხოვრება არის გამოცდა ჩვენი სულის და ჩვენი სხეულის“. (ვ.ოთარაშვილი). ის სავსეა დაცემითა და აღდგომით. თუ ვმხიარულობთ, მწუხარებისთვის უნდა ვემზადოთ, თუ შეჭირვებულნი ვართ, ღვთის წყალობას უნდა ველოდოთ. სიხარული და მწუხარება მუდმივად მონაცვლეობენ ჩვენს ცხოვრებაში. ამ აზრს ადასტურებს ძველი ჩინური სიბრძნეც:

„თუ ადამიანი უბედურია, მისი გული შეშფოთებულია და მოცულია შიშით. თუ მისი გული მოცულია შიშით, მისი მოქმედება გამიზნულია და ზუსტი. თუ მისი მოქმედება გამიზნულია და ზუსტი, გონება მისი პოულობს საჭირო გადაწყვეტილებებს და იგი აუცილებლად წარმატებებს მიაღწევს; თუ ის წარმატებას მიაღწევს, გახდება მდიდარი და სახელგანთქმული. სიმრთელე და დღეგრძელობა, სიმდიდრე და სახელი – ყოველივე ამას ბედნიერება ჰქვია; მაგრამ ბედნიერებაში უბედურების ფესვები იმალება."

ამიტომ ამბობენ: „ო, უბედურებავ, შენა ხარ სათავე ბედნიერებისა".

თუ კაცი ბედნიერია, სიმდიდრესა და სახელს მოიხვეჭს. თუ სიმდიდრე და სახელი მოიხვეჭა, ტანსაცმელი და საჭმელი კარგი ექნება. თუ ტანსაცმელი და საჭმელი კარგი აქვს, ამპარტავნება იპყრობს; თუ ამპარტავნებამ შეიპყრო, მისი საქციელი მანკიერი გახდება. თუ საქციელი აქვს, მის სიცოცხლეს საფრთხე და სიკვდილი ემუქრება. თუ მის სიცოცხლეს საფრთხე და სიკვდილი დაემუქრა, ის კარგავს წარმატებას და დიდებას,- ეს დიდი უბედურებაა.

ამიტომ ამბობენ: „ო, ბედნიერებავ, შენა ხარ სათავე უბედურებისა".

მართლაც, თუკი ჩავუღრმავდებით, დავინახავთ, რომ ბედნიერება ხშირად უბედურებად იქცევა ადამიანის ამპარტავნებისდაგამო და პირიქით, უბედურების ფესვებზე აღმოცენდება ხოლმე ბედნიერება. იკითხავთ, რაღა დარჩენია ადამიანს, რისი გაკეთება შეუძლია მას? წმინდა იოანე ოქროპირის უკანასკნელი სიტყვები იყო: „დოქსა ტო თეო პანდონ ენეკა"- მადლობა ღმერთს ყველაფრისათვის, ანუ მადლობა სიხარულისათვის და მწუხარებისათვის. ამიტომ, ისღა დაგვრჩენია, მადლობა შევწიროთ უფალს, რადგან ის არასოდეს მოგვივლენს იმაზე მეტ უბედურებას, რისი გადატანაც ჩვენ არ შეგვიძლია.არსებობს ერთი იგავი: გაჭირვებულმა ადამიანებმა ღმერთს შესჩივლეს, მძიმე ხვედრი გვერგოო. ღმერთმა მოუსმინა და ბრძანა, თითოეულს ტომარით მოეტანა თავისი გასაჭირი. ასეც მოიქცნენ. ამის შემდეგ ყოვლისშემძლე ღმერთმა ბრძანა, ტომრები სიბნელეში დააწყვეთო.დააწყვეს. ბოლოს თითოეულს უმსუბუქესი ტომრის არჩევა უბრძანა. შეასრულეს ბრძანება და დახე: თითოეულს თავისი საკუთარი ტომარა ამოერჩია.

ბედნიერია ადამიანი, რომელსაც ღვთის იმედი აქვს, ეს იმას ნიშნავს, რომ მას აქვს რწმენა, სიყვარული და სასოება. როცა ადამიანი კარგავს ყოველივე ამას, როცა საკუთარი ნებით მოქმედებს და სურს, რომ თავისი ძალით მოიწყოს ბედნიერი ცხოვრება, ამ შემთხვევაში, ხშირად უფალი ადამიანს ერთ რაიმე მძიმე განსაცდელს უგზავნის და ამ განსაცდელით ცდილობს წართმეული ბედნიერება კვლავ მოაპოვებინოს (გავიხსენოთ ზემოთქმული ჩინური სიბრძნე).

დაბოლოს, მთავარია, თვით ადამიანმა გადაწყვიტოს, რას ამჯობინებს: სიკეთის ვიწრო, ეკლიან, მაგრამ გადამრჩენელ ბილიკს, თუ ცოდვის ფართო გზით სვლას. ზოგჯერ იმის გარკვევაც ჭირს, რა არის ცოდვა და რა – მადლი. ამიტომაც შეთხოვს ღმერთს სოლომონ ბრძენი: „მოანიჭე შენს მორჩილს გული გონიერი, რომ სიკეთე გაარჩიოს ბოროტებისაგანო". ბედნიერია, ვისაც აქვს გარჩევის უნარი; ბედნიერია, ვისაც აქვს ცოდვის განცდა, ხოლო როცა ადამიანს აღარ აქვს ეს თვისებები, მაშინ მისი სინდისი ვეღარ გრძნობს ცოდვას და უფსკრულისაკენ ისე მიექანება, როგორც მთიდან დაგორებული ქვა. ასეთი ადამიანი უბედურია უთუოდ, მას აკლია შინაგანი სისპეტაკე და სიწმინდე. ამიტომაა, რომ წმინდა მამები, უპირველეს ყოვლისა, სთხოვდნენ უფალს: „მომანიჭე მე განცდაი თვისთა ცოდვათა და არა განკითხვად ძმისა ჩემისა". როგორც ამბობენ ძველი რომაელები: გნოსტე ტე იფსუნ (ლათ) – შეიცან თავი შენი. ეს არის მთავარი ადამიანის ცხოვრებაში და თუ ამას მიაღწია ადამიანმა, თუ შეძლო და დაინახა საკუთარი თავი, მაშინ იგი დაძლევს კიდეც ცოდვას, ის აუცილებლად დაამარცხებს თავის უარყოფით მხარეებს და მუდამ გამარჯვებული იქნება; ის მოიპოვებს სრულ სიმშვიდეს – ბედნიერებას. მაგრამ თუკი ადამიანს არ ძალუძს თავად მივიდეს ბედნიერებამდე, მაშინ მან უნდა შეთხოვოს უფალს, რომ უფალი მივიდეს მასთან. წმინდა წერილში წერია: „ირეკდით და განგეღოთ თქვენ, ეძიებდეთ და ჰპოვოთ, ითხოვდეთ და მოგეცეთ თქვენ".

შევთხოვოთ უფალს, დაგვიბრუნოს სიმშვიდე, როგორც დაკარგული სამოთხე, როგორც ნეტარი, ბედნიერი მდგომარეობა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მადლი სულისა წმინდისა. წმინდა მამები ამბობენ: მოიპოვე მცირე მადლი სულისა წმინდისა და ცხონდები შენც და ცხონდებიან მრავალნი შენ გარშემო. ხოლო თუკი ადამიანს არ ექნება სიმშვიდე, იგი ვერ გაარჩევს, სად არის კეთილი და სად – ბოროტი; თუ არ აქვს სიმშვიდე, ადამიანი ვერ დაამყარებს კავშირს უფალთან; ვერ შედგება დაახლოება და შერწყმა ღვთისა და ადამიანის ენერგიისა.

შეუძლებელია არ დაეთანხმო პატრიარქის ქადაგებებში ამოკითხულ ჭეშმარიტებას ბედნიერებისა და უბედურების შესახებ. მართლაც, რა არის ბედნიერება, თუ არა რწმენით მოპოვებული სიმშვიდე, თუ არა რწმენით მოპოვებული სულიერი კეთილშობილება და სუფთა სინდისი. მაგრამ აქ რწმენა ღვთის არსებობის დაჯერებას კი არ ნიშნავს მხოლოდ, იგი უპირველესად გულისხმობს ცხოვრებას ღმერთში, სასოებას, იმედს მისი წყალობისა.



ვალერიან გაფრინდაშვილი

რითმა და ასონანსი

ქართულ რითმას აქვს თავისი ისტორია.

მას ჰყავდა მცველები და აპოლოგეტები, შოთა, შავთელი, გურამიშვილი, ბესიკი რითმის დონ-ჟუანები იყვნენ. ილიამ და ბარათაშვილმა დააქვრივეს რითმა. ქართულ რითმას დიდხანს არ ენახა თავი საქორწილო საწოლში. მეოცე საუკუნეში ქართულ პოეზიაში დაიწყო რითმის რენესანსი.

გრ. რობაქიძემ სთქვა ქართული რითმის შესახებ საბედისწერო სიტყვა და იმის შემდეგ რითმა გაიმართა, როგორც მიმინო. „აისში" დაიბეჭდა „რითმების ტურნირი" და იქ რითმა ასე იყო დახასიათებული: „რითმა სიტყვის ორეულია და სტრიქონის ბრწყინვალე მსაჯული. მას შეჰყავს ჩვენებათა ქაოსი სამუდამო ნაპირებში. აი რითმები — პოეტების ახალი პორტრეტები". მოყვანილ რითმებში იყო ასონანსებიც.

ბერძნებს და რომაელებს არ ჰქონიათ რითმა. უალდი ამბობს: „ლირას, რომელიც ძველებმა გვიანდერძა, ჩვენ მივუმატეთ ერთად ერთი სიმი-რითმა". რითმაში არის რაღაც მისტიური და საიმედო. ბარატინსკის აზრით, რითმა არის იმის სიმბოლო, რომ თვით სამყაროში არსებობს ფარული გარმონია. მხოლოდ რითმა სცნობს პოეტის ოცნებას და ამხნევებს მას ცხოვრებასთან ბრძოლაში.

ჩვეულებრივი სწორი რითმების რიცხვი ყოველ ენაში განსაზღვრულია. პოეზიაში შემოიჭრა ასონანსი — მოულოდნელი და უცხო სტუმარი — ავზნიანი და ჩქარი, აპოკალიპსის ჩვენებასავით გაუგებარი.

ქალაქის პოეზიაში თავისუფალ ლექსს და ასონანსს დიდი ადგილი აქვთ, რადგან პსიხიკის გართულება მოითხოვს ახალ ხერხს და მეთოდს. დადგება დრო, როდესაც არ დაგვაკმაყოფილებს არც დისონანსი — მაშინ დაიწყება ძიება ახალი რითმის. ახალი რითმის გამოგონებას დასჭირდება თავისი კოლუმბი. პოეტებს ახლაც შეაქვთ ცვლილება რითმაში ასონანსის და დისონანსის სახით.

ქართულ პოეზიაში ასონანსი სრულიად შეგნებულად და არა შემთხვევით შემოიტანა პაოლო იაშვილმა.

თუმცა რითმის ნახვა შრომის საქმეა, მაგრამ აქ ფანტაზიაც საჭიროა უსათუოდ. ვისაც შეუძლია მოიგონოს ასეთი რითმა: სილაში ვარდი — სილაჟვარდე (გალაკტიონი), უკაცრავად — დაუკაწრავად (პაოლო) — იმას აქვს რითმის მჭერმეტყველი ფანტაზია და რითმის ხილვა. ტიციან ტაბიძის ნესტიანი რითმა: საცოდავი — სადავე — აქამდი ხმაურობს ჩემთვის, როგორც წვიმიანი დღე; „ქალდეას ქალაქების" ავტორს არ უყვარს მყვირალა რითმები — მისი რითმა ინტიმურია.

გრიგოლ რობაქიძემ იცის ნახვა რუხი რითმების („მელანქოლია"), რომელნიც ავტორთან ერთად იზმორებიან დილის ფერფლიან ბურუსში. მის ლექსებში არის ამაყი უქალწულესი რითმები: — მესხური — მოესხურა, ქიმერებს — ხვიმერებს, დაათავებს — ათოვებს. რითმებს დადგმა, შეფარდება სჭირდება (მაგალითად სონეტში) და ყველაზე დიდი რეჟისორი რითმის არის — ფარშავანგი პაოლო იაშვილი.

ახალგაზრდა პოეტებში რითმას ჰყავს ერთგული მსახური და კოლეკციონერი — შალვა კარმელი — თუმცა მისი რითმა ხშირად უსულო და მექანიკურია.

ქმედითი რითმა ყოველთვის სავსეა სიცოცხლით და იწვევს უამრავ ემოციებს მკითხველში.

რაჟდენ გვეტაძეს უყვარს მედგარი რითმა — კომანდორივით მძიმე და ულმობელი.

კოლაუ ნადირაძის რითმას: ქანდირბაზი — ძვირფასი — ბევრი პოეტი ინატრებს თავისთავს, როგორც ლამაზ ქალს.

აქამდი გრიშაშვილი რითმის მეფედ ითვლებოდა, თუმცა მის გვირგვინში ბევრი ნასესხები

მარგალიტი იყო. მის რითმებს სხვები იმეორებენ, მაგრამ ის თვითონ რითმის ავაზაკია. ბევრი რითმები მოსტაცა გრიშაშვილმა მეგრელიშვილს, რომელიც იყო რითმის პაჟი და არგონავტი. გრიშაშვილს ემარჯვება კლასიკური რითმა და იმას შეუძლია რითმების ლექსიკონი შეადგინოს, რომელიც ჩვენ არ გვაქვს. ნაკლებად არის ცნობილი რითმა, როგორც პორტრეტი, როგორც მორალური და ესთეტიური კათეგორია. თუ პოეტს თავისი რითმები არა აქვს, მისი ფიზიონომია ძნელი გამოსარკვევია, რითმა ხომ უმეტეს შემთხვევაში არის მხატვრული სახე. სხვისი რითმის განმეორება უდრის სხვისი სახის მითვისებას. რითმა იმის გარდა, რომ ლექსს გარმონიას ანიჭებს, ბადებს მკითხველში ახალ სახეებს. ხანდახან რითმა უკარნახებს პოეტს მისთვის უცაბედს და უცხო სახეს.

პოეტი რითმებიდან კოშკს აშენებს. ზოგი რითმა შურდულიდან გასროლილ ქვას ჰგავს, ზოგი მოელვარე ყუმბარას. ახლა ქართულ პოეზიაში მაღალი და ახოვანი რითმებია (დაკტილური რითმა), საჭიროა რითმების დარბილება. ბრინჯაოს რითმების გარდა საჭიროა ფაიფურის და გიშრის რითმა — აგრეთვე სურნელი რითმა — თეთრ ყვავილებიდან. არის ჩონჩხიანი რითმა — მაღალი, დაზიანებული ხერხემლით, რომელიც დონკიხოტური გიჟი თვალებით დაჰყურებს სამყაროს. ეს არის ასონანსი. ასონანსი გერმაფროდიტის მსგავსია: „ჰაერი — სხვანაირი", „მაესტრო — დაესწრო", ეს ხომ ერთ ორეულ ბგერათ ელანდება სმენას. ზოგი ასონანსი მაღალია, როგორც კოშკი, როგორც სულამითის ან გედის კისერი. რითმებს — ამორძალებს დიდი ხანია ადიდებს პოეტი, მაგრამ დღეს ძველი რითმა უნდა გაუქმდეს, ან აღდგეს ასონანსის სახით. ქართული ასონანსი ჯერ არ არის გაბედული და უფრო კანონიერ რითმას ჰგავს: „ტანსაფარავი — არავინ". მაგრამ ქართულ რითმას უკვე ეზმანება ქალაქი და ქალაქი მისცემს თავის ჭირვეულ ტემპერამენტს. დღეს ბევრია პოეზიაში პატივახდილი რითმები, რომლებიც ყველას ეკუთვნიან. არიან პოეტები, რომელთა ბანალური ლექსები რითმების ნამდვილი საროსკიპოებია. ძველ სახელგანთქმულ რითმებსა და ასონანსს შორის იწყება ბრძოლა ქართულ პოეზიაში.

აღსანიშნავია ფუტურისტების რითმა. ასონანსი ფუტურისტულ ლექსებში ყირამალას გადადის. რუსი პოეტის მაიაკოვსკის რითმები — მაკადამია. ამ პოეტის ლექსებში ასონანსები წამებულია და ისინი კუტების, კოჭლების და ქიმერების შთაბეჭდილებას ახდენენ.

ქართულ პოეზიაში არის გადაჭრილი რითმები (Ампутированныя рифмы) ნორჩი — მორჩილი, არამხანა — ამხანაგი. აქ რითმა შეყენებულია მაშინ, როდესაც მან უკანასკნელი ნაბიჯი უნდა გააკეთოს. არის ქართულ პოეზიაში რითმა, რომელიც იწყება პირველი სტრიქონის ბოლოში და თავდება მეორე სტრიქონის დასაწყისში.

ქართული ასონანსი ჯერ თითქმის ხელუხლებელია. აქ შესაძლოა დიდი მიღწევები.

რითმა სტატიურია — ასონანსი დინამიური. ასონანსი ხშირად იძლევა კატასტროფის ილუზიას, ხშირად გრგვინვის, საფირონის და ზურმუხტის განცდას. ზოგი ასონანსი ჰაერში ავიატორის დაღუპვას ჰგავს. არის პატრიარქალური რითმები, არის რითმები — ოფელიები და რითმები — მედუზები. არის ნათელი და ბნელი, კოშმარული რითმები. არის რითმა — აივანი და რითმა ეშაფოტი.

ლოტრეამონის საშინელი ცქერა და ცივი ტუჩები, ვერჰარნის განწირული სახე, ვერლენის ბელატი თავი, რემბოს ავადმყოფი ფეხი, როლინას ნევრასტენია და ბოგემის მთელი სასოწარკვეთა უნდა გატარდეს რითმაში, რომ შეიქმნას ახალი რითმის პოეტიკა.

რითმას ჰქონდა თავისი ოქროს ხანა; ახლა იწყება რითმის შემოდგომა და როდესაც გათავდება რითმის გახრწნის პროცესი — მაშინ ჩვენ ვიტყვით: რითმა მოკვდა. მაგრამ რითმა, როგორც კლეოპატრა, ბევრს საყვარელს გამოიცვლის, ბევრ მასკებს ნახავს, სანამ ისე, როგორც ნანა, სრულებით არ გაიხრწნება და არ გადააგვარებს პოეზიას.

ჯერ ქართული რითმა ჯანსაღია და მზით არის განათებული. მის წინ დიდი გზაა და დიდი პერსპექტივებია.

(იანვარი, 1920წ.)

მარიკა გულორდავა



ქართული ვოკალის ფენომენი (ფიქრები ახალგაზრდა ქართველი მომღერლების კონსერტის შემდეგ)

მუსიკისა და ვოკალის ნამდვილი ზეიმის მოწმენი გავხდით, ვინც იმ საღამოს კონსერვატორიის მცირე დარბაზში დავესწარით ახალგაზრდა მომღერლების (ჯერ კიდევ სტუდენტების!) — მარიკა გულორდავას, არმაზ დარაშვილისა და თათია ჯიბლაძის ბრწყინვალე კონცერტს.

დამსწრენი ვერ ვფარავდით აღტაცებას მოსმენილითა და განცდილით, რამაც სურვილი აღმიძრა, თუნდაც საჟურნალო ფორმატით, გამეცნობიერებინა ქართული ეროვნული აკადემიური ვოკალის ფენომენი.

მუსიკალური ნიჭიერება, მოგეხსენებათ, ქართველი ხალხისათვის ღვთით ბოძებული განძი და თანდაყოლილი გენეტიკური თვისებაა. ეს ვლინდება, პირველ რიგში, მის უნიკალურ ხალხურ მრავალხმიან სიმღერაში, რომელიც „ანცვიფრებს და ქედს ახრევინებს ადამიანს ქართველი ხალხის მუსიკალური გენიის წინაშე" (აკადემიკოსი ბორის ასაფიევი).

ამ ფენომენის მეორე დედაბოძი კი ჩვენი ხალხის წმინდა ვოკალური, — ბიოლოგიური, თუ გნებავთ, „ხორხისეული" — ნიჭიერებაა, რაც თანაბრად ვლინდება, როგორც ხალხურ, ისე პროფესიულ სასიმღერო კულტურაში.

ნამდვილად „ამერიკას არ აღმოვაჩენ", თუ ვიტყვი, რომ ამ ნიჭიერების განმსაზღვრელი ფაქტორია, ჯერ ერთი, ჩვენი კურთხეული ქვეყნის რბილი, ზომიერი, მომღერლისათვის ხელშემწყობი (!) ჰავა (ამას ხომ იტალიელი მომღერლების შესახებაც ამბობენ ხოლმე მუდამ) და მეორე — ალბათ, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი (ალავერდი იოანე ოქროპირთან!) — ქართული ენის მშვენიერება და, რაც მთავარია, მისი წმინდა ფონეტიკური აქტიურობა, ჟღერადობის ინტენსიურობა, რაც სალაპარაკო და სასიმღერო (!) აპარატის განვითარებასა და გაკაჟებას იწვევს.

ყოველ შემთხვევაში, უცილობელი ფაქტია, რომ მუსიკალური შემსრულებლობის არც ერთ დარგში არ გვყოლია ამდენი

ლადო ათანელიშვილი და იანო ალიბეგაშვილი

პირველხარისხოვანი, საერთაშორისო მასშტაბის ოსტატი.

ეს განსაკუთრებით ნათლად დადასტურდა მე-20 საუკუნეში, როდესაც ტოტალიტარული რეჟიმის მარწუხების მიუხედავად მრავალი ქართველი მომღერალი გავიდა ე.წ. საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზზე (მართალია, მკაცრად ლიმიტირებულ და შეზღუდულ ფარგლებში). ამ ბრწყინვალე მომღერლების უბრალო ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანდა. დავკმაყოფილდეთ მხოლოდ მოსკოვის საოპერო სცენის „დამპყრობთა" — ზურაბ ანჯაფარიძის, ზურაბ სოტკილავასა და მაყვალა ქასრაშვილის საამაყო სახელებით.

სრული გასაქანი ახალგაზრდა მომღერლებს დამოუკიდებელი ქვეყნის პირობებში მიეცათ. ჩვენმა „პირველმა მერცხლებმა" — პაატა ბურჭულაძემ, ბადრი მაისურაძემ, ლადო ათანელმა ადგილი დაიმკვიდრეს მსოფლიოს უდიდესი საოპერო თეატრების სცენებზე, რასაც სულ მალე მოჰყვა, მე ვიტყოდი, აზვირთებული ტალღა თბილისის კონსერვატორიის აღზრდილებისა, რომლებიც ამჟამად ამშვენებენ ევროპულ საოპერო სცენებს. დავასახელებ მათ შორის ყველაზე წარმატებულებსა და „დასაქმებულებს" — თამარ ჯავახიშვილს, ნინო სურგულაძეს, ქეთევან ქემოკლიძეს, გია ონიანსა და ნინო მაჩაიძეს.

ახლა არ იკითხავთ, რამდენი ჩვენი ახალგაზრდა სწავლობს თუ სტაჟირებას გადის მილანის „ლა სკალას" ვოკალური ხელოვნების აკადემიაში? საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ამ უკანასკნელის ერთ-ერთი მესვეური ვერ ფარავს გაღიზიანებას: — ნუ გადავაქცევთ „ლა სკალას აკადემიას" თბილისის კონსერვატორიის ფილიალადო! Fantastico! – როგორც იტყვიან იტალიელები.

დავით გამრეკელი

მაყვალა ქასრაშვილი, ზურაბ სოტკილავა

ჩვენი მადლიერება და პატივისცემა ახალგაზრდების აღმზრდელ პედაგოგებს — სოლო სიმღერისა და საოპერო მომზადების კათედრების წევრებს.

სოლო სიმღერის კათედრას უკვე დიდი ხანია (1974-დან) ხელმძღვანელობს გამოჩენილი მომღერალი, საერთაშორისო მასშტაბის პედაგოგ-მეთოდისტი, პროფესორი ნოდარ ანდღულაძე. არ შემიძლია აქ არ ვახსენო მისი უნიკალური, გახმაურებული წიგნი „Homo cantor" ("ადამიანი მომღერალი"), რომელშიც განხილული და გაანალიზებულია ვოკალის (ფართო გაგებით) ბიოლოგიური, ფიზიოლოგიური, ესთეტიკური, ფსიქოლოგიური და, თუ გნებავთ, ფილოსოფიური საფუძვლები. ბრავო, ბატონო ნოდარ!

საოპერო მომზადების კათედრას 2000 წლიდან სათავეში უდგას ცნობილი დირიჟორი, პროფესორი რევაზ ტაკიძე. მისი ხელმძღვანელობით კონსერვატორიის საოპერო სტუდიამ ფრიად შთამბეჭდავ წარმატებებს მიაღწია. აბა, შემთხვევითი ხომ არ არის, რომ სტუდიის სცენაზე გამოწრთობილი ახალგაზრდები (ზოგჯერ, სპექტაკლებიც!) ლამის ავტომატურად გადადიან ქვეყნის მთავარ საოპერო სცენაზე!

ახლა კი, დავუბრუნდეთ იმას, რითაც დავიწყეთ — ახალგაზრდა მომღერლების — მარიკა გულორდავას, არმაზ დარაშვილისა და თათია ჯიბლაძის კონცერტს. სამივენი შესანიშნავი პედაგოგის, პროფესორ ლამარა გოგლიჩიძის აღზრდილები არიან.

მარიკა ამჟამად მაგისტრატურის I კურსზეა, თათია — II-ზე, არმაზმა კონსერ-



მარი ტურაშვილი, ომარ ჯოხაძე

ვანო სარაჯიშვილი

ვატორია შარშან დაამთავრა, ბოლო ორი წელია მეცადინეობს ნ.ანდღულაძესთან და ახლახან ჩაირიცხა ოპერის თეატრის დასში (მისი დებიუტი შედგა 30 ნოემბერს "დაისის" სპექტაკლში).

მოგეხსენებათ, მ.გულორდავა (სოპრანო) ჩაიკოვსკის სახელობის კონკურსისა (მოსკოვი, 2007) და მონსერატ კაბალიეს კონკურსის (სარაგოსა, 2007) ლაურეატია და საერთაშორისო მასშტაბით ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ ახალგაზრდა მომღერლად ითვლება. მის ხელოვნებაში შერწყმულია მომხიბლავი ხმა, ღრმა მუსიკალობა და არტისტიზმი, რაც მან ამ კონცერტზეც დაადასტურა არიების შესრულებით მოცარტის, ბელინის, ვერდის და ბიზეს ოპერებიდან (შესაბამისად — "ასე იქცევა ყველა ქალი", "მეკობრე", "ბედის ძალა", "კარმენი"). თ.ჯიბლაძესთან და ა.დარაშვილთან ერთად მარიკამ იმღერა დუეტები როსინის "ტანკრედიდან" და პუჩინის "ედგარიდან", ხოლო ასევე — დიდი გემოვნებითა და მაღალი პროფესიონალიზმით — ვოლფის, რ.შტრაუსისა და სვირიდოვის რომანსები. იგიც ჩვენ საოპერო თეატრში იწყებს მუშაობას.

ბევრისათვის აღმოჩენად იქცა თ.ჯიბლაძის მშვენიერი გამოსვლა, რაც თანაბრად ეხება ლამაზი ტემბრის ძლიერ ხმას, ვოკალურ ოსტატობას, არტისტიზმს. განსაკუთრებით მოგვეწონა მისი შესრულებით არიები მეიერბერისა ("ჰუგენოტები") და შჩედრინის ("არა მხოლოდ სიყვარული") ოპერებიდან, ასევე ბრამსის ერთ-ერთი რომანსი. დარწმუნებული ვარ, მომღერალს ჩინებული პროფესიული მომავალი ელის.

შესანიშნავ ქალიშვილებს გვერდი დაუმშვენა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატმა, ძლიერი და ლამაზი ტემბრის ხმის (ლირიკულ-დრამატული ტენორი) მფლობელმა არმაზ დარაშვილმა, რომელმაც ჩინებულად შეასრულა არიები მოცარტის ("დონ ჯოვანი"), ვერდის ("ლუიზა მილერი") ოპერებიდან, სოროსობალის სარსუელიდან და რ.შტრაუსის რომანსი.

შესანიშნავი პარტნიორობა გაუწია მომღერლებს ნიჭიერმა მუსიკოსმა – პიანისტმა და პედაგოგმა საერთაშორისო კონკურსების ლაურეატმა და დიპლომანტმა თემურ ელიავამ, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი კონცერტის ასეთ წარმატებას.

ვიმეორებ, ახალგაზრდა მომღერლებმა მუსიკისა და ვოკალის ნამდვილი ზეიმი მოგვიწყეს, რამაც უნებურად გამახსენა დიდი ფილოსოფოსის გ.ჰეგელის სიტყვები გამოჩენილი იტალიელი მომღერლების შესახებ: "იტალიელებთან ჩვეულებრივი ბგერებიც კი პირველივე წამებიდან მგზნებარენი და მშვენიერნი არიან. პირველი ბგერა — უკვე თავისუფლება და ვნებაა, საწყისი ტონი თავისუფალი მკერდიდან მოედინება".

ვფიქრობ, რომ ეს სიტყვები თამამად შეიძლება მივუსადაგოთ გამოჩენილი ქართველი მომღერლების ხელოვნებას, დაწყებული "საქართველოს ბულბულით" ვანო სარაჯიშვილით და დამთავრებული ჩვენი თანამედროვეებით.

მეგობრული შარჟი-რობერტ სტურუა, ლაშა ჩხარტიშვილი

ლაშა ჩხარტიშვილი

ზღვის გალმა ელადიდან მონატრებული ქართული თეატრზე

*უცნაური რამ არის ეს ინტერნეტი, სრულიად შემთხვევით **nplg.gov.ge**-ზე, სადაც ჩემს კრიტიკულ წერილებს ვაქვეყნებ ხოლმე, ჩემდა გასაკვირად ქართულ ენაზე, ვინმე მანოლის რიზასი გამომეხმაურა საბერძნეთიდან, (?) და **skype**-ით გასაუბრება შემომთავაზა. მისი თქმით, იგი ის თეატრმცოდნეა, რომელიც ქართულ თეატრს იკვლევდა წლების მანძილზე. დიდხანს მეპარებოდა ეჭვი მანოლის რიზასის ბერძნულ წარმომავლობაში, რადგანაც შეუძლებელია უცხოელი ასე კარგად იცნობდეს, არა მარტო ქართულ თეატრს, (თავისი ყველა წვრილმანი დეტალით) არამედ ჩვენს ტრადიციას, ხასიათს და ისტორიას.*

ვფიქრობ, ელექტრონული აფიორის მიუხედავადაც კი, მკითხველისთვის საინტერესო იქნება მისი შეფასებები რობერტ სტურუაზე, მით უმეტეს, იმის ფონზე, როცა ქართულ სათეატრო სივრცეში დიდ მაესტროს შემოქმედებით კრიზისზე მიუნიშნებენ.

გთავაზობთ ამ ელექტრონული, ვირტუალური საუბრის მნიშვნელოვან ნაწილს.

ცოტა უხერხულ მდგომარეობაში ჩავიგდე თავი: შეგპირდი კომენტარებს და მერე სხვა საქმეებზე გადავერთვე... პროფესიული სიამაყე მიბიძგებს, რომ თავს მოვერიო და საკუთარი აზრი გამოვთქვა იმ სპექტაკლზე, რომელსაც რობიკომ „ტრაგიკომიკურიდან ექსცენტრიზმამდე," უწოდა... იქნებ და... დიდი მნიშვნელობა არცა აქვს ჩემს შეხედულებებს, მაგრამ მაინც... მე პუნქტებად ჩამოვაყალიბებ ჩემს აზრს, შენ კი აუცილებლად მომწერე – მეთანხმები თუ არა... კარგი?

მანოლის რიზას

ცოტაოდენი რობიკოზე:

იქნებ, ხმამაღალია ჩემი ნათქვამი, მაგრამ მიმაჩნია, რომ სტურუა უკვე გადასულია შემოქმედთა იმ კატეგორიაში, როცა სპეციალისტები (თეატრალები, ძირითადად) უკვე მის თითოეულ დეტალს იკვლევენ თვითგანათლების მიზნით და არა დისპუტების ასაგორებლად. პატივს ვცემ ყველა თეატრმცოდნეს, მაგრამ საქართველოში არ მეგულება თუნდაც ერთი, რომელსაც ეგების რობიკოს განქიქება. მინდა სწორად გამიგო, რასაც ვამბობ: ვასო კიკნაძეა თუ ლაშა ჩხარტიშვილი... ნებისმიერი უნდა ცდილობდეს საკუთარი გაგება დაუქვემდებაროს ამ რეჟისორის ნამუშევარს და მე – არათეატრალს (ასე თუ ისე განათლებულ ადამიანს) მომაწოდოს სწორი განმარტება... ვიმეორებ, განმარტება და არა კრიტიკა (კრიტიკა - ამ შემთხვევაში, ცუდი გაგებით). ანუ, შენი მასალის დაწყება ფრაზით, რომ თურმე, რობიკოს რეჟისურისათვის არახალია მითქმა-მოთქმა სხვადასხვა თაობის თეატრმცოდნეებში უკვე შეცდომაა... სხვა საქმეა, თუ რობიკომ ამჯერად ვერ დაიპყრო მწვერვალი... და ამასაც ჩემეული პასუხი აქვს...

რობიკო ვერასოდეს გახდება ქართული (და არა ქართველი) რეჟისორი, რადგან უკვე გვიანაა და არც არასოდეს ყოფილა ამგვარი. რობიკომ არ იცის ქართული ხასიათის ის ძირი ნიუანსები, რომლითაც შეიძლება მოამზადო ნაღდი ქართული პროდუქტი... ამგვარი მზა-

ლაშა ჩხარტიშვილი რობერტ სტურუა

რეული უკვე მოკვდა (მიშა თუმანიშვილი) და არანაკლებ ამგვარ მზარეულს (თემურ ჩხეიძე) ბედი არ სწყალობს. ეს არ არის უბედურება. რობიკო ისედაც დიდია და საკმარისია.

რაც შეეხება ყველაზე მოულოდნელ ფრაზას შენი ნაშრომიდან: (არ ვიხედები პირველწყაროში და ზეპირად გადმოვცემ) „...გადმოცემით ვიცი, რომ „კავკასიურ ცარცის წრეს" გულგრილად შეხვდა ქართველი მაყურებელი..." – რამდენიმე ემოცია გამიჩნდა ამის წაკითხვისას – როგორ დავბერებულვარ, რომ იმას, რასაც შეგნებულ ასაკში მოვესწარი, უკვე გადმოცემით იხსენებენ??? (კატასტროფაა ჩემთვის)... – ეს ერთი. ახლა მეორე: ვინ გითხრა, ლაშა, შენ ეს?.. ალბათ, რომელიმე ლექტორმა, ან ხელოვანმა... ნამდვილად, ქუჩაში ყურმოკრულს არ დაწერდი პროფესიულ გამოცემაში... იცი, რა იყო სინამდვილეში? მე ვთვლი, რომ „კავკასიურის" წინაპირობა იყო ნამდვილი (არაკომუნისტური) პირველი პიარი საქართველოში. პრემიერამდე რამდენიმე თვით ადრე გავარდა ხმა, რომ სტურუა სასწაულს ამზადებდა... თუ არ ვცდები, 1975 წელი უნდა ყოფილიყო, ანუ, მე 14 წლის ვიყავი. ამ სპექტაკლის ყოველი წარმოდგენის შემდეგ საათნახევარი გრძელდებოდა აპლოდისმენტები... ისტერია იდგა პარტერში... მე გადმოცემით ვიცი, რა მოხდა „ურიელზე" და ნამდვილად, ახლოსაც ვერ მივა ის ემოცია ამ ემოციასთან... ამ სპექტაკლმა ყველა დროის რეკორდი მოხსნა ქართული თეატრის ისტორიაში ჯერ კიდევ ბევრად ადრე, ვიდრე მას საზღვარგარეთ გაიტანდნენ. ვეღარავინ გაბედა, უკუღმართის თქმა, რადგან სპექტაკლში თავიდანვე იყო ჩადებული უნიკალურობის, სიახლის, გენიალურობის კოდი. რა თქმა უნდა, არავითარი ქართული სპექტაკლს არ ეცხო (არც იყო საჭირო და არც ბრეხტს უზრუნია ამ ნიუანსზე), მაგრამ ფაქტია, რომ არც „რიჩარდს" ეცხო რაიმე ინგლისური, რასაც სულ არ შეუშლია ხელი ინგლისელებისათვის;

რობიკოს ნამუშევრებიდან (ქართულ დრამატურგიას ვგულისხმობ) ალბათ ყველაზე საინტერესო, მაინც „ხანუმაა", და აქაც: სულაც არ მიმაჩნია, რომ „ხანუმა" ქართული პროდუქტია... „ხანუმა" თბილისურ-სომხურია და ამ ჭრილში გადასარევი სპექტაკლი გააკეთეს რობიკომ, ეროსიმ, რამაზმა და სალომემ (აუცილებლად ამ ოთხმა ერთად და არა, რომელიმე მათგანმა ცალკე);

ახლა წავედით შენი მასალისკენ: (კომენტარებს ქვეთავებს მივაწერ)

კლდიაშვილის გადატრიალება, თუ ახალი დაბადება?

რუსთაველის თეატრის ბოლო პერიოდის დადგმებს შორის ყველაზე დიდი მითქმა-მოთქმა კრიტიკოსებში რობერტ სტურუასა

და ზაზა პაპუაშვილის ერთობლივმა სპექტაკლმა, დავით კლდიაშვილის ,,დარისპანის გასაჭირმა" გამოიწვია. აზრთა სხვადასხვაობა და ცხარე დისპუტი უცხო არ არის სტურუას რეჟისურისთვის, მისი ყველაზე უმნიშვნელო სპექტაკლებიც კი ფართო საზოგადოების მსჯელობის საგანი ხდება, თუმცა ,,დარისპანის გასაჭირმა" მართლაც ბევრი აალაპარაკა.

მანოლის რიზას:

მიუხედავად იმისა, რომ წერილი პროფესიული გამოცემისათვის იწერება, უსიტყვოდ მშრალი და იმპოტენტური დასაწყისია (ძველმოდური, გაცრეცილი, ტრივიალური და არანაირად საინტერესო). ვინ დააკანონა თეატრმცოდნის სათქმელის კლიშეები? ქვესათაური იმდენად თავხედურია, ვიფიქრე – არიქა და მეშველა, რაღაც საინტერესო უნდა მითხრას ამ კაცმა-მეთქი, მაგრამ შენც არ მომიკვდე. დამხვდა, „კვირის პალიტრის" ჩიტი კორესპონდენტის (უშტატო თანამშრომლის) ინსტიტუტში დაზეპირებული მზა ფრაზა. სამწუხაროდ, (გვინდა თუ არა) ქართულ დრამატურგიას უკვე ჰყავს მეორე კლდიაშვილი... ამდენად, აუცილებელია (მით უმეტეს, სათაურში) სულნათელ დავითს სახელ-გვარი შეუნარჩუნო... და მით უმეტეს, პროფესიულ პერიოდულ გამოცემაში. მაგრამ (!!!) თუ არ შეგიძლია დანაპირები შემისრულო, მაშინ, ნება იბოძე და უფრო იოლი რამ შემპირდი: ის, რომ ბევრი აალაპარაკა სპექტაკლმა, არც კლდიაშვილის გადატრიალებაა და არც ახალი დაბადება. უპრიანია, ნებისმიერი მასალა დაიწყო ყველაზე უმნიშვნელო, მაგრამ საკუთარი აღმოჩენით... ისეთით, რობიკოსაც რომ თმები ყალყზე დაუდგეს (აღარ მახსოვს, აქვს თმები თუ არა, რობიკოს?) – ვაა... ეს რა ბიჭი ყოფილა, ეს სადღა შეუმჩნევიაო...- თქვას. თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ შენ რობიკოსთვის არ წერდი... ამიტომ, მე და ჩემნაირებს გვირჩევნია, დაგვიდგეს თმები ყალყზე. ანუ, გამორიცხულია, რაიმე არ მომხდარიყო სპექტაკლში ისეთი, რასაც ან რობიკომ აღარ მიაქცია ყურადღება, ან რომელიმე წარმოდგენისას შემთხვევით მოხდა... ან დასვი სრულიად მოულოდნელი კითხვა. მაგალითად, როგორიცაა: იცნობდა თუ არა, დავით კლდიაშვილი პირადად კაროჟნას?... და მერე, მიყევი ამ აკვიატებულ, ერთი შეხედვით აბსურდულ კითხვას ბოლომდე... ეს ნიუანსი იცი რას გაძლევს ნაშრომში? – ზუსტად იმ ემოციას, რასაც მორიკონეს მუსიკა... გამუდმებით როცა ელოდება მსმენელი კონკრეტულ კომპოზიციაში საწყისი მუსიკალური ფრაზის განმეორებას... იყავი აუცილებლად ორიგინალური, თავი ქვას ახალე და თუნდაც ერთი უცნობი ფაქტი შემატყობინე დრამატურგის პირადი ცხოვრებიდან, ან პიესის ისტორიი-



დან, ან პერსონაჟთა რომელიმე პროტოტიპის რეალური ცხოვრებიდან... რა? არ არსებობს? არ დაიჯერო... უამრავი საინტერესო ფაქტი არსებობს, რომელსაც არაფრად ვაგდებთ... რომელსაც მნიშვნელობას არ ვანიჭებთ და ამ დროს, თითოეული მართლა მარგალიტია ჩვენივე პროფესიული წინსვლისთვის. მე რომ გიხსენე, „ალუბლების" რეცენზიის ავტორი... იცი, რა იჩალიჩა? – მიზნად დაისახა, გაერკვია, ბოლოს და ბოლოს, რა ზომის იყო (კვადრატულ მეტრებში) ის ავადსახსენებელი ალუბლის ბაღი... ნახე, რა თავხედია?! – არადა, წამაკითხა იმ დედააფეთქებულმა სამი კვირის მანძილზე, სამ გაზეთში გადანაწილებული წერილი... შენც ხომ პროფესიონალი ხარ? შენ ხომ დამწყები ჟურნალისტი (ან თუნდაც თეატრმცოდნე) არა ხარ? გასცდი პიესის ჩარჩოებს, ჩაიხედე ავტორის წარსულში, ვინმე შთამომავალს ამოართვი გონებაში ჩამკვდარი რაიმე სულ პაწაწინა ფაქტი და მაგრძნობინე, რომ ვალი კი არ მოიხადე შენი მასწავლებლებისა და კოლეგების წინაშე, არამედ საკუთარ პროფესიას სცემ უდიდეს პატივს და შრომობ ისე, თითქოს საყვარელ სასმელს სვამ, ან საყვარელ ადამიანთან განიცდი ორგაზმს...

ამას ყველაფერს ძალიან ნუ მიაქცევ ყურადღებას, რადგან მე მეორე გზას გთავაზობ, ალბათ უფრო კარგს, ალტერნატიულს, მართლა მინდა მეორე სტატიას რომ გამომიგზავნი ვთქვა, ვაااა, დახე ლაშას, როგორ გაზრდილაო!

რა მოხდა „დარისპანზე"

სტურუა-პაპუაშვილის „დარისპანის გასაჭირის" ორი სცენური რედაქცია არსებობს. თბილისელ მაყურებელს, საშუალება ჰქონდა ენახა ბათუმური ვარიანტი, რომელიც უსწრებს თბილისურ პრემიერას, პირველი ერთგვარ გენერალურ რეპეტიციას, ექსპერიმენტს გავდა რეჟისორთა მხრიდან. თბილისურ რედაქციაში ბევრი რამ დაიხვეწა და სპექტაკლის ავტორთა ხედვა მკაფიოდ ჩამოყალიბდა. რეჟისორებმა კბილი მაყურებელს ბათუმში „მოუსინჯეს", მაგრამ პიესის სრული მოდერნიზაცია, როგორც ჩანს, ბოლომდე მაინც ვერ „გაბედეს". თუმცა კლდიაშვილის გათანამედროვების ეს დოზაც საკმარისი აღმოჩნდა ბათუმელთა თავისებური პროტესტისთვის.

ცნობილია, რომ ბათუმური „დარისპანის გასაჭირის" სცენურ ვერსიას გაცილებით თბილად შეხვდა საზოგადოება თბილისში გასტროლებისას, მაგრამ ასე არ მოხდა თბილისური ვარიანტის წარმოდგენისას. დედაქალაქში, როგორც ეს სტურუას სპექტაკლებს სჩვევიათ ხოლმე, კრიტიკოსთა აზრი ორად გაიყო. უცნაური კი ისაა, რომ ორივე „ბანაკში" გადანაწილდა როგორც საბჭოთა თეატრმცოდნეობის „მამები", ისე „თავისუფალი საქართველოს" თეატრმცოდნეები. ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება" მიდიოდა ცხარე კამათი სპექტაკლზე. არანაკლები „ხოცვა-ჟლეტა" იყო თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის თეატრმცოდნეთა სამეცნიერო სექტორზე, სადაც ეს სპექტაკლი იყო განხილული. პროფესორთა ერთი ნაწილი ირწმუნებოდა, რომ ეს ახალი სიტყვა იყო კლდიაშვილის ინტერპრეტაციაში, მეორენი კი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ სპექტაკლის კონცეპტუალურ გადაწყვეტას.

მანოლის რიზას

აი, ჩემთვის კი, ყველაზე უცნაური ისაა, რომ მავანი, თუნდაც ბუმბერაზი ავტორიტეტი (არის კი დღეს ამგვარი?) რატომღაც ეწინააღმდეგება რობიკოსეულ კლდიაშვილის კონცეფციას. კლდიაშვილი ნამდვილად არ არის ღრმა ფილოსოფია... ლაღია, მარტივია (კარგი გაგებით), ძირშივე გაშიფრული და დაღეჭილია... ისღა დამრჩენია მე (მაყურებელსაც და თეატრმცოდნესაც) რომ კარგი რეჟისორის ექსპერიმენტით „გავერთო". შეიძლება, მოვწყდი რეალობას და სწორად ვერ აღვიქვამ – რა ხდება დღეს საქართველოში? მაგრამ, არა მგონია ისე წინ წასულიყო ქართული რეჟისურა, ან ქართული თეატრალური კრიტიკა, რომ რობიკოს მარტივ ექსპერიმენტებს (კონცეფციებს) ესოდენ აყალ-მაყალი სჭირდებოდეს... შენს ადგილზე ამ თემაზე ავაგორებდი საუბარს და გვარიანადაც ვიხალისებდი. ვითომ ვინ არის კლდიაშვილი ისეთი, რომ მისი ექსპერიმენტობა არ შეიძლება (მით უმეტეს, რომ დიდი რეჟისორი აკეთებს ამას)? თუ ვლადიმიროვმა ჩააცვა პეტრუჩიოს ჰოკეისტის ტანსაცმელი „ჭირვეულის მორჯულებაში", და ეს მაინცა და მაინც არ სწყენია შექსპირს,.. დავიჯერო, დავითს უფრო გაუჭირდებოდა პატარა ცოდვების მიტევება? იცი, ლაშა... მე აქ სულ სხვა

აზრი მაქვს: ზუსტად ერთი თაობით წინა მაყურებელმა (საბჭოთა პედაგოგიკის წყალობით) კარგად იცოდა შექსპირის ეპოქაც და კლდიაშვილის ეპოქაც. მაშინ კონცეფციები ბევრად გამართლებული იყო, რადგან ყველაზე ჩამორჩენილი მაყურებელიც კი ხვდებოდა – მაგალითად, რას ნიშნავდა მარგოს საქანელაზე ქანაობა („ჯაყოს ხიზნებში")... დღეს ცოტა სახიფათოა ამგვარი სცენა... ანუ, ანა კარენინას მართლა უნდა გადაუაროს მატარებელმა, რომ გარდა ემოციისა, თეატრმა დარბაზს განათლებაც მისცეს. სამწუხაროდ! გადავერთვე და შენი სხვა წერილი ამომიტივტივდა... ვფიქრობ, ეს თემა არც თუ ურიგოა ერთი თეატრმცოდნის ფიქრებისათვის (რომელიც შენ უკვე დაიწყე და ძალიან ზუსტადაც მიდიხარ). რაც შეეხება სტილს: აქ აბსოლუტურად შენ ხარ, არავინ სხვა, სადა და მარტივი, ამბავს მიყვები ისე თითქოს მეჭორავები, მე ეს მომწონს და აქაც, ჩვენში პოპულარულია შეფასების ასეთი ფორმა.

რასთან გვაქვს საქმე სინამდვილეში:

ჩვენი მოკრძალებული აზრით, სტურუა-პაპუაშვილის სპექტაკლი ახლებური გააზრებაა კლდიაშვილის დრამატურგიისა, საოცრად რეალისტური და თანამედროვე. ასე რომ არ დადგმულიყო დღეს კლდიაშვილი, შეიძლება კიდევ დიდხანს დებულიყო თაროზე, სტურუამ გაკვალა გზა, რათა დაერღვია ის სტერეოტიპი, რომელიც არსებობდა თითქმის ორმოცი წელი. ეს არ არის გადაჭარბებული შეფასება (შეიძლება იყოს სუბიექტური). ჩვენ განვიცადეთ სცენაზე გათამაშებული ისტორია, ვუთანაგრძნეთ ამ ისტორიის მთავარ მოქმედ გმირებს და შესაბამისად მივიღეთ კლდიაშვილის სცენური ინტერპრეტაციის ახლებური რედაქცია. დასკვნების გამოტანას არასდროს ვჩქარობთ ქართველები, იმიტომ, რომ გვეშინია შეფასებების, ესეც ერთგვარი კომპლექსია. გადმოცემით ვიცი, რომ ,,კავკასიურ ცარცის წრეს" მაშინ ცივად შეხვდა მაყურებელი, საბოლოო დასკვნებისთვის საკმარისი აღმოჩნდა უცხოეთში მისი აღიარება. კიდევ რამდენი მსგავსი ფაქტი არსებობს...

მანოლის რიზას:

თუ გინდა, რომ არასოდეს იზარალო, როგორც პროფესიონალმა – ამოაგდე ლექსიკონიდან „მოკრძალებული"... და მით უმეტეს „ჩვენი". მეორე — საერთოდ, საბჭოთა სამეცნიერო ნაშრომის რუსული სტილისტიკის ვირუსია ქართულში და პირველი კი – თავად გაკომპლექსებს. ვითომ, რატომ არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიძლება ლაშა ჩხარტიშვილს ჰქონდეს საკუთარი მყარი აზრი? რა, გვარი არ უვარგა, თუ სახელი? თუკი ანდრიასოვი არად აგდებდა არანაირ ავტორიტეტს, შენ რა დაგემართა? არა, უზრდელი არ უნდა იყო, მაგრამ ლამაზად თავხედი – სასიამოვნოც კი არის! ახლა რაც შეეხება კვლავ "ახლებურ რედაქციას". რა ქნეს ამისთანა სტურუა-პაპუაშვილმა? დავიჯერო, დარისპანის გასაჭირს ფროიდისეული კუთხით მიუდგნენ და მთელი სიცხადით დამანახეს მამის-კაცის სულიერი ტრაგედია ქალიშვილის გათხოვების გარდაუვალობა-აუცილებლობის ფაქტთან დაპირისპირებისას? კლდიაშვილი სუსტია, რადგან საკუთარი ეპოქის მცირე ხანის სოციალურ პრობლემას მიუძღვნა პიესა. მან არც კი იცოდა, რომ მარადიულ ტრაგედიაზე წერდა. სამაგიეროდ, ჯერ ვერც ერთმა ქართველმა რეჟისორმა ვერ წაიკითხა ამ კუთხით ნაწარმოები, უცხოელებმა კი – არც კი იციან რომელ თაროზე დევს კლდიაშვილი. ლაშა, მე არ მინახავს სპექტაკლი და მინდოდა ყველაფერი შენგან გამეგო... გავიგე მხოლოდ ის, რომ ახალი სოციალური სტატუსები შეიძინეს გმირებმა... ახალი კოსტიუმები ჩაიცვეს... კარგი რა... ეს ხომ შენმა მოგვარემაც გააკეთა დიდი ხნის წინ და კრეონი გამოიყვანა შარვალ-კოსტიუმში, დევი დახტოდა ჯინსებში თუმანიშვილთან... მერე რა? ეს არის ახლებური რედაქცია? აააა... ჩემო იმერეთო? ამას გულისხმობდი? ახლა ყველაფერი გავიგე, თუმცა ვერ გავიგე, რას ნიშნავს შენთვის საოცრად რეალისტური? ჩემი გაგებით, საოცრად რეალისტური იქნებოდა ცოცხლად მენახა როგორი ნიფხავი ეცვა ნატალიას მაშინ, იმ დროს... დღევანდელ მაყურებელსაც ეს უნდა... არა, არა, მე არ ვგულისხმობ ეროტიკას... უბრალოდ, სცენიდან რთული აღსაქმელია წვრილი დეტალები და ნიფხავი იმიტომ ვახსენე... გარდა ამისა, სიტყვა „საოცრად", არ ეკადრება არანაირ ავტორს (არც ჟურნალისტს და არც თეატრმცოდნეს)... ეს სიტყვა დიდ დაზუსტებას მოითხოვს, რადგან შენთვის საოცრება სხვა რამეა, ჩემთვის კი – სულ სხვა.

ყოველივე ეს მკაფიოდ არ ჩანს, მაშ არც დღევანდელ რეალობაში არსებულა, გაფერმკრთალებულა, გამქრალა... დაგვცინის სტურუა? არა, სტკივა! განა სევდიანად არ მღერიან გმირები ,,ჩემო იმერეთოს", რომელიც ლაიტმოტივად გასდევს მთელს სპექტაკლს?! ყველაზე ტრაგიკული განცდა მათ ამ სიმღერის შესრულებისას ეუფლებათ. არადა, რომ დავფიქრდეთ, მართლა სადღაა კლდიაშვილის იმერეთი (ან სულაც, გუშინდელი იმერეთი) და ის სული, რომელიც სამწუხაროდ კვდება? ამ რეალობას უკაკუნებს სტურუა, მაგრამ ჩვენ ხომ თავად ვართ ექსცენტრულები და კუდაბზიკები, რომლებსაც არ გვსურს გავუსწოროთ თვალი რეალობას?!

მანოლის რიზას:

მართალი ხარ! მაგრამ, ვხვდები, რომ ეს მოწოდება ეკუთვნის არცთუ შემთხვევით მკითხველს და მიმართავ კოლეგებს – დიდებს, ახალგაზრდებს, სტუდენტებს... კი, მაგრამ, ეს ხომ სკოლის მოსწავლეებისთვისაა განკუთვნილი... იმიტომაც ვთქვი, რომ შორს არიან ტვინის ჭყლეტვისგან-მეთქი...

ნუ შეგეშინდება ერთი შეხედვით, შეუსაბამო ტერმინოლოგიის მოხმობის. „გვიჩვენებს" სიტყვას სჯობს ნებისმიერი ექსპერიმენტული ვარიანტი: გვირტყამს, გვილაწუნებს, გვიკაკუნებს, გვილიტინებს... არც ერთია ახალი, მაგრამ ბევრია და მრავალფეროვანი.

ოპონენტთა გასაგონად:

ხელოვნების არსებობას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, თუ კი ის მუდმივად განვითარდება, მაქსიმალურად დაუახლოვდება თანამედროვეობას და მხატვრულად ასახავს მას. დაუკვირდით, რა ხაზგასმითაა სპექტაკლში შენარჩუნებული კოლორიტი, თითქმის ხელუხლებელია ორიგინალური ტექსტი (თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ფრაზას). და თუ

გზა რეპეტიციიდან პრემიერამდე:

,,საერთოდ, ეს პიესა არ მომწონდა - გვიყვება რობერტ სტურუა - მახსოვს ბატონმა მიშა თუმანიშვილმა ჩემი სტუდენტობის პერიოდში დადგა ,,დარისპანის გასაჭირი'' ტელესპექტაკლად, თამაშობდნენ ბრწყინვალე მსახიობები: მედეა ჯაფარიძე, სერგო ზაქარიაძე, სალომე ყანჩელი და სხვები. ტელევიზიით რომ ვნახე, არ მომეწონა და

ბატონ მიშასაც ვუთხარი, ცოტა მკვახედაც კი გამომივიდა. ,,დარისპანის'' დადგმა ზაზა პაპუაშვილის ინიციატივა იყო. პრემიერამდე ორი კვირით ადრე ვნახე სპექტაკლი. რეპეტიციაზე ლევან ბერიკაშვილთან (მას უნდა ეთამაშა დარისპანი) წამომცდა ასეთი ფრაზა – ითამაშე, როგორც იტალიელი ალბერტო სორდი, ან დინო მანფრედი ითამაშებდა მაფიოზს. თვითონ ზაზასაც დარისპანი ჩაფიქრებული ყავდა, როგორც მსახიობი. მსახიობში კი თავისთავად უკვე ჩადებულია ავანტურისტის ბუნება. მერე როცა ბერდო როლიდან მოიხსნა და დარისპანი ზაზას უნდა ეთამაშა, იგი სწორედ ამ ფრაზას ჩაეჭიდა და რეპეტიციაზე მომზადებული მოვიდა. მიმართულება მიეცა ჟანრსაც — ტრაგიკომიკურიდან ექსცენტრიზმამდე. მუშაობისას მაინცა და მაინც არ ვფიქრობდი იდეებზე, ისე როგორც ,,სამანიშვილის დედინაცვალს'' რომ ვდგამდი. მახსოვს მიშიკო ჭავჭავაძეს ვეუბნებოდი, მოდი მოვეშვათ იდეებს და წავყვეთ ამბავს-თქო, რადგან თავად დრამატურგს აქვს ,,ჩაწყობილი'' მასში იდეები, რომლებიც თავისთავად გამოჟონავს. ვგრძნობდით, რომ ვმოგზაურობდით ახალ სამყაროში. ეს იყო ძალიან აზარტული. სტილისტიკაც უჩვეულო იყო, თითქოს ნაცნობიც. მივხვდით, რომ ეს პიესა მრავალწახნაგოვანია, ისე როგორც ბრილიანტი, რომელიც სხვადასხვა კუთხიდან სხვადასხვაგვარად აღიქმება. ეს მართლაც სხვა თვალით დანახული ,,დარისპანია''. იქ კიდევ დარჩა ბევრი რამ, რომლებიც სხვებმა უნდა აღმოაჩინონ".

მანოლის რიზას:

ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ რობიკოს „დარისპანის გასაჭირი" არ მოსწონდა!

ვინ მონაწილეობს სპექტაკლში:

რუსთაველის თეატრის ძველი და ახალი თაობის გამორჩეული მსახიობები: ზაზა პაპუაშვილი, ნინო კასრაძე, ნანა ფაჩუაშვილი, ზვიად პაპუაშვილი, ეკა მოლოდინაშვილი, ქეთი ხიტირი, დათო გოცირიძე. ისინი ქმნიან საინტერესო და აზარტულ სანახაობას, მთლიანობაში კი ანსამბლურ სპექტაკლს. მათ შორის ლიდერები სცენაზე მაინც არსებობენ: დარისპანი (ზაზა პაპუაშვილი) და მართა (ნინო კასრაძე); ფაქტიურად მათზეა აგებული სპექტაკლი, ისინი არიან მოვლენათა წარმმართველნიც და ატმოსფეროს შემქმნელებიც, თუმცა საინტერესო აქტიორული ნამუშევრებია პელაგია (ნანა ფაჩუაშვილი), ნატალია (ეკა მოლოდინაშვილი) და ონისიმე (ზვიად პაპუაშვილი). მისასალმებელია, რომ ახალგაზრდებმა, რომლებმაც ახლახან შეადგეს ფეხი სტურუას თეატრალურ სამყაროში, ზუსტად აუღეს ალღო. განსაკუთრებით ეს ითქმის ეკა მოლოდინაშვილზე და დათო გოცირიძეზე, ძალზე მნიშვნელოვანია ნატალიას და კაროჟნას მიერ ოსიკოსთვის ფინჯანის მიწოდების სცენა, რომელიც სპექტაკლის კონცეპტუალური მნიშვნელობის ღერძია. ისინი ჯერ თითქოს დუელში იწვევენ ერთმანეთს, შემდეგ გააცნობიერებენ რეალობას და სიცილ-სიცილით, ირონიით ერთდროულად მიართმევენ ჩაის ფინჯანით ოსიკოს (დათო გოცირიძე).

რითი ,,გვატყუებს" სტურუა:

სპექტაკლში ბევრი ნიუანსია, რომელიც ბასრ თვალს შეიძლება არ გამოეპაროს, მაგრამ სტურუას ისე ეტაპობრივად და თანმიმდევრობით შეყავხარ ამ ექსცენტრიკულ-ტრაგიკომიკურ სივრცეში, ისეთ ფერადოვან, ცოცხალ, მხიარულ, სევდიან და ირონიულ სამყაროს გიშლის, რომ ჩათრეული და მონაწილე ხდები მისი, ამიტომაც ,,შემჩნეული" ქრება და ორიენტაცია კონცენტრირდება მომდევნო მიზანსცენაზე, რომელსაც ასევე დინამიურად ენაცვლება მეორე. სულერთია სცენიდან იქნება თუ პარტერიდან (ზაზა პაპუაშვილი მისი ამალითურთ არაერთხელ ჩამოდის დარბაზში), უშუალო კავშირი მაყურებელსა და მონაწილეებს შორის მყარდება. ამიტომაც რჩები ,,მოტყუებული". ემოცია (ძირითადად დადებითი), რომელიც პარტერიდან ქუჩაში აუცილებლად გაგყვება, შეიძლება სუმბურული მოგეჩვენოს, მაგრამ უცებ ამოგიტივტივდება: ზაზა პაპუაშვილის სევდით წაკითხული მონოლოგი, სპექტაკლის რეზიუმეს რომ წარმოადგენს: ,,ძალიან დავიღალე... იქნება ღმერთს არც კი გაუჩენია ჩვენთვის ბედ-იღბალი... იქნება კენტებად ვყავართ გაჩენილები, მაგრამ სულ თუ ვიმწუხარეთ და ვიჯავრეთ მარტო, რა? ეგება ხვალ, ან ზეგ... ბედნიერი დღე გვითენდება, ვინ იცის... ღმერთო, კეთილად დააბოლოვე ჩვენი მგზავრობა". მართლაც გზაში ვართ ქართველები და ჩვენი მგზავრობა ებრაელთა ხეტიალს ჰგავს უდაბნოში...

მანოლის რიზას:

აი, ამ თავხედობაზე გეუბნებოდი ზემოთ. ყოჩაღ! აქამდე შენვე მისულხარ! ზუსტად მოძებნილი გაქვს ქვესათაურისათვის „რითი გვატყუებს სტურუა". პროვოკაციულია და საინტერესო.

მართლაც გზაში ვართ ქართველები და ჩვენი მგზავრობა ებრაელთა ხეტიალს ჰგავს უდაბნოში... – ამ ფრაზით მივხვდი, რომ კარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გი ბიჭი ხარ... უკეთესი იქნებოდა სწორედ ამ ფრაზას ჩასჭიდებოდი და ყველა დეტალი, არა მარტო სპექტაკლის, არამედ მაყურებლისაც და ოპონენტთა ჯირითისაც... ამ სიმძიმით დაგეტვირთა.

რამდენიმე საინტერესო დეტალი გმირის ხასიათზე:

ვინ არის თანამედროვე მართა? — „ახალ ქართველს" რომ ეძახიან ის. მანქანით, ევრორემონტით, რომლის დამთავრებაც შორეული პერსპექტივაა უზარმაცესი და უქნარა ხელოსნების (ზაზა ბარათაშვილი, პაატა გულიაშვილი, მამუკა ლორია, ნიკა ქაცარიძე) წყალობით. კომპიუტერით, რომლის არც ჩართვა იცის და არც გამოყენება, მისი კლავიატურა როიალის კლავიშები რომ გონია, მაგრამ ხომ აქვს. ეს არის მთავარი. ნინო კასრაძის მართა მთავრობასთან დაახლოებული პირია. ტიპიური თანამედროვე გმირი, რომელიც უანგაროდ ვერ ცხოვრობს, აუცილებლად რაღაცას უნდა გამორჩეს. მართა ნინო კასრაძის ამ ბოლო პერიოდის ერთ-ერთი საუკეთესო ნამუშევარია, რომელიც დადებით შეფასებას იმსახურებს.

პოლიტიკური თეატრის შტრიხები:

ოსიკო ხარებაძე, უფრო სწორად, ბატონი ოსიკო საპატივცემულო კაცია, ამიტომაც ითხოვს მოწიწებით მოექცნენ მას, იგი დიდი ხმაურით და დაცვის თანხლებით მოდის მართასთან სტუმრად (არადა შთაბეჭდილება გრჩება, რომ ოსიკოს სულის ერთი შებერვა წააქცევს). ეკლესიას შენიშნავს, დაიჩოქება და ისმის ტაშის ქუხილი, მოჩვენებითია მისი რწმენასთან დამოკიდებულება. ოსიკო თვითდაჯერებული და მოძალადეა, მისი მსხვერპლია ნატალია, პასუხის მოთხოვნას მის საქციელზე ვერავინ გაბედავს პელაგიას გარდა, რომელსაც ერთდროულად შეაჩერებს ყველა. მას უპირისპირდება დარისპან ქარსიძე – დაფასებული მსახიობი, ანუ ხელოვნების მეტაფორა სპექტაკლში. დარისპანი თავიდანვე ამასხარავებს ოსიკოს, არ იტეხს ქედს მის წინაშე და როცა მოტყუებული და გაბრიყვებული მართა მას გაუსწორდება, მაინც დარისპანის საპატრონებელი გახდება იგი, რომელიც შეხვედრისთანავე აქილიკებდა მას, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა ვისაც წარმოადგენდა. სცენაზე მდგარ ნამდვილ მანქანას, რომელიც ბუტაფორიის ნაწილი იყო აქამდე დარისპანი მომართავს და ოსიკოს, ალბათ გასაკურნად საავადმყოფოში გააქანებს...

მანოლის რიზას:

კარგ რაღაცეებს ჩაავლე აქაც, მაგრამ ამ მიგნებას უნდა მიყვე და ყველა მხრიდან ატრიალო, მანამ სანამ არ ამოწურავ. არ მითხრა ახლა ვრცელ ნაშრომს არ დამიბეჭდავენო, გამომიგზავნე ჩასწორებული ვარიანტი და მე გიბეჭდავ. ამაზე ხომ შევთანხმდით უკვე.

დაბოლოს: სპექტაკლი happy end –ით მთავრდება, გამოსაჯამრთელებლად გაგზავნილი ოსიკო, ჩახუტებულ-შეხმატკბილებული მართა და დარისპანი, დამეგობრებული ნატალია და კაროჟნა. ბედნიერი, ნათელი და სახიერი მომავლის იმედი.

მანოლის რიზას:

ooooo... ჩემო ლაშა... ეს ხომ სტურუა-პაპუაშვილმა თქვეს? შენ? ჩემი საამაყო, საყვარელი და სასიქადულო თეატრმცოდნის კომპეტენტური აზრი სადღაა... არასოდეს ჩაიკარგო სხვის ნამოქმედარში... სტურუას კი არა, კოპოლას უნდა ეშინოდეს, ემანდ, ლაშა ჩხარტიშვილი არ შემოძვრეს და არ გამაცამტვეროსო... პერიოდიკას რომ ავიღებ და ჩხარტიშვილის გვარს მოვკრავ თვალს, სულმოუთქმელად უნდა მოვიკალათო, საკმარისი რაოდენობის სიგარეტი მოვიმარაგო, რაიმე სასმელიც დავიდგა და ყველაფერი გავთიშ-გამოვრთო, რომ კითხვაში ხელი არაფერმა შემიშალოს... თუნდაც, თუნდაც 2 ლარს უხდიდნენ გვერდში ავტორს.

მეორე ნაწილი

უბრალო პასუხი ელადელ კოლეგას

გულისყურით წავიკითხე შენი კომენტარები, ბევრ რამეზე გეთანხმები შენს მიერ გამოთქმულ შენიშვნებში, არ დაგიმალავ და მომენტებში შემრცხვა კიდეც ჩემი თავის, შიშიც გამიჩნდა ჩემს პროფესიაზე ხელი ხომ არ ავიღო, ისედაც არანაირი ხეირი ამ პროფესიაში არ არის, მით უმეტეს, საქართველოში, :)) მაგრამ შენ წარმოიდგინე და არ გეთანხმები რაღაცაშიც!

რას ამბობ? რობიკო ქართველი რეჟისორი არაა? არა, კატეგორიულად ვერ დაგეთანხმები!! სიმართლე გითხრა ამაზე კამათი საქართველოში აბსურდად მიაჩნიათ. მიუხედავად იმისა, რომ შენ ქართულ თეატრთან ერთად ქართულ სულს, ხასიათს, ტრადიციებს და ზოგადად კულტურულ ფა-

სეულობებს იკვლევ, მაინც ვერ ხვდები ბოლომდე ქართულს და არც გამტყუნებ, მით უმეტეს, ქართველების გარკვეული ნაწილი ვერ ხვდება ამას.

გარდა იმისა, რომ სტურუა ბიოლოგიურად ქართველია, მისი შემოქმედება გინდა მითხრა, რომ ქართული მოვლენა არ არის? სწორედ, რომ ქართული თეატრალური (და არა მარტო) ტრადიციით არის სტურუა ნასაზრდოები, როგორც რეჟისორი, ყველაფერი მისი აზროვნებაც კი (თავისთავად მისი სპექტაკლების შინაარსი და ფორმა) ეფუძნება ქართულს. თუნდაც „კავკასიური" ავიღოთ, რა ეს ქართული მოვლენა არაა? ბრეხტი გახადა ქართული, იგივე მისი შექსპირული ინტერპრეტაციები გაიხსენე. რობიკომ იცის, რომ თუ ჩვენ, ქართველები შექსპირს ვითამაშებთ, როგორც ინგლისელი ითამაშებდა, უმალვე კრახისთვის იქნება განწირული ეს „პროექტი". ბუნებრივია მისი „ლირი", „რიჩარდი" ტიპიური ქართული მოვლენა იყო. შენ რობიკოს ბეკეტის „გოდოს მოლოდინი" თუ ნახე? ამ სპექტაკლს რომ უყურებ გგონია, რომ ქართული პიესა თამაშდება სცენაზე, ქართული ხასიათებით, ამ რეჟისორის გენიალურობა სწორედ იმაშია, რომ ქართულ საწყისზე დგას, მაგრამ ინტერნაციონალურია. შეიძლება ცუდი მაგალითია, მაგრამ მაინც გეტყვი: ზაქარია ფალიაშვილმა ოპერა „აბესალომ და ეთერის" წერისას მოიარა საქართველოს ყველა ეთნოგრაფიული კუთხე-კუნჭული. იკვლევდა ხალხურ მუსიკას და ეძებდა მისი წარმოშობის ფესვებს. სხვათა შორის იმასაც მიაგნო, რომ ქართულ დასავლურ და აღმოსავლურ მუსიკალურ ფოლკლორს ერთი ფუძე, ძირი აქვს. ხალხური, გლეხური (როგორც ამას შენ უწოდებ) მუსიკა აქცია მსოფლიო კლასიკად. უეჭველია, ჩვენ რომ უფრო ღრმად ვიკვლიოთ სტურუას უცხოური კლასიკური რეპერტუარი, მივალთ დასკვნამდე, რომ ყოველგვარ ქართულთან გვაქვს საქმე.

კლდიაშვილს (დავითს!) ალბათ მართლაც არ ეგონა, რომ გენიალურ პიესას წერდა, მით უმეტეს, ვერ წარმოედგინა, რომ ის პრობლემები, რომელიც მის დრამატურგიულ თხზულებაში დასვა, გასცილდებოდა მისი შექმნის კონკრეტულ დროს და აგერ ერთი საუკუნის შემდეგ კვლავ აქტუალური იქნებოდა, შენ იცი? მე დავიწყე კლდიაშვილის მემუარების თავიდან კითხვა, დავძებნე ყველაფერი პიესის „დარისპანის გასაჭირის" შესახებ, მხოლოდ ის „აღმოვაჩინე", რომ დავითი კაროჟნას არა, მაგრამ დარისპანს კი იცნობდა — აპოლონ ორბელიანს, რომელმაც საბენეფისოდ ითამაშა კიდეც დარისპანი, თუმცა როლი ვასო აბაშიძის საბენეფისოდ დაწერილა. იქ მაგარი ჩხუბი მომხდარა ამ ორ



მსახიობს შორის, ბუნებრივია ვასო აბაშიძის წყრომა ნაკლებად ცნობილი მსახიობის მიმართ...

რობიკოს „დარისპანმა" მართლა გამოიწვია დიდი აზრთა სხვადასხვაობა, თეატრმცოდნეები ჩვენს უნივერსიტეტში სამეცნიერო სექტორზე „ხოცავდნენ" ერთმანეთს, სერიოზული შეხლა-შემოხლა იყო. მათ შორის, ყველაზე რადიკალები გოგა ჩართოლანი და მიხეილ კალანდარიშვილი იყვნენ. პირველს არ მოეწონა სპექტაკლი, მეორე აღფრთოვანებას ვერ მალავდა. იმედი მაქვს საქართველოში კვლავ მოხვდები და როცა ნახავ სპექტაკლს დარწმუნდები, რომ კლდიაშვილის „გადატრიალებასთან", თუ გნებავს აღმოჩენასთან გაქვს საქმე, სრულიად ახლებურადაა დანახული პერსონაჟები, კონცეფციაა შეცვლილი საერთოდ, მაგრამ მაინც კლდიაშვილია და რა ვქნა? მიხვდი ახლა რა „გადატრიალებაზეა" საუბარი? ამიტომ არის მაგარი სტურუა.

ხო, რაც შეეხება ჩაის მირთმევის სცენას, ამ სპექტაკლში „კონცეპტუალური" ჭიქით ჩაის მირთმევა კი არ არის, არამედ მირთმევამდე ნატალიას და კაროჟნას სულიერი მდგომარეობა, ორივე აწვდის ერთად, აქ ჩემთვის მთავარია გმირი ქალების დამოკიდებულება, ჯერ გეგონება დუელში იწვევენ ერთმანეთსო, მერე აცნობიერებენ, რომ არ ღირს ვიღაცა ოსიკოსთვის „სიკვდილი" და უცებ ერთმანეთს გაუღიმებენ, მერე სიცილ-კისკისით, უფრო ირონიით, მიუტანენ (ან მიუგდებენ) ამ ჩაის „ბატონ" ოსიკოს, (იქნებ ფემინიზმის ნიშნები შეინიშნება მათ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში?!) რომელიც შენ რომ გინახავს ადრე და წაგიკითხავს ისეთი სულაც არ არის. განა ეს არ ცვლის კლდიაშვილის პიესის ადრინდელ გააზრებას?

ძალიან მაინტერესებს ბერძნულ სცენაზე ხომ არ დადგმულა ოდესმე ჰომეროსის „ილიადა" და „ოდისეა"? დაახლოებით ასეთი ლიტერატურული ძეგლის დადგმას აპირებს აქ რობიკო, რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს", შენ იმდენი იცი საქართველოზე და ქართველებზე, რუსთაველი თავისთავად გეცოდინება. ძალიან მინდა ჩამოხვიდე და ეს სპექტაკლი ნახო. შენ ოღონდ ჩამოდი და ტრადიციული ქართველური მასპინძლობა ჩემზე იყოს.

მანოლის რიზას

ეხ, ჩემო ლაშა, ჯერ კიდევ ბავშვი ხარ, ან ბავშვურად მიამიტი ...

გამარჯობა, მივიღე თუ არა შენი კომენტარები, მაშინვე გიპასუხე, მაგრამ შემთხვევით წამეშალა და... მესიამოვნა კიდეც, რადგან ნაჩქარევი ნაწერი იყო... ჩემი ნაჩქარევი ნათქვამი კი, ხშირად არასწორად ესმით... ახლა უფრო გასაგები ვიქნები.

დავიწყოთ იქიდან, რომ მე არ მითქვამს – რობიკო ქართველი რეჟისორი არ არისმეთქი... მე ხაზგასმით აღვნიშნე სიტყვა „ქართული" და რაღაი წერასა ხარ ატანილი (ანუ ამ საქმეს ემსახურები), ყოველთვის გაფაციცებული იყავი სიტყვების მიმართ. მოდი, ახლა კარგად დაუკვირდი, რა განსხვავებაა ორ ცნებას შორის: ქართველი რეჟისორი – ქართული რეჟისორი?

უზარმაზარი განსხვავებაა, უსაშველო...

თუმცა, შენი შეხედულება რობიკოს ქართულობასაც ითვალისწინებს და ამიტომ ცოტაოდენ დაწვრილებით მინდა ჩემი აზრი მოგაწოდო.

ნებისმიერ აზროვნებაში დევს ეროვნული ლოგიკა (რომელიც ეროვნულ მენტალიტეტსა და ტრადიციებს, ბუნებას, ჰაერს, წყალს, წარსულს... და რაც მთავარია, ზოგადად კულტურას ემყარება). ანუ, როცა იქმნება (ამ შემთხვევაში) სპექტაკლი, დრამატურგი და რეჟისორი ქვეცნობიერად ეროვნულ ლოგიკას ექვემდებარებიან. მსახიობი, მიზანსცენაზე მუშაობისას, ასევე ამ ლოგიკით აგებს სახეს...

საკმარისია მოქმედება არ განვითარდეს ისე, როგორც ამას ჩვენი ლოგიკა მოითხოვს და... მომენტალურად გამზადებული გვაქვს იარლიყი „მადე ინ კონცეპცია"... არადა, ძლიერი შემოქმედი, ისეთი, როგორიც რობიკოა, უბრალოდ, უფრო მასშტაბურად აზროვნებს, გადის ეროვნული ლოგიკიდან, ტვინის ზოგად ადამიანურ ხვეულებს ეხება და მარტივად გენიალურია. მის გარშემო ატეხილი აყალ-მაყალი კი ტიპიური ქართული ლოგიკით ვითარდება ხოლმე ყოველთვის. გარწმუნებ, ლაშა, არანაირად არ არის რობიკოს შემოქმედება „ქართული თეატრალური ტრადიციებით ნასაზრდოები". თავად რობიკო, ცხადია – არის... მისი შემოქმედება – არა! ეს როგორ?

როგორ და... უბრალოდ ქართული ჰაერით სუნთქავს ადამიანი... ამდენად, ყველა მისი სპექტაკლი სხვა ვერ იქნება, თუ არა – ქართული... და განა იმიტომ, რომ იგი ეროვნული თეატრალური ტრადიციების მიმდევარია, არამედ იმიტომ, რომ რუსთაველის სცენაა ქართული ენერგეტიკის მატარებელი, მსახიობები, დეკორაცია, დარბაზი, მაყურებელი... ეს ყველა და ყველაფერი წმინდა ქართულია და რაც არ უნდა დადგას რობიკომ (და ნებისმიერმა სხვამ) - შექსპირი, გოეთე, ფოიხტვანგერი თუ ჩეხოვი... - ყველაფერი მაინც ქართული იქნება... მეთანხმები?

ერთ რაღაცას მოგიყვები: სოხუმში, სასტუმრო „აფხაზეთის" წინ მზადდებოდა უნიკალური თურქული ყავა. როცა შენს ქვეყანაში ვიყავი, დამიჯერებ, რომ მხოლოდ ამ ყავის დასალევად მივდიოდი ხოლმე ერთი დღით?! ვერ მოვისვენე, სანამ არ გავარკვიე, რა საიდუმლო რეცეპტით ამზადებდა ის კაცი იმ ყავას... თბილისში ჩავიტანე და ლაბორატორიაში გავასინჯე. აღმოჩნდა, რომ ცხელი წყლის რეზერვუარში, საიდანაც ჯეზვეებში ანაწილებდა წყალს, ოდნავი შემცველობით კარტოფილის ფქვილს (სახამებელს) ურევდა. ზუსტი ტექნოლოგია გავიმეორე, მაგრამ ყავა მაინც არ იყო ისეთი... ლაბორატორიის თანამშრომელმა, ტკბილმოუბრობას სრულიად მოკლებულმა, ძალზე მარტივად გამიშიფრა: - ზუსტად იგივე გემო რომ მიიღო, ყველაფერთან ერთად თბილისში უნდა ჩამოიტანო სოხუმის იმ კონკრეტული ადგილის წყალი, ჰაერი, მზე, ტალღების ხმა და ქვიშის სუნიო...

ეს ერთი უტყუარი ფაქტი და ცალი მხარე...

ახლა მეორე მხარე:

ლეილა შოთაძის გმირი – თავად-აზნაურის ქალი „გვირგვლიანების ოჯახში" გააფთრებული მიეჭრებოდა თავადს, ჩოხის გულის პირს ჩამოგლეჯდა და ვნებით ეკონებოდა შიშველ მკერდზე... რუსთავის თეატრის სპექტაკლი იყო, თუმცა არა ვარ დარწმუნებული, რომ ნამდვილად გიგა ლორთქიფანიძის დადგმული ყოფილიყო... ამას არა აქვს მნიშვნელობა... აი, ეს არის ქართული ლოგიკა. რაღაც ამდაგვარი „კავკასიურშიც" იყო: სოსო ლაღიძისა და მარინე თბილელის სცენა, მაგრამ ამ შემთხვევაში მოქმედება ამოვარდა ქართული ლოგიკიდან, რადგან გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაშდა სხვა, არაქართული ვნება, სხეულის განცხრომა...

ქართული ლოგიკით, ქართველი ქალის მენტალიტეტში ვნება ტკივილია, უცხო მენტალიტეტში – განცხრომა. არადა, ეს ორი სცენა მაინც ჰგავდა ერთმანეთს, რადგან მეორე შემთხვევაშიც ქართველები იდგნენ სცენაზე... რობიკოს არაქართულობა ვერ მოერია მათ და აშკარად, სრულად ვეღარ გამოჩნდა ჩანაფიქრი. სამაგიეროდ, იზამ აუღო ალღო რობიკოს (იზასთან ერთად, ჩემდა გასაოცრად, ჯემალ ღაღანიძემ და მანანა გამცემლიძემ, ახლა ძველი პროგრამები გადმოვიღე სპექტაკლის შენი გულისთვის, უფ!) და იმუშავა ისე, როგორც რეჟისორის არაქართულ ტვინს უნდოდა.

აბა, ვინაა რობიკო? დიდი და მსოფლიო მაშტაბის რეჟისორი! არ არის საკმარისი? თუ ატყობ, რომ რაღაც ისტერიულ-სექსუალური დამოკიდებულება გაქვთ ქართველებს ქართველობასთან? უკეთესი შინაგანი ენერგეტიკული ბალანსი გექნებოდათ, უბრალოდ, ზომიერად, შეგნებულად, ცივილურად რომ გიყვარდეთ თქვენი ენაც და სამშობლოც, საკეთებელიც და უკვე გაკეთებულიც.

„თბილისურ-სომხურ ხანუმაზე" გამახსენდა რაღაც: ტოლმა სომხური კერძია. არსებობს საუკეთესო სომხური ტოლმა, არსებობს საუკეთესო, ქართულად მომზადებული ტოლმა და არსებობს ზოგადად, კარგად მომზადებული ტოლმა. სამი ვარიანტიდან – მესამის ოსტატია რობიკო. უცებ, მომინდა ტოლმა და აზრი გამიწყდა.

ზუსტად ტოლმის ხსენებაზე, ბარემ აქვე გეტყვი: აი, როგორი ქართული კერძიცაა ტოლმა, ისეთივე ქართულია „ხანუმა". არანაირი ეროვნული ლოგიკა მასში არ დევს... აშკარა სპარსული სიუჟეტური ხაზია, რომელსაც მაგალითად, სომხური ტვინი ბევრად უფრო იოლად მოინელებდა... ქართველებმა ყველაფერი გააქართულეს საოპერო და კინოვერსიაში (გადასარევად, ლამაზად). აბა, „ქეთო და კოტეს" რომ უყურებ, როდისმე გაგჩენია აზრი, რომ ქეთო (ყოფილი სონა) ერთი სომეხი გოგოა... პრინციპში, კინოვერსია პირველწყაროს გვარიანად დაშორებული ვარიანტია... ისევე, როგორც „ხანუმაა" დაშორებული ჩემთვის სრულიად უცნობ პირველწყაროს. მისი შექმნის პერიოდი ზუსტად იმ დროს უკავშირდება, როცა საქართველოში ქართული გვარები მეჩითოვებად, მამასახლისოვებად გადაკეთდა... მერე მოხდა კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი: „ხანუმას" არც თუ ურიგო გაგრძელება შეიქმნა, სხვათა შორის, ზუსტად ანალოგიური (პარალელს რობიკოსთან ვავლებ) არაქართული ტვინისაგან. კი, კი... გაბრიაძეც არაქართულია!

ჩემო კარგო მეგობარო, გულწრფელად მინდა გაითავისო – რას ნიშნავს ჩემთვის ბერძნული და არაბერძნული, ისე როგორც შენთვის ქართული და არაქართული. ერთიც და მეორეც დადებით-უარყოფითი ნიუანსების მატარებელია, მაგრამ როცა ვამბობ, არაქართულია-მეთქი, მიუღებელს კი არ ვგულისხმობ, პირიქით, მომწონს...

მომკალი და ჩემთვის თეატრი სულაც არ არის რეალობის ამსახველი ფაბრიკა (არც არანაირი ხელოვნება და საერთოდ, ნერვებს მიშლის ხალხისთვის შექმნილი ხელოვნება...). მიცვალებულის დატირება ქართული ლოგიკის მიხედვით, დღევანდელ თეატრში ან სასაცილოა, ან სასწავლო, ან უნიჭო. ანუ, „იმერულ ესკიზებში" ამგვარი სცენა კომიკურია და მისაღები, კინომსახიობთა თეატრში იტალიური და ქართული დატირების გაიგივებას ნორმალური შედეგი მოჰყვა... მაგრამ, როგორც კი დატირების რეალური ასახვით შეეცდები ჩემი გულის აჩუყებას... – ა რ გ ა მ ო გ ი ვ ა ! აი, აქ უნდა დაუძახო რობიკოს, გაბრიაძეს, რაღაცას მოახერხებენ (არაქართულად ისე ლამაზად მოგაწვდიან, რომ ქვეყანას მოსდებ, - რა ეროვნულს ნაზიარები რეჟისორია, აბა, ნახეთო!)...

არვიცი, რასიზამს რობიკო „ვეფხისტყაოსანთან" შეჭიდებით (რობიკოს დავუბრუნდი ისევ)? თუ არ გაგიჟდა და თანამედროვეობის პრობლემებს არ შეუხამა რამე (არა მგონია), მაშინ უსიტყვოდ დიდი მოვლენა გველის ყველას... სხვას არავის, რობიკოს უნდა გაეკეთებინა ეს... უბრალოდ, მგონია, რომ ცოტა დააგვიანა... მაგრამ მაინც რობიკოს ლუკმაა ეს ნაწარმოები, რადგან არც „ვეფხისტყაოსანია" ქართული... კოსმოსიდანაა. ამიტომ, მე ამ სასწაულს ვერ გამოვტოვებ და გპირდები სპექტაკლს სწორედ რომ რუსთაველის თეატრის სცენაზე ვნახავ და მერე თუნდაც ათენის დიდ ანტიკურ სცენაზე.

სულიკო ჟღენტი

ოლიკო ჟღენტი

ფესვების ძიება სულიკო ჟღენტის კინოდრამატურგიაში

(„ჯარისკაცის მამა", „ნერგები", „ფესვები")

სულიკო ჟღენტი იყო კინოდრამატურგთა იმ თაობის წარმომადგენელი, რომელმაც ეროვნული ლიტერატურული სცენარის ტრადიცია დაამკვიდრა ქართულ კინოში. მისი სცენარები ლიტერატურულ კინომოთხრობებს ჰგავდა, როცა კითხვის პროცესში პლასტიკურად, ვიზუალურად და მკაფიოდ აღიქმებოდა მომავალი ფილმის კინოსახეები, ემოციური ტონალობა, პერსონაჟთა ხმის ტემბრი; მკაფიოდ იკვეთებოდა დეტალი, ჟესტი, მიმიკა. მისი სცენარების „კინოსივრცის" დრამატურგიულ ორგანიზებაში დიდ როლს თამაშობდა მითო-არქეტიპული მოდელი, რომელიც განსაზღვრავდა დრამატურგის მსოფლმხედველობრივ პრინციპებს (სულიკო ჟღენტი კინოში ლიტერატურიდან მოვიდა. იგი იყო რამდენიმე მოთხრობისა და ერთი რომანის ავტორი). ასე მოხდა „ფესვების", როგორცმეტაფორა-სიმბოლოს პლასტიკურ-სივრცობრივი გააზრება მის ლიტერატურულ სცენარებში („ჯარისკაცის მამა", „ნერგები", „ფესვები"). საბჭოთა იდეოლოგიური პარადიგმის მიღმა და თემატური გეგმების ეპოქაში მის ლიტერატურულ სცენარებში გამოიკვეთა ის მარადიული თემები და მოტივები, რომლებიც არღვევდნენ დაკანონებულ სქემებსა და იდეოლოგიურ ჩარჩოებს. სამამულო ომის თემატიკით „შეზღუდულ" სცენარში „ჯარისკაცის მამა" ამოქმედდა ის მითო-არქეტიპული მოდელი, რომელიც ხალხური წიაღიდან, ეროვნული ცნობიერებიდან „იკვებებოდა" — ქართველი მამის პერსონაჟი ზოგადეროვნულ ფენომენს წარმოადგენს, მაგრამ მსოფლიო კულტურასთან თანაზიარება მხოლოდ ინდივიდუალურ, ეროვნულ ფორმაში გახორციელებით არის შესაძლებელი. ამიტომაც, ფილმი მნიშვნელოვნად გაცდა ვიწრო საბჭოურ პრობლემატიკას და საკაცობრიო მნიშვნელობა შეიძინა.

სულიკო ჟღენტის სცენარებში მოხდა ავტობიოგრაფიული ფაქტების, რეალური ისტორიებისა და იდეა-ჩანაფიქრის მხატვრული სინთეზი — ასე გაჩნდა „ლირიული დოკუმენტი", როგორც ლიტერატურული ჟანრი.

ლიტერატურული სცენარის პოტენციალი თავის დროზე მაქსიმალურად გამოიყენა იტალიურმა კინონეორეალიზმმა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაჩნდა კინოში. ალბერტო მორავიას, ჩეზარე ძავატინის კინომოთხრობებმა საერთაშორისო აღიარება და პოპულარობა მოიპოვეს. მათ კინომოთხრობებს მასობრივად ტირაჟირებული წიგნის ფორმით ეცნობოდა მკითხველი.

გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ს. ჟღენტის სცენარებში გამოიკვეთა ის თემები და მოტივები, რაც ასე მკაფიოდ გამოარჩევს გამოჩენილი ქართველი მწერლისა და მოაზროვნის გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებას. ჩვენს მიერ ს. ჟღენტის ლიტერატურულ სცენარებში გაანალიზებული კინოსახეები და მოტივები პლასტიკურად წარმოაჩენს რობაქიძის ტექსტების მითო-არქეტიპულ მოდელს, რომელიც ასე ორგანულად დაუკავშირდა 20-30-იანი წლების ევროპული კულტურის სივრცეს, წინააღმდეგ პროლეტკულტურული იდეოლოგიისა.

გასული საუკუნის 20-იან წლებში მკაცრად იყო გაკრიტიკებული რობაქიძის რომანის „გველის პერანგის" წამყვანი თემა

– „ადამიანის ფიზიოლოგიური და ფსიქიკური კავშირი თავის „მიწასთან" და „ძირებისკენ" სწრაფვა, მიწის სჯული, დაბრუნება მიწასთან.

რობაქიძის რომანის „გველის პერანგის" სტრუქტურული ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია პარალელების მოძიება ს. ჟღენტის ლიტერატურულ სცენარებთან.

რობაქიძის რომანის „გველის პერანგის" (1926) გამჭოლი მოტივი ფესვების ძიებაა: უსამშობლო გმირი – არჩიბალდ მეკეში (არჩილ მაყაში), ქართველი ემიგრანტია, რომელიც ცდილობს იპოვნოს თავისი დაკარგული სამშობლო — ქართული მიწა. „მიწასთან დაბრუნება" საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესია გმირისთვის (ქვეცნობიერი, ვიდრე ფიზიკური). რომანის კომპოზიციაში იკვეთება ორი პარალელი ხაზი: არჩიბალდ მეკეშის (შვილის) და თამაზის (მამის) მოგზაურობის ცალკეული რკალი რომანის ფინალში ერთმანეთს კვეთს და საბოლოოდ წრე იკვრება.

რომანში „გველის პერანგი" იკვეთება მეორე მნიშვნელოვანი „რკალი" — არჩიბალდის მამა — თამაზ მაყაშვილი უცხოეთში დაეძებს თავის ერთადერთ, დიდი ხნის დაკარგულ შვილს. თამაზი ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, როცა საქართველოდან ევროპაში გადაიხვეწა. მისი წინაპრების ხაზი კახეთიდან მოდის. მეკეში, მამის რვეულებიდან ეცნობა თავის წინაპართა ისტორიას, რომლის ხაზი მამის ბიოგრაფიამდე მიდის. ევროპაში გადახვეწილ თამაზს ისევე აწუხებს „უფესვობა", როგორც მის ვაჟს: „სევდა აქაც მკლავდა: რაღაც აუხსნელი. მომენატრა საქართველო. მოვისურვე დაბრუნება. ველარ გავბედე... მე კი მივალ ბასკეთის მხარეში. თუ მოვრჩი — შვილს ვნახავ. მკლავს სევდა საქართველოსი..."

თამუნჩოსთვის (თამაზისთვის) ბასკეთი მეორე სამშობლოდ იქცა. ბასკი ხალხის მელანქოლიით აღსავსე თვალებში ის ჭვრეტს ბასკების კავშირს თავიანთ ძველ სამშობლოსთან (საქართველოსთან). თამუნჩო (თამაზის ბასკური სახელი) ომშიც (I მსოფლიო ომი) დაეძებს შვილს: „ვერ ნახულობს. ირევა. შეიტყობს: მესოპოტამიაში წასულა. აედევნება. გზაზე აცნობებენ —სპარსეთში გადასულა ვაჟი. შემდეგ — ტფილისში." ასე გაუყვება თამაზი თურქეთისკენ მიმავალ გზას, ჩადის ბათუმში, და როდესაც მატარებელი რიონს მიუახლოვდება, თამუნჩო ტირილს იწყებს. თამაზის „შინ დაბრუნებას" აღწერს მისი თანასოფლელი ნანია, რომელიც ბათუმიდან მიმავალ თამაზს მატარებლით დაემგზავრა: „რიონის სადგურს რო მიუახლოვდით, საწყალი ფანჯარას გადაეყუდა და ტირილი მორთო" — აღელვებული უყვება ნანია თავის მეზობლებს.

„ჯარისკაცის მამის" პერსონაჟი — გიორგი მახარაშვილი ომში დაეძებს ერთადერთ შვილს, მისი გზა მრავალ განცდასთან და განსაცდელთან არის დაკავშირებული.

ამგვარად, „გველის პერანგში" მამის ძიების პარალელურად, არსებითია და წამყვანი შვილის ძიების ხაზი, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ შეიკვრება რომანის წრე. თამაზის მოგონებებში კინოკადრებად დატრიალდება წარსულის სურათები: „პარიზი. თამუნჩო სტუდენტებს შორის დაეძებს ვაჟს, ქართული სიტყვების გაგონებაზე გული უჩუყდება — თამუნჩოს გული კი სხვას უხმობს: სადა ხარ შვილო?! ასეთივე ინტონაცია გასდევს შვილის ძიების გრძელ ტანჯვის გზას ფილმში „ჯარისკაცის მამა" — შვილის ძიების გზას გიორგი მახარაშვილი ომში მიჰყავს. მამა გამუდმებით დაეძებს შვილის ნაკვალევს,

გზადაგზა ხვდება იმ ადგილებს, რაც შვილს უკვე გაუვლია, ამ ეპიზოდებში, სიხარულისგან აღტკინებული გიორგი „უხილავ" შვილს ეძახის, უხმობს, თითქოს ესაუბრება. ფილმის ფინალში – შვილის დატირების ეპიზოდში ძლიერი ექსპრესიით გაჟღერდება ფრაზა: „გოდერძი, შვილო!"

რომანის ბოლო თავში — „თამაზის დაბრუნება" აღწერილია, რომ მრავალი წლის განშორების შემდეგ თამუნჩო (მამა) ისევ უბრუნდება მშობლიურ სოფელს — ძველ ნამოსახლარზე ის ხელებს შემოხვევს ბებერ ხეს. ეს არის მისტერიალური აქტი, რომელიც სიმბოლურად განასახიერებს გმირის მიერ მამისეულ წიაღში ანუ ფესვებთან დაბრუნებას: "თამუნჩო შედის ნამოსახლარში ... თითქო წინაპარი აღსდგა ძველისძველი და ეხლა თავის ნამოსახლარს დაჰყურებს ათასი წლებიდან... თამუნჩო მართლაც მუხაა ამ წამს ფესვებგამდგარი კიდურიდან კიდურამდე". აქ იკვეთება რომანის მისტერიალური ხაზი — მამა-შვილის დაბრუნება მამის წიაღში ნიშნავს დაბრუნებას ღმერთთან, უზენაესთან.

ამ დროს თამუნჩოს „ფეხები მიწას ეკვრიან – მშობელ მიწას", მაგრამ მისი უკანასკნელი ფიქრი „შვილია მაინც". თამუნჩოს მოგზაურობის არსი საბოლოოდ მაშინ იხსნება, როცა ორი მისტერიალური რკალი ერთდება და წრე

შეიკვრება: მამა იპოვნის დაკარგულ ვაჟს — შვილი „მამის წიაღში" დაბრუნდა.

უცხოეთის მიწაზე – ირანის პლატოზე არჩიბალდს „უბრუნდება გზნება მიმართების" — ის იწყებს ფესვების ძიებას, მას ტანჯავს ძირების გარეშე არსებობა. მეკეშს ეუფელება უჩვეულო განწყობა, რომელსაც რობაქიძე უწოდებს სევდას — "უფრო ნაღველს" — ასე „იხსნება" რომანის "გველის პერანგის" მეორე რკალი. უცხოეთიდან საქართველოში მიმავალი არჩიბალდ მეკეშის მიზანია იპოვნოს დაკარგული მამა, რომელსაც ხშირად ხედავს სიზმარში: "კაცი ვაჟს ულიმის. უნდა რაღაც უთხრას. წამოიწევს ხელს მოსახვევად...„მამა"... იკივლებს არჩიბალდ. ხელებს მოხვევს, ხელებში რჩება მხოლოდ ლანდი. „მამა" იკივლებს კიდევ არჩიბალდ."

უცხოეთში გადახვეწილ არჩიბალდს „ძირები" არ აქვს. იგი არის „უძირო." უცხოეთის მიწაზე იგი „ჰკარგავს მიმართებას", მას "უბრუნდება გზნება მიმართების". არჩიბალდი ნაკლებად მოქმედებს გონებითრაციოთი, და დროდადრო იძირება წარსულის მოგონებებში, მას ტანჯავს ერთადერთი კითხვა: „სადაა მისი ფესვები?" გმირის მოგზაურობა მოიცავს საკმაოდ მასშტაბურ გეოგრაფიულ არეალს (საფრანგეთი, ირანი და საქართველო). უსასრულოდ იხსნება დროისა და სივრცის საზღვრები (ისევე, როგორც ს. ჟღენტის სცენარებში „ჯარისკაცის მამა" და „ფესვები" – გეოგრაფიული არეალი გახსნილია) ნიშანდობლივია, რომ არჩიბალდ მეკეშის განწყობას და ნაღველს ამძაფრებს I მსოფლიო ომის მოვლენები, რომლის დამკვირვებელიც თვითონ ხდება. მეკეშის წინაშე კინოკადრებად, მონტაჟურად მონაცვლეობს ომის შემზარავი და ექსპრესიული სურათები: „გამოთხოვება მეომრის სანგრებთან. შორეული კვნესა სადგურზე, საცა ბარათებს ელიან. ერთისგან ბარათი არ არის თუ აღარ არის, აღარც მეორისგან, არც მესამისგან... და კივილი: დედის-დის-მამის. მოკლულთა სია. დაჭრილთა სია. სიების კითხვა გაზეთებში..." ომი ძლიერ გავლენას ახდენს რობაქიძის გმირთა ცნობიერებაზე; ომი პროვოცირებს, მძაფრად აღვივებს გმირში მისწრაფებას ფესვებისკენ, და ამასთანავე, საკუთარი თავის შეცნობისკენ: „მეკეში ეძებს თავის თავს. ვერ ნახულობს ფესვებს" ანუ საკუთარი თავის შეცნობა უკვე თავისთავად ნიშნავს ფესვების მოძიებას — ფესვების გარეშე გმირი კარგავს თავის „მეს", ის შინაგანად გაორებული ხდება და მით უფრო ტრაგიკულია მისი ბედი. I მსოფლიო ომის საზარელი სურათები გმირში კიდევ უფრო ამძაფრებს ფესვების განცდას. ომის ქაოსისა და კატაკლიზმების ფონზე ასევე უმძა-



ფრდება ფესვების განცდა ქართველ გლეხს — გიორგი მახარაშვილს. ომის ეპიზოდში იგი „ესაუბრება" მიწას, რომელიც გლეხს „აუწყებს" გაზაფხულის მოსვლას და თესვის დაწყების პერიოდს („ჯარისკაცის მამა"). „მიწასთან დიალოგის" ეს ეპიზოდი კიდევ ერთხელ წარმოაჩენს შვილის ძიების დრამატულ ხაზს: ომის უხეშმა რეალობამ იძულებით მოსწყვიტა შვილი მამას, შვილი „მამის წიაღს" დააშორა. ფესვებს მოწყვეტილ გლეხს ომის ქარ-ცეცხლში მიწა ეძახის, და რობაქიძის სიტყვებს თუ მოვიხმობთ, გლეხსაც „უბრუნდება გზნება მიმართების" („მიწის ყივილი" – ასე ჰქვია მიხეილ ჯავახიშვილის ნოველას). მიწას ისე გრძნობს და განიცდის გლეხი, როგორც ცოცხალ ორგანიზმს. რობაქიძის აზრით, მიწა ატარებს ხსოვნას. რობაქიძისეული კონცეფციით უმიწო ქალაქი უბედო კულტურის მატარებელია, „მიწა სულია სამყაროსი ინსტინქტი, რასსიული ხსოვნა, ცოცხალი ანამნეზი. ფატუმი – ყოფის აუცილებლობა". მიწის სჯულის (რობაქიძისეული ტერმინი) მიხედვით მამული წიაღია შვილის — მისი არსებობის განმსაზღვრელი პირობა.

სპარსეთის უკიდეგანო გზაზე მანქანით მიმავალი მეკეში დაინახავს ვერხვის ხეს, რომლის ფესვები მდინარის ძლიერ დინებას გაუშიშვლებია: „ვერხვის გრძნობა ფესვებშია გადასული ერთიანად: ტიტველ ფესვებში" ამ უცნაური, ფესვებგანტოტვილი ხის ხილვა უფრო ამძაფრებს გმირში ფესვების განცდას. ხე „ცოცხალი სხეულია", რომელიც ირანის პლატოს და ცხელი უდაბნოს პეიზაჟების ფონზე ექსპრესიულ გამომსახველობითობას იძენს. ეს ფანტასმოგიური სურათი მეკეშის ცნობიერებაში სამუდამოდ აღიბეჭდება. მეკეშის აღქმაში „ფესვები სისხლიანია და მენადებივით ძალუძთ კივილი". რომანისეს პასაჟი თავისი პლასტიკური და ექსპრესიული გააზრებით კინოგამოსახულებად უფრო აღიქმება. ანალოგიური პლასტიკური დატვირთვა ენიჭება ხის სიმბოლიკას სულიკო ჟღენტის კინოსცენარში „ფესვები:" ბედის ტრიალისგან საფრანგეთში გადახვეწილი გიორგი ზაქარეიშვილი ერთ უცნაურ ადგილს „მიაგნებს". ეს ადგილი თავის სამშობლოს — საქართველოს აგონებს. პარიზის ხმაურს განრიდებული გიორგი ხშირად „მიემართება" „თავის სამშობლოსკენ", აქ ის სულიერ შვებას და უჩვეულო ნეტარებას განიცდის: „ჩქარა სავსე მთვარე ამოვიდა. გზა ახლა ტყიანი გორაკების ძირას მიიკლაკნებოდა. სადღაც გვერდით მდინარემ გაიბრწყინა. იქიდან ბაყაყების ყიყინი მოისმოდა, გიორგიმ მდინარეს გადახედა, მერე ტყიანი გორაკებიც შენიშნა და გული უცნაურად შეუჩქროლდა. მანქანა გააჩერა და გზაზე გადმოვიდა. იყურებოდა გარშემო და თავი სიზმარში ეგონა.... გარინდებით იდგნენ მთები. ხეობებში მთვარის მოვერცხლისფრო ბლონდი ჩაფენილიყო. მდინარეც ზუსტად ისე უხვევდა მინდორში, როგორც იქ, შორეული სიჭაბუკის ქვეყანაში...აი, კბოდეზე გადმომდგარი მარტოხელა ხეც, მოგონებაში შემორჩენილ მუხასავით რომ გაუშლია რტოები. უფრო ზემოთ, მთების ჩრდილში გიორგიმ კორტოხიც დალანდა და ცხადად წარმოიდგინა მასზე გადმომდგარი ისლიანი ჯარგვალი, რომ უნებურად წამოიყვირა :

—ე-ჰეეე!...

—ე...ე... ე...! — ექოთი დაუბრუნეს ძახილი მთებმა.

—ნე...ნააა!—ისევ გასძახა გიორგიმ.

—ა...ა...ა...! –მოისმა პასუხად.

ახლა მდინარეს გახედა და სმენაში მაშინვე გახმიანდა შორეული მოგონება... სადღაც ჭალაში ჭიხვინით და ფლოქვების თქარუნით ჩაიქროლეს ცხენებმა... მერე დაინახა შხეფების ბუქში გახვეული ტიტლიკანა ბიჭები, კისრისტეხით რომ გარბოდნენ მორევისკენ. მორევში კი უზარმაზარი წითელი მზე ჩამსხვრეულიყო.

მონუსხულივით იდგა გიორგი და უყურებდა. ყელში გორგალი მოებჯინა და თვალები აუწყლიანდა... " - ვკითხულობთ კინოსცენარში „ფესვები".

რობაქიძის „გველის პერანგში" მეკეში მარტოსულია და „უფესვო" — უცხო მიწაზე მას არავინ ჰყავს, ის არის „მოხეტე თავისი სევდითა და ნაღველით". ის ხშირად „მოგონებით მიდის სადღაც შორს..."

„ფესვების" გმირიც – გიორგი ზაქარეიშვილი ხშირად იძირება მოგონებებში, მისი აზრი და ფიქრი ქართულ მიწას და თავის „ძირებს" უტრიალებს, მისი მოგონებების „საკრალურ გეოგრაფიულ არეალში" ხშირად ჩნდება გურული სოფელი, უზრუნველი ბავშვობა და დედა: „ჟორჟ, იცი, რა არის პარიზი? — ეკითხება ანრი გიორგის, მაგრამ გიორგის მისი არ ესმის. მას ცხადად წარმოუდგა თვალწინ თავისი სოფელი და ერთბაშად გარინდებამ მოიცვა. .... შხრრრ...შხრრ... –ჩხრიალებს ქოთანში რძე. დედა ჯარგვალის გვერდით ჯორკოზე ზის და ძროხას წველის, თალიკო ძლივს ამაგრებს ბოჩოლას, რომელიც თავგამეტებით იქაჩება ცურისკენ... სოფელში მამლები ყივიან, შორიდან მოისმის გლახუნა ჯაშის გაბმული „კრიმანჭული".... წაბლის ტოტებში ახლამოსული მზე გაბლანდულა... გიორგი ნამიანი ბალახით სავსე გოდორს იდგამს ძროხის წინ... გადალურჯებული არემარე თანდათან ივსება სითბოთი, სინათლით...

—ჟორჟ!

ეს დაძახილი ნათელი დღის სიმშვიდეში იმდენად შეუსაბამო იყო, რომ გიორგი შეკრთა და უცბად გამოერკვა.

—სად იყავი? –ჰკითხა ანრიმ.

„იქ, ჩემს... სახლში... —თქვა გიორგიმ.

—ხომ მშვიდობა იყო?

გიორგიმ ნაღვლიანად გაიღიმა და მხრები აიჩეჩა." რობაქიძის გმირის – არჩიბალდ მეკეშის „მიმართება" ფესვებთან კიდევ უფრო სახიერად და დრამატულად წარმოაჩენს მამის მიერ შვილის ძიების ხაზს — შვილი მამას უხმობს ჩურჩულით: „მამა გვარია: შორეული ძახილი... თითქო უკანაა და შვილს მოსდევს. შვილი გადაეხვევაა: განზე გარბის, თითქოს თავი უნდა დააღწიოს რაღაც... მამა: სამყაროს გეზია, აქ ყოველი ელემენტი მთელს უბრუნდება... შვილის გზა: ამცდენია— საცდენი — გადამჩეხავი... ნეტარ არს შვილი რომელიც მამის წიაღს უბრუნდება.. აქ არის დიდი სიხარული.. მამაც ხომ "შვილია" ვინმეს მიმართ! მწერალი ეყრდნობა აღმოსავლური

ფილოსოფიის კონცეფციას, რომლის მიხედვით მამა ყოველ შვილშია: "აღმოსავლეთში ანუ „ჩვენში" შვილი იმთავითვე მამის წიაღშია, ამიტომ "აღმოსავლეთში ჰამლეტ შეუძლებელია." — წერს რობაქიძე. „ფესვების" გმირისთვის ფესვებთან დაბრუნება ნიშნავს „მამის წიაღში" – მამულში დაბრუნებას.

ირანში მოგზაურობისას მეკეში გაიცნობს ქართველ ვამეხს, რომელიც მას უამბობს თავის მშობლიურ სოფელზე (იმერეთი, საირმე), უხსნის მის გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას — ამ წუთებში კვლავ უმძაფრდება მეკეშს სევდა და ფესვების განცდა — მის წინაშე ფერწერულ სურათებად გადაიშლება იმერეთის პეიზაჟები, სოფელი საირმე, ფერსათის მთის კალთები..

რობაქიძის გმირებისთვის მამის წიაღში (მამულში) დაბრუნება არის უმაღლესი ნეტარება, ექსტაზი. რაც უფრო გადის დრო, მით უფრო ძლიერია გიორგი ზაქარეიშვილის გმირში ფესვების განცდა და ტკივილი, იმდენად ძლიერი, რომ იგი ფიზიკურ ტკივილში გადადის და დარდით დამძიმებული, სასიკვდილოდ დასნეულდება – ხანში შესულ გიორგის ავიწყდება ფრანგული ენა, მას მხოლოდ ქართული ენა „ახსოვს" ანუ ქვეცნობიერად ის დაუბრუნდა მოწყვეტილ ფესვებს. (ლიტერატურული ალუზია ჯავახიშვილის ნოველასთან „მიწის ყივილი").

სცენარის ეს პასაჟი აღებულია თავად კინოდრამატურგის ბიოგრაფიიდან — სულიკო ჟღენტის დეიდა წარმოშობით გურიის ერთ-ერთი სოფლიდან იყო. თექვსმეტი წლის ასაკში იგი ცოლად გაჰყვა ბაქოელ კომერსანტს, რომელიც რევოლუციის შემდეგ ბოლშევიკურ რეპრესიებს ემსხვერპლა. მისი ქართველი მეუღლე კი სიცოცხლის ბოლომდე ბაქოში ცხოვრობდა. მოხუცი ქალი 90 წელს გადაცილებული იყო, როცა სიკვდილის წინ, დაავიწყდა აზერბაიჯანული და რუსული ენები — ის მხოლოდ თავისი ბავშვობის ენაზე — ქართულად ლაპარაკობდა და მისი საუბარი მხოლოდ შვილს ესმოდა.

„ხეების გარდაცვალება" – ასე ჰქვია სულიკო ჟღენტის ლიტერატურული სცენარის „ნერგების" პირველ თავს: უზარმაზარ, ბებერ ხეებს ქვეშ გარინდებით დგანან ოჯახის წევრები, თითქოს ხეებივით გაშეშებულან (სტატიკური კადრი). ადამიანები ხეების სიკვდილს გლოვობენ, ბაბუა ლუკა დასტირის ფესვგამგხმარ ხეებს. შვილიშვილი კახაბერი ასე აღწერს ამ შემაძრწუნებელ სურათს: " ... ბაბუაჩემი ხიდან ხესთან მიდიოდა, ხის ხორკლიან ტანს ხელისგულს უსვამდა, თავს უსასოოდ აქნევდა და ტირილის კილოზე სულ ერთსა და იმავეს იმეორებდა: „ეჰ, თქვე საცოდავებო!.. თქვე საცოდავებო! „შვილიშვილის ცნობიერებაში სამუდამოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღიბეჭდა ეს მომენტი — ხეებსაც კი ჰყოლია თავისი ჭირისუფალი. ხეჭეჭურის ხეებმა ორი საუკუნის შემდეგ დაასრულეს სიცოცხლის ციკლი: „დათაფლული ნაყოფი იცოდა ამ ძირდალოცვილმა" – მწუხარებას უზიარებენ მეზობლები ბაბუა ლუკას. ხის გარდაცვალება ბაბუა ლუკასთვის წინაპრების სიკვდილის ტოლფასია: „ახლა მოკვდა ბაბუაჩემი გიორგი, აქამდე ცოცხლად მიმაჩნდა", — ამბობს დამწუხრებული ბაბუა ლუკა. მაგრამ სიცოცხლე უნდა გაგრძელდეს, ფესვები არ უნდა დაიკარგოს, რადგან ხე ფესვებიდან იკვებება და სიცოცხლის სათავეს აქედან იღებს („გახსოვდეს, ბაბუ, ხის სიმაღლე მიწის ზევიდან კი არა, ფესვებიდან იწყება... შენი ფესვები იქაა...— ამ ცხოვრებისეულ სიბრძნეს ანდერძად უტოვებს გიორგი თავის შვილიშვილს). ადამიანი არ უნდა მოწყდეს თავის ძირებს, უნდა აღდგეს წინაპრებთან დაკარგული კავშირი, ქართველი ადამიანის ცნობიერება ვერ ეგუება ფესვების სიკვდილს: „ფესვში რომ წვენი გამოშრება, წასულია საქმე" 23 — ამბობენ „ნერგების" პერსონაჟები, და ასე იწყება ბაბუა ლუკას ოდისეა ხეჭეჭურის ნერგების მოსაპოვებლად, ნერგების, რომლებიც მხოლოდ თორმეტი წლის შემდეგ გამოიღებს ნაყოფს (ამ ბიბლიურ ალუზიას აძლიერებს ისიც, რომ ბაბუა ლუკას — ქრიტეს მოციქულის – სახარების ერთ-ერთი ავტორის სახელს ატარებს.)

„გველის პერანგში" თამაზ მაყაშის უცხოეთში „მოხეტე" წინაპრები „ბოხჩით" დაატარებენ მიწას: „სარგის იღებს პატარა ბოხჩას ხსნის. შიგ: მიწის ნატეხი. აკვირდება.

—საქართველოდან გადახვეწილებს თან მიჰქონდათ მისი მიწა." „ფესვების" გმირები ტომსიკით „ძვირფასი განძივით" დაატარებენ ქართულ მიწას: ქართველი ემიგრანტი სამსონ ჯაბადარი ასე მიმართავს გიორგის საფრანგეთში: „ჩვენ, ჩემო უმცროსო მეგობარო, ფესვებიდან მოგლეჯილი ხეები ვართ, —თქვა მან და ჭიქა ასწია, — დავბრუნებოდეთ ჩვენს ფესვებს. ღმერთმა ინებოს ჩვენი გამრთელება.

—ამინ!

ერთხანს იყუჩეს. ორივენი ერთსა და იმავე საფიქრალზე ფიქრობდა.

—როგორც კი დავბრუნდები, ავალ ბეთანიის ტყეში, დავწვები ბალახებში და მზის ჩასვლამდე ცას ვუყურებ, — ოცნებით თქვა სამსონმა, —არსად არაა ისეთი ცა, როგორც ჩვენშია."

გიორგი ზაქარეიშვილი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებშიც ქართულ მიწაზე

გრძნობს თავს — მისი საწოლი ერთ მუჭა ქართულ მიწაზე დგას.

„ფესვების" ლიტერატურული სცენარის ნარატიულ სტრუქტურაში ჩართულია ერთი სევდიანი ზღაპარი, რომელიც გიორგიმ ბებია ედუკისგან მოისმინა (ზღაპრის ეს ეპიზოდი ფილმში „ფესვები" არ შესულა). ბავშვობაში გაგონილ ზღაპარს გიორგი თავის შვილიშვილს, პატარა გიორგის უამბობს. ზღაპრის გმირი „ერთი საწყალი ებრაელია", რომელიც ბედნიერების საძებნელად შორს წავიდა. ებრაელმა სამი მთის გადაღმა ერთი ქალაქი იპოვა, თავის ქალაქს შეადარა, გაუხარდა, უცხო მხარეში ყოფნა გამიადვილდებაო. ამ ზღაპრის გმირის მსგავსად, გიორგი ზაქარეიშვილსაც აქვს სახლი, ჰყავს ცოლ-შვილი, მაგრამ ის არის უსამშობლო, და ამით არის უბედური: „დიდხანს იცოცხლა საწყალმა კაცმა იმ ოჯახში, არც სარჩო აკლდა, არც სითბო და სიყვარული, მარა რად გინდა, — მთელი სიცოცხლე სამშობლო ენატრებოდა.." — ასე დაასრულებს გიორგი წინაპართაგან გადმოცემულ სევდიან ზღაპარს, რომელიც მისი ტრაგიკული ცხოვრების მეტაფორად იკითხება.

რაც უფრო უახლოვდება არჩიბალდ მეკეში საქართველოს, მით უფრო „ჰკივიან" მისი ფესვები. სახლთან მისვლისთანავე იგი დაინახავს ნიგვზის ხეს, „ხეს დიდი ფესვი ამოგდებული აქვს, თუმცა, ფესვის ბოლო მიწაშია წასული შორს, არჩიბალდ ფესვს დაეცემა... ეხვევა ფესვებს". რომანის ეს ეპიზოდი სახიერად გადმოცემს ფესვებთან და მამულში დაბრუნების უმაღლეს ექსტაზს — ნეტარებას. არჩიბალდი მიწას კოცნის. მიწა და ფესვი განკურნავს გმირს სნეულებისგან, მძიმე ნაღველისგან, რაც მას ასე ტანჯავდა უცხოეთში — არჩიბალდი სულიერ ძალებს აღიდგენს და განიკურნება.

დაკარგული ძირების ძიებაში და ეროვნული თვითმყოფადობის გააზრებაში მეკეშს ეხმარება ვაზის მისტერია (წმინდა ნინოს შემოსვლა საქართველოში, ვაზის და ჯვარის სიმბოლიკა). მეკეშის წინაპრების (მაყაშვილების) გვარი ისტორიულად დაკავშირებულია ვაზისა და ჯვრის სიმბოლიკასთან (არჩიბალდი უძველესი საგვარეულო პერგამენტის ტექსტებიდან ეცნობა თავისი გვარის და წინაპართა ისტორიას). არჩიბალდი ვაზნარს უყურებს, გრძნობს, რომ იგი „მენამული მადლია მზის", „უშრეტი სამო მიწის". გვაროვნული ფსიქიკა და წინაპართა გენეტიკური კოდი „ამოქმედდა" ეპიზოდში, როცა გიორგი მახარაშვილი უცხო მიწაზე იხილავს ვაზს –უძველეს ქრისტიანულ სიმბოლოს. გახარებული გლეხი ვაზს „ესაუბრება" და ხარობს მისი ნაყოფით (რობაქიძე განმარტავდა ფრაზის მისტიურ მნიშვნელობას: ვაზი ხარობს და თვალი ჩასულა მტევანში). გიორგი მახარაშვილი ღიღინით წამოიწყებს ღვთისმშობლის სადიდებელ გალობას. ვაზი უკავშირდება კინოგმირის მამა-პაპისეულ წიაღს – კახეთს (ფილმის ექსპოზიციაში ნაჩვენებია, როგორი სასოებით და ტკივილით ეთხოვება გიორგი ვენახს). მეკეშის წინაპართა გვარიც „ბოლო საუკუნეებში" კახეთს დასახლებულა — ვაზის კულტურის წიაღში.

ხის სიმბოლიკა ხშირად ჩნდება რომანში „გველის პერანგი": „ნასახლარი. ნიგვზის ძირი. მიწის ნატეხი. „არჩიბალდ ივსება მოგონებით — მიწის სუნთქვით — მამით — წინაპრებით — გვარით — მამულით": „მე შენი ვარ, მამავ": ლუღლუღებს. „შენ ჩემში ხარ, მამავ". „ჯარისკაცის მამაში" კომპოზიციურად დრამატურგიული წრე მაშინ იკვრება, როცა მამა იპოვნის შვილს — მამის გზა ეს არის შვილის მოძიების გზა, რომელიც ასევე განსაზღვრავს რომანის „გველის პერანგის" მითო-არქეტიპულ მოდელს. მეტაფორულად ეს არის გზა ჭეშმარიტებისა და ღვთაებრივი სიბრძნის შეცნობის: „ვეხვევი ყველას, ვკოცნი და ვნატრობ, ნეტა კიდევ დიდხანს, ძალიან დიდხანს არ გათავდეს ეს გაცნობა. ნეტა, მთელი ეს ხალხი ჩემი სისხლხორცი აღმოჩნდეს, ნეტა, დაუსრულებლად იყოს განტოტვილი ამ დალოცვილ მიწაში ჩემი ჯიშისა და ჯილაგის ძირ-ფესვი... " — ამ სიტყვებით უბრუნდება დაკარგულ ფესვებს უმცროსი გიორგი, რომელმაც ბაბუის დაფერფლილი ნეშტი სამუდამოდ უნდა მიაბაროს ქართულ

ია ვეფხვაძე

ხეში ნახვეთი სიმფონია

„გივი ბრეგაძის შემოქმედება არც მხატვრობაა და არც მისი კანონები. ეს არის მარტოსულის გაბაასება ღმერთთან, ესაა გაკვირვების, გაოცების და აღფრთოვანების სინთეზი. ბუნება ღმერთია, ვინც მის საიდუმლოს ასე ღრმად სწვდება ღმერთთან ახლოს მდგომია". (გივი თოდაძე)

გივი ბრეგაძის ხელოვნება ქმედით ცხოვრებას განგარიდებს და სადღაც შორს, ოცნების მორევში გადაგჩეხავს, იმ ოცნების, რომელსაც საოცრება ჰქვია და ვინც მის ნამუშევრებს იხილავს, დარწმუნებულია, რომ ადამიანი თვით ბუნებაზე დიდი საოცრება ყოფილა, ხელოვნების, სიცოცხლის დიდოსტატი, რომელიც ადამიანის სულს სალოცავად განაწყობს:

„დგას პირველშექმნის მრუმე ქაოსი მდუღარე, მღვრიე, აბოლქვებული და ახლა ვხვდები, ყოველ შედევრში ბუნება ნახტომს როგორ აკეთებს... ეს ოთახია სინათლის ჩონჩხი, ფერთა ზღაპარი ან სიზმარეთი, წყალქვეშა ქვეყნის იდუმალება, სიჩუმის მთელი ფილოსოფია. აქ ღვთაებრივი წუთი ეცემა, როგორც ნაყოფი ცნობადი ხიდან, აქ უსასრულო მარადისობა შეიკუმშება წარმავალ წუთად. აზრის გაჩენა ჰგავს ვარსკვლავთცვენას და ეშურება სრულყოფილებას, და წუთის გაშლა მარადისობად!"

და მაინც საიდან იწყება გივი ბრეგაძე!

მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ: „ადამიანის სულის სიღრმეში არის შინაგანი საუნჯე, მეორე მეობა ადამიანისა, შინაგანი ხმა, რომელიც არ ემორჩილება არც ნებისყოფის ბრძანებას, არც აზრიან განაჩენს გონებისას; დიდხანს თვლემს სულის სიღრმეში, ამ მთვლემარე სიმის შერხევა შეუძლია მხოლოდ ღვთაებრივ ბიძგს, მაშინ კოსმიური სიძლიერით იწყებს ქუხილს, ვითარცა მაღალი მთიდან მიმდინარე გიჟი მდინარე". ის ღვთაებრივი ბიძგი კი მთელი სიცოცხლე თან სდევდა გივი ბრეგაძეს როგორც ბედისწერა. ღვთაებრივი ნიჭი, რომელსაც შორეულ ბავშვობაში ჰქონდა ფესვები ღრმად გადგმული: ჯერ აზრი იბადება ჩემში, მერე ფერები ცოცხლდებიან, ხელი მისდაუნებურად მუშაობს, მსურს ერთი ამოსუნთქვით შევქმნა, ქაღალდზე გადავიტანო ის, რასაც თვალით კარგახანია ვხედავ. ადამიანური ღირსება—სიმაღლე განიზომება იმით, თუ რამდენად მიუახლოვდა იგი თავის იდეალს, თავის თავში არსებულ ღმერთს, რამდენად გამოხატავს ადამიანის სული ღვთაებრივ სულს. გონება უნდა კარნახობდეს გრძნობებს და არა პირიქით. ჩემი ხელოვნება ისეთი ხელოვნებაა, რომლის სწავლაც არ შეიძლება, ის უნდა დაგყვეს; ექიმობა ბევრს შეუძლია, იყოს ხელოვანი კი — ცოტას.

ჩემი ხელოვნება ბუნებასთან თავდაპირველად ზერელე იყო, კი მხიბლავდა ლამაზი პეიზაჟები, ზღვის ზვირთები, ჩანჩქერის ჩხრიალი, მზის ჩასვლა, მაგრამ რაც უფრო ახლოს მივედი და შევიცანი ბუნება, განვიცადე მისი უმშვენიერესი სამყარო, შევეცადე მომეხდინა ამ სილამაზის ფიქსაცია მხატვრული სახის შექმნით. რაც შეეხება იმ საგნების მოპოვებას, რომლისგანაც ჩემს ნამუშევრებს ვამზადებ, ბუნება დიდ სიძუნწეს იჩენს, მას ბობოქრობასა და მძვინვარებაში გარიყული ნაწილაკებიც კი ჩაუკრავს გულში, თითქოს ბრჭყალებით ებღაუჭება და რომ გამოსტაცო ეს ლამაზი ფორმა, კოლოსალური ენერგიის ხარჯვაა საჭირო.

კლოდ მონე მხატვრობას წამებას უწოდებდა, მაგრამ ეს წამება ისეთ ზებუნებრივ სულიერ საზრდოს მანიჭებს, რომლის მიმართ არარაობად მიმაჩნია ყოველგვარი მიწიერი განცხრომიდან მინიჭებული სიამოვნება!"

...და ასე იწყება ახალი სიცოცხლე გივი ბრეგაძის ცხოვრებაში, ისეთი, ყოველგვარი მიწიერი სიამოვნებისაგან განსხვავებით, უფრო ამაღლებულ და ზეციურ ტკბობას რომ განაცდევინებდა ხელოვანს... და ეძებდა

გივი ბრეგაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი ბრეგაძე

ყველგან ტყეში, მთაში, ბარში, მდინარის, ზღვის ნაპირებზე, ეძებდა და თხრიდა ხის ფესვებს უსიცოცხლო კუნძებს, საწვავად განკუთვნილ ტოტებს, ყოველგვარ მასალას: ნიჟარებს, მამონტისა და ზღვის ლომის ეშვებს, მალახიტს, სპილოს ძვალს, აფრიკულ შავ ხეს, ბზასა და წითელ ხეს... რომლებიც ზოგჯერ ბუნებას დავიწყებისათვის გაეწირა.

...და იქმნებოდა გ. ბრეგაძის ცხოვრებისა და შემოქმედების ლეგენდა, რომელიც მთლიანად ღმერთის მიერ იყო შთაგონებული და უფალსვე ემსახურებოდა. განსაკუთრებული სიყვარულით ჯვრების შექმნაზე მუშაობდა, უფალს ზვარაკად სწირავდა თავის უკვდავ ხელოვნებას. მისი ნამუშევრები საოცრად ჰგავდა მის შემქმნელს, კაცს, რომელსაც ღვთისაგან ბოძებული მადლი ეფინა მარჯვენაზე, კაცს, რომელსაც ემორჩილებოდა კაცობრიობის სინდისი — მარად უკვდავი ხელოვნება.

აი, როგორ შეფასებას აძლევს აკადემიკოსი გიორგი ჯიბლაძე გივი ბრეგაძის შემოქმედებას: („ლამაზ ფორმათ შექმნაში ბუნების შესაძლებლობანი უსასყიდლოა, ადამიანის გონებას ჯერ არ შეუქმნია ისეთი ლამაზი ფორმა, რომლის პირველსახე ბუნების საკუთრებას არ წარმოადგენდეს. გ. ბრეგაძის ხელოვნება ეს არის „ბუნების ხელოვნება". პროფესიით ექიმს უცდია ქარიშხალი აეტეხა ხელოვნების სამყაროში, მისულა ბუნებასთან, შეუცვნია მისი ლამაზი ფორმა, წამოუღია სახლში ასწლოვან ხეთა ფესვები და მიუცია მათთვის ხელოვნების ენაზე ამეტყველების უნარი. ყველაფერი ისე გამოიყურება როგორც შედევრი, მაგრამ უარესად ორიგინალური, უნიკალური, განუმეორებელი. ეს ორიგინალობა ჩანს ანტიკური განოსის თავისებურად გამოყენებაში, რითაც ფიგურები ღებულობენ მიმზიდველ განუმეორებელ იერს.

თუ გსურთ ბუნებისა და ხელოვნების მშვენიერება ჰარმონიულ მთლიანობაში იხილოთ, გაეცანით გ. ბრეგაძის ოსტატურ ნამუშევრებს, რომლებშიც ბუნება გზას ულოცავს ხელოვნებას და ხელოვნება განადიდებს ბუნებას".

დიახ, ჭეშმარიტად, გივი ბრეგაძის შემოქმდებაში ბუნება სილამაზეშია, სილამაზე ხელოვნებაში — რწმენაში და უკვდავებაში. აქ მატერიალურისაგან შორს მდგომი სულიერება მეფობს. აქ უბრალო მოკვდავისათვის უკვდავება ნათელი ხდება: აქ ვერ ლაპარაკობ, უბრალოდ ხედავ და ფიქრობ.

გივი ბრეგაძეს ჭეშმარიტად შეეძლო ეთქვა: „დავდიოდი დედამიწაზე და ვკითხულობდი ქვებზე, მცენარეებზე, ცხოველებზე, როგორც კითხულობენ წიგნში. მე განვლე ჩემი ცხოვრების ჟამი და მოვიხადე მოვალეობა, რაც ბედმა დამაკისრა ბუნების წინაშე. მე შევქმენი ხელოვნება, რომელიც ადამიანებს სჭირდებათ უდიდესი ბედნიერების და უდიდესი მწუხარების წუთებშიც, შეხედეთ ჩემს შედევრებს, მათი მშვენიერება ჩემს აზრებში სულდგმულობდა როცა მე ვდუმდი, ჩემი ხელოვნება მეტყველებდა. მე შევქმენი დუმილით მჭერმეტყველი მშვენიერება

და გიძღვენით თქვენ — შთამომავლობას". ის მყარად იდგა ქართულ მიწაზე, ის იყო მისი საყრდენი, მას ჰქონდა ძლიერი „ფესვები", რომლითაც ძალუმად ეხლართებოდა ქართულ მიწას და სიცოცხლეს მატებდა ქართული მიწის და გენის დაძარღვეულ მარადისობას.

დღენიადაგ ფუსფუსებდა სამი მუზის პატრონი, სამი მუზის სიცოცხლით იცხოვრა ერთმა კაცმა, მისთვის ექიმობა პური იყო არსობისა, მხატვრობა — წყურვილი სულისა, მწერლობა — ჰაერი ზეპაარისა. მის არსებაში ექიმს მხატვარი ეჯიბრებოდა, მხატვარს მწერალი, მწერალს ექიმი.

ხელოვანმა სიტყვა, მუსიკა, ფერი, ქანდაკება ერთმანეთს დაუკავშირა და ბუნებას წაართვა ის, რაც არასოდეს არ წაიშლება, საკმარისია მის ქმნილებებს ტილო გადაუსვა და 500-1000 წლის წინანდელი ფერი აღდგება.

გივი ბრეგაძის სულის ქურებში ნაწრთობი ხელოვნება ღვთიური ცეცხლის აღმნთებია მოკვდავში. იგი მარადისობისათვის ნაბოძები უბერებელი სიტყვაა.

გივი ბრეგაძე მთელი არსებით, მთელი სიცოცხლე ომს უცხადებდა სიმშვიდეს, რადგან მისი აზრით „ბედნიერება სიმშვიდეა, სიმშვიდე კი არაფერს ქმნის". იგი სასურველი სიმაღლეების მისაღწევად ღვთაებრივი იდეალის სულთან მისაახლოებლად ტიტა-

ნურ შრომას ეწევა. კითხულობს გაბმით და თავდავიწყებით, განსაკუთრებით ეწაფება ფილოსოფოსთა ღრმა ნააზრევს. მიზნის მისაღწევად ძალზე ხშირად თმობს სულის სიმშვიდეს...

მძლავრმა ფორიაქმა იჩინა თავი მის სულში, სიყვარული ქარიშხალივით შემოეჭრა არსებაში, რომლის შესახებაც იგი იტყვის: „სიყვარული ქარიშხალია, განყენებული იდეა, შეუცნობადი. მას არ აქვს კანონები და კატეგორიები, თავად სურს იყოს გრძნობათა გრძნობა, მას თავად სურს მბრძანებლობდეს სულსა და ტვინზე“.

გ. ბრეგაძის რჩეული მართლაც რჩეული გახლდათ ქუთაისის უმშვენიერეს ქალთა შორის — სულით, ზნეობით, ფიზიკური მშვენიერებით სრულყოფილი ქალბატონი — ლარინა არსენიშვილი. იმდენად ძლიერი გახლდათ პირველი ნახვით მიღებული შთაბეჭდილება, რომ გივის ერთბაშად მიუღია გადაწყვეტილება: „მის გარდა სხვა ქალს არ შევირთავ“. თავისი გრძნობების სიძლიერეს იგი ნათლად გამოხატავს ლარინას მეგობრებისადმი მიწერილ წერილში: „ლარინა ჩემთან ბედნიერი იქნება, მე ის გაგიჟებით მიყვარს, მე რომ მქონდეს შაგნერის ტყავი, ვინატრებდი ლარინას ქმრობას და რაფაელზე სულგრძელი აღმოვჩნდებოდი.

„მე შევქმნი შედევრებს შენი შთაგონებით“ — ჰპირდება გივი საყვარელ ქალს და სწორედ აქედან იწყება გივი ბრეგაძე...

...და ქუთაისის ქუჩებში უმშვენიერესი წყვილი გამოჩნდა, რაინდული მიმოხვრის ახალგაზრდა მამაკაცი მეტყველი თვალებით შესცქეროდა გასაფრენად ასხლეტილ, გვერდით მიმავალ საბედოს და ვერ დაეჯერებინა, რომ ბედმა მართლა გამოიმეტა მისთვის ეს სიხარული.

სიხარული, სიყვარული მალე ერთ ოჯახად იქცა და ამაღლების ტაძრის გვერდით მდებარე უმშვენიერეს სახლში დაიდო ბინა ბრეგაძეების ოჯახმა. ბედნიერებით სავსე წლები მისდევდა ერთმანეთს და ყოველ წამს სიყვარული ასაზრდოებდა.

სიყვარულმა მისცა გივი ბრეგაძეს ძალა მინდიას ენას დაუფლებოდა და ის დიდი გრძნობა, რაც მასში ბობოქრობდა, მინდიას ენით გამოეხატა, თითქოს მისი ყოველი ქმნილება ამბობდა: „ამას შენ გიძღვნი ჩემო სიცოცხლე შენი ისტორია, ჩემს ისტრიასთან შერწყმული გენიალური ფუნჯით უკვე უკვდავებაა“.

„ჩემი მუზა არის ჩემი მეუღლე, რომელიც მაძლევს შთაგონებას დიად საქმეთა კეთებისათვის“. მას სურდა ყველას სცოდნოდა ამ ჩაუქრობელი მუზის არსებობის შესახებ, მის ცხოვრებაში. ხალხმრავალ მაგიდაზე, თავის ოჯახში გაუცხადებია: „რატომ არ აინტერესებს პლანეტას ვინ იყო ისააკ ნიუტონის სატრფო, იმ დროს, როდესაც გოეთეს სატრფოებზე ტომები იწერებოდა, ეს იმიტომ, რომ თუ ნიუტონმა თვითონ შექმნა კანონები, გოეთეს პოეზიასა და პროზაში მისი სატრფოები მონაწილეობდნენ, ჩემმა მეუღლემ კი აი, ამ ჩემი ხელოვნების შექმნაში მიიღო მონაწილეობა“.

და თუ გივი ბრეგაძის ხელოვნება უკვდავებაა, არც ამ სიყვარულს უწერია გაფერმკრთალება, რადგან იგი ჩვენს თვალწინ შეუერთდა იმ მარადიულ ჰანგს, ერთგულებისა და სიყვარულის სახელით რომ დადის დედამინაზე.

„კაცობრიობის მოაზროვნეთა მიერ გამოთქმული ვერც ერთი მოსაზრება მთლიანად ვერ ამოწურავს სიყვარულის არსს. იგი კოსმოსივით ღრმა და ბოლომდე შეუცნობელია, დაუყვანელი ფენომენია, სიყვარულის აღქმისათვის გრძნობის ცალკე ორგანო არ გააჩნია ადამიანს. მაშინ რა აზრი აქვს პლანეტარულ მოაზროვნეთა დეფინიციას, რომლებიც კონკრეტულ პრეზუმციებს უშვებენ? სპინოზამ სიყვარულის არსად სიამოვნება გამოაცხადა, მას სტენდალიც ეთანხმება, შექსპირი კი აღნიშნავს, რომ ტანჯვა, წამება თან სდევს ჭეშმარიტ ტრფობას. პლატონი თავის „ნადიმში“ „მიწიერს“ უწოდებს იმ მიჯნურს, რომელიც სხეულს უფრო ეტრფის, ვიდრე სულს. აქედან გამომდინარე, უარყოფილია სილამაზის ანდამატური ძალა, რომელიც თანაბრად იზიდავს ადამიანის თვალს, სულს აძლევს პრიორიტეტს, რომლის არსიც ისევე გაურკვეველია, როგორც სიყვარულის. ფროიდი სიყვარულის ყველა სახეს ფიზიოლოგიურ ინსტინქტად მიიჩნევს და სიყვარულის არსს ცხოველურად აცხადებს. ფილოსოფოსი კანტი დუმს. მან სხვაზე უკეთ იცის, სიყვარულის არსის კვლევაში რეფლექსოლოგია და ონტოლოგია, ვერ დაგვეხმარება“. **(გ.ბრეგაძე)**

გივი ბრეგაძის პიროვნული სახე და ხელოვნება ის ბედნიერი შემთხვევითობაა, როცა ღვთის ნებად ადამის ძის სწრაფვა უმშვენიერესი ხელოვნებით გადმოიცა, მაგრამ ერთიცაა — მრავალგზის ასეც ხდება, სრულყოფს ხელოვანი თავის სახეს და შემოქმედებას, მაგრამ მკაცრი ბედისწერის გამო საზოგადოებას უჭირს მისი დანახვა, აღიარება. გივი ბრეგაძე ამ მხრივაც ბედნიერთა იმ იშვიათობას განეკუთვნება, ვინც სიცოცხლეშივე იგემა თავისი დიდი ხელოვნების ნაყოფი. თანამედროვეობამ სცნო და აღიარა იგი. ფურცლავ შთაბეჭდილებათა წიგნს და აღტაცება, გაოცება გიპყრობს. ვის, რომელი კონტინენტის, ქვეყნის, კუთხის ელჩებს, წარმომადგენლებს, დიპლომატებს, ხელოვნების მოღვაწეებს არ დაუდგამთ ფეხი ამ ზღაპრულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუფლოში და ვინ არ მოქცეულა გატაცების, გაოცების ტყვეობაში გამაოგნებელი შეძახილებით: **„ღმერთო ჩემო“, „ზღაპარია“, „საოცრებაა“, „ფანტასტიკაა“.**

ყოველი ჩანაწერი თავის თავში იტევს რაღაც იდუმალს, ბოლომდე შეუცნობელს, განუმეორებელს.

— **„ბედნიერია ქართული გენის ზეიმის ხილვა. დღეს ჩემი სული ერთხელ კიდევ გაცისკროვნდა ამ ლამაზი ზღაპრის ნახვით. მადლობა უფალს ამ ნიჭიერებისათვის“.** გივი სიხარულიძე.

„თქვენს შექმნილ „საწერ მაგიდასთან“ ვზივარ და ისეთი ხმა მესმის „მუზისაგან“, ამაზე რომ ერთი დღე მაწერინა, მთელი ჩემი თეორიული შესაძლებლობანი გაორმაგდება, თვისობრივად ამაღლდება. დიდება ღვთაებრივ შემოქმედს, ამ ხელოვნების შემქმნელს“. აკად. ა. ბოჭორიშვილი

„დიდი მადლობა ვაჟას ფესვების ამღერებისთვის“. გუჯა ბურდული

„თქვენი სული არასოდეს მიატოვებს ამ მუზეუმს“. რიჩარდ მაილსი

„მე თქვენ არავითარი შანსი არ დამიტოვეთ, რომ ჩვეულებრივ, მოკვდავ ადამიანად ჩაგთვალოთ“. ბონდო ქურდაძე

„დედამიწის მერვე საოცრება“ იაკობ მესხი

„ადამიანის შესაძლებლობები ამოუწურავია“. აკაკი ბაქრაძე

„ეს არის განსაცვიფრებელი გამოფენა. ეს არის ქუთაისის საიდუმლო, რომელსაც იგი ინახავს თავისთვის“. კენტ ბრაუნი





გ. ბრეგაძის შემოქმედებაში კავშირი მასალასა და ოსტატს შორის ჰარმონიულია. მამონტის ძვლით მოოჭვილ ათასფეროვანი ვარდის ფენათა ფონზე გივის მარად ლამაზი, დაუდეგარი ხასიათი იკვეთება. ავტორივით წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მისი მხატვრული გამოსახულებანი „ტყის ზღაპარი“, „ბალეტი“, „კვაზიმოდო“, „ბუნების სიმფონია“, „გვირილები“, „ურჩხულების როკვა“, „გედის აფრენა“. ამ ნამუშევრებში იგრძნობა ტყის მუსიკა, სიმფონია, ურთულეს კალეიდოსკოპურ სიჭრელეში გვხიბლავს სისადავე, უშუალობა, ოსტატობა, ჩანაფიქრის ჰარმონიული მთლიანობა, რასაც თვით საგანი მშვენიერების რანგში აჰყავს, საგანი, რომელიც უსასრულოა თავისი მოყვანილობითა და სინატიფით.

როცა გივის ერთ-ერთი ნამუშევრის, „გედის აფრენის“ შესახებ ჰკითხეს: „რატომ აფრენა და ცალ ფეხზე წამომართული გედი შეჰქმენი და არა უკვე ჰაერში მონავარდეო“, გივის ღიმილით უპასუხნია: „სწორედ ამ აფრენაშია მთელი სილაღე და სილამაზეო“. დიახ, გივი ბრეგაძე ჩანაფიქრშივე დებდა აზრისა და იდეის მშვენიერებას, რომელიც განხორციელების შემდეგ თავზარდამცემ მშვენიერებაში გადადიოდა. თეთრი ბზისგან შექმნილ ჯადოსნურ მაგიდასთან, რომელზეც ურჩხულების როკვაა გამოსახული, საათობით შეუჩერებიათ ყურადღება ესპანელ ტურისტებს. დიდხანს ერთმანეთში უსაუბრიათ შემდეგ კი მორიდებით გივისთვის უთქვამთ: „ამ მაგიდაში დიდძალ ფულს გადაგიხდითო“. ბატონ გივის, რომელიც უკვე მძიმედ ყოფილა ავად და ძალზედ ესაჭიროებოდა ფული სამკურნალოდ, თავაზიანად უპასუხნია: „ეს მუზეუმია და მუზეუმიდან არაფერი იყიდებაო“. გივი ბრეგაძეს საოცრად სწამდა სტენდალისა: „ადამიანი დედამიწაზე იმისათვის კი არ ცხოვრობს რომ გამდიდრდეს, არამედ იმისათვის რომ ბედნიერი იყოს“.

თავდავიწყებამდე ჰყვარებია გივის თავისი ნამუშევრები. თვით უსაყვარლეს და უმშვენიერესი შვილის სიყვარულს უტოლებდა თითოეული მათგანის სიყვარულს. კორესპონდენტის კითხვაზე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„თქვენს ცხოვრებაში რომელს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, თქვენს ნამუშევრებს თუ ცოლ-შვილსო. გივის უპასუხნია: „ყველა ნამუშევარი ჩემი ცოლშვილია, ვერც ერთს ვერ დავთმობო“.

„ვერც გივი ბრეგაძის ნამუშევრები დათმობენ თავიანთ შემქმნელს ვერასოდეს, კაცს, რომელმაც შეძლო, რომ ბუნება „გადმოეთარგმანებინა“ და ჩვენთვის, უბრალო მოკვდავთათვის სილამაზის და მშვენიერების სასწაული ეჩვენებინა. ავტორმა სამწუხაროდ ვერ მოასწრო, თუმც სიცოცხლის ბოლომდე სწამდა, რომ ღმერთი მისცემდა შესაძლებლობას ბოლო რომანის „ცდუნებელი“ დამთავრებისას, რომელიც სიკვდილის მერე ოჯახმა გამოსცა თეიმურაზ შაშიაშვილისა და დავით ბენიძის დახმარებით. „მე მორწმუნე კაცი ვარ, არ მოვკვდები, ვიდრე რომანს ფინალამდე არ მივიყვან, აჩქარება, მარტივად წერა არ შემიძლია. ეკლესიის წინ ვდგავარ და მაცოცხლებს ღმერთი. დავამთავრებ წიგნს და სიამოვნებით შევხვდები სიკვდილს, როგორც კანტი ამბობდა: „როცა შემოქმედი ყველაფერს დაამთავრებს, სიკვდილს უნდა დაუმეგობრდეს. მეც მინდა სიკვდილის წინ ვთქვა: „ეს კარგია“, — მაგრამ უკვე ყურის ძირში ჩასაფრებული ბედისწერა მის ოცნებას განხორციელებას არ აცლიდა.

„ადამიანის ზნეობა არა მარტო მოქმედებაში, არამედ განზრახვაშიც მჟღავნდება. ბოროტების გაფიქრებაც ცოდვად ითვლება. სრულყოფილი ადამიანის, ზეკაცის იდეალი არ არსებობს. ამიტომ უჭირს ადამიანს ტრანსცედენტალურ სფეროებში ამაღლება და ღვთაებრივთან მიახლოება მისთვის უცხოა





ყოველგვარი ადამიანური ეთიკა, ვერაფერი დაუდგება წინ სულის წიაღიდან ამოხეთქილ აკრძალული ვნებების ამბოხს.

კაცი წვალობს, სურს მოერიოს ცხოველს საკუთარ თავში, ჩაკლას პირადი ვნებები, ცდილობს დიონისური და აპოლონური საწყისების ჰარმონიულ შეთანხმებას, ამაოდ იღწვის, სულში ქაოსია. ეს არის მიზეზი — „ეგზიტენციის სიმძიმისა“ და სხეულებრივი არსებობის უაზრო და გაუთავებელ სასიკვდილო როკვაში განანამები, ზეცისკენ მიაპყრობს მზერას. ყველას არ აკრთობს ღვთის რისხვა და სულის მარადისობას ილუზიად მიიჩნევენ არა მარტო ჩვეულებრივი მოაზროვნეები, არამედ გენიოსებიც“.

სამწუხაროდ, ჩვეულებრივ მოკვდავებთან ერთად, არაჩვეულებრივი ადამიანებიც ემორჩილებიან ამქვეყნად ყველაზე მკაცრ და მიუდგომელ მსაჯულს — უფლის განაჩენს, ამქვეყნიდან განშორებისა და მარადიული ცხოვრების დაწყების უდიდეს უფლისმიერ საიდუმლოს.

გარდაცვალებამდე ერთი თვით ადრე, როცა დაუსრულებელი რომანის ერთ ეპიზოდს უკითხავდა საყვარელ მეუღლეს, გივი ბრეგაძე უნებურად შეჩერებულა, სარკმლიდან გაუხედავს და უთქვამს: „მე რომ აი, აქ, ეზოში ვინმე დამმარხავდეს, ჩემზე ბედნიერი არავინ იქნება, შენთან ახლოს ვიქნები და მკვდრადაც აღარ ჩავითვლები. სიკვდილის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიკი ბრეგაძე



ცდუნებული

მიტომ მეშინია, რომ შენთან დამაშორებს, მე კი შენთან განშორება არ შემიძლია“.

ანდერძთან ერთად ახსნილი სიყვარული იმდენად უჩვეულოა, რომ არ შეიძლება ჩვეულებრივი ადამიანის ბაგეს მოსწყდეს ასეთი თბილი და სევდიანი სიტყვები. რაღა დარჩა სიყვარულს? — ანდერძის აღსრულება, საყვარელი ადამიანის იმედის არგამტყუნება. 1997 წლის 13 ნოემბერს, იმ ავადსახსნებელ დღეს, გივი ბრეგაძეს ჟურნალისტები ესტუმრნენ. ინტერვიუს დასასრულს წელის ტკივილი იგრძნო, ადგა, გაიარ-გამოიარა, ფერწასულს კიდევ უფრო დაეკარგა ფერი... სამარისებულ სიმყუდროვეში მსხვრევის ხმა გაისმა. სადგამიდან წითელი ხის ლარნაკი გადმოვარდა და შუაზე გატყდა. ცუდად ენიშნა ბატონ გივის, მიუახლოვდა, ნამსხვრევი აიღო, კორესპონდენტის ნუგეშზე: „ნუ გეშინიათ, შეწებდებაო“, გივის სევდიანი ხმით უპასუხნია: „ჩემს ხელოვნებაში შეწებებული არაფერია“, მხოლოდ სტუმრების გაცილება მოასწრო, საწოლამდე ვეღარ მივიდა, ვერც საყვარელი მეუღლე იხილა უკანასკნელად და მისი ქალიშვილის ხელებში დალია სული.

„თოვს...სარკმელთანვდგავარ...გავყურებ ეზოს, ეკლესიის გუმბათს, მამის საფლავს და გული სევდით მევსება... მამა, მამა—უძირო ცისფერი თვალებით, ნაღვლიანი მზერით,



დიდი კეთილი გულითა და უსაზღვრო სიყვარულით სავსე, მუდამ მოფუსფუსე, ჯადოსნური ხელების მქონე, უსულო საგანთა მესაიდუმლე, მამა — ქალაქის მშვენება, ხეში გაცოცხლებული სულის დიდოსტატი"...

ეს მაკას საკურსო ნაშრომია მამის შემოქმედებაზე, რომელიც მშობლის მონატრებას ეჭიდება.

„ჩემს სიცოცხლეს აზრი აქვს იმისთვის, რომ გივის სახელი შორს გავიტანო, მინდა მსოფლიომ გაიცნოს ეს ხელოვნება", — ცრემლიანი თვალებით საუბრობს ქალბატონი ლარინა.

„თუ აქ, ეზოში დამასაფლავებთ, მკვდრად არ ჩავითვლები". ეს თქვენ ხართ, ბატონო გივი, თქვენი უკანასკნელი სურვილით. უმშვენიერეს ყვავილთა გარემოცვაში სევდიანი საფლავით, თქვენი ხელები ლამობენ ცისკენ აფრენას, ცად აწვდილი ხელები, თქვენი ხელოვნების უკვდავი და უბერებელი შემოქმედი.

რაც დრო გადის საზოგადოება მით უფრო შეიგრძნობს იმ აუნაზღაურებელ დანაკლისს, რაც გ. ბრეგაძის წასვლამ დატოვა. ძნელია შეგუება, რომ აღარ არის დიდებული ხელოვანი, მასშტაბური აზროვნების მწერალ-ფილოსოფოსი, მაღალკვალიფიციური ექიმი, დახვეწილი არისტოკრატი. გარდაცვალების წლისთავზე, ჯვართამაღლება დღეს „გივი ბრეგაძის მეგობართა საზოგადოება" დაარსდა — მისი უახლესი სულიერი მეგობრის თემურ შაშიაშვილის ინიციატივით. სწორედ მას დაუბარა სიკვდილის წინ ანდერძად: „ამ ხელოვნებას შენ გაბარებ თემურ, მიხედე და უპატრონე". გარდაცვალების შემდეგ ყოველი დღე ამ ანდერძის აღსრულების ნათელი დასტურია. დღითიდღე იზრდება „გივი ბრეგაძის მეგობართა" საზოგადოების რიცხვი, რომელიც ხელოვანის უკვდავების და მისკენ სწრაფვის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა.

1998 წლიდან დღემდე სალონმა არაერთ ღირსეულ სტუმარს უმასპინძლა, მოაწყო არაერთი მშვენიერი საღამო, წიგნის პრეზენტაცია, ხელოვანის ხსოვნის საღამოები, მედიცინის მუშაკთა და მუსიკოს-შემსრულებელთა საღამოები, აქ მოეწყო განხილვა თ. შაშიაშვილის პუბლიცისტური ნაშრომისა, ასევე თავად ბატონი გივის ფილოსოფიური რომანების „ბნედით შეპყრობილისა" და „ცდუნებულის" პრეზენტაცია-განხილვა.

ბუნებაში არაფერი არ იკარგება, ბუნებისგან მიცემული სითბო და მშვენება ბუნებასვე უბრუნდება უკლებლივ. წავიდა ბუნების მაესტრო და დატოვა ხეში ამღერებული სიცოცხლე, ხეში ნაკვეთი ეტიუდები, სიმფონია, პოეზია, დატოვა უკვდავება.

ჰამლეტ გონაშვილი და ანსამბლი „რუსთავი". გასული საუკუნის 70-იანი წლები.

ფოტო მოგვაწოდა გულბათ ტორაძემ

ვისთვისაც ძვირფასია ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება" გთხოვთ, შეგვეწიოთ!

ყურადღება!

ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების" გამოწერა შეიძლება:
სს „მაცნეს" პუნქტებში, გამსახურდიას 42 – ტელ: 37-61-53, 37-59-62, 37-77-89;
„ელვასერვისი", იოსებიძის 49 – ტელ: 38-26-74, 38-26-73; 38-80-02; „ჯეომედია"– ტელ: 93-64-72, 99-01-37 და „საქპრესა" – ტელ: 51-60-04; 51-57-43
6 თვით 18ლ.

„ლიტერატურა და ხელოვნების" წინა ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დიზაინერი:
გიორგი ქადაგიშვილი
ოპერატორი:
თამარ ტყაბლაძე

რედაქციის მისამართი:
ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი; მხატვრის ქ. №4
ტელ: (+995 32) 32 73 62; 31 70 47; (+995 99) 25 60 14.
litandart@yahoo.com
vaja.otarashvili@yahoo.com
Web: www.litandart.com.ge

ჟურნალი დაიბეჭდა შპს „ეროვნული მწერლობის" სტამბაში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გივი ბრეგაძე

ფასი 3 ლარი

ISSN 0131-2529

ეროვნული ბიბლიოთეკა